

ნ. ავთანდილი

ალალმართა

ბავშვური ლექსების ხმოვანება

21

„ნაკადული“
19 თბილისი 64

8 И
86.092 [სერვანტესი]
ა 235

წინამდებარე წიგნის შედგენისას ავტორმა ისარგებლა იმ მდიდარი ლიტერატურით, რომელიც ეხება სერვანტესის ლეგენდარულ ცხოვრებას და მისი დროის ესპანეთს. უმთავრესად გამოიყენა: ბრუნო ფრანკის „სერვანტესი“, ჰან რინერის „მახვილგონიერი იდალგო მიგელ დე სერვანტეს საავედრა“, ვ. ვიგოდსკაიას „ალჟირის ტყვე“, ალ. ალტაევის „მიგუელ სერვანტესი“, უილიამ პრესკოტის „ფილიპე II მეფობის ისტორია“, ჯორჯ ტიკნორის „ესპანეთის ლიტერატურის ისტორია“, ჯემს ფიცმორის კელის „ესპანეთის ლიტერატურა“, ა. ცომაკიონის „სერვანტესი“, „სტატიები და მასალები“ სერვანტესის შესახებ (1948 წ.), ვ. კარელინის (1896 წ.) და მ. ვატსონის (1907 და 1917 წწ.) მიერ თარგმნილი „დონ კიხოტი“ — ბიოგრაფიებითა და შენიშვნებით; 1932 წლიდან 1964 წლამდე რუსულ ენაზე თარგმნილი სერვანტესის ნაწარმოებები; ამასთანავე — ჰაინრიჰ ჰაინეს, ლ. ვიარდოს, ლ. შებელევიჩის, ნ. სტოროჟენკოს, ფ. კელინის, კ. დერჟავინისა და სხვათა შრომები. ზოგიერთი ეპიზოდი ამოღებულია სერვანტესის „დონ კიხოტიდან“ და მისი ავტობიოგრაფიული ნოველებიდან.

რომანში ჩართულია სხვადასხვა ფაქტი, ცნობა და ამბავი გენიალური მწერლის შესახებ, სხვებულ აგტორთა ნაწარმოების შინაარსი, აზრი და ბრძნად მთელი თავები და ფრაზები უცვლელადაა დატოვებული. ნაგრამ წინადადებები სავსებით გადმოქართულებულია და მოკეთებულია — თანმიმდევრობის დაურღვევლად.



Miguel de cervantes
Saavedra

ნაწილი პირველი

ლეპანტოს გმირი

მოხეტიალე მსახიობებთან

1560 წლის შემოდგომის მზიანი დღე იყო. ესპანეთის პატარა ქალაქ ალკალის ერთ-ერთ ქუჩაზე მიდიოდა თორმეტიოდე წლის ბიჭუნა. მას ეცვა შინნაქსოვი ქურთუკი, ძველი წინდები და უშნო ქოშები. მოაირიღლივ ჩანთა ეკიდა, ალბათ სკოლიდან ბრუნდებოდა. უცბად ბავშვმა მტვერში ხელნაწერით აჭრელებული ქაღალდის ფარატინი შენიშნა. სწრაფად დაიხარა და ხელი დასტაცა. ეს იყო ნაწყვეტი ძველი რომანისა ესპანეთის სახალხო გმირ როდრიგო სიდზე.[1] ჯერ კიდევ ყრმა სიდი გამოესარჩლა მოხუც მამას და დაამარცხა მისი თავხედი შეურაცხმყოფელი გრაფი ლოზანო, ყველაზე საშიში და მრისხანე რაინდი მთელს სამეფოში.

... გასწი აქედან, შორს, როდრიგო, გასწი აქედან,
არ დამენახო, გულგოროზო კასტილიელო...

კითხულობდა ბავშვი და თვალები უციმციმებდა, როცა აგონდებოდა ნაცნობი რომანსები საყვარელ გმირზე.

ოქროს აბჯარში იჯდა იგი და მოსასხამი
სუდარასავით თეთრ-სპეტაკი ებურა, ხმალიც
გაშიშვლებული ხელში ეპყრა — ზარადშებურვილს.
მიაგელვებდა მედიდურად მერანს, მდუმარე...

განაგრძო კითხვა და მთელი მომხიბვლელობით წარმოუდგა სიდის სახე.

---

[1] ს ი დ ი (არაბ. — ბატონი) — ესპანეთის ეროვნული გმირის, რუი დიას დე ბივარის ზედმეტი სახელი .

ასე მიუახლოვდა ქუჩას, სადაც იდგა მამამისის, ღარიბი იდალგოს[1], როდრიგო დე სერვანტეს საავედრას სახლი. ბავშვის ოცნება უმალვე გაფანტა ღატაკური ქოხის დანახვამ. იგი გაუბედავად შედგა. მიმოიხედა. აი კასტილიის ჯადოსნური ლურჯი ცა, ირგვლივ ალკალის მშვენიერი სახლები, საუცხოო ბაღჩებით, ვაზნარითა და ხეხილით დაბურვილი ეზოები. მდინარე ენარესის გაღმა კი გადაჭიმულა აყვავებული ჭალა... ბავშვმა მძიმედ ამოიოხრა, უფრო მაგრად მიიკრა გულზე ძვირფასი ხელნაწერი და უკანვე გაბრუნდა. არა, ახლა ვეღარ მივა შინ, თუმცა მოშივებულია. იგი ქალაქგარეთ წავა, სუფთა ჰაერზე და დატკბება საყვარელი ენარესის წარმტაცი სილამაზით...

ბიჭუნა მდინარის პირას წამოწვა და შეჰხაროდა მის კამკამა ზვირთებს, სადაც ჰყუმპალაობდნენ ვერცხლისფერი ლიფსიტები, ხარბად ისმენდა ფოთოლთა ჩურჩულს და ფრინველთა უნაზეს ჭიკჭიკს.

დღეს ბავშვის გონება დაეპყრო წაკითხული წიგნების შინაარსს. გახსნა ჩანთა და ამოიღო რამდენიმე წიგნი. სახელმძღვანელოთა შორის ამოარჩია ერთ-ერთი. მას არც თავი ჰქონდა და არც ბოლო. ეს იყო სასულიერო საგალობელთა ძველი კრებული. ამხანაგმა აჩუქა პატარა მიგელს და ისიც ხელიდან არ უშვებდა წიგნს. ბედი არ ანებივრებდა ბავშვს. მამამისს, ღატაკ აზნაურს, ბიბლიოთეკაც ღარიბული ჰქონდა.

მაგრამ ცარიელი კუჭი თავისას მოითხოვდა. ბავშვმა დაკეცა წიგნი, ისევ გადაიკიდა ჩანთა, ტანისამოსი დაიბერტყა და ნელა გაუდგა გზას შინისაკენ. მზე ჩადიოდა, როცა ქოხის კარაპინს გადააბიჯა. ცეცხლი უკვე ჩამქრალიყო კერაზე, სადაც მზადდებოდა ღარიბული სადილი. ამ უბადრუკი ბინის დანახვამ ტლანქი სინამდვილე მოაგონა ბავშვს, თუმცა ისევ ხმადაბლა ღიღინებდა ლექსს სახელოვან გმირზე:

... ოქროს აბჯარში იჯდა იგი და მოსასხამი
სუდარასავით თეთრ-სპეტაკი ებურა...

---

[1] ი დ ა ლ გ ო — ესპანელი წვრილი აზნაური.

— და მოსასხამი სუდარასავით თეთრ-სპეტაკი ებურა! — გამოაჯავრა მამაკაცის ბოხმა ხმამ. — ყველაფერი ეს ძლიერ კარგია, მიგელ, მაგრამ ერთი მითხარი, სად იყავი სადილობისას? დედაშენი დიდხანს გელოდა, ცეცხლი არ ჩაუქვრია, შენ კი; ვინ იცის, სად და ვისთან დაეხეტებოდი. ეს სრულიად არ შეფერის კეთილშობილ იდალგოს.

მიგელმა ამაყად ასწია თავი.

— არა, მამაჩემო, — მიუგო მან, — არაფერი ისეთი არ ჩამიდენია, რაც სახელს გამიტეხს. ენარესის ნაპირას ვიყავი და...

— და სულელურ წიგნებს კითხულობდი, არა? — გაისმა ბავშვის ხმა. — არ გადაფიცო, მიგელ!

— მე არასოდეს გადამიფიცავს, არც არასოდეს მიცრუვია რუი, — მიუგო გაჯავრებულმა მიგელმა, — შენ ეს კარგად იცი. დიახ, მართალია, წიგნებს ვკითხულობდი. შენ რა გესაქმება, ან ამით რა დაგიშავდება?

მაგრამ მისი ძმა, როდრიგო, არ ცხრებოდა.

მივარდა მიგელის ჩანთას, ამოაძრო იქიდან სიდის რომანსის ნაწყვეტი და გამომწვევად აკისკისდა.

— ნახე, მამაჩემო! — შესძახა მან და თან ხელში ატრიალებდა დაჭმუჭვნილ ქაღალდს. — განა ესაა მეცადინეობა? მიგელი მეძველმანე ებრაელივით აგროვებს ქუჩებში ძველ-ძველ ჭუჭყიან ქაღალდებს!

იმ შორეულ, უმეცარ დროში ებრაელები განკიცხულ და საძულველ ხალხად მიაჩნდათ ესპანეთში. ებრაელები სძულდათ მათი სარწმუნოების გამო, სძაგდათ, რადგან მათ ქრისტესმდევნელთა შთამომავლებად თვლიდნენ, აბუჩად იგდებდნენ და სდევნიდნენ. მიგელი ძლიერ გააბრაზა ძმის სიტყვებმა, მუშტები მოკუმშა და დაეტაკა მას.

— გრცხვენოდეს, რუი! — გაისმა ქალის ნაზი ხმა, — ყოველთვის პირველი რად იწყებ ჩხუბს? ნუთუ ძმებმა ასე უნდა იცხოვროთ? რა იქნება შემდეგ, თუ პატარაობიდანვე ერთმანეთს არ გაიტანთ?

კარაპინზე იდგა სერვანტესის ცოლი — დონა ლეონორა.

— როგორ მოგშივნია, ჩემო მიგელ! სად იყავი ამდენ ხანს? აი შენი ოლაც[1] გაცივდა, — ალერსიანად უთხრა მან.

მაგრამ მოშივებული ბავშვი ორივე ხელით იტენიდა პირში მჭლე ცხვრის ხორცის ოლას და თხის გამხმარ ყველს.

მიგელის უფროსი დები — ანდრეა და ლუიზა მდუმარედ ისხდნენ კუთხეში და ქარგავდნენ ღვთისმშობლის ხატის საბურველს. იმ დროში ასეთი „ღვთისსათნო“ საქმიანობა როდი ითვლებოდა აზნაურის ქალთა ღირსების დამამცირებლად.

დაღამდა. მაგრამ ჯერ არავინ იძინებდა. ვახშმობამდე როდრიგო სერვანტესი ჭრაქის მკრთალ სინათლეზე მოუთხრობდა ბავშვებს გარდასულ დროთა ამბებს. უკვე ხუთი საუკუნე იყო, რაც სერვანტესის გვარი ემსახურებოდა მთელი ესპანეთის რაინდობასა და საზოგადოებას. ესპანურ მატიანეებში ხუთი საუკუნის მანძილზე ეს გვარი უდიდესი ბრწყინვალებითა და დიდებით იყო მოსილი და მთელს ევროპაში ვერც ერთი დიდებულთა გვარეულობა მას ვერ შეედრებოდა. საავედრას წინაპრები ჩრდილოეთ ესპანეთის მთებიდან მოვიდნენ XI საუკუნეში. მათ იარაღი აისხეს, რათა მავრებისათვის წაერთმიათ ესპანეთი; გალისიიდან კასტილიაში გადასახლდნენ, კასტილიიდან კი ანდალუზიაში და შემდეგ მთელი ესპანეთი მოიარეს. XV საუკუნეში საავედრას გვარი ქორწინებით სერვანტესის გვარს შეუკავშირდა და აქედან წარმოიშვა სერვანტეს-საავედრა. XVI საუკუნიდან ეს გვარი თანდათან დაეცა და გაღატაკდა. ზოგი მათგანი ახალ ქვეყნებში გაემართა დიდებისა და სახელის საძიებლად, სიმდიდრის მოსახვეჭად; სხვები კი აზნაურული ყოყოჩობით მცონარობასა და მუქთამჭამლობაში აღამებდნენ დღეებს...

მიგელ სერვანტესი იყო როდრიგო დე სერვანტესისა და მისი ცოლის ლეონორა დე კორტინასის შვილი. მიგელის გარდა მათ ჰყავდათ რამდენიმე შვილი: ვაჟები — როდრიგო და ანდრესი, ქალები — ანდრეა და ლუიზა. მიგელის ბაბუა, ლიცენციატი[2] ხუან დე სერვანტესი, ქალაქ კორდოვაში ვექილობდა და კარგ იურისტა-

[1] ო ლ ა — Olla — სიტყვასიტყვით — „ქოთანი“; ცხელი აჟაფსანდალი ხორცით. ესპანელთა ეროვნული საჭმელი.

[2] ლ ი ც ე ნ ც ი ა ტ ი — დაბალი სამეცნიერო ხარისხი ევროპის ზოგიერთ უნივერსიტეტში.

ღაც ითვლებოდა, მომავალი დიდი მწერლის მამა, მკურნალი როდრიგო დე სერვანტესი, კი ქალაქ ალკალაში ცხოვრობდა... იგი ძლიერ ღარიბი იყო და მასთან ყრუც. თუმცა იმდროინდელი ალკალა განთქმული იყო უნივერსიტეტით და აქ მრავალი სწავლული და სტუდენტი იყო, მაგრამ ფული ნაკლებად იშოვებოდა. ღარიბი მკურნალის მრავალრიცხოვანი ოჯახი ნახევარჯერ შიმშილობდა და ლუკმაპური ენატრებოდა. 1555 წელს მათ შეეძინათ მეექვსე შვილი—მაგდალენა. მადრიდში გადასვლის შემდეგ სერვანტესის ოჯახს კიდევ მიემატა მეშვიდე ბავშვი — ხუანი. როდრიგოსა და მიგელის გარდა მათ შესახებ არსად არაფერია თქმული. დედაზეც არავითარი დაწვრილებითი ცნობები არ დარჩენილა. სერვანტესი არც ერთ თხზულებაში არ იხსენიებს მათ.

მიგელი აკვნიდანვე მოექცა სასტიკი სიღატაკისა და კიდევ უფრო მკაცრი სიამაყის ატმოსფეროში, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ესპანეთის ძველებურ გაკოტრებულ აზნაურთა ოჯახებში. მისი ბავშვობისა და ყრმობის ხანა ნაწილობრივ წყვდიადითაა მოცული, არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რასაც თვითონ მოგვითხრობს „დონ კიხოტის“ პირველ ნაწილში. პირველდაწყებითი სწავლა მშობლიურ ქალაქ ალკალაში მიიღო. ნოველა „ძაღლების საუბარში“, რომელიც სიბერეში დაწერა, სერვანტესი სიყვარულით იგონებს დაწყებით სასწავლებელს, სადაც ბავშვობაში სწავლობდა. მაგრამ არსად არა ჩანს, რომ ვინმე განსაკუთრებით იყო დაინტერესებული მისი სწავლა-განათლებით. სერვანტესის აღმზრდელ წრეში უფრო მეტად ზრუნავდნენ იმაზე, რათა ბავშვს შთანერგოდა ნამდვილი იდალგოს გრძნობები და იგი ყოფილიყო წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ ტრადიციათა ერთგული დამცველი. სწავლა-განათლება უმნიშვნელო საქმედ მიაჩნდათ. ცნობისმოყვარე, ცოცხალი ბავშვი ნაკლებად იცნობდა სკოლას, მაგრამ სამაგიეროდ მას ძალიან უყვარდა ქუჩის მომღერალთა მოსმენა, მოხეტიალე მსახიობების წარმოდგენათა ცქერა, აგროვებდა ნაბეჭდ და ხელნაწერ ქაღალდთა ფარატინებს, გაფაციცებით კითხულობდა ყოველ ნაჯღაბნ სტრიქონსაც კი.

დონ როდრიგოს სახლში განუწყვეტლივ გაისმოდა ამბები სერვანტესების რაინდულ გმირობათა შესახებ. ამგვარად, პატარა მიგელს ბავშვობიდანვე შთაენერგა სიამაყე წინაპართა დიდებისადმი.

იგი არასოდეს არ ივიწყებდა, რომ საავედრას ოჯახის წევრი იყო. მაგრამ ამ სამუდამოდ დაღუპული სახელ-დიდების მოგონებებთან ერთად მგრძნობიარე ბავშვის სულს ამძიმებდა უკიდურესი სიღატაკით გამოწვეული საწინააღმდეგო შთაბეჭდილებები.

— ხუთ საუკუნეს, — ამბობდა დონ როდრიგო, — ჩვენი სახელი ისეთი ბრწყინვალებითა და დიდებით იყო მოსილი, რომ მისი მსგავსი მთელს ევროპაში არ მოიძებნებოდა. ეს გვარი მოხსენებულია სევილიიდან მავრთა განმდევნ მეფე ფერდინანდის თანამებრძოლთა და შემდეგ საუკუნეებში ახალი ქვეყნების დამპყრობთა შორის. XV საუკუნეში ერთ-ერთი სერვანტესთაგანი ქალაქ ოსუნის მთავარმართებელი იყო. ასე, ჩემო ბავშვებო, ღმერთსა ვთხოვ, არ შეგერცხვინოთ ეს სახელი. დაე, უფალმა მოგმადლოთ ძალ-ღონე, მედგრად ებრძოლოთ სამშობლოს მტრებს. დაიცავით სუსტი და ჩაგრულ-გვემული!

— რასაკვირველია, მამაჩემო, მე მამაცი ჯარისკაცი ვიქნები! — ფიცხად წამოიძახა რუიმ. — მიგელი კი ალბათ სასულიერო პირი გახდება. ტყუილად როდი დაათრევს ამდენ წიგნებს...

და რუიმ გამომწვევად გახედა ძმას. ძლიერ უყვარდა მისი გაბრაზება.

მიგელს სახე აელეწა, ცრემლები წამოსცვივდა.

— სტყუი! — შესძახა მან. — კარგად იცი, ჯარისკაცი რომ ვიქნები. ისიც იცი, თუ როგორ მძულს ბერები, რომლებიც...

— ჩუმად! — მკაცრად შეუძახა მამამ. — ნუთუ არ იცი, რა მოჰყვება ასეთ სიტყვებს? ახლა ყველა კარს ყური აქვს გამობმული. უწმიდესმა ინკვიზიციამ მშვენივრად იცის ყველაფერი, ისიც კი, რაც არასოდეს არ მომხდარა და კვლავაც არ მოხდება...

დონ როდრიგომ ამოიოხრა და მწარე ფიქრებში წასულმა თავი ჩაქინდრა... აფიქრებდა სამშობლოს უბედურება, არ ასვენებდა დაქვეითების გზაზე დამდგარი ესპანეთის მომავალი, აწუხებდა ესპანელ იდალგოთა სიღატაკე და უმწეობა. ოდესღაც მდიდარი, აყვავებული და ძლიერი ესპანეთი, ნახევარი მსოფლიოს მფლობელი ქვეყანა, უკვე სულს ღაფავდა.

პატარა მიგელი ააღელვა მამის სიტყვებმა: წარმოიდგინა სახელოვან წინაპართა გმირული ბრძოლები, სერვანტესთა ძველი რაინდული ციხე-კოშკების უძლეველი სიდიადე...

ამ დროს კარებზე ვიღაცამ მაგრად დააკაკუნა. დონ როდრიგო შეკრთა. შეშინებულმა გოგონებმა შეჰკივლეს, ხოლო მიგელმა და როდრიგომ უნებლიეთ თავიანთ პატარა ხანჯლებზე გაივლეს ხელი.

— ვინ არის? — იკითხა დონ როდრიგომ.

— ღვთის გულისათვის, კარი გამიღეთ!..

— გაუღე, ლეონორა! — უკმაყოფილოდ უთხრა სერვანტესმა. — ვნახოთ, ვინ იქნება! ასე ამბობენ, მშვიდობიან ხალხს არ ასვენებენო. იქნებ ყაჩაღები არიან, ანდა ის საბრალო ერეტიკოსები...[1] უფალმა გვიხსნას!

კარი ფართოდ გაიღო და კარაპინზე გადმოდგა შავითმოსილი კაცი. თავიდან ფეხებამდე გაწუწული სიცივისაგან კანკალებდა.

— ვინა ხარ? — მკაცრად შეეკითხა დონ როდრიგო.

უცნობმა მოიძრო მოსასხამი და დონ როდრიგომ დაინახა ახალგაზრდა შავგვრემანი ჭაბუკი.

— მაპატიეთ, ჩემო ბატონო, — თავაზიანად წამოიწყო მან, — ალბათ ძალიან გამოვიცვალე, რომ ვეღარ მიცანით. მე ვალენსიელი ენრიკო ვარ, მეჯორე. ქალაქიდან ქალაქში ტვირთს ვეზიდები. ავდარმა მომისწრო, თუ შეიძლება, ღამე გამათევინეთ ჩემი ამხანაგებიანად. როგორც მოგეხსენებათ, ამხანაგებს ვუწოდებ ჩემს საბრალო ჯორებს.

— როდრიგო, — დაუძახა მამამ, — შეხედე, როგორ ნიაღვარივით ჩამოსდის წყალი თავ-პირზე. ამ მუსაიფში ისე გავერთეთ, არც კი შეგვიმჩნევია კოკისპირული წვიმა. აბა, მეგობარო, მოიხადე ეს შენი მოსასხამი და ახლოს მოუჯექ ცეცხლს. ახლავე გაგიმასპინძლდებიან.

ამაყ იდალგოს იმავ წუთს სავსებით დაავიწყდა თავისი და ამ ღატაკი მეჯორის საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვადასხვაობა. ეს უბრალოება ადამიანთა ურთიერთობაში ყოველთვის იყო ესპანელთა განმასხვავებელი თვისება და რაღაც უცნაურად ეგუებოდა მათს ყოყოჩობასა და ზვიადობას.

— აბა, გადმოალაგე შენი ახალი ამბები, მეგობარო, — უთხრა დონ როდრიგომ, როცა სტუმარი ოდნავ შეთბა ბუხართან.

ბავშვები მამისა და ენრიკოს ახლოს ჩაცუცქდნენ.

---

[1] ე რ ე ტ ი კ ო ს ი — სარწმუნოებისაგან განდგომილი.

— უნდა მოვახსენო თქვენს მოწყალებას, რომ ძლიერ ცუდი ამინდი დამიდგა. ჩემისთანა ღატაკებს ძლიერ უჭირთ ცხოვრება. ახალი ამბებიო, მეკითხებით თქვენ, არა?

ენრიკო უფრო მოხერხებულად დაჯდა, ფეხები ცეცხლს მიაფიცხა.

— აბა, რა უნდა მოგითხროთ? აი ამ დღეებში აქ ჩამოვლენ დონ ლოპე დე რუედას[1] მსახიობები...

— ლოპე დე რუედა! — აღტაცებით შესძახა მიგელმა. — აი ეს დიდებული ამბავია! რუედა! რუედა! ჩემო რუი, აუცილებლად წავალთ წარმოდგენაზე.

— ეს მართლაც კარგი ამბავია, — თქვა დონ როდრიგომ, — ლოპე დე რუედა იშვიათი სტუმარია ჩვენში. რას იტყვი, ლეონორა?

დონა ლეონორა უკვე მხიარულად ეჩურჩულებოდა სასიხარულო ამბავს ქალიშვილებს, რომლებსაც სიამოვნებისაგან ლოყები ატკეცოდათ. მოხეტიალე მსახიობთა ჩამოსვლა ალკალაში მართლაც თვალსაჩინო მოვლენა იყო და მთელი ქალაქი აფორიაქდა.

— აქ ლოპე დე რუედა გაითამაშებს თავის კომედიებს, იქ კი, ვალიადოლიდსა და სევილიაში დგამენ სულ სხვა წარმოდგენებს. მხოლოდ არც იმდენად სამხიარულოს. თქვენო მოწყალებავ! — ნაღვლიანად წამოიძახა ენრიკომ.

მან ენაზე იკბინა, ზედმეტი რამ ხომ არ წამომცდაო, და შიშით მიმოიხედა. დონ როდრიგო შეკრთა, ხოლო მიგელი სულ აცახცახდა.

— ნუ გეშინია, მეგობარო. — დინჯად წარმოთქვა დონ როდრიგომ, — აქ არავინაა დამსმენი და გამცემი.

— უნებურად შეშინდები, როცა ყველგან დაძრწის ათასი გამცემი და მაბეზღარი, — ბუზღუნით თქვა ენრიკომ. — ასე მგონია, მალე ამხანაგებისაც შემეშინდება, ვლაპარაკობ ჩემს ჯორებზე. ფიქრსაც კი ვერ ვბედავ წმიდა ინკვიზიციის შიშით. რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთ ფუნდუკში ასე მითხრეს: ახლა ბავშვებიც კი აბეზღებენ დედ-მამას, ხოლო მშობლები შვილებს ღალატობენო.

---

[1] ლ ო პ ე დ ე რ უ ე დ ა — (XVI ს.) ესპანელი მწერალი, დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი. ითვლება დრამებისა და კომედიების პირველ ავტორად ესპანეთში. იყო მოხეტიალე კომედიანტთა დასის დირექტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული ესპანური კლასიკური თეატრის განვითარების პირველი ეტაპი.

სულ უმნიშვნელო საქმეებისათვის ცოცხლად ცეცხლში სწვავენ ადამიანსო.

— რა მხეცობაა! — აღშფოთებით წამოიძახა მიგელმა.

ენრიკო ცოტა ხანს დუმდა.

— მე ვნახე აუტოდაფე[1] ვალიადოლიდში, — პირქუშად ჩაილაპარაკა მან ბოლოს.

— როგორ, შენ თვითონ ნახე? — ერთხმად შესძახეს დონ როდრიგომ და მისმა ცოლმა.

— დიახ, მე, თქვენო მოწყალებავ, — წყნარად მიუგო მეჯორემ, — ეს იყო წმიდა ფრანცისკის ტაძრის მოედანზე. უამრავი ხალხი გარბოდა მოედნისკენ. მეც გამოვუდექი. დილის ექვსი საათიდან ეკლესიებში ატყდა ზარების რეკა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო ეშაფოტი შუა მოედანზე, რომლის ერთ ბოლოში აღემართათ ბვირფასი ხალიჩებით დაფენილი ბექობი ინკვიზიციის წმიდა მამებისათვის. მის ახლოს აეგოთ გალერეა მეფისა და მისი ამალისათვის. აქ იდგა მეფე მთელი ოჯახით. აქვე იყო მისი შვილი, ჭაბუკი დონ კარლოსი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ეზიზღება ასეთი სანახაობა; გარშემო იდგნენ დიდებულები და უცხოელი ელჩები. მთელი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი.

ენრიკომ სული მოითქვა.

— შემდეგ? — ვეღარ მოითმინა დონ როდრიგომ.

— შემდეგ დაიწყო ეს საშინელი მსვლელობა. გაიღო ინკვიზიციის ციხე-კოშკის დიდი ჭიშკარი, გაისმა წყნარი, საზეიმო გალობა... თეთრად შემოსილი ბავშვები უგალობდნენ ქებათა ქებას წმიდანებს... შემდეგ კი, ო, ღმერთო! შემდეგ მოლასლასებდნენ მომნანიებელნი შავ მანტიებში, ფეხშიშველნი, გაფითრებული სახეებით, ჩამქრალი კერეონებით ხელში... წინ მოუძღოდათ აბჯროსანთა რაზმი. მათ მოჰყვებოდნენ ერეტიკოსები, რომლებსაც ბრალდებოდათ უფრო მძიმე დანაშაული. აქ იყო ყველა ცნობილი ადამიანი. თქვენო მოწყალებავ, ისინი ოდესღაც უყვარდა მთელს ესპანეთს და მათ უდიდეს პატივს სცემდნენ ჩვენში. ბრალდებულებს მოჰყვებოდნენ ბერები, ინკვიზიციის წევრები და მდიდრულ სადღესას-

---

[1] ა უ ტ ო დ ა ფ ე — ესპანურად განაჩენი; ერეტიკოსთა საჯარო-საზეიმო ღაწვა კოცონზე (ხშირად ცოცხლად).

წაულო სამოსში გამოწყობილი დიდებული მოქალაქენი, ეგრეთ წოდებული პატიმართა „ნათლიები“, რომლებიც დასჯის ადგილამდე მიაცილებდნენ ერეტიკოსებს. უკანასკნელნი საშინელი შესახედაობები იყვნენ. ყოველ მათგანს ტანთ ემოსა ყვითელი სანბენიტო[1], წითელი ჯვრებით მოხატული საზარელი ტომრის მსგავსი ხალათი, თავზე ეხურათ ყვითელი, ცეცხლის ენებით მოჩითული ქაღალდის წოწოლაკინა მიტრები...

ენრიკომ ერთხელ კიდევ მიიხედა კარებისაკენ და ჩურჩულით წარმოთქვა:

— თუმცა სახე გაფითრებული ჰქონდათ, მაგრამ ამაყად ეჭირათ თავი. ხალხი, რომელიც თავის თავს ღვთისმოშიშ კათოლიკედ თვლის, ზიზღითა და ლანძღვა-გინებით აფურთხებდა ამ უმწეო ადამიანებს, შეურაცხყოფდა მათ. უნდა გენახათ, რა სიამოვნებითა და ხალისით უცქეროდნენ ამ სამარცხვინო მსვლელობას სათნო კათოლიკე მანდილოსნები, ჰეშმარიტად ესპანელთა უნაზესი დედები და ულამაზესი ცოლები! მე ალბათ ძლიერ ცუდი კათოლიკე ვარ: ვეღარ გავუძელი ამ ამაზრზენ სანახაობას და თვალები დავხუჭე.

და ენრიკომ გულუბრყვილოდ გადახედა თანამოსაუბრეებს.

— საზარელია, დასტკბე ვისიმე ტანჯვა-წვალებით, ვინც არ უნდა იყოს ის, კათოლიკე, თუნდ ერეტიკოსი! — მრისხანედ წამოიძახა მიგელმა.

— შენ ჩუმად იყავი მანდ, — მკაცრად შეაჩერა მამამ, — ენას კბილი დააჭირე და ნურაფერზე იფიქრებ! შემდეგ რაღა მოხდა, ენრიკო?

— შემდეგ, თქვენო მოწყალებავ, ყველაფერი ამერია თავში, ბრალდებულებს უკან მოაყოლეს მანამდე დასჯილ ერეტიკოსთა შემაძრწუნებელი გამოხატულებები და ამ დასჯილთა ძვლებით სავსე ყუთები ცეცხლში ჩასაყრელად... ეპისკოპოსმა წარმოთქვა სიტყვა სარწმუნოებაზე. უსწავლელი კაცი ვარ და ვერაფერი გავიგე, ლათინურად ლაპარაკობდა. შემდეგ ყველამ დაიჩოქა და შეჰფიცა, მედგრად დაეცვათ ინკვიზიცია და სარწმუნოება, არ დაენდოთ სარწმუნოებისა და მეფის მოღალატენი. ხმალამოწვდილმა მეფემაც

---

[1] სანბენიტო — სამარცხვინო ტანსაცმელი, რომელსაც აცმევდნენ ერეტიკოსებს საჯარო გაკიცხვისა და აუტოდაფეზე გაგზავნისას.

მრისხანე ხმით გაიმეორა ეს ფიცი. ბრალდებული ოცდაათ კაცამდე იქნებოდა, თექვსმეტი კი შერიგებული იყო. ამათ თანხმობა განაცხადეს სიკვდილის წინ აღსარება ეთქვათ კათოლიკური ეკლესიის წესთა მიხედვით. მათ შეუმსუბუქეს ტანჯვა და ყველანი გაროტით[1] მოახრჩვეს, შემდეგ კოცონზე შეაგდეს. დანარჩენები ცოცხლად დაწვეს...

— როგორ თუ ცოცხლად?! — ერთხმად შეჰყვირეს მიგელმა და როდრიგომ. — ო, მამავ, ნუთუ დიდხანს გაგრძელდება ასე?..

— ჩუმად, ჩუმად-მეთქი, — შეუტია მათ დონ როდრიგომ. — ხომ არ გინდათ, ჩვენს ოჯახსაც თავს დაატყდეს ღვთის რისხვა?

— სიკვდილმისჯილთა შორის იყო დონ კარლოს დე სასი, — დაღრეჯით ჩაილაპარაკა ენრიკომ.

— ყოვლადწმიდაო ქალწულო! — გაოცებით და აღშფოთებით შეჰყვირა დონ როდრიგომ. — აი სადამდე მივიდა ჩვენი ესპანეთი. არა, ეს შეუძლებელია, ენრიკო, შენ ალბათ მოგეჩვენა, დე სასი ხომ ჩვენი მეფის სახელოვანი მამის, იმპერატორ კარლოს დიდის საყვარელი და ახლობელი კაცი იყო? დე სასი იყო ესპანეთის ერთერთი დიდებულთაგანი, ყველა ცდილობდა მასთან მეგობრობას.

— სწორედ ის იყო, სენიორ! მას წვავდნენ ნელ ცეცხლზე, მაგრამ სულით არ დაცემულა და სიკვდილი რომ დაეჩქარებინა, მშვიდად უბრძანა ახლომდგომ ჯარისკაცებს, უფრო მეტი შეშა შეეყარათ ცეცხლში. ჯარისკაცებმაც აუსრულეს უკანასკნელი სურვილი. ვხედავდი, მრავალი მათგანი ჩუმად ცრემლებსაც ღვრიდა, როცა კოცონს შეშას უმატებდა.

დონ როდრიგომ თავი ჩაღუნა და სახე ხელებით დაიფარა. ენრიკო დუმდა და მაშით ქექავდა ბუხარში ნაკვერცხლებს... ანდრეა და ლუიზა ჩუმად სლუკუნებდნენ.

... იმ სასტიკ და მძიმე დროში მრავალი უდანაშაულო მოხვდა ინკვიზიციის ბრჭყალებში. ვინც კი ოდნავ დაეჭვდებოდა კათოლიკური სარწმუნოების მოძღვრებაში, მას უწოდებდნენ ერეტიკოსს, შეაჩვენებდნენ და განაყენებდნენ ეკლესიიდან. თუ ბრალდებული არ აღიარებდა წაყენებულ ბრალდებას და არ გამოტყდებოდა, მას ჩააგდებდნენ საკანში და მიაყენებდნენ არნახულ ტანჯვა-წამებას,

---

[1] გ ა რ ო ტ ა — რკინის საყელური.

რაც უდანაშაულო მსხვერპლს, ჩვეულებრივ, აიძულებდა ეღიარებინა ის, რაშიც სრულიადაც არ იყო დამნაშავე. ამით ის მალე პოულობდა ნანატრ სიკვდილს და ეძლეოდა სამუდამო მოსვენებას. ინკვიზიცია არ ინდობდა არც უბრალო მოქალაქეებს, არც დიდებულებს და მეფის სასახლეშიც კი იჭრებოდა. როცა ტანჯვა-წამებით დაოსებულ ბრალდებულს გამოტეხდნენ, მიუსჯიდნენ ცეცხლზე დაწვას ან სამუდამო პატიმრობას (რასაც მონანიება ეწოდებოდა), ანდა სამშობლოდან განდევნას, მისი ქონება ხაზინას გადაეცემოდა.

მთელს სახელმწიფოში სამღვდელოებამ თანდათან მოიპოვა ძალაუფლება და მთლიანად დაიმორჩილა საზოგადოების ყველა ფენა. მან ხელთ იგდო ყველაზე ნაყოფიერი და შემოსავლიანი მიწა-წყალი და ინკვიზიციის დახმარებით, რომლის ერთ ხსენებაზე კრწოდა მთელი ესპანეთი, განაგებდა სახელმწიფო საქმეებს.

იმ დროს მეფობდა ფილიპე II. ეს მეფე-ჯალათი ყოველთვის ესწრებოდა უდანაშაულო ადამიანთა ცოცხლად დაწვას და ტკბებოდა ამ სამარცხვინო სანახაობით. ერთ-ერთმა ერეტიკოსმა, რომელიც კოცონზე უნდა ასულიყო და მეფის ახლოს ჩაიარა, ნაღვლიანად შესძახა მას:

— მეფევ, რად სტანჯავ ასე შენს უდანაშაულო ქვეშევრდომებს?

— ჩემი საკუთარი ერთადერთი შვილი ერეტიკოსი რომ იყოს, ჩემივე ხელით ავაგიზგიზებ კოცონს მის დასაწვავად! — მიაძახა გაანჩხლებულმა მეფემ...

ყველაფერმა ამან ელვის სისწრაფით გაუარბინა გონებაში დონ როდრიგოს. ის მეტად გულისხმიერი ადამიანი იყო და კარგად ესმოდა თავისი სამშობლოს მძიმე მდგომარეობის მთელი სიმწვავე. გულზე ცეცხლი ედებოდა, როცა ფიქრობდა თანამემამულეთა ბედზე, უკეთილშობილეს და უმანკოეს გმირთა ბედზე, რომელთაც ასე აღმერთებდა და პატივს სცემდა ესპანელი ხალხი. რად აწამებდნენ და სდევნიდნენ, რად ჟლეტდნენ ამ უდანაშაულო ადამიანებს?

ხანგრძლივი მდუმარების შემდეგ დონა ლეონორამ მორიდებულად წარმოთქვა:

— ვახშამი მზადაა, როდრიგო!

მაგრამ არავინ წაჰკარებია ვახშამს მეჯორის გარდა. ის უკვე შეჩვეული იყო ათასგვარ დავიდარაბასა და ალიაქოთს.

მიგელს ცუდად ეძინა იმ ღამეს: სულ აუტოდაფეს სისხლიანი ამბები ეზმანებოდა.

ენრიკო ადრიან დილით წავიდა.

მიგელმა ჯერ კიდევ წინა საღამოს შენიშნა უცნაური ფურგონი კალე დე ქრისტოს ქუჩაზე.

ფურგონმა განვლო შუკები და მოედანზე შეჩერდა, საყდართან. ფურგონში ება ორი ჯორი, გადახურული იყო ჯვალოთი — როგორც ბოშებმა იციან ხოლმე, მაგრამ კოფოზე მჯდომი არ ჰგავდა ბოშას.

არც ბოშები არიან, არც ვაჭრებს გვანან, — ფიქრობდა მიგელი, — მაშ ვინ იქნებიან?

ენრიკოს წასვლის შემდეგ მიგელი მთელ საღამოს მოედანზე ტრიალებდა.

როცა სულ დაბინდდა, უცნაურმა სტუმრებმა აანთეს ლამპარი და საკვირველი აჩრდილები აცეკვდნენ გაშლილი მოფარდაგულის ქვეშ.

მიგელმა ვერ მოითმინა, მივიდა ახლოს, ფრთხილად შეიჭვრიტა. მოფარდაგულში ორი კაცი დიდი ტომრიდან იღებდა ჭრელ ქურთუკებსა და მოვარაყებულ ჯოხებს. მესამე ჩხრეკდა ნიღბებისა და წოწოლიკა არახჩინების გროვას, მეოთხე ნაჩეჩს აწებებდა ყალბ წვერებს.

უნდოდა იმ წუთსავე მისულიყო მათთან. ვერ გაბედა, სახვალიოდ გადადო.

მეორე დილით ბაზრის მოედანზე ოთხკუთხად ჩამოდგეს გრძელგრძელი მერხები. ზედ დააჭედეს ფიცრები. ზოლიან ვიწრო სათბურაში გამოწყობილმა მსახიობმა დაფდაფით ჩამოიარა ქუჩებში.

სახლებიდან, სახელოსნოებიდან, საყდრებიდან მოგროვდა ხალხი. ყურთასმენა წაიღო ბავშვების ჟივილ-ხივილმა და ყიჟინამ:

— მსახიობები!

— მოხეტიალე მსახიობები!

— ლოპე, ჩამოსულა! ლოპე დე რუედა!

ლოპე იყო სევილიელი ოქრომჭედელი. მან თავი გაანება ხელობას, რათა შეეთხზა კომედიები და ინტერმედიები, გაემხიარულებინა ხალხი ქუჩებსა და მოედნებზე.

ლოპეს ტაძარში კი არ ჰქონდა საზეიმო წარმოდგენა, სადაც

საუკეთესო ადგილებს დაიკავებდა წარჩინებული საზოგადოება, სადაც ძნელი იქნებოდა შესვლა მდაბიო ხალხისთვის. მას არ გააჩნდა ამწევი მანქანები, ხის ხმოვანი ანგელოზები, მუსიკოსებიც კი არ ჰყოლია. აქ სახელდახელოდ შეკრებილი უბრალო ბიჭები გიტარის აკომპანემენტზე მღეროდნენ ყველასთვის ცნობილ ხალხურ თქმულებებს და სატრფიალო ლექსებს. ლოპე ტაძარში კი არ თამაშობდა, არამედ ბაზრებსა და მოედნებზე. მკალავები, ხარატები, მეწისქვილენი, მჭედლები, ფეიქრები იყვნენ მისი მაყურებლები.

ხალხი ჯარად აწყდებოდა მოედანს.

შუადღე ჩამოდგა. მსახიობებმა გადაწიეს თოკზე გადაფენილი ტილოს საბანი, შეკრიბეს ფული, სულზე თითო კუარტო,[1] და წარმოდგენა დაიწყო.

სცენაზე გამოჩნდა წითელშარვლიანი ღიპიანი ბისკაელი.

ბისკაელს გამოჰყვა სევილიელი, გაიძვერა, უბირ ბისკაელს ჯიბიდან ამოაცალა ვერცხლის ძეწკვი. იქვე იგივე ძეწკვი ორმოცდაათ რეალად მასვე მიჰყიდა თაღლითური ვაჭრობით. შემდეგ ისინი გავიდნენ.

სცენაზე შემოაგორეს კასრი. კასრიდან ამოძვრა წითელენიანი და ბრჭყალებიანი ეშმაკი. ეშმაკი ცდილობდა ბერის ცთუნებას. შემდეგ ორნივ მსხვილი თოკით ჩაეშვნენ ვითომდა ჯოჯოხეთში. სცენის ქვეშ გრიალი გაჰქონდა ქვებს თუნუქზე, ზევიდან გამყივანი ხმით ჩხაოდა ყვავი.

შემდეგ ღიპიანმა ხუცესმა აღსარება ათქმევინა გლეხის სელელ დედაკაცს, გამოსტყუა ორი ქათამი, თორმეტი შულო მატყლი. კოდი ხორბალი და მხოლოდ მაშინ შეუნდო ცოდვები, როცა ქალმა მსუქანი ბატი მიართვა.

ფარდა კვლავ გადაწიეს. გრძელწვერა კასტილიელი გლეხი წაეკიდა ცოლს იმ ზეთისხილის ნაყოფის საფასურზე, რომლის ნერგის დარგვას ის-ის იყო აპირებდა.

— ვაშა! — ახმაურდნენ მაყურებლები.

— ვაშა!

— ვაშა!

გლეხმა თავი დაუკრა ხალხს, ჩამოიხსნა გრძელი წვერი. ყველამ

---

[1] კ უ ა რ ტ ო — ესპანური ფული, უდრის 1/4 რეალს, დაახლოებით 3 კაპ.

დაინახა მსახიობის შავგვრემანი ჭარმაგი სახე და შიშველი ნიკაპი. იცნეს, ყიჟინა ატეხეს:

— ეს ხომ ლოპეა! ვაშა, ლოპე, ვაშა!

ნიგოზი, ყვავილები, ფორთოხლები ესროლეს მსახიობს.

ხალხი ტაშს უკრავდა და ხმაურობდა:

— ლოპე დე რუედა!

— ეს ხომ ლოპეა, სევილიელი ოქრომჭედელი!

— ვაშა, ლოპე, ვაშა!

ორი დღე არ მოსცილებია მიგელი ბაზრის მოედანს. მესამე დღეს კი გაბედა და მიადგა მსახიობთა ბინას.

გზადაგზა სულ უკან იყურებოდა სიფრთხილით: სადმე მამას არ გადავეყაროო.

რამდენს ცოდვილობს მამა, რომ მიგელი უნივერსიტეტში შევიდეს. როგორ უთხრას მამას, სრულიადაც არ მსურს უნივერსიტეტიო. არ უნდა არც ბერად, არც სწავლულად გახდომა. არ სურს გამტვერილი წიგნები, ქალდური ენა, მკვდარი მეცნიერებანი; არა, უმჯობესია სახლიდან გაქცევა ბოშებთან, მოხეტიალე მსახიობებთან, მეჯორეებთან ტანტალი, ნახევარკუნძულის ყველა ქალაქის, ყველა პროვინციის დავლა.

იქნებ დიდ რინალდოსავით[1] ოდესმე ისიც გახდეს ყაჩაღი რაინდი, ჩასაფრდება მაშინ მიუდგომელ ციხე-დარბაზში, მარჯვე ბიჭებთან ერთად გამოვა შარაგზაზე, გაძარცვავს მდიდარ ვაჭრებს.

ანდა, იქნებ, ამადისივით[2] გახდეს ყარიბი რაინდი, არნახული ფათერაკების შესახვედრად გაემართოს უცხო ქვეყნებში. მაგრამ მიიღებენ თუ არა მსახიობები?

„დავიყოლიებ, — ფიქრობდა მიგელი, როცა საყდრისკენ მოუხვია, — შევთხზავ მათთვის ლექსებს, მოვაწყობ სცენას, დავუვლი მაყურებლებს. თუ საჭირო იქნება, თავდაყირაც ვივლი“.

მსახიობები უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად. ორი ხუმარა, ბენიტო და პაბლო, ფეხით სტენიდა ტომარაში დასის მორთულობას. მესამე ურმის კოფოზე აცოცებულიყო.

---

[1] რინალდო რინალდინი — მაშინდელი „ყაჩაღური“ რომანის გმირი.

[2] ამადის გალელი — XVI საუკ. ესპანური რაინდული რომანის „ამადის გალელის“ მთავარი გმირი. „ამადის გალელი“ ერთ-ერთი პოპულარული სარაინდო რომანია.

— შეიძლება თუ არა დონ ლოპეს ნახვა?

— რად გინდა?

— მინდა ვთხოვო, დასში მიმიღოს, — თამამად წარმოთქვა მიგელმა.

ბენიტომ გულდასმით აათვალიერა მიგელი და გაიღიმა.

— ჩემო ბატონო, ვიღაც ახალგაზრდა იდალგოა, რაღაც საქმე მაქვსო, — გასძახა ბენიტომ.

ლოპე დე რუედა კოცონთან იდგა. მობრუნდა და მიგელმა პირველად დაინახა ახლოს მისი პირისახე.

უგრიმოდ, უწვერებოდ უფრო მოხუცი და შავგვრემანი ჩანდა მსახიობი, წვრილ-წვრილი ნაოჭები გაწოლილიყვნენ თვალებიდან საფეთქლებამდე და სასაცილოდ იკრიბებოდნენ წარბებს შუა.

— ჩვენს დასში შემოსვლა გინდა? — სერიოზულად ჰკითხა მიგელს. — მერე რა უნდა გააკეთო?

— ყველაფერი, რაც საჭირო იქნება.

— კარგი, მაშ წამიკითხე რამე.

მიგელმა მრავალი ნაწყვეტი იცოდა ზეპირად ინტერმედიებიდან. შაგრამ ახლა მღელვარება ყელში მოებჯინა, ვეღარაფერი მოიგონა. დუმდა, დაბნეულად შეჰყურებდა ლოპეს.

— მუნჯების როლისთვის ავიყვანოთ! — გაუხარდა ბენიტოს.

— აბა, რა იცი? ხელებით სიარული შეგიძლია? — მხიარულად შეეკითხა პაბლო და ბორბალივით დაბზრიალდა მიწაზე.

— ლექსების წერა ვიცი, — დარცხვენით ჩაილაპარაკა მიგელმა.

— რაო, ლექსების? — გამოცოცხლდა ლოპე. — მაშ წაგვიკითხე. ეს საუცხოოა!

მიგელმა წაიკითხა. ლოპე ჩაფიქრდა.

— ვერასოდეს მოვახერხე რითმისა და ზომის ასე დაწყობილად ყრა, — წარმოთქვა მან. — რომ გისწავლია, აშკარაა. ეს ჩვენ გვჭირდება. შეიძლება მშვენივრად გავითამაშოთ მწყემსებს შორის სცენის სახით...

— შენი მიღება შეიძლება, — დუმილის შემდეგ წარმოთქვა მან. — მხოლოდ ფურგონში ადგილი არა გვაქვს. რა გქვია?

— მიგელ დე სერვანტესი, შვილი როდრიგო სერვანტესისა.

— მაშ ასე, მიგელ, ჩვენთან დარჩები. მაგრამ ფეხით ხომ ვერ წამოხვალ. რაზე უნდა შეჯდე?

— ვირზე! — ჩაიფრუტუნა პაბლომ.

— ჯორზე!

— მამალზე!

— ცხენს ვიშოვი! — უთხრა მიგელმა ლოპეს.

— ოჰო! — გაუხარდა ბენიტოს, — გესმის, პაბლო, ეს ხომ ნამდვილი აზნაურია, კაბალერო![1]

— ასეთი აზნაურები ჩვენთან, მალაგაში, ღორებს მწყემსავენ და თხებს დასდევენ უკან.

— ჩვენთან, სევილიაში კი თივაზე სძინავთ, მათხოვრებს პურის ქერქს ჰპარავენ!

— ასეთი ამალით პირველ სოფელშივე მარგილზე წამოგვაგებენ გლეხები!

— იმდენს ვერას ავკრებთ, რომ მემუსიკეებს ღვინის საფასური მივცეთ!

— პაბლო, ჩავაცვათ ნამდვილი აბჯარი, მუზარადი და ჯავშანი!

— ამ წუთას ვიშოვნი!

ბენიტომ დაუწყო ქექვა ფურგონში თეატრის ფალას-ფულასებს. მიგელმა არ იცოდა, სად გაპარულიყო, მზად იყო ეტირა.

— აბა, სულელებო, თავი გაანებეთ მაგას! — გაუწოდა ხელი ლოპემ. — მიგელ, გახსოვდეს: თუ ჩვენთან წამოსვლა გსურს, ყველაფერს უნდა შეეჩვიო. იცოდე, მოხეტიალე მსახიობს ხშირად მოუხდება ყინვაში ყოფნა უმოსასხამოდ, თივაზე ძილი. ცხენის თექალთოზე სადილობა. დრაჰმობით გამოუზომავენ ღვინოს, პურს — უნციობით, შიმშილს — ფანეგობით.[2] ხვალ დილის ექვს საათზე გავემგზავრებით. იფიქრე კიდევ და თუ გადაწყვეტ, მზის ამოსვლისას გვიპოვნი სამხრეთის ჭიშკართან, ტოლედოს გზის მეორე მოსახვევში.

— კარგი, დონ ლოპე!

— ახლა კი წადი, შენს საქმეს მიხედე. ჩვენც ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

---

[1] კ ა ბ ა ლ ე რ ო — მხედარი მეომარი, რაინდი, შეძლებული აზნაური, წარჩინებული.

[2] დ რ ა ჰ მ ა — ბერძნული ფულის მცირე ერთეული; უ ნ ც ი ა — რვა მისხალი, საფუთიაქო წონის ერთეული; ფ ა ნ ე გ ა — 55,5 ლიტრი.

მიგელს წუთითაც არ შეუცვლია აზრი. ჩაწვა ლოგინში ერთი ფიქრით: არ გამოჰპარვოდა განთიადი.

— მამაჩემს როგორ გავუმხილო? — ფიქრობდა ის. დიდხანს ტრიალებდა ლოგინში. თვალი არ მოუხუჭავს. — საბრალო მამა, რა გაეწყობა. უთქმელად უნდა წავიდე!

ლოგინის თავზე თეთრად შელესილ კედელს მზემ უკვე სტყორცნა ოქროსფერი სხივი, როცა მიგელმა გაიღვიძა. წამოხტა. ფაციფუცით ჩაიცვა. ჩუმად გავიდა საჯინიბოში.

მამის კვიცი პარდო თითქოს მიხვდა და ფართო, წყლიანი თვალებით მიაჩერდა მას.

მიგელმა ფრთხილად გამოაპარა ცხენი. კრთებოდა ფილაქანზე ცხენის ფეხთა ბაკუნის დროს. უბელოდ გამოიყვანა პარდო. სასწრაფოდ შეკაზმა, მოახტა და უკანმოუხედავად გაქუსლა კაპუცინების ჭიშკრისკენ. შემდეგ დაადგა ტოლედოს გზას...

სწორედ ერთი საათის შემდეგ წამოდგა მოხუცი როდრიგო სერვანტესი.

ამ დილით დიდხანს იცვამდა გაცვეთილ კამზოლს, ისწორებდა ხშირი რეცხვისგან გამოხუნებულ ნაოჭებიან საყელოს. მსხვილი ასოებით დაწვრილებითა და ენამზეობით წერდა თხოვნას, რომ მიერთმია რექტორ მამა ონოფრიოსათვის.

მიგელი არც კი მოუკითხავს. ცხრა საათზე ძველი მოსასხამი მოიხურა და დარბაისლური ნაბიჯით გაემართა უნივერსიტეტისკენ.

უსიცოცხლო, ძველ ქალაქ ალკალაში ყველა იცნობდა ღატაკ იდალგოს როდრიგო დე სერვანტეს საავედრას მაღალ, ოდნავ მოხრილ ფიგურას. ყოველდღე, შუადღისას, გულდასმით გასუფთავებული გამოხუნებული მოსასხამით, ძველებური შავი ქუდით, ხელში კრიალოსნითა და წელზე დაშნით, ნელინელ ჩაივლიდა ის ქალაქის მთავარ ქუჩაზე, კალე მაიორზე. თავდაჭერილად, მედიდურად მოიკითხავდა ნაცნობებს, ხანდახან შეჩერდებოდა ცერემონიული მისალმებისთვის. ჩეროში სეირნობდა ორ საათამდე.

თუ სახლში სადილი ჰქონდათ, სრულ ორ საათზე ბრუნდებოდა შინ დასანაყრებლად. თუ სადილი არ იყო, ცარიელი კუჭით გაემართებოდა თავისი მცირერიცხოვანი ავადმყოფების ჩამოსავლელად

როდრიგო სერვანტესი ღარიბი და ამაყი იყო. იმგვარადვე ღარიბი და ზვიადი, როგორც ალკალის სხვა ღატაკი იდალგოები. მაგრამ დონ როდრიგო როდი თაკილობდა სამუშაოს — მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა სარჩენი.

მისი ცოლი დონა ლეონორა და ქალიშვილები ანდრეა და ლუიზა, მთელი დღეობით მუშაობდნენ სახლსა და ბოსტანში. რეცხდნენ, კერავდნენ, უვლიდნენ კომბოსტოსა და ბოლოკს, თოხნიდნენ კვლებს.

მაგრამ გარეთ გამოსვლისას, დონა ლეონორა პირბადეს ჩამოიფარებდა — იდალგოს ცოლს არ შეჰფეროდა უბრალო გლეხი ქალივით მზეზე გალანჯვა.

როცა დონ როდრიგო მოახერხებდა რომელიმე ავადმყოფის მორჩენას, მის ოჯახს ჰქონდა სალპიკონი.[1] უფრო ხშირად კი ისინი უხორცო წვენსა და ხმელა პურს შეექცეოდნენ.

და მაინც, საღამოობით სეირნობისას, დონ როდრიგო ოქროსტარიანი საწმენდით იჩიჩქნიდა კბილებს, თითქოს ნოყიერი სადილი მიურთმევიაო, და ნელინელ (იდალგოს არ შეჰფერის აჩქარება!) მოედანზე გავლისას, ალერსიანად, მედიდურად აძლევდა სალამს მეგობრებს...

დღეს მოხუცი იდალგო განსაკუთრებით სერიოზული იყო. მიდიოდა ჩაფიქრებული. თითქმის ვერც ამჩნევდა ნაცნობებს.

უფროსი შვილი როდრიგო ფლანდრიაში გაემგზავრა მისი უდიდებულესობის ჯარებში საბრძოლველად. უმცროსი მიგელი მასთან უნდა დარჩეს — ალკალაში. მიგელს წიგნები და პოეზია უყვარს.

სენიორი ლოპეც დე ოიოსი, მისი პირველი მასწავლებელი, მუდამ იმეორებდა, მიგელს არაჩვეულებრივი უნარი და ნიჭი აქვსო. სწავლული იქნება და სახელს გაითქვამს ალკალაში, გახდება მეცნიერი, გამოჩენილი ღვთისმეტყველი ანდა ლექსების მწერალიო.

ალკალის ცნობილი უნივერსიტეტის სასტუმროში სიცარიელე იყო. მოჩუქურთმებულ თეთრ კედლებზე ეკიდა წარჩინებულ სტუდენტთა სურათები. ნახევრადღია კარებში მოჩანდა გრძელი დერეფნის მრუმე იატაკი. იქაც ისეთივე დუმილი სუფევდა, რო-

---

[1] სალპიკონი — ძროხის ხორცი ცივად, ძმრით, პილპილით, ხახვით და მარილით შეკმაზული.

გორიც სასტუმროში: კვირაძალი იდგა, მეცადინეობა შეეწყვიტათ, შვიდი ათასი სტუდენტი ქუჩებში დაეხეტებოდა.

გაისმა რბილი ნაბიჯების ხმა. სასტუმროში შემოვიდა ხანში შესული მსუქანი ლამაზი კაცი, მდიდრულს სამოსში გამოპრანჭული.

— უწმიდესო მამაო, — წინ წადგა ნაბიჯი როდრიგომ, — ვბედავ წარვუდგე თქვენს მოწყალებას თხოვნით ჩემი შვილის, მიგელ დე სერვანტესის შესახებ...

რექტორმა შემწყალებლად დახარა თავი.

— ...სიყრმიდანვე ჩემი შვილი უდიდეს მისწრაფებას იჩენს მეცნიერებისადმი. სწავლობს ეკლესიის მამათა და ლათინთა პოეტების ქმნილებებს და თვითონ თხზავს ეკლოგებსა[1] და პოემებს. მაგრამ ჩემი გაჭირვებული მდგომარეობის გამო საშუალება არა მაქვს გადავიხადო საფასური თქვენი უწმინდესობისადმი რწმუნებულ უკეთილმსახურეს უნივერსიტეტის კედლებში მისი ყოფნისთვის...

რექტორის სახეზე თავაზიანი მოწყენილობა გამოიხატა.

— ...გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი წინაპრების — საავედრას თავდადებული გმირობა და დაუფასებელი სამსახური. რომელიც გაუწიეს მათ სამშობლოს ურწმუნოთა განდევნისა და ვრენადის, სევილიისა და ლოქის დაცვისას...

მან გაუწოდა რექტორს ქაღალდი.

მამა ონოფრიო, ცხადია, არ უსმენდა.

— ეს რა ქაღალდია? — შეაწყვეტინა მან. — ვისგანაა:

— მე თვითონ, თქვენო უწმიდესობავ, — დაიბნა დონ როდრიგო, — თვითონ ჩამოვწერე უმთავრესი დამსახურებანი და მიზეზები, რაიცა...

რექტორმა ალმაცერად ჩაათვალიერა პირველი სტრიქონები. შემდეგ გადახედა დონ როდრიგოს, რომელიც მოლად მოიბუზა. მას მოეჩვენა, თითქოს რექტორი ხედავდა მის მოსასხამზე თვითეულ დაკერებულ ნაჭერს, გახუნებულ ძაფებს კამზოლზე, მოწითალო ლაქებს ქუდზე, რომელიც ძლივს ეპყრა აცახცახებულ ხელებში.

---

[1] ეკლოგა — მწყემსური და სოფლური ყოფა-ცხოვრების მშვენიერების ამსახველი იდილიური ლექსი. ეს სახელწოდება შემოიღო რომაელმა პოეტმა ვერგილიუსმა (სრული სახელი — პუბლიუს ვერგილიუს მარონი, ცხოვრობდა 70—19 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდის) თავის მწყემსურ ლექსებში.

— ძვირფასო სენიორ, — თავაზიანად წარმოთქვა რექტორმა. — ჩვენი სამშობლო და წმიდა ეკლესია, რომლებიც მფარველობენ ყოველგვარ მეცნიერებას, მოხარული იქნებოდნენ დაეფასებინათ თქვენი ღირსეული წინაპრების დამსახურებანი და მიეღოთ მისი ნაშიერი თავის ფრთათა ქვეშ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტი ღარიბია! — რექტორმა გაშალა ფაფუკი ხელები და განაგრძო: — დიახ, ჩვენი სახელგანთქმული უნივერსიტეტი ღარიბია. მის კედლებს არ ძალუძთ შეივრდომონ შთამომავალნი ყველა ესპანელი მხედრისა, ურწმუნოებთან ბრძოლაში თვით ყველაზე რჩეულებისაც კი. ეცადეთ და შეურჩიეთ თქვენს შვილს სხვა გზა-კვალი, რომელიც უფრო ეკადრება თქვენს სიამაყეს და რომელიც უფრო შეჰფერის... — რექტორის ხმაში გაისმა დამცინავი კილო, — უფრო შეჰფერის თქვენს ქონებასა და შემოსავალს...

— გამდიდრებულ ვაჭართა შვილები, — გაბრაზებით წარმოთქვა დონ როდრიგომ და შეახვია დაჭმუჭვნილი ქაღალდი, — პოულობენ ადგილს უნივერსიტეტში. მეგონა, საავედრას შთამომავლებისთვის...

მაგრამ მამა ონოფრიო საუბრის დამთავრების ნიშნად უკვე აკანტურებდა თავს. მსახურმა გაუღო კარი დონ როდრიგოს.

გონებადაფანტული გამოვიდა როდრიგო წყვდიადით მოცული ვესტიბიულიდან მზის სინათლეზე, თვალისმომჭრელად რომ ელვარებდა ქუჩაში. მაგრამ აქ წელში გასწორდა და ჩვეულებრივი, ნელი, ღირსებით აღსავსე ნაბიჯით გაბრუნდა შინისკენ.

ქუჩის კუთხეში, თავისი სახლის წინ, ჯერ კიდევ შორიდანვე შეამჩნია უცნობი მხედარი.

დონა ლეონორამ ფანჯრიდან დაანახა დიდი დაბეჭდილი კონვერტი.

— წერილი! — ყვიროდა იგი. — საგანგებო წერილი სალამანკიდან![1]

დონ როდრიგომ ჩამოართვა წერილი და შინ შევიდა. დონა ლეონორა შეშფოთებული შეჰყურებდა, სანამ დონ როდრიგო კითხულობდა.

წაიკითხა, მაღლა აიხედა, მხიარულად წარმოთქვა:

— კარგი ამბები, მოულოდნელი ამბები! სენიორი ლოპეც დე ოიოსი, მიგელის ყოფილი მასწავლებელი, მიწვეულია სასახლეში

---

[1] სალამანკა — ესპანეთის ქალაქი უძველესი უნივერსიტეტით.

და სალამანკიდან მადრიდს გადადის. მან გაიხსენა ჩემი შვილი და თავისთან მოუწოდებს.

დონ როდრიგო წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ან ზღვა, ან ეკლესია, ან მეფის სასახლე! — მღელვარებით წამოიძახა და შეჩერდა ცოლის წინ.—ჩვენი ძველი კასტილიური ანდაზის მიხედვით ასე უნდა აირჩიოს თავისი ბედი ყოველი კეთილშობილი ოჯახის ჭაბუკმა. ზღვა — ეს მოგზაურობაა, ხიფათი, ბრძოლები. ის აირჩია ჩვენმა როდრიგომ. ახლა ეკლესია მხოლოდ გავლენიან და შეძლებულთა შვილების ხელმისაწვდომი ხდება. ამ ბარათთან ერთად თვით ბედი უგზავნის ჩვენს შვილს მესამე გზის შესაძლებლობას. სადაა მიგელი? დაუძახეთ მიგელს!

— რაღაც არა ჩანს დილას აქეთ, — შეშფოთებით წარმოთქვა დედამ. — ლუიზა და ანდრეა კარგა ხანია დაეძებენ მას.

— მიგელი არსადაა! — შემოვარდა ოთახში ლუიზა. — დავირბინე ყველა ქუჩა, მოედანი. დავკითხე ამხანაგები. დღეს არავის დაუნახავს იგი.

— პარდოც არსადაა! — შემოიჭრა წუთის შემდეგ გრუზათმიანი და მომღიმარე ანდრეა. — ჩანს, მიგელმა ჯერ კიდევ ღამითვე მოუსვა ქალაქიდან, ვინ იცის, საითკენ!

— ყოვლად წმიდაო ქალწულო! იგი გაიქცა ჩვენგან! — ხელებით დაიფარა სახე დონა ლეონორამ.

— უფალო, რაღა ვქნა? რა ვუპასუხო სენიორ ოიოსს? — წარმოთქვა დონ როდრიგომ და გონებადაფანტული ჩაიკეცა სელზე.

რ ო ლ ა ნ დ ი

რიტორიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი სენიორ ხუან ლოპეც დე ოიოსი ვერ იტანდა მოგზაურობას. გზაში სენიორის ძვირფასი ხელნაწერები არეულ-დარეული ეყარა ეტლში. ჯორებს ფონში გასვლისას იოლად შეეძლოთ დაესველებინათ ლათინური და ბერძნული წიგნებით სავსე ყუთები, ხოლო ეს ქურდი ხოზე, მისი მსახური, ყოველ სოფელში მზად იყო ვერცხლის საკინძურებიანი სახარების იშვიათი გამოცემა გადაეცვალა თბის ყველის ნაჭერზე. ორ კვირას, ყოველ ფუნდუკში ხანგრძლივი სვენებ-სვენებით, მოგზაურობდა დონ ლოპეცი სალამანკიდან მადრიდამდე!

პაწაწინა სოფელ კაბრეროსში უკვე სამი დღე იჯდა. სასტუმროს პატრონი პასტორალური პოეზიის[1] მცოდნე აღმოჩნდა. დონ ლოპეცი საღამოობით უკითხავდა იტალიელი პოეტების თხზულებებს. მხოლოდ მესამე დღის ბოლოს მოაგონდა, წასვლის დრო რომ იყო და უბრძანა ხოზეს ბარგის ჩალაგება.

მზის ჩასვლისას ჭიშკარ'ში შემოგოგდა პატარა დახურული ფურგონი. უკან მოჰყვებოდა შავ კვიცზე გადამჯდარი ჭაბუკი.

სასტუმროს პატრონის ცოლი, ქალიშვილები და ყველა მოსამსახურე, თითქოს ქარმა გადაფანტაო, დაეშვნენ ძირს, ეზოში, მოსულთა სამზერად.

— ეს ლოპე დე რუედა მოსულა თავისი მსახიობებით, — აუხსნა დონ ლოპეცს სასტუმროს პატრონმა, — ყოველთვის ჩემთან ჩერდება.

გვიან საღამომდის ესმოდა ოიოსს ქვემოდან შეძახილები და ხარხარი. მსახიობებმა, სახელდახელო ვახშმობის შემდეგ, იქვე — ეზოში, სასწრაფოდ მოაწყეს წარმოდგენა, მადლობას უხდიდნენ სასტუმროს პატრონს მასპინძლობისთვის.

მოხუცმა ვერ მოითმინა. ძირს ჩავიდა.

წარმოდგენა უკვე დამთავრებულიყო.

კმაყოფილი მაყურებლები მსახიობებს ნუშსა და ნიგოზს თავაზობდნენ. ერთი მსახიობი, ყმაწვილი, თითქმის ბავშვი, ხელში ქუდით დადიოდა მწკრივებში.

დონ ლოპეცმა უკვე დააპირა წასვლა, მაგრამ უცბად გაქვავდა და მიაჩერდა იმ ყმაწვილს.

— მძინავს, თუ შევიშალე? — თითქმის ხმამაღლა წამოიძახა. მოიფშვნიტა თვალები. მიმოიხედა, დაინერწყვა თითის წვერები, კვლავ მოიფშვნიტა თვალები.

— ის არის! ისეთივე უკანგადაფენილი თმა, კეხიანი ცხვირი, მოელვარე წაბლისფერი თვალები!

მაგრამ როგორ მოხვდა მოხეტიალე კომედიანტებთან მიგელი, მისი ყოფილი მოწაფე, მისი მეგობრის — დასტაჭარ სერვანტესის შვილი? იქნებ გზებზე ყანყალის დროს ჭკუა დამებნაო, — შეშფოთებით გაიფიქრა მოხუცმა.

---

[1] პ ა ს ტ ო რ ა ლ ი — შუა საუკუნეების პოეტური ნაწარმოები, რომლის შინაარსი შეიცავდა რაინდისა და მწყემსი ქალის სიყვარულს.

ავიდა ზევით. ის იყო კარი დახურა, რომ დაუკაკუნა მსახურმა ხოზემ.

— წერილია თქვენთან, ბატონო, ალკალიდან, — თქვა ხოზემ.— ჯერ სალამანკაში გაუგზავნიათ. საგანგებო კაცი დაგვეწია, ჭიშკართან გადმომცა.

დონ ლოპეცმა გახსნა წერილი, წაიკითხა და ხელი გადაისვა თხელ ჭაღარა თმაზე, რომელიც მსუბუქ ბუსუსებად გარშემორტყმოდა ვარდისფერ მელოტ კინკრიხოს.

— ცუდი ამბავი ხომ არ არის, სენიორ? — შეეკითხა ხოზე.

— არა, პირიქით, — მოულოდნელად უპასუხა ლოპეცმა. — ისეთი ამბავია, რომ მე, მოხუცი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სავსებით არა ვარ გამოთაყვანებული. გახსენი ბარგი, ხოზე, დღეს აღარ მივდივართ...

...ლოპეცი ხანგრძლივად და მაცდურად ეჩურჩულებოდა სასტუმროს პატრონს. რაღაც განკარგულება მისცა ხოზეს. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ ჩავიდა ძირს. ეზო უკვე ცარიელი იყო. ის ყმაწვილი მარტო იდგა ჭიშკართან და გაჰყურებდა ქუჩას.

— მიგელ! — წყნარად დაუძახა ლოპეცმა.

ყმაწვილი სწრაფად შემოტრიალდა. გაკვირვებით მიაშტერდა მოხუცს.

— როგორც ვხედავ, მე უფრო მალე გიცანი, ვიდრე შენ! — ჩაიცინა ლოპეცმა და მიუახლოვდა.

— ეს თქვენა ხართ, დონ ლოპეც? — წამოიძახა მიგელმა და მასწავლებელს გადაეხვია. — როგორ მოხვდით აქ?

— სწორედ შენთვის უნდა მეკითხა ეს, ჩემო მეგობარო!

მიგელი გაწითლდა.

— წამოდი ჩემთან, მიგელ, უნდა მოგელაპარაკო, — სერიოზულად უთხრა მოხუცმა.

— არ ვიცი, რის შესახებ და... არაა საჭირო, დონ ლოპეც... — აირია მიგელი, — ამათ მივყვები. დილით უნდა გავემგზავროთ.

— წამოდი, წამოდი, — დაუყვავა მოხუცმა და მკლავზე ხელი წაატანა, — შენი მოხუცი მასწავლებლისათვის შესძლებ რამდენიმე წუთის გამეტებას. დილამდე ჯერ დიდი დროა.

წყნარად გაატარა ყმაწვილი ეზოში, გამოართვა ლამპარი სას-

ტუმროს პატრონს, ხის კიბით აიყვანა მიგელი სადღაც ზემოთ, მეორე სართულზე, შემდეგ უფრო მაღლა.

— სად მიგყევართ? — შეშინდა მიგელი. — ნუთუ სხვენზე მოგცეს ბინა?

დონ ლოპეცმა არა უპასუხა რა და შეიყვანა ფიცრებით ამოჭედილ მომცროსარკმლიან ვიწრო ოთახში, ზედ სახურავის ქვეშ.

მიგელმა გაკვირვებით შეათვალიერა მატყლის ლეიბებით გაწყობილი მოჩუქურთმებული ფართო ტახტი, უხერხულად ჩამოჯდა.

— ასე, — მოწონებით დააქნია თავი დონ ლოპეცმა, — ახლა კი აი რას ვიზამთ...

მივიდა კარებთან, გაუყარა საკეტი, ჩაკეტა კლიტით, გასაღები უბეში ჩაიდო.

— თავს ხომ არ დამესხმები შენს მასწავლებელს?

ლოპეცი კარაპინთან დადგა, მაგრად მიაწვა კარებს ზურგით.

მიგელი მივარდა სარკმელს, შეანჯღრია სერსერო.

— გამიშვით, გამიშვით! — საშინლად დაიყვირა მან.

— იყვირე, ანჯღრიე, რამდენიც გენებოს, ველარაფერი გიშველის! კარებიდან ვერ გახვალ: ამისათვის ხელით უნდა შემეხო. ამას კი ვერ ჩაიდენ. ფანჯრიდან კი ვერავინ გაგიგონებს... ვერავინ! — გაიმეორა მოხუცმა მღელვარედ და მიუახლოვდა მიგელს. — აქ ყველა გაფრთხილებულია, შენი მსახიობები შორს, საბძელში მოაწყვეს, ყველა მსახური ყრუ იქნება ამაღამ... სასტუმროს პატრონი საკუთარ შვილსაც კი დაჰკლავს ჩემთვის მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ სასახლეში მივდივარ. იყვირე, თავი იტეხე, რამდენიც გსურს. არავინ გაგიგონებს.

— ეს ხომ გაბრიყვებაა, ხაფანგია! — განწირული ხმით ყვიროდა მიგელი.

უმწეოდ დაემხო ლოგინზე.

— ახალგაზრდა ხარ და რეგვენი, მიგელ, ამიტომ ასე უნდა მოგეპყრათ. დაჯექ საწოლზე, მოვილაპარაკოთ. აი ასე!

ლოპეცმა ამოიოხრა და გვერდით მიუჯდა მიგელს.

— ჯერ ნორჩი ხარ, მიგელ, და ფიქრობ, ყველაფერი ვიციო. მაგრამ არაფერიც არ გაგეგება. გგონია, მოხეტიალე მსახიობებისგან უფრო მეტს ისწავლი, ვიდრე წიგნებიდან?

— გამიშვით აქედან, — ყრუდ წარმოთქვა მიგელმა.

— ხვალ საღამოს.

— ხვალ საღამოს გვიან იქნება, ისინი შორს წავლენ.

— რაც უფრო შორს წავლენ, მით უკეთესი: უფრო მალე დამშვიდდები. იცი თუ არა, საითკენ გაემგზავრებიან ისინი?

— არ ვიცი... არაფერი უთქვამთ! — დაიკვნესა მიგელმა.

— ჩინებულია! — გაუხარდა მოხუცს. — ჩემთან წამოხვალ!

— გამიშვით, დონ ლოპეც!

— ყური მიგდე, მიგელიტო, მე ხომ სიკეთე მინდა შენთვის. მართალი მითხარი, კარგად გრძნობდი თავს მსახიობებთან?

— ძალიან კარგად! — ხალისიანად მიუგო მიგელმა, — მთელი დღეები დავდიოდით და ღამეს ღია ცის ქვეშ, მინდვრებში, ანდა გლეხების საბძლებსა და ბაკებში ვათევდით. ვთამაშობდით... ყველგან კარგად გვხვდებოდნენ, ხოლო თუ მასპინძელი ძუნწი იყო და ცუდად გვიხდიდა წარმოდგენის საფასურს, ბენიტო დღისით დაიგულებდა, სად ეკიდა ძეხვი და ღვინით სავსე ტიკები, ღამით კი მიეპარებოდა და მთელ-მთელი ლორები მოჰქონდა...

— ოი, მონსერატის ყოვლად წმიდაო ქალწულო, შეგვიწყალენ ჩვენ, — თავში იტაცა ხელი ლოპეცმა, — ეს რომ მამაშენს სცოდნოდა! გადაწყვიტე ახლავე, მიგელ, სად წახვალ: შინ, ალკალაში თუ ჩემთან, მადრიდში?

— გამიშვით აქედან, დონ ლოპეც!

— ხვალ საღამოს, მიგელიტო!

— ჩემი კვიცი? სადაა ჩემი პარდო? — მოაგონდა მიგელს და აწრიალდა. — ბენიტო წამართმევს, შურდა მუდამ...

— ცხენი საიმედო ადგილზეა, — მზაკვრულად გაიღიმა დონ ლოპეცმა, — როგორც კი დაბნელდა, ჩემმა ხოზემ ჩუმად წაიყვანა მეზობელ ეზოში. მარჯვედ მოახერხა. ის გაიძვერა კიდევ უარყოფს, ახალგაზრდობისას ცხენის ქურდი რომ იყო სევილიაში.

მიგელი არ უსმენდა. ისევ მიწვა ლოგინზე.

— აი ასე სჯობს! — წარმოთქვა ლოპეცმა, გამოსწია საწოლის ქვეშიდან საგზაო ზანდუკი, გააღო და ამოიღო მიხაკისფერყდიანი სქელი წიგნი.

— მიგელ, ჯერ კიდევ არ დაგვიწყებია იტალიური ენის გაკვეთილები? აბა მომისმინე! — უთხრა დონ ლოპეცმა.

განსაკუთრებული რიტმული კილოთი, ხელის ოსტატური აქნევით დონ ლოპეცმა წარმოთქვა პირველი სტროფი:

უცხო გმირები გსურს მოგაგონდეს,
თვალწინ დაგიდგეს რჩეულ თავებით?
მათ წინაპართა ხსოვნა შემოსეს
შარავანდედით და უკვდავებით.

მიგელი გაილუსა. ეს იყო როლანდი, დიდი როლანდი, შმაგი როლანდი, მოგზაური რაინდი.[1] ლოპეცმა განაგრძო:

ცისფერ ზვირთებში ნავი სრიალებს,
მესაჭემ აფრა ასწია მარჯვედ.
მოჩანს ზელანდი. ჰაკლი ციალებს.
ნავი მესამე დღეს თვით ჰოლანდეთს
მიადგა. როლანდ გადმოხტა მალე.

დონ ლოპეცი კითხულობდა: როლანდმა გაათავისუფლა შოტლანდიელი გრაფი და გამოიხსნა ქალწული ოლიმპია. შეერკინა სარკინოზს[2] და თავი დააღწია ბრუნელის ვერაგობას. მშვენიერი ანჯელიკა დახეტიალობდა უდაბურ ადგილებში, მწარედ მოთქვამდა კეთილშობილი რაინდი:

სად ხარ, ძვირფასო? სად ათევ ღამეს?
უთვისტომოდ სად დაეხეტები?
თუ უროლანდოდ დაეცი სადმე,
შეიქენ კერძი მშიერი მგლების?

მიგელი გატაცებით უსმენდა. არც ერთს არ გაუგონია, თუ როგორ შეაბეს ეტლში ცხენები მსახიობებმა, როგორ ეძახდნენ მიგელს, შემდეგ, არ დაუცადეს და გავიდნენ ეზოდან. სარკმელში უკვე შეიპარა რიჟრაჟი, როცა დონ ლოპეცმა დაკეცა წიგნი.

— მეცხრე ქება. მგონი, გვეყოფა დღეს, მიგელ?

მიგელი წამოხტა.

---

[1] რ ო ლ ა ნ დ ი — იტალიის გამოჩენილი პოეტის ლ ო დ ო ვ ი კ ო ა რ ი ო ს ტ ო ს (1474 — 1533) პოემის „შმაგი როლანდის“ გმირი.

[2] ს ა რ კ ი ნ ო ზ ი — ბოგანო ტომთა ძველებური სახელწოდება არაბეთში. შემდეგ ამ სახელს უწოდებდნენ არაბებსა და მუსლიმანებს და ყველა არაქრისტიანს.

— როლანდი? დონ ლოპეც, როლანდმა რაღა ჰქნა კიდევ?

— როლანდი? — დონ ლოპეცმა კვლავ მოჰკიდა ხელი წიგნს:

ვერავინ იცნო. ღამის წყვდიადში,
გახსოვთ, ალმონტის ჩაჩქანს იფარებს,
ჰიშკართან მივა ის და სპასალარს, —
ვინც მაშინ უდგა გუშაგად კარებს, —
ეტყვის: „გრაფი ვარ!“ როგორც რაინდი
ის თავისუფლად დაქროდა მაშინ
და მტრის ბანაკში შეიჭრა ჯიქურ...
რაც მოხდა, ვიტყვი მეცხრე ქებაში.

დონ ლოპეცმა დახურა წიგნი და შეინახა ზანდუკში.

— აი ასე! ახლა შეგიძლია წახვიდე შენს მსახიობებთან!

მიგელი დუმდა.

— გამიგონე, — უთხრა მოხუცმა. — გუშინ მივიღე წერილი შამაშენისგან. დედაშენი ლოგინად ჩავარდნილა. ორივე ავად გამხდარა ჯავრით. მსახიობებს მაინც ვეღარ დაეწევი. წამოდი ჩემთან მადრიდში და აღმითქვი, რომ ჩემთან დარჩები სასწავლებლად ორ წელს. ორი წლის შემდეგ, სადაც გენებოს, წაბრძანდი. თანახმა ხარ?

მიგელი კვლავ დუმდა.

მადრიდში შეიძლება კვლავ შეხვდეს კაცი დე რუედასო, — გაიფიქრა მან.

— წამოხვალ თუ არა? — ჰკითხა დონ ლოპეცმა.

მიგელმა თავი ასწია.

მოხუცი გარინდებული უმზერდა, ჭაღარა ბუსუსებიც კი აღარ ერხეოდნენ მელოტ თავზე.

— კარგი, წამოვალ!

მ ა დ რ ი დ ი

— აქ ცუდი ამბებია, — საიდუმლოდ აცნობა მიგელმა დონ ლოპეცს ჩასვლის პირველსავე დღეს. — მეტად მღელვარე დროს ჩამოვედით. მეფე სასტიკად წაეჩხუბა მემკვიდრეს. ყველანი ახალ ამბებს მოელიან.

დონ ლოპეცი დაიღრიჯა, თავი გადააქნია.

— არეულობაა, — წარმოთქვა მან, — გაგონილა სასახლეში ასეთი რამ?

პირველ ხანებში არ მეცადინეობდნენ.

მიგელი მთელი დღე ქუჩაში დაეხეტებოდა.

მყუდრო ქალაქ ალკალაში კოხტა ფილაქნით მოფენილ ვიწრო ქუჩებში დახეტიალობდნენ თავქარიანი სტუდენტები, ნელინელ სეირნობდნენ დარდიმანდი იდალგოები, დარბაისელი ვაჭრები აუჩქარებლად აწყობდნენ საქონელს ფარდულთა ჩეროში.

აქ, მადრიდში, არნახული ორომტრიალი და ღრიანცელი იდგა მუდამ.

სასახლე რამდენიმე ხნის წინათ გადავიდა მადრიდში.

გამტვერილ, მოუკირწყლავ ქუჩებში მიხრიგინობდნენ ურმები, მიგოგმანობდნენ ვირები.

შემთხვევით მიმოფანტული დაბალი სოფლური სახლები თითქოს გაოცებით შეჰყურებდნენ ამ ალიაქოთს. ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდნენ ხმაურს. უმნიშვნელო დაბიდან, ნახევარსოფლიდან, მეფეთა შემთხვევითი სადგომიდან ნაჩქარევად აგებდნენ დედაქალაქს.

აქ, გვადალახარის კარიბჭესთან, ძველი მადრიდის სავაჭრო ადგილზე, თავს იყრიდნენ ყველა პროვინციიდან, ნახევარკუნძულის ყველა კუთხიდან. ეს ადგილი მუდამ სავსე იყო უქმად მოხეტიალე ხალხით. აქ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ პატიოსანი და კეთილშობილი ბასკონელები, გაიძვერა გალისიელები, დაძრწოდნენ სხვადასხვა ორდენის ბერები.

მამაჩემი მართალს ამბობს: ძნელია ამაზე უფრო მოხერხებული ადგილის ამორჩევა დედაქალაქისათვისო, — ფიქრობდა მიგელი.

მეფე ფილიპეს სურდა აღენიშნა თავისი მეფობა ახალი დედაქალაქის ამორჩევით. შეეძლო აერჩია ბარსელონა, სავაჭრო ქალაქი და მნიშვნელოვანი ნავსადგური, ანდა ტოლედო, კასტილიის სამრეწველო ცენტრი, მაუდის ფაბრიკათა და თოფ-იარაღის სახელოსნოთა ქალაქი, ანდა, ბოლოს, ალკალა, სწავლულებისა და უძველესი უნივერსიტეტის ქალაქი, მაგრამ მეფემ აირჩია მადრიდი — ნახევარკუნძულის გეოგრაფიული ცენტრი, მკვდარი სოფელი ტრიალ მინდვრებს შორის.

დაბალ სოფლურ ქოხებს შორის სასწრაფოდ ააგეს ახალი შენო-

ბები: სასახლე მეფისთვის, ტაძარი მღვდლებისთვის, საპატიმრო დამნაშავეთათვის.

ქალაქის სამი მეოთხედი დასახლებული იყო მეფის კარისკაცებით, სასახლის მსახურებით, შემთხვევით ჩამოსული ხალხით. ქალაქი ცხოვრობდა სასახლითა და სასახლის ჭორებით.

მეფე ფილიპე ულმობლად დევნიდა საკუთარ შვილს, ინფანტ[1] კარლოსს. ამბობდნენ, დონ კარლოსი გაბედულად გამოვიდა მამის წინააღმდეგ, არ იზიარებს მის დესპოტურ პოლიტიკასო. მემკვიდრე ლუთერის[2] საიდუმლო მიმდევარიაო, „ლუთერის ერესს"[3] კი ფილიპე არავის აპატიებდა. იგი კოცონითა და დევნა-წამებით ცდილობდა დაშლის გზაზე დამდგარი მონარქიის შენარჩუნებას.

მამამისი კარლოსი,[4] მეფე-დამპყრობელი, განუწყვეტელ მტაცებლურ ომებს აწარმოებდა, მარჯვედ იყენებდა ესპანელთა სამხედრო ნიჭს. ხმლის წვერით შემოხაზა ეს ვეებერთელა იმპერია, სადაც „მზე არასოდეს ჩადიოდა".

მთელი ესპანეთი, მილანი, სიცილია, ნეაპოლი, ნიდერლანდები შედიოდნენ ამ იმპერიაში და მასვე ეკუთვნოდა თვალუწვდენი სამფლობელოები ახალ ქვეყანაში.[5]

მხდალი ფილიპე აგებდა ომებს, სამაგიეროდ მამისაგან დაპყრობილ სამფლობელოებში ნერგავდა მძლავრ კათოლიკურ სარწმუნოებას.

იმ ამბების გახსენება, რაც სასახლეში ხდებოდა, სასტიკად იყო აკრძალული.

---

[1] ი ნ ფ ა ნ ტ ი — ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილი სამეფოების ტახტის მემკვიდრე, უფლისწული.

[2] მ ა რ ტ ი ნ ლ უ თ ე რ ი — XVI საუკ. გერმანელი რეფორმატორი (1483 — 1546). ილაშქრებდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. იყო შეუდარებელი აგიტატორი. როცა გერმანიაში დაიწყო გლეხთა დიდი ომი (1524 — 1525), იგი ჯერ თანაუგრძნობდა გლეხებს (თვითონ გლეხის შვილი იყო), შემდეგ მიემხრო თავადებს და მოუწოდებდა მეამბოხეთა გაჟლეტისაკენ.

[3] ე რ ე ს ი — მწვალებლობა, სარწმუნოებისაგან განდგომა.

[4] კ ა რ ლ ო ს V — მეფე ფილიპე II-ის მამა (1500 — 1558), ესპანეთისა და გერმანიის იმპერატორი, მეფე-დამპყრობელი. თავის სკიპტრის ქვეშ გააერთიანა თითქმის ნახევარი მსოფლიო. მისი მეფობა სავსე იყო გამანადგურებელი ომებით.

[5] ა ხ ა ლ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა — ამერიკა.

მაგრამ სასახლის შესახებ ხმები და ჭორები სახლიდან სახლში გადადიოდა მაინც, ნიავივით დაირხა ქალაქში და უნებურად აღწევდა მიგელის ყურამდისაც.

ჩურჩულებდნენ ქალაქში: მეფემ ჩაკეტა მემკვიდრე კარლოსი და არსად უშვებსო. მეფე ჯაშუშებს უგზავნის, მეგობრებს არ აკარებს და იჭერს წერილებს, რომლებსაც სასოწარკვეთილი კარლოსი უგზავნის უცხოელ მეფეებსო. პირდაპირ ვერ ბედავს განდგომილი შვილის მოკვლას, მაგრამ ყოველნაირად ცდილობს ჭკუიდან შეშალოს და თვითმკვლელობამდის მიიყვანოსო...

ახალგაზრდა იდალგოები დახეტიალობდნენ შუკებში მწვანე და შავი ხავერდის კამზოლებით, ფრთიანი ქუდებით მოკაზმულნი. ხანში შესულნი ხანგრძლივად იდგნენ კუთხეებში, შეხვედრისას ცერემონიულად ესალმებოდნენ ერთმანეთს: ფიცულობდნენ იესოს გულსა და ყოვლად წმიდა ქალწულის თვალებს. ყოველ წუთს, ყოველგვარი მიზეზის გამო თუ უმიზეზოდაც, ატრიალებდნენ წვეტიან დაშნებს, ოქროსტარიანი საჩიჩქნით იწმენდდნენ კბილებს, თუმცა ხმელა პურსა და წყალსაც დანატროდნენ იჯრაზე.

მიგელს დაანახეს წარჩინებული შთამომავლობის რამდენიმე აზნაური — დონ ფადრიკ ალვარესი, ჰერცოგ ალბას უფროსი შვილი, ლუის დე-ბაზანო, ანტონიო სიგურა, მარკიზ დე ივარის დისწული.

ანტონიო სიგურა, მეფის დამცველი რაზმის კაპიტანი, ტანკენარი კაბალერო, ყურთმაჯებიან ალისფერ როპილეში[1] მოკაზმული, მიწაზე მიათრევდა გრძელ ხმალს, დარონინებდა გოროზად და აინუნშიაც არ აგდებდა არავის. ერთხელ მიგელი როგორღაც პირისპირ შეეჯახა დე სიგურას ვიწრო შუკაში.

— უკაცრავად, სენიორ, — უკან დაიხია მიგელმა და გზა მისცა სიგურას.

დე სიგურას მადლობა არ გადაუხდია, წყნარად შეხედა უკანდახეულ მიგელს. მიგელმა კაპიტნის თვალებში ზიზღი ამოიკითხა.

უკვე მეოთხე თვე იყო, რაც მიგელი მადრიდში ცხოვრობდა, ჯერ არ ენახა მეფე.

ერთხელ დილაადრიანად გამოვიდა გარეთ და შორიდანვე

---

[1] რ ო პ ი ლ ე — ესპანური სამხედრო სამოსი.

დაინახა უცნაური პროცესია მოედანზე. ასე ეგონა, იქ მხოლოდ ბერები არიან, უამრავი ბერი თეთრი, შავი და მიხაკისფერი ანაფორებითო. როცა ხალხი მოახლოვდა, მიგელმა დაინახა შუაში ორი ცხენოსანი, მათ უკან კი დახურული ეტლი.

ერთ-ერთ ცხენოსანს კარგად იცნობდა მიგელი — ეს იყო დონ კარლოსი, ტახტის მემკვიდრე. ის ალკალაში სწავლობდა და მიგელს ბავშვობისას არა ერთხელ დაუნახავს იგი. ძლიერ გამხდარი, ფერმკრთალი, უხერხულად, წელში მოხრილი იჯდა უნაგირზე და აბნეული თვალებით იმზირებოდა განზე.

მის გვერდში მიმავალ მხედარს მიგელი პირველად ხედავდა. ის წელგამართული იჯდა, ვიწრო, შემართულ მხრებზე გადმოეშვა შავი უსამკაულო მოსასხამი. მაიმუნივით უმსგავსოდ წინ წამოჩრილი ნიკაპი დაებჯინა თეთრ საყელოზე. თვალები არ უჩანდა — ხავერდის ქუდი უფარავდა. მხოლოდ ფერმკრთალი, უსიცოცხლო ლოყები შენიშნა მიგელმა.

ცხენოსნები გაემართნენ ტაძრისკენ. კარებთან ორივე ჩამოხტა. ბერები შემოესივნენ. კარლოსი რაღაცას ედავებოდა უფროსს, ყოყმანობდა, შემდეგ უკან დაიხია, თითქოს წასვლა უნდოდა. მეორემ რაღაც წამოიძახა მრისხანედ, ხმლის ვადაზე გაივლო ხელი და მიუბრუნდა უფლისწულს.

ეს იყო თვითონ ფილიპე მეფე, ნახევარი ზღვა და ხმელეთის მპყრობელი.

ᲞᲠᲔᲡᲘᲝᲖᲐ

ანაობა იყო. მთელი მადრიდი ზეიმობდა (წმიდა ანა მადრიდის მფარველად და მოსარჩლედ ითვლებოდა). სადღესასწაულოდ იყო მორთული ქუჩები. მიგელი მარტოდმარტო დაეხეტებოდა მდინარის პირად. ათვალიერებდა მისთვის უცხო და უჩვეულო სანახაობას. ერთ მოედანზე ხალხის გროვამ მიიპყრო მისი ყურადღება. დაირისა და ტაშის ხმა ისმოდა. იქითკენ გაეშურა. მოედანზე ხალხს წრე გაეკეთებინა. წრეში სარაბანდას[1] ცეკვავდა თოთხმეტ-თხუთმეტი წლის

[1] სარაბანდა — პოპულარული ესპანური ცეკვა.

ბოშა გოგონა. გასაოცრად ხმაროობდა დაირას. ცეკვის, კასტანეტებისა და ტაშის ხმაურში ისმოდა ქება-დიდების შეძახილი. ცქრიალა გოგონას სიმღერამ ყველა მოხიბლა, განსაკუთრებით აღტაცებაში მოვიდა მიგელი. მოეწონა გოგონას თამამი გაშოხედვა, ბავშვური, მაგრამ ლერწამივით მოქნილი ტანი. დიდხანს უცქირა მის თავბრუდამხვევ ტრიალს, ისძინა გრძნეული სიმღერა, მერე კი დაუყვა გვალახარის ბჭეებისაკენ...

საღამომდე ხეტიალობდა. არ ასვენებდა ფიქრი დონ კარლოსზე. თვალწინ ედგა გოგონას მზით დამწვარი სახე, ჟუჟუნა თვალები.

სევდიანი, დაღლილი გაემართა შინ, რომ პირდაპირ გამოეკითხა დონ ლოპეცისთვის კარლოსის ამბები.

სახლთან შეჩერდა. ბაღის გალავანთან ხალხი შეკრებილიყო. მიგელი მიუახლოვდა. მასწავლებლის სახლის წინ, ყორესთან დაინახა ის გოგონა... მკერდზე დაფენილ გრუზა ნაწნავებში კაშკაშებდნენ ვერცხლის ფულები. დაირა გვერდზე მიეგდო. ბიჭებთან თამაშობდა. ამოეთხარათ პატარა ორმო, ჩაესოთ პალოები და აგორებდნენ ფულებს. ვინც პალოს მოახვედრებდა, მისი იყო მოგება. გოგონა ჩქარობდა. რაც ებადა — წაეგო. გაიხსნა სქელი ნაწნავები, გამოიგლიჯა ფულები და დაყარა მიწაზე. ბიჭები გაუჯავრდნენ. ერთმა დასტაცა ხელი ნაწნავებში. გოგონას ცრემლები სცვიოდა თვალთაგან, მაგრამ მაინც არ შეეპუა ბიჭს, მარჯვედ ჩასცხო მუჭი ფერდებში. მეორე ბიჭმა დრო იხელთა, ჩაბღუჯა ფულები და სურდა გაქცევა. მიგელმა შეაჩერა იგი.

— დაუბრუნე გოგოს ფული!

— არ მივცემ! ის ბოშაა, ქურდია! — დაიყვირა ბიჭმა.

— ცრუობ! კარგად დავინახე, ფული რომ წაართვი! — გაჯავრდა მიგელი. — ახლავე დაუბრუნე!

მოჩხუბარნი შეჩერდნენ. გოგონა გაოცებით უმზერდა მიგელს. ალბათ არ იყო ჩვეული გამოსარჩლებას, შემდეგ გონს მოვიდა და ბიჭებს ენა გამოუყო.

მივარდა ერთ ბიჭს და მოულოდნელად გადაუგრიხა მაჯა. ბიჭი დაიღრიჯა, ხელი გაშალა და ფული დაცვივდა ქვაფენილზე.

— ერიჰა! — მკვირცხლად წამოიძახა გოგონამ და შეუდგა ფულების აკრეფას. — აი როგორი ვარ!

ბავშვები ჩამოეცალნენ, მიგელის შეეშინდათ. გოგონა თამამად უმზერდა ვაჟს.

— მე გიცნობ, — პირველმა დაარღვია სიჩუმე, — შენ მიგელი ხარ... კაბალერო...

— საიდან იცი? — გაუკვირდა მიგელს. თან გაიფიქრა: დამცინის — „კაბალერო!“ მალე ალბათ გრანდს[1] დამარქმევსო, და თავის გახუნებულ კამზოლზე დაიხედა.

— ხშირად დავდივარ ამ ქუჩაზე, შენ იქიდან ხარ, — მიუთითა დონ ლოპეცის ბაღისკენ.

— რა გქვია, პატარა ცუგრუმელავ?

— პრესიოზა,[2] — თამამად მიუგო გოგონამ.

— სადაური ხარ, ჩემო ძვირფასო? — ღიმილით ეკითხებოდა მიგელი.

— თაბორიდან![3] — ღიმილითვე შეაჩერდა პრესიოზა.

— შორსაა თქვენი თაბორი?

— აქედან ექვსი მილია, ქალაქგარეთ.

— ბევრნი ხართ იქ? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა მიგელი.

— ბევრი, ძლიერ ბევრი. ცხრამეტი ოჯახი. მამას ხშირად წამოვყვები ხოლმე ქალაქში... იგი ახლაც უთუოდ მელოდება ბაზარში, მეშინია, არ გამიჯავრდეს. უნდა წავიდე, მეჩქარება.

გოგონამ ააყღერა დაირა და გაიქცა. მიგელი გაჰყურებდა მას.

— ჩამოდი ჩვენთან, — დაუკივლა პრესიოზამ, — ჩვენთან მხიარულებაა. მოდი გვნახე, მოისმინე ჩვენი სიმღერა, ნახე ჩვენი ცეკვა კოცონთან. ყვავილების გვირგვინს დავწნავთ, ფანდანგოს[4] ვიცეკვებ შენთან.

— გზას ვერ გამოვიგნებ! — დარცხვენით დაუძახა მიგელმა.

— მე თვითონ წაგიყვან, როცა დავბრუნდები, — შეჩერდა პრესიოზა. — აუცილებლად მოვალ ხვალ ან ზეგ, მშვიდობით!

დონ ლოპეცი იმ დილით დიდხანს იყო ჩაკეტილი ბიბლიოთეკაში თავის გავლენიან მეგობარ სალასართან. მიგელი ბაღში უცდი-

---

[1] გ რ ა ნ დ ე ბ ი — ესპანეთის არისტოკრატიის ყველაზე ძველი და უმაღლესი ფენა.

[2] Presiosa — ესპანურად ნიშნავს ძვირფასს, ტურფას, მარგალიტს.

[3] თ ა ბ ო რ ი — ბოშების ბანაკი.

[4] ფ ა ნ დ ა ნ გ ო — ესპანური ეროვნული ცეკვა.

და. მაგრამ სალასართან საუბრის შემდეგ დონ ლოპეცი როგორღაც დაღრეჯილი გამოვიდა გარეთ. დიდხანს უტრიალებდა გარშემო ყვავილნარს, შემდეგ მიგელის გვერდით მერხზე ჩამოჯდა...

— რა დრო დაგვიდგა! — გაიქნია თავი დონ ლოპეცმა და თეთრი, გამხდარი ხელები მწუხარებით დაიწყო მუხლებზე.

„რა მოხდაო“, — უნდოდა ეკითხა მიგელს. თავი შეიკავა: იცოდა, თუ არ იკითხავდა, მასწავლებელი თვითონვე უფრო მეტს მოუთხრობდა.

მაგრამ ამჟამად, როგორც ჩანდა, საქმე მართლაც სერიოზული და საიდუმლო უნდა ყოფილიყო, რადგან მოხუცი ვერ ისვენებდა მერხზე, სულ თავს აქნევდა.

აქედან მოჩანდა მეფის სასახლის თეთრი, დაღვრემილი შენობის ერთი კუთხე.

— ხედავ, მიგელ, — სტაცა ხელი მიგელს დონ ლოპეცმა, — ზევით, სახურავთან, ორ სარკმელს?

— დიახ, ვხედავ...

— ეს ტახტის მემკვიდრის კაბინეტია.

მეტი აღარაფერი უთქვამს დონ ლოპეცს.

მიგელი ოთახში შევიდა. ღრუბლიანი დღე იყო, საღამომდის შინ იჯდა. სანაძაროს[1] კითხულობდა. დონ ლოპეცის გაკვეთილების მეოხებით, თუმცა ჯერ კიდევ გაჭირვებით, მაგრამ მაინც კითხულობდა იტალიურად. შემდეგ ამოიღო ფურცლები დაწყებული ლექსებით... ეს იყო ახლახან დაწყებული დიდი პოემა „ფილენა“. შეეცადა დაეწერა რამდენიმე სტრიქონი, არაფერი გამოუვიდა. სანაძაროს მსუბუქი და ნატიფი სტროფების შემდეგ ესპანური ლექსი მეტად უგბილი და უხეში მოეჩვენა.

თაროდან „ამადის გალელი“ გადმოიღო:

...სახელგანთქმულ რაინდს, ამადისს, შეუყვარდა ბრიტანეთის მეფის ასული — ორიანა. როგორც ნამდვილმა რაინდმა, მან სატრფოს გული საგმირო საქმეთა ჩადენით უნდა დაიპყროს. ის მთელს ქვეყანას მოივლის, მაგრამ ყველაზე დიდი გმირობა იქნება ორიანა-

---

[1] ჯაკოპო სანაძარო — უფრო სწორად მარკე დი სანნაცარო (1458 — 1530) — მე-16 საუკუნის იტალიელი პოეტი. აღორძინების ეპოქაში სახელგანთქმული პასტორალური რომანის „არკადიას“ (1504 წ.) ავტორი. ბაძავდა ვერგილიუსს.

სადმი ერთგულება. ამადისს წინ ელობება მრავალი განსაცდელი. არნახული ჯადოსნური ცთუნებანი, ბრძოლები დევგმირებთან და სხვა უამრავი ფათერაკი ავსებს მთელ რომანს. ამადისი მამაცურად იტანს ყველა სიდუხჭირეს და, ბოლოს, ჯილდოდ ღებულობს მზეთუნახავ ორიანას ხელს...

სერვანტესი ათვალიერებდა სქელ, ჩაყვითლებულ ფურცლებს:

...რაინდი ამადისი შეხვდა სარკინოზს მთის ხეობაში. უნდა მოხდეს ბრძოლა. ამადისს დაფარული აქვს სახე.

— ას მებრძოლში შევძლებდი შენს გამოცნობას, ზვიადო რაინდო! — ეტყვის თავხედი სარკინოზი.

— აბა, — უპასუხებს ამადისი, — ავიწევ მუზარადს და იმ წუთსვე გაიგებ, ჩემი ვაჟკაცობა შეეფერება თუ არა ჩემს სახელს.

დეზი ჰკრეს მერნებს და შეირკინნენ. სარკინოზი ცდილობს ცხენიდან ჩამოაგდოს ამადისი და შემდეგ დაახრჩოს, მაგრამ თვით ვარდება ძირს და იხლართება უზანგებში. სარკინოზის მერანი დაჭრის ტყესა და ველებში, შიშით დაბრმავებული მიათრევს სარკინოზს, მხედარს უკვე აღარ ძალუძს მისი ალაგმვა. მერანი უმატებს ჰენებას და უცბად მხედრითურთ გადაიჩეხება უფსკრულში...

მიგელმა ვერც კი შენიშნა დაბინდება. კითხულობდა ტურფა ორიანას სევდიან თავგადასავალს. გრძნეული ქალის მიერ შეცთუნებულმა ორიანამ უარყო ამადისი.

საბრალო ამადისი! იგი გაიჭრა უდაბნოში, მარხულობდა, იკვებებოდა ბალახით, თავს კვეთდა ურჩხულებს, იტანჯებოდა მოჯადოებულ ციხე-დარბაზში. ოხრავდა და ურვა-წუხილით იგონებდა სატრფოს — მზეთუნახავ ორიანას.

მიგელს არ ჰყავდა გულისვარდი.

„პრესიოზა? — იფიქრა მან, — მაგრამ განა ბოშა ქალი შეიძლება გახდეს მშვენიერი, კეთილშობილი გულისვარდი“?

საღამოს კვლავ გავიდა ბაღში. მთელი სასახლე ბნელით იყო მოცული. მხოლოდ ორი ზემო მრგვალი სარკმელი — კარლოსის კაბინეტი ძლივსღა ბჟუტავდა.

„იქ რაღაც ამბავი ხდება“, მისდა უნებურად წამოსცდა ეს სიტყვები ხმამაღლა. და იმავ წუთს, თითქოს საპასუხოდ, ვიღაცამ ამოიოხრა და ახმაურდა მერხზე.

მიგელმა მოიხედა. დონ ლოპეცი იყო.

— ამაღამ... — დაიწყო მან.

— რა ამაღამ? — მოუთმენლად ჩაეკითხა მიგელი.

— რა იყო? განა ეს მე ვთქვი „ამაღამ?“ ეს შენა თქვი! — გაგულისდა მოხუცი.

მაგრამ წუთის შემდეგ წამოხტა და მიირბინა მიგელთან.

— ამაღამ დააპატიმრებენ ტახტის მემკვიდრეს, — აღელდა დონ ლოპეცი. შეანჯღრია მიგელი. — დიდი ხანია სურთ მისი ჩაკეტვა საკანში... უკვე ნახევარი წელია მოელის თავდასხმას. ფილიპემ აკრძალა მისთვის იარაღის მიცემა. კარლოსი ბიბლიოთეკაში არჩევს ყველაზე მძიმე წიგნებს, დაიდებს სასთუმალთან და ისე სძინავს, სულ კარებისკენ იყურება. ელოდება, რომ დაარტყას და მოჰკლას შემომსვლელი. უკვე ორი თვეა თითქმის არ დაუძინია. მკურნალები შიშობენ, არ გაგიჟდესო. გასულ კვირას ფრანგმა ოსტატმა, კარლოსის მეგობარმა, ლუი დე ფუამ, მოაწყო მექანიზმი, რომლითაც მისი კაბინეტის კარები იღება და იხურება, როცა ტახტის მემკვიდრე ხელს დააჭერს ზამბარაკს თავის ლოგინთან. დამშვიდდა კიდეც. ძილი მოუვიდა... მაგრამ ფრანგი დააბეზღეს. ფილიპემ სიკვდილით დასჯის შიშით აიძულა საიდუმლოდ მოეშალა მექანიზმი და დღეს დილით... დღეს დილით სასახლეში ელოდებიან...

კაბინეტის მრგვალი სარკმლები უფრო განათდა, შემდეგ სინათლე ერთბაშად ჩაქრა.

დონ ლოპეცი დადუმდა.

— რას ელოდებიან? დაპატიმრებას? მკვლელობას? — გამშრალი ტუჩებით იკითხა მიგელმა.

— არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი! — გამოუტკვევლად აასავსავა ხელები დონ ლოპეცმა. — მე არაფერი მითქვამს! დაივიწყე, დაივიწყე, ამ წუთსავე დაივიწყე!

— მხოლოდ ერთი მაინც მითხარით, დონ ლოპეც, — შეევედრა მიგელი. — რას აბრალებენ კარლოსს?

— თვითონ მეფის წმიდათა წმიდა პიროვნების ხელყოფას, — ჩურჩულით აღმოხდა მოხუცს.

— და ფიქრობთ, ეს სიმართლეა?

— მარტოოდენ უფალმა უწყის ჭეშმარიტება! — ამოიოხრა ლოპეცმა და გულზე ხელები დაიკრიფა.

ტახტის მემკვიდრე

სწორედ იმ ღამეს დააპატიმრეს დონ კარლოსი. თერთმეტ საათზე თვითონ მეფე ერთი შინაკაცისა და მოძღვრის თანხლებით შევიდა მის ოთახში. მეფეს ზუჩი ეხურა და აბჯარასხმული იყო. ჰერცოგი დე ლერმა სანთლით მიუძღოდა წინ.

დაუბრკოლებლად შეაღეს კარი.

კარლოსს ტანთგაუხდელად ეძინა.

გააღვიძეს. ბალიშქვეშ ჰქონდა დამალული ხმალი და გატენილი არკებუზა.[1] წაართვეს იარაღი, ქაღალდები, მიწერ-მოწერა. განუცხადეს, დაპატიმრებული ხარო.

კარლოსი სასოწარკვეთით დაეცა იატაკზე და ჩაიხუტა მამის მრუდე ფეხები.

— მომკალით, თქვენო უმაღლესობავ, თორემ თვითონვე მოვიკლავ თავს! — დაიყვირა მან.

— თქვენ გიჟი ხართ! — ცივად უთხრა ფილიპემ.

კარლოსი მივარდა კუთხეში აგიზგიზებულ ბუხარს.

მეფის მოძღვარმა ანტონიო ტოლედომ დროზე მიუსწრო, უკანვე გამოათრია.

ვერავინ გაიგო, საით წაიყვანეს კარლოსი. თვით ყველაზე მცოდნე ადამიანებმაც კი არ იცოდნენ, სასახლის რომელ საიდუმლო სენაკში მიმალეს იგი.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობდა. ფილიპე ისმენდა წირვას, მარცვლავდა კრიალოსანს, იღებდა ელჩებს, ბეგრავდა მოსახლეობას ახალ-ახალი გადასახადით, ატარებდა ომებს და ძირფესვიანად სპობდა მწვალებლობას. სამი თვის შემდეგ კი მთელი მადრიდი ჩურჩულებდა ტახტის მემკვიდრის უეცარ გარდაცვალებაზე.

„მოკვდა შინაგანი ორგანოების ანთებით“, — ასე გამოქვეყნდა ოფიციალურ ცნობაში.

ნაჩქარევად და უპატიურად დამარხეს.

მეფის ბრძანებით სამ დღეს მადრიდიდან არ გაუშვიათ არც ერთი კაცი.

დონ ლოპეცმა ამ სამ დღეს მიგელი ბიბლიოთეკაში ჩაკეტა ლექსების გადასაწერად.

[1] არკებუზა — ძველებური კაჟიანი თოფი.

ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა ფილიპეს ახალგაზრდა მეუღლე, დონ კარლოსის ყოფილი საცოლე, ელისაბედ ვალუა.[1]

უცხოეთის სამეფოებმა განგაში ატეხეს. პარიზში საფრანგეთის დედოფალმა, ელისაბედის დედამ ეკატერინე მედიჩიმ მოაწყო ტახტის მემკვიდრის საპატიო დაუსწრებელი დაკრძალვა. უგზავნიდა ფილიპეს ისტერიულ შეკითხვებსა და წერილებს. რომის პაპი[2] პიუს V არ ჩამორჩა მას, ფილიპეს ჯიბრზე მართავდა დონ კარლოსის მოსახსენებელ პანაშვიდებს, აგზავნიდა ელჩებს დასაზვერავად...

და მოულოდნელად პაპის ერთ-ერთი ელჩის კარდინალ[3] ჯულიო აკვავივას ჩამოსვლამ განსაზღვრა მიგელ სერვანტესის მთელი შემდგომი ბედი.

კარდინალი აკვავივა მეფე ფილიპესთან სამძიმრისათვის გამოგზავნა პაპმა.

ორთაბრძოლა ღამით

აქ ჩვენს დიდებას აწ მიიბარებს სამარე მყუდრო.
ფრანგთა მიწა-წყლის უცხო ყვავილი დაჭკნა უდროოდ...

ეს ეპიტაფია შესანიშნავი იყო, მიგელმა უკვე მეოთხე ვარიანტად გადაწერა ლექსი.

დონ ლოპეცი ამზადებდა კრებულს ახლადგარდაცვლილი დედოფლის ხსოვნისათვის. კრებულს ერქვა:

„ისტორია და ნამდვილი აღწერა მისი უმაღლესობის, ჩვენი უგანათლებულესი ქალბატონის, ესპანეთის დედოფლის დონა იზაბელა დე ვალუას ხანმოკლე ავადმყოფობისა და უკეთეს სამყაროში მისი ბედნიერად დავანებისა...“

---

[1] ე ლ ი ს ა ბ ე დ (ესპანურად — იზაბელა) ვ ა ლ უ ა — ესპანეთის დედოფალი (1545—1568), საფრანგეთის მეფის ჰაინრიხ II-ისა და ეკატერინე მედიჩის ასული. დანიშნული იყო ესპანეთის ტახტის მემკვიდრე დონ კარლოსზე, მაგრამ 1559 წელს მეფე ფილიპე II-ემ შეირთო.

[2] რ ო მ ი ს პ ა პ ი — კათოლიკური ეკლესიის მეთაური, ირჩევენ კარდინალები თავიანთი წრიდან. ითვლება „უმცდარ-უცოდველად“ სარწმუნოების საკითხებში.

[3] კ ა რ დ ი ნ ა ლ ი — პაპის შემდეგ ყველაზე მაღალი სასულიერო პირი კათოლიკურ ეკლესიაში.

კრებულის შედგენაში მონაწილეობდა დონ ლოპეცის ყველა მოწაფე.

ის მყუდრო სამარეს
იქნა დამარხული,
მიწას მიაბარეს
ჩვენი სიხარული!

მესამე დღეა, რაც მიგელი ამ ეპიტაფიის გამო ვერ წავიდა ქალაქგარეთ, თაბორში. უკვე რამდენიმეჯერ იყო იქ, პრესიოზასთან. პრესიოზას მამა, მდუმარე, გარუჯული სახის, ჭაღარაშერთული შავთმიანი მაღალი ბოშა, პირველ ხანებში უსიამოდ შეხვდა მიგელს. არ მოსწონდა მისი მალიმალ სიარული თაბორში. ეშინოდა: უცხო ადამიანი პრესიოზას გზას ააცდენსო.

— რა გქვია, ახალგაზრდა სენიორ? — ჰკითხა მან პირველად ნახვისას.

— მიგელ დე სერვანტეს საავედრა.

— კაბალერო ხარ?

— დიდებულთა შთამომავლობას ვეკუთვნი, — მიუგო მიგელმა. ბოშამ აათვალიერა მიგელის დაკერებული, ძველი კამზოლი. თავი უსიამოდ გაიქნია.

— რატომ ხართ ასე გამხდარი, ახალგაზრდა სენიორ?

— ღარიბი ვარ და იმიტომ!

— რის მაქნისია თქვენი დიდგვარიშვილობა, თუკი ღარიბი ხართ? — გაეღიმა მოხუცს.

მიგელმა ვერაფერი მოახერხა მაშინ საპასუხოდ...

ხშირად დადიოდა თაბორში. ყოველდღე შეკაზმავდა პარდოს და საღამომდე რჩებოდა იქ.

ბოშათა ცხოვრების ნაირფეროვნებამ და სილაღემ მოხიბლა იგი.

მიგელს შეუყვარდა მთელი დღეობით ჯდომა ჩარდახიანი ურმებით გარშემორტყმულ კოცონთან ბოშებში, მათი მოთხრობებისა და სიმღერების მოსმენა. გაიცნო პრესიოზას ყველა შეგობარი გოგონა და ძმები, დაუმეგობრდა ყველაზე უმცროსს, ნახევრადშიშველს, მუდამ მშიერსა და მხიარულ ჩიკიტილოს. უწერდა პრესიოზას ლექსებსა და სონეტებს. პრესიოზაც მომხიბვლელი ხმით დამ-

ღეროდა მიგელის შეთხზულ ლექსებს, თავისებურად ალამაზებდა, გულში იხუტებდა მის ნაწერებს, აოცებდა მიგელის პოეტობა. ერთად კრეფდნენ მინდვრის ყვავილებს, წნავდნენ გვირგვინს, კრავდნენ თაიგულებად, უძღვნიდნენ ერთმანეთს.

პრესიოზას სიღარიბემ და ნაზმა, ალერსიანმა მოპყრობამ დაატყვევა ესპანელი ჭაბუკი. საქმე იქამდის მივიდა, თავს ძალას ატანდა, სიყვარულმა არ გამიტაცოსო. ეშინოდა, უკანდასახევი გზა არ მოჰკვეთოდა. დედ-მამის მიტოვებას, სწავლის შეწყვეტას, მადრიდიდან თაბორში გაპარვას ძლიერ სერიოზულ საქმედ თვლიდა. დონ ლოპეცისადმი მიცემული სიტყვის გატეხას ვერ ურიგდებოდა. ვერ გაებედნა ბოშური ტანისამოსის ჩაცმა და თუმცა ძლიერ ხიბლავდა მათი ცხოვრება და პრესიოზასთან თავს ბედნიერად იგრძნობდა, მაინც გარკვეული გადაწყვეტილება ვერ მიეღო.

პრესიოზა 15—16 წლის გოგონა იყო, მაგრამ უკვე დიდი ქალის ჭკუა-გონება და გამოცდილება ეტყობოდა. მიგელს ძლიერ მიენდო. თაბორში სერვანტესის ჩასვლა დღესასწაული იყო მისთვის.

მიგელი ყოველთვის, თუმცა ღარიბულს, მაგრამ მაინც რაიმე საჩუქარს მიუტანდა გოგონას, ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა მისთვის, მაგრამ ქალისთვის უდიდესი ჯილდო თვითონ მიგელი იყო. გაწვებოდნენ ჩეროში, მდინარის პირად, და საუბრობდნენ მომავალზე.

პრესიოზა გაიტაცა მიგელის გონიერმა საუბარმა. დიდად აფასებდა თაყვანისმცემლის კარგ საქციელს. ვაჟსაც უფრო და უფრო შეუყვარდა ქალი. მიგელი შეეჩვია ბოშებს, დაჰყვებოდა მათ დღესასწაულებზე, არაჩვეულებრივი სიმარჯვითა და ძლიერებით თამაშობდა მათთან „პელოტას“, „ბარას“, ისწავლა „ჩილონდრონისა“ და „კაპატილიას“[1] თამაშიც, იღებდა ჯილდოს, მოკლე ხანში სახელი გაითქვა ახლომახლო სოფლებში. ყველაზე მეტ სიმკვირცხლეს იჩენდა. საუცხოოდ ჭიდაობდა, ირემივით დარბოდა, კანჯარივით დახტოდა, ტოროლასავით მღეროდა, ადამიანური ხმით ამეტყველებდა გიტარას, მშვენივრად ხმარობდა დაშნასა და ხმალს. ბიჭი და გოგო ხშირად ერთად ცეკვავდნენ სამბოპალოს.[2]

---

[1] „პ ე ლ ო ტ ა“ — ბურთის ერთგვარი თამაშია; „ბ ა რ ა“ — თამაშია, სადაც მოთამაშენი მიზანში ოსტატურად ახვედრებენ რკინის პალოს; „ჩილონდრონი“ და „კაპატილია“ ბანქოს თამაშის წესებია.

[2] ს ა მ ბ ო პ ა ლ ო — ერთგვარი ცეკვაა ესპანეთში.

ასე გაატარეს ერთ თვეზე მეტი...

... იმ დღეს მიგელი მოგვიანებით მივიდა თაბორში...

ღამე იყო ნათელი, მთვარიანი. გარკვევით გამოჩნდა, თუ როგორ გაუბრწყინდა თვალები მიგელის დანახვაზე პრესიოზას.

— გამარჯობა, უძვირფასესო! — მიესალმა მიგელი.

— ო, რარიგ გამახარე, ჩემო კაბალერო, — ალერსიანად მიუგო პრესიოზამ. — რა ჰქენი, მოიტანე თუ არა შეპირებული ლექსი? შენ ხომ პოეტი ხარ, ჩემო მიგელ!

— პოეტი რომ ვყოფილიყავ, რასაკვირველია, ეს ბედნიერება იქნებოდა! მაგრამ, იცოდე, პრესიოზა — მარგალიტო, ძლიერ ცოტანი არიან ამ სახელის ღირსნი, ამიტომაც არა ვარ პოეტი, მარტოოდენ პოეზიის მოყვარული ვარ! ჩემი პირადი საჭიროებისათვის არ ვითხოვ და არ ვეძებ სხვის ლექსებს. ის, რაც მოგეცი, ჩემია და ისიც, რაც ახლა უნდა გადმოგცე აგრეთვე ჩემია; მაგრამ მარტო მათ გამო ჯერ პოეტი არა ვარ...

— მაშ ცუდია პოეტად ყოფნა? — შეეკითხა პრესიოზა.

— არაა ცუდი, — მიუგო მიგელმა, — მაგრამ მარტოოდენ პოეტად ყოფნა, ვფიქრობ, არაა ძლიერ კარგი. პოეზიას ისე უნდა მოვეპყრო თ, როგორც უძვირფასეს საუნჯეს, რომელიც პატრონმა ყოველდღე როდი უნდა ატაროს და აჩვენოს ყოველ წუთს ყველასა და თითოეულს: იგი უნდა გამოვიტანოთ და დავანახოთ ხალხს, როცა ეს გონივრულია და ხელსაყრელი. პოეზია — ეს ულამაზესი ქალწულია, უმანკო, თავმდაბალი, ჭკვიანი, ცოცხალი და მოსიყვარულე გული, რომელიც არასოდეს გადალახავს კეთილგონიერების მიერ დაწესებულ მიჯნებს. მას მოსწონს უდაბური ადგილები, მას არ თობენ მჩქეფარე ნაკადულები, ველ-მინდვრებს მისთვის მოაქვ აღტაცება, მას ახალისებენ ნორჩი ხეები, ახარებენ ვარდ-ყვავილები, — ერთი სიტყვით, პოეზია გვასწავლის ცხოვრებას, აღგვაფრთოვანებს, მარად გზას გვიკვლევს ცისაკენ და გვხდის რჩეულად ამ ქვეყანაზე.

— ამასთან, დაუმატა პრესიოზამ, — მსმენია ბევრჯერ, პოეზია ძლიერ ღარიბია და მისი მსახურნიც მეტისმეტად ღარიბ-ღატაკნი არიანო.

— ამ შემთხვევაში არ ვეკუთვნი მათ რიცხვს! — ამაყად წამოიძახა სერვანტესმა. — მე ვწერ ლექსებს და მასთან ერთად არ(

ღარიბი ვარ და არც მდიდარი. აი მიიღე, ძვირფასო მარგალიტო, ეს ფურცელი და რაც მასშია. ნუ შეიწუხებ თავს ფიქრით, ვარ თუ არა პოეტი.

ამ სიტყვებით მიგელმა გაუწოდა ქაღალდის ფარატინი. ქალმა გასინჯა იგი, შენიშნა რომ შიგ ოქრო იდო, და წარმოთქვა:

— ეს ქაღალდი მრავალ წელს იცოცხლებს, რადგან მასში ორი სულია: ერთი ოქროსი, მეორეც — ლექსების, რომლებიც ყოველთვის სავსენი არიან „სულითა“ და „გულით“. მე შენში მიყვარს პოეტი და ჩემი კაბალერო და არა საჩუქრები. მხოლოდ ასე განმტკიცდა ჩვენი მეგობრობა.

— მაშ, თუ ასე გსურს, დამიბრუნე ოქრო. თილისმასავით შევინახავ.

პრესიოზამ გამოიღო ოქრო, გადასცა მიგელს. თვით გაშალა ქაღალდი და ნელი ხმით წაიკითხა:

ᲩᲔᲛᲡ ᲣᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡᲡ

ვარ მეზღვაური სიყვარულისა,
ბობოქარ ტალღებს მივანდე ნავი.
გზას შენ მინათებ, შუქურ-ვარსკვლავი,
ო, მარგალიტო, ჩემი სულისა!

ო, ჯადოსანო, რარიგად გშვენის
მწვანე ქათიბი, ცეკვა-თამაში!
სიყვარულის ცეცხლს აღვივებს მაშინ,
როცა გაისმის სიმღერა შენი.

შენი ამბორი მინდა ვიგემო.
მონაც კი არის თავისუფალი,
თუ სიყვარულის ედება ალი.
შენი მონა ვარ, ძვირფასო ჩემო!

რამ დამავიწყოს შენი ალერსი!
იქნებ შავბედმა მიმუხთლოს მწარედ.
უძვირფასესო, შორეულ მხარეს
შენ მოგიგონებ ტირილით, კვნესით!

რომ მოვკვდე კიდეც და ჩემი ლეში
ქარმა და წვიმამ მტვერში გაფანტოს,
ო, მარგალიტო, არსად, არასდროს
არ დაგივიწყებ ჩემს სიცოცხლეში!

თვალებზე ცრემლი მოადგა პრესიოზას, ქაღალდს ეამბორა. ფრთხილად დაკეცა და ქისაში სათუთად შეინახა, შემდეგ მიგელის მხარს მიაყრდნო გრუზა ნაწნავებით დატვირთული კოხტა თავი და გასცქეროდა შორს, მთვარით შეფერცხლილ ველებს.

მღერა-თამაშში ატარებდნენ დროს...

მოხუცი ბოშაც შეეჩვია მიგელს და ალაპარაკდა:

— რა ბედენაა თქვენი დიდგვარიშვილობა, თუ მაინც ღარიბები ხართ, დონ მიგელ, და არა გაქვთ თავისუფლება? — ამბობდა ის და კოცონს მისჩერებოდა, — შემოგვხედეთ ჩვენ, არ არის ქვეყნად ბოშაზე უფრო მხიარული ადამიანი. ბოშას არავისი ეშინია — არც ღმერთის, არც ეშმაკის, არც სენიორის, არც ინკვიზიციის. თქვენი მხდალი გლეხები კი კანკალებენ სენიორის წინაშე. მარკიზ დე ივარას. სწორედ იმას, ვისი ციხე-დარბაზიც მოჩანს აი იმ გორაკზე, რამდენჯერმე უნდოდა ჩვენი განდევნა აქედან. უკმაყოფილოა, ასე ახლოს რომ დავბანაკდით მის მამულთან. შიშობს, არ შევაგულიანოთ გლეხები, მაგრამ არ გვეშინია. სადაც მოგვესურვება, იქ გავშლით კარვებს, როცა მოგვეპრიანება, ავიბარგებით.

არა ერთხელ იფიქრა მიგელმა, წაჰყოლოდა ბოშებს. უფრო ლაღად სუნთქავდა მათთან.

აბრკოლებდა დონ ლოპეცისთვის მიცემული სიტყვა.

— მალე წავალთ აქედან, — უთხრა ერთხელ პრესიოზამ, — შენ ეტრფი თავისუფლებას, მიგელ კაბალერო, წამოდი ჩვენთან, ერთად ვიცხოვრებთ.

— არ შემიძლია, — მიუგო მიგელმა, — ერთი წელი კიდევ უნდა დავყო აქ, მადრიდში. შეპირებული ვარ.

— ვის შეჰპირდი? — ნაღვლიანად შეეკითხა გოგონა.

— ჩემს მასწავლებელს.

პრესიოზამ გადააქნია თავი.

— როგორ შეიძლება! ბოშები არასოდეს ჩადიან ასეთ საქმეს. არასოდეს იძლევიან პირობას. განა ადამიანმა იცის, თუ რა დაემართება ერთი წლის შემდეგ?

მიგელი ნანობდა, ლოპეცს პირობა რად მივეციო. სული ეხუთებოდა ბერების, ინკვიზიტორთა და მეფის კარისკაცთა ხროვის ქალაქში...

რამდენიმე დღე გავიდა პრესიოზასთან საუბრის შემდეგ. ვერ

მოახერხა თაბორში წასვლა. დონ ლოპეცმა დასვა მოწაფეთა ლექსების გადასაწერად. სულ იყო ოცდაოთხი ლექსი, ექვს ვარიანტად თითოეული.

ამ საქმეს მიგელმა ორი დღე-ღამე მოანდომა.

ჩვენი მიწა-წყლის ყვავილი უცხო
ამაღლდა ზეცად, ზენაართ სამყოფს,
მსახვრალ სიკვდილმა დააზრო უცბად
ნაზღეროვანი, აწ სულეთს ამკობს.

ეს იყო მეშვიდე ვარიანტი.

მიგელმა გადადო კალამი. განა მართლა ჰგავდა ყვავილს ახალგაზრდა დედოფალი? მიგელს არასოდეს ენახა იგი. ამბობენ: გამხდარი და მუდამ ფერმკრთალი ელისაბედი არ იყო ლამაზიო. ვერ შეეჩვია თავის ესპანურ სახელს — იზაბელას. იმასაც ამბობენ: ძლიერ ეშინოდა ქმრის, მეფე ფილიპესიო. პრესიოზა! აი ვინ უნდა იყოს დედოფალი ამ ქვეყანაზე! მაგრამ ბოშა რომ არის? ბოშა! ვითომდა რა მოხდება!

საიქიოში, სამარადჟამო დიდების მხარეს,
დედოფალს ჩვენსას ბედნიერება მშვიდი ახარებს...

ეს უფრო სეგიდილას[1] ჰგავდა, ვიდრე ეპიტაფიას...

არა, დღეისათვის კმარა! მიგელი წამოხტა. ბოშები უიმისოდ წავლენ... გადაწყვიტა წასვლა. სასწრაფოდ შეკაზმა პარდო. ჩქარობდა, ბოშებმა არ გამასწრონო. მაშინ ვეღარ ნახავდა თავის მარგალიტს.

მიგელი გვიან გამოვიდა. მადრიდის მიდამოების ჟანგისფერი მინდვრები და რუხი გორაკები წითლად ელვარებდნენ დაისის სხივებში. როცა გზატკეცილზე გადაუხვია თაბორისკენ, მძიმე, მუქმეწამული მზე მიეფარა შორეულ კორდებს. ცა ტყვიისფერი გახდა: სეტყვას აპირებდა.

ბრტყელი გორაკის მწვერვალზე, წინ, ბნელი ცის ფონზე, მოჩან-

---

[1] სეგიდილა — ორსტრიქონიანი ლექსი, რომელსაც მღეროდნენ უკვე ცნობილი მელოდიის მოტივზე (ჩვენი შაირების მსგავსად).

და ორი მუხა. მათ გვერდით ნანგრევები, ქვის სვეტები, საჯინიბოთა ნაშთები. აქ ოდესღაც ფუნდუკი იყო.

გორაკის მწვერვალიდან გადაიშალა ძირს მდებარე დაბლობი, მარცხნივ — ბოშების თაბორის ჩირაღდნები და მარკიზ დე ივარის ციხე-დარბაზი მახლობელ ქედზე. ციხე-დარბაზს იქით, ცაზე ჯერ კიდევ ციალებდა მკრთალი სინათლე; მარკიზის გლეხები აჯანყდნენ. ცეცხლი წაუკიდეს ბეღლებს...

მიგელმა შორიდანვე დაინახა თაბორში მოულოდნელი არეულობა. ბოშები ნაჩქარევად კრავდნენ ბარგს, კაზმავდნენ ცხენებს, საშინლად ჩქარობდნენ.

მიგელმა მიაბა პარდო. მიუახლოვდა და გაქვავდა.

ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცები მოსდებოდნენ თაბორს, კარვებიდან ერეკებოდნენ ბოშებს, ურტყამდნენ მათრახებს, მაჟაროების[1] კონდახებს, ყველას აქუჩებდნენ შუა ადგილას, სადაც უთავბოლოდ ეყარა ბოშების ღატაკური ავლადიდება. რომელიღაც ქალი უძალიანდებოდა. მას თმებით მიათრევდნენ. ღნაოდნენ ბავშვები. გამწარებული ყეფდნენ ძაღლები. მიგელთან მოირბინა პრესიოზამ.

— ჩვენ გვერეკებიან აქედან! — დაიყვირა მან. — მარკიზმა გამოგზავნა ჯარისკაცთა რაზმით თავისი დისწული დე სიგურა, თვითონ სიგურა ჩვენს კარავშია. წამოდი იქ, მამაჩემსა სცემს...

ანტონიო დე სიგურა იდგა მოხუცის პირდაპირ. ბოშას პირისახე უკვე დაესახიჩრებინა მაგრად შემოკრულ სილას.

— ეს შენა ხარ, განა, მეთაური? — ყვიროდა სიგურა. — თქვენ ააჯანყეთ ჩვენი გლეხები, ცოფიანო ძაღლებო!

— კარგადაც იქცევიან, — შესძახა მოხუცმა და სისხლი გადმოაფურთხა.

კაპიტანს მაღლა აწეული მათრახი გაუშეშდა.

— დიახ, კარგადაც იქცევიან! — გაცოფებით გაიმეორა პრესიოზას მამამ. — მარკიზმა ჩარეკა ცხვრები მათ ნათესებში. სურდა მოქცეოდა ისე, როგორც ამას ჩადიოდნენ მისი წინაპრები. დაავიწყდა განა, ახლა თვითონ კანონიც რომ იცავს გლეხთა ნათესებს.

---

[1] მ ა ჟ ა რ ო — კაჟიანი თოფი.

მათრახმა მწვავედ გაიშხუილა ჰაერში და დაეშვა ბოშას სახეზე. სიგურამ კიდევ მოიმარჯვა მათრახი.

კატასავით ისკუპა პრესიოზამ, ჩადგა მათ შორის. გადაეფოფრა მამას.

— მამის მაგიერ გნებავს მიიღო? აჰა, ესეც შენ! — წამოიყვირა კაპიტანმა.

მოიქნია მათრახი და წითელი ზოლები ამოიბურცა პრესიოზას შიშველ მხარზე.

— არ გაბედო მაგის ცემა! — დაუყვირა მიგელმა.

კაპიტანი შემობრუნდა.

— არ გაბედოთ უმწეო გოგოს ცემა-მეთქი! — გაიმეორა მიგელმა და მიუახლოვდა.

— ვინა ხარ, ან რად იცავ ამ შმაგ გომბიოს? — გაუკვირდა კაპიტანს და წყნარად შეისწორა ფოლადის ყაწიმი.

— მე მიგელ სერვანტესი მქვია. ნებას არ მოგცემთ, უდანაშაულო ხალხს სცემოთ. გთხოვთ, ხელი არ ახლოთ, სენიორ!

— აქედან დამეკარგე! — შეუბღვირა სიგურამ.

— ამ წუთსავე შეწყვიტეთ დასჯა, კაპიტანო! — დასჭყივლა მიგელმა, — თქვენ უკანონოდ და მუხანათურად იქცევით!

— ძუძუმწოვარავ, როგორ ბედავ ამდენ თავხედობას! — გაბრაზდა სიგურა. — შეგიძლია თუ არა ბრძოლა?

— შემიძლია! ბევრ შენისთანას დავანახე ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა შუადღისას, — ამაყად მიუგო მიგელმა და იძრო ხმალი ქარქაშიდან, მოიხსნა მოსასხამი, დაიხვია მარცხენა ხელზე. იქვე შეეტაკნენ ერთმანეთს საშინელ ორთაბრძოლაში. პრესიოზა და მამამისი დუმდნენ გაშტერებულნი. დამფრთხალი ჩიკიტილო ღრიალებდა კუთხეში. სიგურა უფრო ღონიერი და მაღალი იყო. ოსტატურად ხმარობდა ხმალს. მიგელმა ფარიკაობის მხოლოდ რამდენიმე გაკვეთილის მიღება მოასწრო შინ, როდრიგოსთან.

— მე გასწავლი, წუნკალო, თუ როგორ უნდა შეურაცხყო მეფის კაპიტანი! — თავს დააცხრა გაცეცხლებული სიგურა. ის ელვის სისწრაფით ატრიალებდა ხმალს.

მიგელს მხარში მოხვდა ხმალი. ტანისამოსი გაუჭრა, კანი გაუკაწრა. გამწარდა. მკლავი გაიმამაცურა და შეუტია. სიგურა კვლავ თავს ესხმოდა, ხმლის წვერს შიგ გულში უმიზნებდა.

მიგელმა მოხერხებულად აიცდინა მოქნეული მახვილი, წინ წადგა რამდენიმე ნაბიჯი. მთელი ძალ-ღონე, სხეულის მთელი სიმძიმე გადაიტანა მარჯვენა ხელით გათვალისწინებულ დარტყმაზე და მაგრად ატაკა გვერდში დაშნა.

სიგურამ დაიკვნესა, ხელი იტაცა მარცხენა ფერდზე, ნელინელ ჩაიკეცა კარვის მიწურ იატაკზე.

ბრძოლის ხმაურმა დააფეთა ჯარისკაცები. მეზობელ კარვიდან უკვე გამორბოდა ვიღაც და გულგამგმირავი სტვენით უხმობდა სხვებს.

მიგელმა მხოლოდ ეს მოასწრო: მშვიდობით ჩემო ძვირფასო.

მეტი დრო აღარ ჰქონდა, ისკუპა ხისკენ, ხელის ფათურით მიაგნო აღვირს, გადაჭრა, მოახტა ცხენს, ერთი ხელით აღვირი დაიკავა, მეორე შემოხვია ცხენს კისერზე და ჩაჰყვირა ყურში.

— აბა, დამიხსენ, პარდო, მოკურცხლე, რაც ძალი და ღონე გაქვს!

ამ დროს წამოუშინა სეტყვამ. ელვამ გააპო ზეცა კიდით კიდემდე. სასტიკი ქარი ხრიდა მუხების რტოებს, მიწაზე აფენდა ზღვისვარდას ბუჩქებს.

— გადამარჩინე, პარდო, ძველო მეგობარო! — გაიმეორა მიგელმა და გადაუჭირა მათრახი.

მიფრინავდა ერთგული ცხენი, ასწრებდა ქარსა და ელვას. თითქოს ყურში სინდიყი ჩაასხესო, ფრთები გამოესხა საბრალო კვიცს. უკან თქარუნითა და ყიჟინით მოქროდა მარდი მდევარი.

მიგელი ჩამოხტა ბორცვთან, მიაგდო ცხენი ფიცრულთან, ნასევრად დანგრეული ფარდულის ჩეროში, და სული გატრუნა. დაღლილი ცხენი საშინლად ქშინავდა.

— იყუჩე, პარდო, იყუჩე! სული გაკმინდე! ნუ გამცემ, ჩემო მეგობარო! — ჩურჩულებდა მიგელი, ხელს უთათუნებდა ცხენს ფერდზე, კანკალებდა, ეკვროდა გაოფლილ კისერზე.

მდევარი ყიჟინითვე გაშორდა იქაურობას.

კვლავ მოახტა ცხენს მიგელი. ჩამოვიდა ქედიდან მეორე მხრით. შემდეგ მიქროდა უკვე უგზო-უკვლოდ, პირდაპირ მინდვრებზე, ნიაღვრისაგან წალეკილ თიხნარზე. წვიმა უშხაპუნებდა პირისახესა და გახურებულ თავზე. მდევარი შორს დარჩა მხარმარცხნით. უეცრად ხევმა გადაუჭრა გზა. ცხენს ქუსლი ჰკრა. პარდო შეჩერდა,

თავი მოიბრუნა, ყურები ცქვიტა. მიგელმა უფრო ძლიერ შემოჰკრა ჭუსლი. მორჩილი ცხენი დაიძაბა, მოსწყდა მიწას და გადაფრინდა მეორე მხარეს, მაგრამ სიბნელეში წვეტიან ქვას მიაწყდა წინა ფეხებითა და მკერდით. მძიმედ დაიხრიალა და ჩაიჩეხა ხევში.

დონ ლოპეცი მსახურებზე ადრე დგებოდა. უყვარდა ყვავილების, თამბაქოსა და მიხაკის კვლების მორწყვა მზის ამოსვლამდე. მაგრამ ამ დილით გამოჩნდა კაცი, რომელმაც ლოპეცს ლოგინში მწოლიარეს მიუსწრო...

მიგელმა კოჭლობით გადაირბინა ყვავილნარი, მივარდა მასწავლებლის ოთახის ფანჯარას და ხმლის ვადით ნელა დაუკაკუნა ჩარჩოს. მიხაკისფერი აბრეშუმის ფარდები შეირხა, გამოჩნდა მასწავლებლის გაოცებული სახე.

— მიგელი ხარ? საიდან მოდიხარ ამ დროს? რას გავხარ?

მიგელს საყელო გადახეოდა და დაჭმუჭვნოდა. კამზოლი მხართან გაგლეჯილი ჰქონდა, ფეხზე წინდა გაშავებოდა მიმხმარი სისხლისაგან.

— ვიბრძოლე წუხელ... — ხმაჩახლეჩით ძლივს წარმოთქვა მან. დონ ლოპეცი განცვიფრდა, მყისვე მოშორდა სარკმელს.

— წუხელ დუელში მოვკალი კაპიტანი დე სიგურა, — უკვე მტკიცედ თქვა მიგელმა და პირდაპირ შეხედა მასწავლებელს თვალებში.

— დე სიგურა? მეფის გვარდიის კაპიტანი? მარკიზ დე ივარის დისწული? — ხელებს იმტვრევდა დონ ლოპეცი. — მონსერატის ყოვლად წმიდაო ქალწულო, შეგვიწყალენ ჩვენ! ...და აქ დგახარ კიდევ? — გონს მოვიდა ერთი წუთის შემდეგ, — აქ დგახარ და კარგავ დროს, როცა, უთუოდ, უკვე დაგეძებენ. გაიქეცი ჩქარა, თავს უშველე, მიგელ! სად არის შენი პარდო?

— წინა ფეხები მოიმტვრია. აი იქ, ხევში ჩაიჩეხა.

— რა ჩაიდინე ეს, მიგელ! წარჩინებული იყავი სწავლაში, შენი ლექსი ჩემს კრებულში ყველაზე უკეთესი იყო, განსაკუთრებით მეოთხე ვარიანტი... დედოფალზე... ახლა ყველაფერი დაიკარგა. ო, როგორ ვნანობ, როგორ ვნანობ, მიგელიტო! დუელი ეს ხომ საშინელებაა! აბა, გაიქეცი ჩქარა, მიგელ! — აჩქარებდა მოხუცი, აი ჩემი ძველი მოსასხამი, გაეხვიე შიგ... ჩქარა, უკვე გვიანაა, ხედავ, მზე ამოდის!

მოულოდნელი გამოსავალი

მიგელი მიადგა ქალაქის ჭიშკარს და შეჩერდა. კედელს იქით, მეორე მხარეს, გზაზე იდგა ცხენოსან ალგვასილების[1] რაზმი. დე ივარის მამულში მღელვარებათა გამო ნაბრძანები ჰქონდათ არავინ შემოეშვათ ქალაქში, ვაგრამ შეეძლოთ ჭიშკრიდან გასული კაცის დაკავებაც.

სანამ მიგელი იდგა და ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო, ერთმა ალგვასილმა ქუსლი ჰკრა ცხენს, სხვებს გამოეყო.

აძგერებული გულით მოტრიალდა მიგელი.

აუჩქარებლად დაუყვა ქუჩას.

არაადამიანური ძალდატანებით შეძლო არ აეჩქარებინა ფეხი. ალგვასილმა გვერდით ჩაუარა, გულგრილად ახედ-დახედა მიგელს. ღამით მომხდარ შემთხვევაზე მადრიდში, ალბათ, ჯერ არაფერი სმენოდათ.

მიგელმა არ იცოდა — რა გადაეწყვიტა. შუადღემდე დახეტიალობდა ქალაქში, საშინელი სიცხე იყო. ჩამოჯდა მანსანარესის[2] ნაპირას, მომცრო ხიდის კამარის ქვეშ. ხიდქვეშ მათხოვრები იჭერდნენ თევზებს და იქვე წვავდნენ ნაკვერცხლებზე. მიგელმა შეხედა და მოაგონდა: თითქმის ერთი დღე-ღამე არაფერი ეჭამა. წამოდგა, ხიდის შესასვლელთან იდგა ახალგაზრდა მათხოვარი. საშინლად დაკონკილ მოსასხამში გამოწყობილს ქუდი თვალებამდის ჩამოეფხატა, ამაყად იშვერდა ხელს მოწყალებისთვის.

მიგელი შეჩერდა.

— აქ დგომა არ შეიძლება! — დარიგების კილოთი მიმართა მათხოვარმა. — აქ ჩემი ადგილია, ხიდის მეორე ბოლოში დადექი.

— არ ვაპირებ მოწყალების თხოვნას, — შერცხვა მიგელს, — ისე ვდგავარ, ვიმზირები.

— მაშ რადა გაქვს ასეთი დამშეული სახე? — მკაცრად ჰკითხა მათხოვარმა.

---

[1] ალგვასილი — ესპანელი პოლიციელი.

[2] მანსანარესი — პატარა მდინარე, რომლის ნაპირებზე გაშენებულია ქ. მადრიდი.

— იმიტომ... — დაიბნა მიგელი, — იმიტომ, რომ გუშინდელი სადილის შემდეგ არაფერი ჩამსვლია პირში.

— გუშინდელი სადილის შემდეგ? ოჰო! ეგ სახუმარო საქმე როდია. დაიცა, ტომარაში ჩამრჩა ღვეზელი, პორტუგალიელმა დედაბერმა მითავაზა ტაძარში გავლისას. აიღე ნახევარი, ერთად ვისაუზმოთ. ჩვენს დროში მათხოვრობა ყველაზე ხელსაყრელი საქმეა, — წარმოთქვა და თეთრი კბილებით მაგრად ჩაკბიჩა ღვეზელის ნაჭერი. — მე, ჩემო მეგობარო, მთელი ქვეყანა მოვიარე, ამაზე უკეთესი საქმე ვერ ვიპოვნე. არა გჯერა? აი, ჭამე და მისმინე, რას გეტყვი: ბავშვი ვმუშაობდი იარაღების სახელოსნოში. ვიდექი ქურასთან მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდის, სიმხურვალისგან თვალები მიბრმავდებოდა, ხოლო სახელოსნოში თუ სასწრაფო საქმე იყო, ვთქვათ, რომელიმე მდიდარ სენიორს სურდა საჩქაროდ მიეღო თავისი სატევარი ანდა ხმალი, ოსტატი ღამღამობითაც მამუშავებდა. გავექეცი მას. ბრმას დავუდექი წინამძღოლად. ეს მოხუცი დუდუნებდა ლოცვებს ტაძრების კარიბჭეებთან. ბევრ ფულს კრეფდა. ყველაფერი კარგი, მაგრამ ბრმა სატანასავით ძუნწი იყო, შიმშილით სულს მხდიდა. იმასაც გავექეცი. ხუცესის მსახური გავხდი. ხუცესს მრევლი ტომრით უზიდავდა ღვეზელებსა და პურს. ის ჩაკეტავდა ხის უზარმაზარ კიდობანში, მე კი ნამცეცებს მაძლევდა. შიმშილით ხომ არ უნდა მოვკვდე-მეთქი, — გავიფიქრე და გავუკეთე კიდობანს მორგებული გასაღები. მთელი თვე მაძღარი და ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ხუცესი მალე მიხვდა ჩემს თაღლითობას და გამომაგდო. რა უნდა მექნა? ერთ სარაგოსელ იდალგოს ფარეშად დავუდექი. ყველაზე ცუდი დამემართა. იდალგო ფრიად გულკეთილი ვინმე აღმოჩნდა, მუშაობით წელს არ მწყვეტდა, მაგრამ ერთი გროშიც არ გააჩნდა. მთელი დღეობით დადიოდა ქუჩებში მედიდურად, ტრაბახობდა წარჩინებული გვარიშვილობითა და წინაპრების დამსახურებით, ხოლო უვახშმოდ იძინებდა, მე კი ვშოულობდი სარჩოს, რითაც შემეძლო, ვმათხოვრობდი, ვჯიბგირობდი. ასე ვცხოვრობდი და მასაც ვარჩენდი. მაგრამ ჩემი იდალგო ძლიერ მალე წააბრძანეს ციხეში ვალების გამო. ბოლოს, მათხოვარი გავხდი და ამიერიდან ამ ხელობას არაფერზე გავცვლი. აქ ყველა მიცნობს. მეც ყველას ვიცნობ. აი აქეთ მოდის წირვიდან დაბრუნებული პორტუგალიელი დედაბერი, რომელმაც ღვეზელი მომცა. აი ვაჭარი თო-

მას მერკადო, ამ უბნის მცხოვრებია. კარგად იცის მოწყალების გაცემა. აგერ მამა ორთუნიო, სანტა-ხესუსის ეკლესიის კანონიკი. ამას უმჯობესია არ სთხოვო. აგერ კიდევ... ეს ვინ უნდა იყოს? დაიცა, ეს ხომ იტალიელი ელჩის აკვავივას კარისკაცია. ნეტა რას დაეძებს?

სქელ-სქელი კაცი, ოქროთი ნაქარგ ლივრეაში მორთული, შემოდგა ხიდზე. დაბნეული იმზირებოდა აქეთ-იქით.

— გამარჯობა, სენიორ, — თავაზიანად მიმართა მათხოვარმა ქუდის მოხდით, — როგორ ცხოვრობს თქვენი ბრწყინვალე პატრონი და რას ეძებთ ჩვენს უბანში?

— აჰ, ღმერთო ჩემო, — მაშინვე დაიწყო ჩივილი იტალიელმა, — რა უბედურება შეგვემთხვა, რა უბედურება. დღეს მივემგზავრებით. ჩემი პატრონის ფარეში ავად გახდა, დაწვა და არ შეუძლია წამოსვლა. აკვავივამ გამომგზავნა და მიბრძანა, ამ წუთსავე, ორ საათამდის ვიპოვნო მაგიერი, მასთან ახალგაზრდა, კარგი გვარიშვილი. სად ვიპოვნი ახლა ასე უცბად ფარეშს, ისიც უცხო ქალაქში. თანაც ახალგაზრდასა და...

— მე ახალგაზრდა გახლავარ და კარგი გვარიშვილიც, — ზრდილობიანად შეესიტყვა მხიარული მათხოვარი, — მაგრამ დიდი ხანია, გამოვიცვალე პროფესია, შევწყვიტე სამღვდელო პირთადმი სამსახური. მაინც დაგიხსნით, სენიორ, ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, მგონია, თავისუფალია და მზად არის წავიდეს, სადაც გნებავთ.

მიგელს გული აუძგერდა.

— მართლაც, თუნდ ამ წუთასვე შემიძლია აკვავივასთან წამოსვლა! — წამოიძახა მან.

— მაშ დაუჩქარე! — გაუხარდა კარისკაცს, — რამდენიც გსურს. ითხოვე ჯამაგირი, ჩემი ბატონი დაგთანხმდება.

წაიყვანა მიგელი.

მათხოვარმა თვალი გააყოლა.

— შიმშილით ჩაკვდება საბრალო ბიჭი, — გაიქნია თავი. — იქნებ იტალიელი ხუცები ჩვენებურებზე ოდნავ უკეთესნი არიან, მაგრამ არა მგონია, ხუცესი ყველგან ხუცესია.

„საუცხოო გამოსავალია, — ფიქრობდა მიგელი და მაგრად ეჭირა ცხენის სადავე დაღმართზე დაშვებისას, — საუცხოო და მოულოდნელი. ერთი კვირის შემდეგ ჩვენი სამეფოს საზღვრებს გავცილდები. უკეთუ შემდეგ გამოაშკარავდება ჩემი ამბავი, პაპის ელჩის ამალაში ხელს არ მახლებენ“.

უნებური ღიმილით მოაგონდა, თუ როგორი თავზარი დაეცა დონ ლოპეცს, როცა შემთხვევით შემოეყარა ქალაქიდან გასვლისას. მოხუცი ეტლით მიდიოდა მეგობრებთან სადარბაზოდ. ფართოდ გააღო თვალები საბრალო პროფესორმა, როცა იტალიელი კარდინალის ამალაში დაინახა ლივრეიანი მიგელი. მიგელმა მოასწრო კიდეც მასთან მისვლა, აუხსნა, რომ მიემგზავრება იტალიაში აკვავივასთან და სთხოვა ეცნობებინა ეს ამბავი მშობლებისათვის.

აკვავივა ერთბაშად დაუმეგობრდა ახალ პაჟს და მასთან ლაყბობდა მთელი მოგზაურობის დროს. ფრიად კმაყოფილი იყო იმით, ასე რომ შეასრულა პაპის დავალება. თანაც პირველი წყაროებიდან მიმაქვს ცნობებიო, — ტრაბახობდა იგი.

მართლაც, დაწვრილებით იცოდა ამბები ტახტის მემკვიდრის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ.

დაპატიმრების შემდეგ კარლოსი გადაიყვანეს სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კოშკში, ქვის მიყრუებულ საკანში.

კარლოსს აწამებდნენ ყოველდღიური დაკითხვებით.

ყოველ საათს ათქმევინებდნენ აღსარებას, აიძულებდნენ უარეყო ყველაფერი. დაეწყევლა ლუთერი და შეეფიცა ერთგულება მამა-მეფისათვის.

საბრალო უფლისწული ეძებდა სიკვდილს ყველა იმ მცირეოდენი საშუალებით, რომელიც კი მოიძებნებოდა მის საკანში: ჯერ უარს ამბობდა საჭმელზე. სამოცდაათ საათს არაფერი უჭამია. საშინლად გახდა, დღე და ღამე ციებით თრთოდა. არ ეძინა, მაგრამ ვერ გაუძლო შიმშილობას და დაიწყო ჭამა. თავს ახლიდა ქვის კედლებს, მაგრამ ვერ შეძლო თავის მოკვლა.

სასოწარკვეთილმა გადაყლაპა დიდი ბეჭედი — მისთვის შემთხვევით დატოვებული ერთადერთი ძვირფასი ნივთი. ბეჭედს ვნება არ მიუყენებია. მაშინ სინჯა კიდევ ერთი საშუალება: მკურნალმა

უთხრა, შიმშილობის შემდეგ მოჭარბებული ჭამა-სმა სახიფათოა სიცოცხლისათვისო. კარლოსს აღარაფერი ჩაუდვია პირში ორი დღე-ღამე, შემდეგ ერთბაშად მოითხოვა ბევრი საჭმელი — ცხელი მწვადი და შემთბარი ღვინო. შეჭამა და შეხურდა. შემდეგ დალია რამდენიმე ჭიქა ცივი წყალი და გაწვა ცივი წყლით მორწყულ ქვის იატაკზე. იმავე ღამეს მისცა სიცხე, აუტყდა მუცლის აპკის ანთება. ორი დღის შემდეგ ყველაფერი გათავდა.

ფილიპე განთავისუფლდა ურჩი შვილისაგან...

შეუდგნენ მთის უღელტეხილს.

აკვავივას ამალა და ნივთებიანი ურემი დაწინაურდა.

კარდინალმა მათრახი გადაჰკრა ცხენს მათ დასაწევად. უკვე ჩამობნელდა. მრუდე ჩრდილები გაწვნენ ვიწრო გზაზე. მიგელი შეკრთა. ჟრჟოლამ დაურბინა ძვალ-რბილში.

ამ ადგილებში მთაში სიარული სახიფათო იყო. კლდის ყოველ მოსახვევში, თითოეული ქვის იქით, ავაზაკებს შეეძლოთ ჩასაფრება.

უცბად ცხენის ფეხის ხმა მოისმა.

აკვავივამ ხელი იტაცა დამბაჩაზე. მიგელმა მოიმარჯვა ხმალი.

მოსახვევში გამოჩნდა მხედარი. ოთხამოღებით მოაქროლებდა გაოფლილ ცხენს. მაგრამ არც ფიქრობდა თავდასხმას. ასწია ხელი მშვიდობიანი განზრახვის ნიშნად. უყივოდა, ხელს უქნევდა მიგელს.

— ხოზე! — დაუყვირა მიგელმა. — რამ მოგიყვანა აქ?

— სამი საათია მოვაჭენებ შეუსვენებლად, ძლივს დაგეწიეთ, დონ მიგელ, — თქვა ხოზემ, მიუახლოვდა და რაღაცას დაუწყო ძებნა.

აკვავივამ შეამჩნია მიგელს შეკრთომა. იტალიური ზრდილობისამებრ განზე გაათოხარიკა ცხენი.

— წერილია თქვენთან, დონ მიგელ, საჩქარო, საიდუმლო, ჩემი ბატონისაგან, — ჩაუჩურჩულა ხოზემ. უბიდან ამოიღო დაბეჭდილი კონვერტი. — დონ ლოპეცმა ასე მითხრა: ხოზე, აჭენე, იქროლე შეუსვენებლად, სანამ დონ მიგელს არ დაეწიოო. გადაეცი წერილი, პასუხს არ დაუცადო, შემობრუნდი და გამოქუსლეო. სოფლებშიც არსად გაჩერდე, ნურავის ჰკითხავ, ხმა არავის გასცეო.

მიგელმა გაუხსნელად ჩაიდო კონვერტი უბეში.

— მადლობელი ვარ, ხოზე, — წარმოთქვა მშვიდად და დაძრა ცხენი აკვავივას დასაწევად.

— მშვიდობით, ჩემო ბატონო, კეთილად იმგზავრეთ!

ჩამოღამდა. ცხენოსნები ღამის გასათევად ერთ პატარა ფუნდუკში ჩამოხტნენ.

„თივა და წყალი ცხენებისთვის, ლოგინი და ვახშამი ადამიანებისთვის“, — წაიკითხა მიგელმა მარტივი წარწერა ჭიშკარზე.

საპატიო სტუმრების დანახვაზე დაფეთებული მეპატრონე შეუდგა საუკეთესო ქვეშაგების ძებნას. მოსამსახურე გავიდა ეზოში ცხენების მოსავლელად. გაამაგრა ჭასთან კვარი. კვარის ბოლიან, მოციალე სინათლეზე მიგელმა გახსნა კონვერტი და წაიკითხა: „სიგურა არ მომკვდარა, მძიმედაა დაჭრილი. გონს მოვიდა. შენ დაგასახელა. დე ივარა დაჟინებით მოითხოვს შენს მოძებნას. ბოშების თაბორი გადაწვეს. აჩქარდი, რამდენადაც შეიძლება, დასტოვე ესპანეთის არემარე“.

მიგელი გაფითრდა. დაბარბაცდა...

— პრესიოზა! ჩემო მარგალიტო! ნეტავი რა დაემართა? — სასოწარკვეთით წამოიძახა მიგელმა და ხელი მოისვა გულჯიბეზე. იქ ედო ოქრო, რომელიც პრესიოზამ დაუბრუნა იმ დღეს. სხვა არაფერი დარჩენოდა მოსაგონებლად...

დღე-ღამ მოესმოდა ახლა მიგელს ყოველი მხრიდან მდევრის ფეხის ხმა, ყოველ გამოხედვაში ეჭვს ხედავდა.

აკვავივაც ისწრაფოდა. ერთი კვირის შემდეგ ვალენსიაში იყვნენ, საიდანაც უნდა გამგზავრებულიყვნენ იტალიის სანაპიროებისკენ.

ხომალდმა აღმოსავლეთისკენ აიღო გეზი.

მიგელი იწვა. ყურს უგდებდა ტალღების ტყლაშუნს გემის ქიმზე. ჭრიალებდა, მთელი სხეულით თრთოდა ძველი, დიდი ხნის გაუფისავი ხომალდი.

მიგელმა ჩათვლიმა, მოაგონდა ოჯახში გავრცელებული თქმა:

სამი გზა არის: ზღვა, სასახლე და ეკლესია,
ერთი მათგანი დიდებისკენ უმოკლესია!

„ან ეკლესია, ან ზღვა, ან მეფის სასახლე!“ ზღვა, ზღვა და ბოლოს — ზღვა!

გზად გაიარეს ბარსელონაში, რომელსაც უდიდესი ენთუზიაზ-

მით იგონებდა მიგელი მთელს სიცოცხლეში. ინახულეს საფრანგეთის პროვინციები — პროვანსი, ლანგედოკი. შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისას, სერვანტესმა „გალატეაში“ შეაქო ეს მხარეები...

...მადრიდში დაგვიანებული სხდომა ჰქონდა მეფის სასამართლოს. მთავარი დამნაშავე ვერ შეიპყრეს. დაუსწრებლად ასამართლებდნენ. საქმე სერიოზული იყო: მეფის დამცველი რაზმის კაპიტნის, ანტონიო დე სიგურას შეურაცხყოფა და დაჭრა, ბოშებთან კავშირი, გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელობა, დუელი, — აი რას აბრალებდნენ საბრალო სერვანტესს!

მეფის სასამართლოს მდივანი უძილობისაგან ჩახლეჩილი ხმით კითხულობდა განაჩენს: „...ბრალდებულ მიგელ სერვანტესს, მიღებულ იქნას რა ზომები მის შესაპყრობად, საჯარო გაკიცხვის შემდეგ წარეკვეთოს მარჯვენა ხელი. ათი წლით განიდევნოს სამეფოს საზღვრებიდან“.

კარდინალთან

რომში ყველაფერი შეიცვალა.

აკვავივას ჯერ სულ მიავიწყდა ახალი ფარეში და მთელ დღეებს პაპთან აღამებდა. შემდეგ გაიხსენა მიგელი და დატვირთა უამრავი მოსაწყენი, დამამცირებელი დავალებით.

ბოლო მოეღო წარმტაც საუბრებს ლიტერატურასა და ზნე-ჩვეულებებზე. მიგელს კარდინალისთვის დილდილობით უნდა მიერთმია ფორთოხლის წყალნარევი წვენი, პირსახოცი და ტაშტი, თვალყური ედევნებინა საგარდერობოს წესრიგისათვის, მოეხსენებინა მნახველების შესახებ. უკანასკნელი ყველაზე უფრო ძნელი საქმე იყო. ხანდახან აკვავივა სარგებლობდა მიგელის კალმითაც: ავალებდა, გადაეწერა და მოეწესრიგებინა ქაღალდები. სწავლობდა მისგან ესპანურ ენას.

ჯულიო აკვავივა, ერისკაცობაში ატრიის ჰერცოგი, თავბრუდამხვევ კარიერას იკეთებდა. ჯერ სულ უწვერული, ოცდაოთხი წლისა, იგი უკვე პაპის კარდინალი იყო. მისი მდიდრული სახლის მისაღებ დარბაზებში ბუზებივით ირეოდნენ მლიქვნელი პატრები, ატრიელი ბერები, გავლენიანი ერისკაცები. მიგელს უნდა გაეკეთებინა

მოხსენება, გაეცილებია მომსვლელები, გადაეცა დავალებანი, მოეხადა ბოდიში, ეცრუა. აუტანლად იტანჯებოდა.

მაგრამ წასვლა არსად ეგებოდა.

სამშობლოში დაბრუნება შეუძლებელი იყო. თავისუფალ საათებში ხშირად დაეხეტებოდა ქუჩებში.

ხარბად უსმენდა იტალიელთა ხალისიან საუბარს და ბევრს კითხულობდა, სწავლობდა. იყო კვირები, როცა შლეგივით დარბოდა. წაიკითხა არიოსტოს „შმაგი როლანდი“. იტალიურად წაიკითხა აგრეთვე ტორკვატო ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმი“.[1]

ხანდახან გადიოდა ქალაქგარეთ. მის წინ გადაშლილიყო მინდვრებითა და ატეხილი ჭალებით დასერილი კამპანის მრგვალი კორდები. რომის გარშემო მინდვრები ისე უნუგეშოდ მოსაწყენი როდი ეჩვენა, როგორც კასტილიის ზეგანი. მათი ფერდობები ზვრებს დაეფარა, მაგრამ ყველგან, ზვრებსა და ფორთოხლის ჭალებში, მინდვრებსა და გორაკთა ფერდობებზე მიგელი ხედავდა გლეხების ლურჯ და მიხაკისფერ ქუდებს, თოხსა და გუთანზე წახრილ მხრებს, ისეთივე უნუგეშო და წელში მოკაკულ გლეხებს, ესპანეთში რომ დატოვა.

კიდევ უფრო ნაღვლიანი გულით ბრუნდებოდა სახლში. აქ ხვდებოდა: მკაცრი აკვავივა, ჭორიკანა მსახურები, მისაღებ დარბაზში შეკრებილ მომჩივანთა საყვედურიანი მზერა... კარდინალი მსახურებს უცხო ლივრეებით რთავდა, მაგრამ ნასუფრალით კვებავდა.

მიგელი შურით უმზერდა მათხოვარსაც კი, რომელიც შეექცეოდა ნაწყალობევი ფულით ნაყიდ ზეთიან მაკარონს. მოხუცი მშობლები ხშირად ღებულობდნენ შვილისაგან უდიდესი სიყვარულით დაწერილ ბარათებს, ხანდახან უგზავნიდა ცოტაოდენ ფულს და აიმედებდა მათ. ამ წერილებში აღწერილია მაშინდელი რომი და იქაური მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება.

---

[1] ტორკვატო ტასო (1544—1595) — უდიდესი იტალიელი პოეტი, სახელგანთქმული პოემის „განთავისუფლებული იერუსალიმის“ ავტორი.

კარდინალ აკვავივას მისაღებ დარბაზში მოსაწყენი პოლიტიკური საუბრები მოულოდნელად საყურადღებო გახდა მიგელისათვის.

ხმელთაშუა ზღვაზე მზადდებოდა ხალხთა არნახული შეჯახება.

კვიპროსისა და ხმელთაშუა ზღვის გამო თურქები დიდი ხანია ემუქრებოდნენ ზღვიდან მთელ სამხრეთ ევროპას. თურქთა ნორჩი იმპერია, ევროპულ სამხედრო ოსტატობას დაუფლებული, მიისწრაფოდა ახალი მიწა-წყლის დასაპყრობად, ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობის ხელში ჩასაგდებად. თურქების წინააღმდეგობის სიმწვავეს ყველაზე ძლიერ გრძნობდნენ იტალიის მდიდარი რესპუბლიკები, რომელთაც აქამდე, XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე, ხელთ ეპყრათ ხმელთაშუა ზღვისა და ადრიატიკის მთავარი ბაზრები.

პირველად დიდი შემოტევა წამოიწყო თურქეთის სულთანმა სელიმ II. მან გადმოსხა ჯარები კუნძულ კვიპროსზე და ომი გამოუცხადა ვენეციას. აფორიაქდნენ ვენეციელი ვაჭრები, რესპუბლიკიდან ევროპის ყველა სასახლისაკენ გაემართნენ ელჩები.

როგორც იქნა ხორციელდებოდა ქრისტიანულ სახელმწიფოთა ერთიანობა. ყველა აღგზნებული იყო რისხვით, მაგრამ აყოვნებდნენ და ფრიად წინდახედულად ცუღლუტობდნენ.

საფრანგეთის „უქრისტიანეს“ მეფე კარლოს IX თურქებისთვის არ ეცალა. ის და მისი აზნაურები იმდენად გართული იყვნენ თავისუფლად მოაზროვნე ჰუგენოტების[1] — კათოლიკური ეკლესიის მტრების — ხოცვა-ჟლეტით, რომ რისკს ვერ გასწევდნენ საზღვაო ავანტურისთვის.

ავსტრიის იმპერატორსაც არ ეცალა.

ინგლისის დედოფალს ელისაბედს არ სურდა არახელსაყრელ ომში ჩარეულიყო. თურქები მის სანაპიროებს არ ემუქრებოდნენ; რად უნდა შეეწუხებინა თავი!

პორტუგალიის ახალგაზრდა მეფე სებასტიანეს სურდა დახმარებოდა ვენეციას, ამ ორ მხარეს მრავალი სავაჭრო ხელშეკრულება და საზღვაო ვაჭრობაში ურთიერთშეღავათები აკავშირებდა.

---

[1] ჰ უ გ ე ნ ო ტ ე ბ ი — საფრანგეთის პროტესტანტები მე-16 საუკუნეში.

მაგრამ პორტუგალიაში მძვინვარებდა შავი ჭირი, ხალხი მოთიბულივით ცვივოდა ქუჩებში. პორტუგალიის გალერები[1] ლისაბონის ნავსადგურში იდგა უმეთაურებოდ, უმეინიჩბეებოდ. მეფემ ვერ გაბედა ომში მონაწილეობის მიღება: ეშინოდა ხალხის აღშფოთებისა. ვენეციელი ელჩები უკვე სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. უეცრად უახლოესმა მეზობელმა და ძველმა მტერმა, რომის პაპმა შესთავაზათ კავშირი და დახმარება.

პიუს მეხუთისთვის ნათელი იყო, რომ მეზობელი ვენეციის განადგურება მისი საკუთარი დაღუპვაც იქნებოდა. პაპთან ერთად ესპანეთის მეფე ფილიპესაც შეეშინდა თავისი იტალიური სამფლობელოების დაკარგვისა და შევიდა თურქთა საწინააღმდეგო კავშირში.

ფილიპე, პაპი და ვენეცია ვაჭრობდნენ თითოეული გალერის მოწყობის გამო, ხორბლის თითოეულ მარცვალზე. უწინარეს ყოვლისა, ფილიპე ფრიად ვერცხლისმოყვარე მოკავშირე იყო, დაუსრულებლად ყოყმანობდა, ჯანჯლობდა და პასუხს არ იძლეოდა, ფულს მოითხოვდა ხელშეწყობისათვის.

მაგრამ მდგომარეობა ყოველდღე სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. აიღეს ქალაქი ნიქოზია კვიპროსზე, იგივე ხვედრი მოელოდა დედაქალაქ ფამაგუსტას,[2] კუნძულებს: კრიტოსს, კორფუსა და რაგუზას. ბოლოს გადაწყდა, მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. პაპმა თავის თავზე აიღო სამხედრო ხარჯების მეექვსედი ნაწილი, ვენეციამ — ორი მეექვსედი, ესპანეთმა — ნახევარი.

როგორც კი ომზე დაიწყო ლაპარაკი, მიგელმა დაკარგა მოსვენება. ღამღამობით ეზმანებოდა: საზღვაო ბრძოლები, სროლა, მეკობრეები, გმირული საქმეები... ამ დღეებში მიიღო მშობლებისაგან ბარათი. დაწვრილებითი რჩევა-დარიგებისა და ლოცვა-კურთხევის გარდა, ბარათში ეწერა აგრეთვე როდრიგოს ამბავი. როდრიგო მართლაც ჯარისკაცი გახდა. გმირულად იბრძოდა მავრების უკანასკნელ ნაშიერთა წინააღმდეგ გრენადის მთებში და აპირებდა ფლოტში გადასვლას, რათა წაჰყოლოდა მთავარსარდალს და მონაწილეობა მიეღო სულთანის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში.

---

[1] გ ა ლ ე რ ა — ნიჩბიანი საომარი ხომალდი.

[2] ფ ა მ ა გ უ ს ტ ა — ოდესღაც ცნობილი ნავსადგური კუნძულ კვიპროსის სამხრეთ ნაპირზე. ახლა ნანგრევებს წარმოადგენს.

ვინ იყო ეს მთავარსარდალი — დონ ხუან ავსტრიელი? გამოჰკითხა აქვავივას მოხუც აღმზრდელს — ფუმაგალის. უკანასკნელმა კარგად იცოდა საქმის ვითარება...

— ესაა, ჩემო შვილო, იმპერატორ კარლოსის ვაჟი, — მხურვალედ მოუთხრობდა იგი. — ჯერ სულ ჭაბუკი. შენი კბილაა. ფილიპეს ძმა, ღმერთმა განსაჯოს! დედა გერმანელი ჰყავდა. ამბობენ, ანგელოზივით ლამაზია და სამსონივით ძლიერიო.[1] მარტოოდენ გამარჯვებაზე ოცნებობს თურმე. თავისთავად ცხადია, შენს ფილიპეს სურდა ძმა კარდინალი გამოსვლოდა, მაგრამ ახლა გენერალ-ადმირალია და თურქების წინააღმდეგ ილაშქრებს. ყველაფერი თუ ისე მოხდა, როგორც განიზრახეს,მაშინ ეს იქნება ჯვაროსნული ომი და დონ ხუანი დაიპყრობს ქრისტეს საფლავს.

ფუმაგალიმ აუწყა მიგელს ქალაქ ნიქოზიის დაღუპვის დაწვრილებითი ცნობები. ციხე-სიმაგრის დამცველებს დაპირდნენ თავისუფალ უკანდახევას. მაგრამ თურქებმა დაარღვიეს პირობა, ოცი ათასი უიარაღო ადამიანი მათი მხეცობის მსხვერპლი გახდა.

მიგელი აღენთო, როგორც ღვთისმოყვარე ქრისტიანი და გრძნობიერი ადამიანი. როცა გაერთიანებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა ახალგაზრდა და მამაცი დონ ხუან ავსტრიელი და ესპანეთის ლეგიონებმა იწყეს დენა იტალიის ნავსადგურებში, აქვავივასთან სამსახურს სულ ვეღარ ეგუებოდა მიგელი. დაუკითხავად წავიდა კარდინალის სახლიდან...

ყველა მოედანზე იდგა მაგიდები ჯარისკაცთა ჩასაწერად. მიგელი ვერ ბედავდა მათთან მისვლას, სახელის გამხელას: ასე ეგონა, მაშინვე გაუყრიდნენ ბორკილებს, დასვამდნენ გალერაზე მენიჩბედ. დახეტიალობდა ქუჩებში, შემთხვევას ელოდა.

შემთხვევაც გამოჩნდა.

სან პიეტროს ქუჩაზე იაფფასიანი სამიკიტნოდან გამოვიდა შეზარხოშებული ესპანელი ჯარისკაცი. ოდნავ კოჭლობდა, მოწითალო ჭრილობის საშინელი ზოლი აჩნდა სახეზე, ტუჩის კუთხიდან საფეთქლამდე.

გულმოსული იყო. სახლში ამხანაგებმა რამდენი რამ უამბეს იტალიის საამურ ცხოვრებაზე. არწმუნებდნენ: იქ ყველაზე კარგი

---

[1] სამსონ ძლიერი — ბიბლიური გმირი; ებრაელთა მამაცი მსაჯული.

ღვინოები და ლამაზი გოგონებიაო. ყველაფერი ზღაპარი გამოდგა. აქ, რომში, ჩასუქებულმა მიკიტანმა მჟავე კიანტი[1] დაუსხა, ხოლო თმაგაწეწილმა და ჭუჭყიანმა გოგომ ჭუჭყიანი თანითვე მიაწოდა იგი.

ჯარისკაცი წაეჩხუბა მიკიტანს. ახლა მიზეზს ეძებდა რომ ვინმეზე ამოეყარა ჯავრი.

სამიკიტნოს კარებთან იდგა ვიღაც მშიერი ბიჭი, ჩანს, იქაური ოხერ-მუდრეგი ვინმე, ფერმკრთალი, გამხდარი, უკანგადაფენილი ქერა თმებით. ჯარისკაცი მიბრუნდა მისკენ და ეძებდა იტალიურ სიტყვებს, რომ მაგრად გამოელანძღა მიკიტანი, მასთან ერთად ყველა იტალიელი. უცბად გაშეშდა. ბიჭიც გაინაბა. წუთიც და, ორივენი ჩაეხუტხენ ერთმანეთს.

— მიგელ!

— როდრიგო!

როდრიგომ იმავე სამიკიტნოში შეათრია ძმა და მოითხოვა იგივე მჟავე ღვინო, რომლის გამოც ის იყო იგინებოდა.

— ჩემი ლეგიონი ფლანდრიიდან მოდის და ზეგ გავემგზავრებით, — აცნობა ძმას.

— რამდენი წელია არ გვინახავს ერთმანეთი! — უთხრა მიგელმა. — ვფიქრობდი, ახლა კაპიტანი იქნება-შეთქი.

— აწინაურებენ იმას, ვისაც მფარველი ჰყავს! აი ჩემი დაწინაურება! — და როდრიგომ ძმას საშინელი ჭრილობა და გაშეშებული ფეხი დაანახა.

— შენ რაღა მოგივიდა, მიგელ? — შეცვალა უსიამო საუბარი როდრიგომ. — როცა შვებულებაში ვიყავი, მიამბეს შენი თავგადასავალი.

მიგელმა გაიგო კარგი ამბები: ანტონიო დე სიგურა განიკურნა და ახალ ქვეყანაში წავიდა. მარკიზ დე ივარა მოკვდა. დონ ლოპეცმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენა და საქმე მოსპესო.

— ეს ნიშნავს, რომ შეგიძლია სამშობლოში დაბრუნდე, — დაამთავრა როდრიგომ.

— არა, ეს ნიშნავს, რომ შემიძლია არმიაში ჩავეწერო! — სიხარულით წამოიძახა მიგელმა.

---

[1] კ ი ა ნ ტ ი — ერთგვარი იტალიური ღვინო.

— როგორ? — გაუკვირდა როდრიგოს, — შენი სამეცნიერო კარიერა?

— ეს მამაჩემის ოცნებაა! ღმერთმა მშვიდობა მისცეს!

— შენი წიგნები? შენი ლექსები?

— კალამი არ აჩლუნგებს ხმალს, ხმალი არ აჩლუნგებს კალამს! — კასტილიური ანდაზით მიუგო მიგელმა.

— ძალიან კარგი! — გაუხარდა როდრიგოს. — მაშ ახლავე ჩაეწერე! ეცადე, ჩემს ასეულში მოხვდე. დაიხსომე: მიგელ დე მონკადას ლეგიონი, დიეგო დე ურბინას ასეული.

ორი კვირის შემდეგ, 1571 წლის 15 სექტემბერს, ძმები გალერა „მარკეზათი“ მოკავშირეთა ფლოტთან ერთად მიემგზავრებოდნენ მესინის ყურეში.

ფლოტის აღლუმი

მთავარსარდალი აგვიანებდა. ვენეციელთა და პაპის ხომალდები უკვე ორი თვე იქნებოდა, მესინასთან იდგა. იქვე იყო ესპანელთა რამდენიმე გალერა. ელოდნენ დანარჩენთა მოსვლასაც. ამბობდნენ, მეფე ფილიპემ ხელშეკრულება დაარღვია და დონ ხუან ავსტრიელს ჯერაც არ უფიქრია გამომგზავრებაო. თურქები კი მიისწრაფოდნენ ადრიატიკისკენ.

აგვისტო მიიწურა.

დონ ხუანის ხომალდები არსად ჩანდა. ეგონათ, სულ არ მოვაო. მაგრამ იგი გზაზე იყო. გალერები ნელინელ მოცურავდნენ. სარდალი არ ჩქარობდა. გზადაგზა ზეიმით ხვდებოდნენ ადმირალს. ერთი თვე გენუაში დაჰყო, ერთიც — ნეაპოლში. ტურნირებს, ბალებს, პარაკლისებს ბოლო აღარ უჩანდა...

„მარკეზა“ ძველი ხომალდი იყო. ყოველი ორი დღის შემდეგ უხდებოდათ წყლის ამოქაჩვა ძრომდან. ჯარისკაცებს უყვარდათ მეთაური — კაპიტანი დიეგო დე ურბინა, ჭარმაგი, კდემამოსილი ადამიანი. თითოეულ ბრძანებას იწყებდა მიმართვით: „ბატონო ჯარისკაცებო!“

პაწაწინა ხომალდზე ვიწროდ ცხოვრობდნენ. ას ორმოცდაათი ჯარისკაცი ჭერეხივით ეყარა ტრიუმში. იქვე ეძინათ. ყველას არ

შეეძლო ფეხზე დგომა. ძნელი იყო სუნთქვა. ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს ნავსადგურში მძვინვარებდა შავი ჭირი, ამიტომ ბევრი ნიორზე დაყენებულ არაყს სვამდა წამლად. ირგვლივ ყველაფერი უარდა.

აქ ცხოვრობდა მიგელ სერვანტესიც. თავს არხეინად გრძნობდა. ველარ იცნობდით რომაელ ნახევარბერს. დაძვალმსხვილდა. გაზაფხულივით მოიწიფა. შერუჯული სახე მხიარულად იმზირებოდა რკინის ჩაჩქანიდან. ულვაშები დაიმშვენა.

დიდხანს დაჰყო თავისი ასეულით ნეაპოლთან. ცუდი დრო იყო. ჯარისკაცების უმეტესობა ავაზაკები იყვნენ. დროშებს აფარებდნენ თავს, მართლმსაჯულების მსახვრალი ხელიდან გამოქცეულნი. მათ არ მოსწონდათ მიგელის ფაქიზი ბუნება. ყოველდღე უხდებოდა მიგელს თავდაცვა. სცემდა და სცემდნენ. მალე აითვისა მათი ლაპარაკის კილო და გამოთქმა. იცოდა უამრავი თქმულება და ანდაზა. ითვლებოდა კეთილ ამხანაგად. არ მეტიჩრობდა...

ერთ დილას ხმა გავრცელდა, მთავარსარდალი აქ არის, ღამით მოვიდა ნეაპოლიდანო. მდიდარი ქალაქი ფეხზე დადგა... სანაპირო ქუჩა სახელდახელოდ მორთეს, მეწამული ხავერდი გადაიშალა სასახლიდან სასახლემდის. დროშების ტყე აელვარდა მზიან ზეცაში. ნავსადგურში დაიგრიალა ზარმა. ციტადელიდან განუწყვეტლად გრუხუნებდნენ ზარბაზნები.

გემებიდან არავინ გადაუშვეს ნაპირზე. ფლოტის აღლუმი შუადღისთვის დანიშნეს.

დონ ხუან ავსტრიელი ორმოცდაცხრა გალერით მოვიდა. სულ ახლოს, ბუხტის შუაგულში, ღუზა ჩაუშვა ადმირალის ხომალდმა. ქიმზე, ზედ კაპიტნის ხიდურის წინ, ამართეს ოქროს უზარმაზარი ჯვარცმა, ხოლო ანძაზე ფრიალებდა სანტა კიარაში ნაკურთხი დროშა, რომელიც ჩააბარა მეფის მოადგილემ ნეაპოლში. ყოჩაღი ჯარისკაცები, მათთან სერვანტესი, დროდადრო თავს ანებებდნენ ხომალდის გასუფთავებას და მსჯელობდნენ ყოველი წვრილმანის შესახებ. სამხედრო დროშა ლურჯი მაგარი აბრეშუმისგან იყო ნაქსოვი. ჯვარცმის ქვეშ ჩამოჰკიდეს პაპის რელიეფური გერბი, მარჯვნივ — ესპანეთისა და მარცხნივ — ვენეციის გერბები. ემბლემათა გარშემო ჩამოუშვეს ოქროს ჯაჭვები და მათთან ჩახლართული

მძიმედ და მკვრივად ეშვებოდა მეოთხე საგერბო ფარი იმპერატორის შვილისა და ადმირალისა.

ნაშუადღევის ოთხ საათზე დაუშვეს ყველა იალქანი. შეასწორეს ნიჩბები. ჯარისკაცები ჩამწკრივდნენ ბაქანზე. ადმირალის ხომალდმა მძიმედ ჩაიარა მათ ახლოს. გრიალებდნენ ზარბაზნები. დინასტიის მთელი ელვარება ცხადად დაინახა თითოეულმა მათგანმა.

დონ ხუან ავსტრიელი იდგა მაღლააკეცილ კაპიტნის ბოგაზე. უზარმაზარი ჯვარცმის ახლოს, ლურჯ ალამთან.

უკანდაფენილი სქელი, რბილი თმა და ვაჟკაცურად აგრეხილი ულვაშები, ქერა სახე, გასაოცარი სამოსელი ზეკაცურ იერს აძლევდა ადმირალს. ლაპლაპებდა ბეგთარი,[1] ვერცხლის აბჯარი. მკერდთან ამობურცულ სალტეზე დამაბრმავებლად თინათინობდა მზე. საკისრე ჯავშნიდან ამოსჩროდა თოვლივით სპეტაკი, ნაოჭიანი საყელო და შემოხვეოდა გაპარსულ ნიკაპს. ცოტა უკან, მის მარჯვნივ, იდგა კოლონა, პაპის მხედართმთავარი, მელოტი რომაელი, თავით ფეხებამდის შავ ჯავშანში ჩამჯდარი; მარცხნივ — ღირსპატივსაცემი ჭაღაროსანი სებასტიანო ვენეციელი, ვენეციის მთავარი, კაპიტნის ოქროსფერ მანტიაში, ორივე ხუანივით თავშიშველი.

ხალხი გაცეცებით შეჰყურებდა მათ. ეს იყო თითქმის ღვთაებრივი მოვლენა, რამაც ბოლო მოუღო ყოველგვარ დაეჭვებას. ხვალ ამ ნახევარღმერთის ხელმძღვანელობით გავიდოდნენ ბრძოლაში.

შემდეგ გადაიხადეს პარაკლისი. თითოეული ჯარისკაცი აზიარეს კაპუცინებმა და იეზუიტებმა,[2] რომლებიც ხროვად დასდევდნენ ფლოტს. ორი დღის შემდეგ ალბანეთის სანაპიროს მიადგნენ კორფუს პირდაპირ. მოუვიდათ ამბავი ფამაგუსტას დამხობის შესახებ. კვიპროსი თურქებს ეკუთვნოდა. მათი ფლოტი მთლიანად მზად იყო და იკრიბებოდა მესინის სამხრეთით, კორინთის ყურეში.

მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება. მეთაურებს მისცეს განკარგულება. თავი მოუყარეს ჯარისკაცებს.

„მარკეზას“ ბაქანზე ჩამწკრივდა ას ორმოცდაათი კაცი. ყველა

---

[1] ბ ე გ თ ა რ ი — მორკინული საომარი საცმელი.

[2] კ ა პ უ ც ი ნ ე ბ ი — კაპუცინთა კათოლიკური ორდენის წევრები. დაარსდა 1528 წელს; ი ე ზ უ ი ტ ი — იეზუიტთა ორდენის წევრი. ეს საზოგადოება იცავდა პაპის ხელისუფლებას და საშინლად სდევნიდა ერეტიკოსებს, ორდენი დააარსა ლოიოლამ 1540 წელს.

გენუელი ცხვირს მაღლა წევდა, ტრაბახობდა თავისი სახელოვანი ფლოტის გასაოცარი გმირობით.

თურქები არა ერთხელ დაამარცხეს ხმელეთზე, მაგრამ ჯერ ევროპის არც ერთ ხომალდს არ გაუმარჯვნია მათთან საზღვაო ბრძოლაში.

სულთნის მეზღვაურთა მეთაურებს თავიანთი განსაკუთრებული ტაქტიკა ჰქონდათ — იერიშს მიიტანდნენ ერთი შეერთებული ჯაჭვით, შეჯგუფული გალერებით. გააფთრებული გადაეშვებოდნენ ბრძოლაში. რამდენიც არ უნდა გაეჟლიტათ, რამდენიც არ უნდა გადაეყარათ ზღვაში, დახოცილ იანიჩართა ნაცვლად წამსვე ჩნდებოდნენ სხვები, თითქოს თვით ზღვის უფსკრული კვლავ ზეაღმოტყორცნიდა მათ.

ზღვაზე ისინი უძლეველნი არიანო, ასეთი ხმა იყო დარხეული სულთნის გალერების შესახებ იტალიისა და ესპანეთის სანაპიროზე.

იტალიის ფლოტის ტყვე-მავრები, გალერის იატაკზე მიჯაჭვულნი, მდუმარედ უსვამდნენ წყალში მძიმე ნიჩბებს, უსმენდნენ ქრისტიანთა საუბარს.

— ოცი ათასი იტალიელი და ესპანელი ტყვე მენიჩბე იმყოფება თურქების გალერებზე, — მხნეობდნენ გენუელები, — როგორც კი დაიწყება ბრძოლა, ყველა ქრისტიანი ერთბაშად მიატოვებს ნიჩბებს და ზურგიდან დასცხებს თურქებსო.

კაპიტანმა ურბინამ ცუდი ამბები შეატყობინა ჯარისკაცებს: წარმართებმა ხელთ იგდეს კვიპროსი. დაარბიეს ფამაგუსტა. მისი მამაცი დამცველები ამოჟლიტეს, ქალები ნაკუწებად აქციეს, ბავშვების მთელი გროვა დედების თვალწინ კლდეზე მიანარცხეს. ასეთივე ხიფათი მოელოდა ვენეციას, რომს, ესპანეთის ქალაქებს, თუ ბოლო არ მოეღებოდა მტრის თარეშს.

დასასრულ, კაპიტანმა მოუთხრო მათ ყველაზე საშინელი და თავზარდამცემი ამბავი... თურქები იცნობდნენ და სძულდათ მამაცი ბრიგადინო, ვენეციელთა სული და გული. თურქებმა გადაწყვიტეს გამოეყოთ იგი უსახელო მსხვერპლთა რიცხვიდან, ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გამონახეს მისთვის არნახული სასჯელი.

შავ დღესა და უბედურ საათზე გაჩენილს ცოცხლად გააძვრეს ტყავი. ტყავიდან გააკეთეს ფიტული, ჩააცვეს ვენეციელი დიდებუ-

ლის ტანისამოსი. გამოაბეს ძროხის კუდზე. ათრიეს ფამაგუსტას ქუჩებში.

— აი, ბატონო ჯარისკაცებო, — დაამთავრა კაპიტანმა ურბინამ, — ასეთნი არიან ჩვენი მტრები, დასცხეთ მათ, ამოჟლიტეთ ისინი, დადგა ბრძოლის საათი!

ყველანი აღაშფოთა ამ გასაოცარმა ამბავმა, რომელიც შეიძლება გაზვიადებულიც კი იყო.

მიგელი ბარბაცებდა, როცა დაიშალნენ.

გული ერეოდა.

რაღაც გაუგებარი ემართებოდა გამომგზავრების დღიდანვე, ყოველ საღამოს შეაჟრჟოლებდა, საშინელი ტკივილი უხვრეტდა საფეთქლებს, ქარჭვალი უვლიდა გვერდებში, ყურები უწიოდა. ღამით ვეღარ იძინებდა. დილით უჭირდა ადგომა. ძლივს ჩავიდა ძირს, ჩაემხო ლოგინში. ცახცახებდა. სამი კვირა ზღვა-ზღვა ცურვა, ღელვა, პირქარი, მტერთან შეხვედრის ლოდინი — ვეღარ აიტანა.

„მარკეზა“ ირწეოდა ღელვისაგან.

— ვერა, ზღვაზე თურქებს ვერ დავამარცხებთ, ნახევარმთვარიანი გალერები შეჩვენებულნი არიან ეშმაკისაგან. თვითონ უწმინდური ეხმარება თავის შვილებს! — მიგელმა დახუჭა თვალები. ცდილობდა მოსმენილის დავიწყებას. კბილები უკაწკაწებდა.

როდრიგო სერვანტესი დაათრევდა ჩახუნდარა ფეხს და არწმუნებდა ჯარისკაცებს:

— ჩვენი კეთილი მეფე ფილიპე არ ინებებს, რომ თურქებმა აბუჩად აიგდონ წმიდა ჯვარი... ოცდაათი გალერა მზადაა კიდევ ესპანეთის ნავსადგურებში. ვალენსიაში ორი დიდი კარაველა[1] ირთვება ჩვენთვის...

მიგელს აღარ შეეძლო საუბარში ჩარევა... აკანკალებდა ცივისაგან. უგონოდ ეგდო. აქეთ-იქით აწყდებოდა და ბორგავდა, ბოდავდა და გაჰკიოდა.

— იარაღი! ღვთის რისხვა მტრებს!

ბოლოს კიბის ქვეშ დააწვინეს, ჭილობზე.

---

[1] კ ა რ ა ვ ე ლ ა — ძველებური იალქნიანი ხომალდი.

ლეპანტოს ბრძოლაში

ოქტომბერში ლეპანტოს ახლოს შენიშნეს უცხო იალქნები. ადმირალის გემზე დაიგრიალა ზარბაზანმა.

აფრიალდა საბრძოლო დროშა.

მიგელი კიბის ქვეშ ტახტზე იყო გაკრული.

როდრიგო და მიგელის ამხანაგები გამალებით ირტყამდნენ ჭაშრებს, სინჯავდნენ მაჟაროებს, არბოდნენ ზევით. მიგელი კი ციებამ მიაჯაჭვა ტახტზე. ძალა დაატანა თავს, წამოიჩოქა და თავი გაყო სანათურში.

ორი ფლოტი იდგა პირისპირ.

სერვანტესი ხელისგულივით ხედავდა ყველაფერს. წარმოშობით ესპანელისა და მოწოდებით პოეტისთვის ბრძოლის სანახაობა წარმტაცი ინტერესით იყო აღსავსე. მაშინდელი საბრძოლო ესკადრის მომცრო ხომალდებზე სერვანტესის უფროსებად იყვნენ ესპანელი კაპიტნები, რკინისმკვნეტელი ადამიანები, რომლებიც თხუთმეტი წლისანი იწყებდნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურს და ოთხმოც წლამდე ატარებდნენ აბჯარს. როცა ისინი პირისპირ შეერკინებოდნენ ზღვის სივრცეში თურქეთის ფლოტს, ბრძოლა მომხიბვლელ სანახაობად იქცეოდა. მთელი მაშინდელი მსოფლიო მოუთმენლად ადევნებდა თვალყურს მათ ბრძოლას.

აქ ხდებოდა გმირობისა და სიმამაცის ნამდვილი სასწაულები.

ახალგაზრდა პოეტი ღელავდა მოსალოდნელი შეტაკების გამო. პატივმოყვარეობა, იმედი, თავგანწირვის სურვილი უღვიძებდნენ აღმატყინებელ ზმანებებს. საშინლად მისუსტებულს სისხლი უდუღდა და ცახცახებდა. ისევ გაწვა სარეცელზე.

სერვანტესი უდაოდ ერთადერთი იყო ორივე ფლოტის მრავალრიცხოვან მებრძოლთა შორის, რომელსაც ამ საბედისწერო წუთს მოსაზრების უნარი გააჩნდა. მაგრამ სწორედ ერთადერთიც იყო, რომელიც უმოქმედოდ ეგდო მრავალ ათასთა ბედის გადამწყვეტ დღეს და სარეცელზე გაშხლართულს აღარ შეეძლო ხელი გაეწვდინა გვერდით მდებარე მუზარადისა და ფარისკენ.

თურქების გალერები გადაბმული იყო ერთმანეთზე ბაგირით და შეერთებული ჰქონდათ ნიჩბები. მოწინააღმდეგე იოლად ვერ

გაუძვრებოდა მათ. ხომალდთა ასეთი მოიერიშე ჯაჭვი თითქოს უძლეველი იყო.

დონ ხუანმა წუთში გასცა ბრძანება. გალერები აფრაგაშლილნი დაიძრნენ მტრის შესახვედრად.

ზარბაზნის ორი გასროლის მანძილზე მოკავშირეთა ძალები შედგნენ, სამ ესკადრად დანაწილდნენ. საშუალო ესკადრას დონ ხუანი ჩაუდგა სათავეში. მის მარცხნივ ჩამწკრივდნენ გენუელები კოლონასა და ანდრეა დორიას მეთაურობით, მარჯვნივ — ვენეციელები, სებასტიანესა და ბარბერიგოს მეთაურობით. თითოეულ მათგანს ერგო ორმოცდაათი გალერა. რეზერვების მეთაურობა დონ ხუანმა მარკიზ დე სანტა კრუცს[1] დააკისრა. ამ განკარგულებების შემდეგ დონ ხუანი ჩახტა ნავში და ჩაიარა ხომალდთა ხაზის გასწვრივ, აღაფრთოვანა ჯარისკაცები და მეზღვაურები. შემდეგ მისი ბრძანებით „გაიყვეს მზე“, ე. ი. მებრძოლები ისეთ პოზიციებზე გაანაწილეს, რომ მზის სხივები ორივე მოწინააღმდეგეს თანაბრად სცემდა სახეში. ამით არც ერთ მხარეს არ ეძლეოდა უპირატესობა ბრძოლის დროს. ასეთი იყო რაინდული წესი...

ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა საადმირალო გემზე და მისცა ნიშანი. კვლავ დაიგრიალა ზარბაზნებმა და ყველა გემზე გაისმა ყიჟინა: „ძლევა! ძლევა! დიდება ქრისტეს!“

გალერები ისევ დაიძრნენ. ბრძოლა დაიწყო.

მიგელი თავდაღმა დაემხო. ყურები დაიცო. წამსვე წამოხტა. ისევ გაიჭვრიტა. ყველაფერი არეულიყო. თვალწინ გადაეშალა გაჩაღებული ომის უჩვეულო სურათი. თურქეთის მამაცმა გენერალმა ალი-ფაშამ ერთბაშად გადაჭრა მოკავშირეთა ფლოტის მარცხენა ფრთა და გარს შემოერტყა მას. მიგელი ხედავდა, თუ როგორ დაეტაკა ორი ყუმბარა ერთ-ერთ ნეაპოლურ გალერას, ორად გააპო და ჩაძირა ის. „მარკეზაზე“ აბრიალდა ხანძარი, მაგრამ ჩააქრეს. ახალმა ყუმბარამ შეუნგრია მარცხენა ძგიდე.

ერთიმეორეზე იწვოდა გალერები. ალი-ფაშამ არტილერიის ცეცხლით გააჩანაგა მოკავშირეთა გემების თითქმის ნახევარი და ბრძანება გასცა იერიშისათვის.

---

[1] მარკიზ დე სანტა კრუცი, დონ ალვარო დე ბაზანი — ესპანეთის გამოჩენილი სარდალი.

სისხლით შეღებილი წყალი აქაფებული ფოფინებდა. მსროლელებმა მიატოვეს უსარგებლო ზარბაზნები და თავდამსხმელთ ზევიდან ასხამდნენ ადუღებულ ზეთს, აყრიდნენ გავარვარებულ კირს.

ამ ორომტრიალში ბოლითა და ორთქლით დაბრუებულსა და დარეტიანებულ ხალხს ფეხი უცურდებოდა მოლიპულ ქიმებზე, თავდაყირა ცვივოდნენ წყალში, ებღაუჭებოდნენ ძგიდეს, კვლავ მოხოხავდნენ.

მეთაურები პირველნი იძლეოდნენ სიმამაცისა და ვაჟკაცობის მაგალითებს.

ფარნეზე კოლონა, ბარბერიგო, ურბინა, დორია თვითონვე ჩაუძღვნენ თავიანთ რაზმებს შეტაკების შუაგულში. შუადღემდე ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. მამაცი უხალი— გამაჰმადიანებული ბერძენი, თურქების ერთ-ერთი სახელოვანი წინამძღოლი, თავისი შვიდი გალერით შემოერტყა ხომალდს, რომელზედაც იმყოფებოდა მალთის რაინდთა ორდენის კომანდორი. უხალი თავგანწირულად გადაეშვა მოწინააღმდეგის ხომალდზე, საკუთარი ხელით ჩამოგლიჯა სამხედრო ალამი. ამ გაბედული მანევრის ნამდვილი მიზანი იყო — დაეჭსაქსა ევროპის ფლოტის ძალები და მისი მარცხენა ფრთა წარემართა სხვა მხრისკენ, ბრძოლის ადგილიდან რაც შეიძლება უფრო შორს. განზრახვა სანახევროდ შესრულდა. მარცხენა ფრთის სარდალი ბარბერიგო მოტყუვდა. თავის ხომალდებს უბრძანა იერიში მიეტანათ უხალის წინააღმდეგ.

მალე ვენეციელთა თითქმის ყველა გალერა პირისპირ შეეტაკა მოწინააღმდეგის გალერებს. გაიმართა საყოველთაო ბრძოლა.

სერვანტესმა საწოლიდან თვალი მოჰკრა ვენეციელთა საფლაგმანო ხომალდს. იგი მამაცურად იგერიებდა იერიშს და ჟლეტა-ბუსრვით, გამალებით მისრიალებდა მტრის ცენტრისკენ. კაპიტნის მაღალ ბოგაზე სამხედრო ალამთან იდგა მოხუცი, მათი მთავარი კაპიტანი სებასტიანე. სერვანტესი თვალს ვეღარ აშორებდა მას. მაგრამ ვერ უმზერდა ვერც მოხუცის გოროზ წარბებს, ვერც მის თეთრ წვერს, რომელიც უცნაურად ირხეოდა მჭექარე შეძახილისას. ვერ ხედავდა მოხუცის სახეს. ხედავდა მხოლოდ მის სამოსს: აბჯრის ზევით წითელ მანტიას, ბრტყელ ქუდს. მიგელის წარმოდგენაში იგი უკვე აღარ იყო კაპიტანი სებასტიანე ვენეციელი: ის

იყო ბრაგადინო, ტანჯული და წამებული ბრაგადინო. მას ეკუთვნოდა ეს სამოსი, ვენეციელი დიდებულის სამოსი.

სიბრალულის, სასოწარკვეთისა და შურისგების წყურვილის შემაძრწუნებელმა ტალღამ დაუარა ძარღვებში მიგელს. გული ძალზე აუძგერდა... კუნთები დაძაბა. უკვე აღარ იყო უმწეო, უსუსური, მწყობრიდან გამოსული, ბრძოლისუნარდაკარგული. წამოიჩოქა, მუზარადი ჩამოიფხატა, აიტაცა გრძელი ხმალი და ფარი. თავდავიწყებით ეძგერა კიბეს...

იმ დროს სერვანტესის საწოლთან იდგა ორი სერჟანტი — მათეო დე სანტისტებანი და გაბრიელ დე კასტანედა, რომლებიც შემდეგ ადასტურებდნენ მომხდარის სინამდვილეს.

სერვანტესი გაძვრა ჯარისკაცებში და მიმართა კაპიტან ურბინას.

— კაპიტანო! — უთხრა მიგელმა, — მომეცით ხალხი და ნავი!

— აჭ რა გინდა? — დაუღრიალა კაპიტანმა დაგვიანებულ მებრძოლს, — აკი ავადა ხარ? დაბრუნდი უკან, ჩადი ქვევით!

— ჩემი ამხანაგები იბრძვიან! მათთან მინდა ყოფნა! — გადაჭრით განაცხადა მიგელმა. — საკმაო ჯანზე ვარ. შემიძლია ბრძოლა, კაპიტანო!

— აბოდებს! — წამოიძახა როდრიგომ. — გააბრუნეთ უკან!

სერვანტესი დაჟინებით მოითხოვდა, მიენდოთ მისთვის ყველაზე სახიფათო და საპასუხისმგებლო საქმე.

— სენიორებო, განა რას იტყვიან მიგელ სერვანტესზე? აქამდის ნამდვილი ჯარისკაცი ვიყავი, დღეს უქმად უნდა ვეგდო? დაე, ნურავინ გაკადნიერდება და განაცხადებს, ციებამ შემუსრა მისი ვაჟკაცობაო. მიჯობს ვიბრძოლო ავადმყოფმა და მოვკვდე ბრძოლაში, ვიდრე საბანში ვთრთოდე.

ძველი ნაცადი მეომარი, დიეგო დე ურბინა ყურადღებით მიაჩერდა მიგელს და მოულოდნელად ბრძანა:

— მიეცით ნავი!

მისცეს ნავი და არბალეტებით[1] შეიარაღებული თორმეტი კაცი. ეგვიპტელთა დიდი გალერა წამოვიდა „მარკეზასკენ“, მიგელის ნავი სხვებთან ერთად ირხეოდა ბაგირზე.

— წინ! — დასჭექა დიეგო დე ურბინამ. უზარმაზარმა ზვირთმა

---

[1] არბალეტი — ძველებური თვითმსროლელი თოფი; ისროდა ისრებს.

მაღლა აისროლა მტრის გალერა. სერვანტესმა სულ ახლოს დაინახა თურქების თეთრი და ზოლებიანი ყაუხები, შავგვრემანი სახეები.

— წინ! — დასჭყივლა მიგელმა.

გამაყრუებელმა ჭახანმა შთანთქა მისი სიტყვები. ნიჩბები დაიმსხვრა: ხომალდი დაეტაკა ხომალდს. გემბანზე მობობღავდნენ თურქები. ყველანი გულდაგულ გადაეშვნენ იქითკენ. თავდამსხმელები ცვიოდნენ წყალში. თან მიჰყვებოდნენ ესპანელები. ბრძოლა ზვირთებში გრძელდებოდა.

მიგელი პირველი გადახტა მტრის ხომალდში. ისა და მისი ამხანაგები გააფთრებით იბრძოდნენ. მოასწრეს ეგვიპტელთა დროშის ჩამოგლეჯა.

უეცრად ფარი ხელიდან გაუვარდა მიგელს, მარცხენა მხარში ტყვიამ გაუარა, მაგრამ ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო.

პირქარი შეიცვალა. ახლა პირდაპირ მტრის ესკადრისკენ მიერეკებოდა მოკავშირეთა ხომალდებს. ბრძოლა გრძელდებოდა და შალე ოტომანთა ფლოტი გაირღვა ცენტრში. ამ დროს მოუსწრეს ძლიერმა რეზერვებმა მარკიზ დე ლა კრუცის მეთაურობით. თურქების ფლოტის მჭიდრო ჯაჭვი შედრკა და დაიშალა, ძლიერმა ქარმა უწესრიგოდ არივ-დარია ისინი. მოკავშირეთა ფლოტი გადავიდა კონტრიერიშზე, თურქების ხომალდები, უკაცრიელნი, განადგურებულნი, ერთიმეორეზე ნებდებოდნენ მოწინააღმდეგეს. ცოცხლად გადარჩენილნი ცვივოდნენ ზღვაში. მათი მეწამული დროშა ჩამოგლიჯეს ანძიდან.

ყიჟინით ააფრიალა იგი ერთმა ესპანელმა.

მას ყელში ატაკეს ხანჯალი.

მეორემ აიტაცა დროშა.

— ძლევა! — ყვიროდნენ ისინი. — ძლევა! დიდება ქრისტეს! ჩვენ გავიმარჯვეთ!

— ეს იმას ნიშნავს: შური ვიძიეთ წამებულთათვის! — ხმამაღლა წამოიძახა მიგელმა...

ჩვრებით შეხვეულ ხელს ჯოჯოხეთური ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ სულში სინათლეს გრძნობდა. გულს უხაროდა. ირგვლივ კიდევ ისროდნენ. მისთვის სულ ერთი იყო... და აი აქ... ორი ტყვია თითქმის ერთბაშად მოხვდა მკერდში. პირველი ყრუდ მოხვდა, ოდნავ გაკაწრა, მაგრამ მეორე ღრმად და მაგრად ჩაჯდა სხეულში.

ესღა გაიფიქრა: გულს არ მოხვედრიაო. თავი ჩაქინდრა. ჩაიჩოქა.

გრძნობა ეკარგებოდა, ძლივსღა გახსნა უპეები. შორს, ადმირალის გალერის მაღალ ანძაზე, აღმართეს გრძელ შუბზე წამოგებული გასისხლიანებული მოკვეთილი თავი. ეს იყო ალი-ფაშა, თურქების მთავარსარდალი. დონ ხუანმა მოკლა იგი პირისპირ შეტაკებისას. ხმლის ერთი მოქნევით წაასხლა თავი.

მიგელს ბუნდოვნად მოესმა რამდენიმე ზარბაზნის ერთიანი გრიალი და გამარჯვების ომახიანი ყიჟინა. შემდეგ მიიბნიდა და თავქვე დაეცა.

ამ სანახაობის შემდეგ თურქი მეზღვაურები პანიკამ მოიცვა. ფრთხილმა უხალიმ მოახერხა გაქცევა.

ასეთი იყო საბერძნეთის ზღვაში ბრძოლა 1571 წლის 7 ოქტომბერს. მას უწოდებენ ლეპანტოს ბრძოლას (ლეპანტო პატარა დაბაა, ძველად ნაუპაქტოსს ეძახდნენ).

ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა: ათი ათასი თურქი დაიღუპა, რვა ათასი დაატყვევეს, ასი გალერა ხელთ იგდეს, ორმოცდაათი გაანადგურეს, წამოიღეს ძვირფასი ნადავლი: ზარბაზნები და დროშები, ოცი ათასი მონა ქრისტიანი გაანთავისუფლეს თურქთა ბორკილებიდან. ეს იყო სრული გამარჯვება.

პაპი სიხარულის ცრემლებს ღვრიდა ვატიკანში. მას უკვე ელანდებოდა ქრისტიანული იერუსალიმი. ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ვენეცია გაორკეცებული გულმოდგინებით შეუდგა მშვიდობიან შრომას და ხალისიან ცხოვრებას. ლეპანტოსთან გამარჯვებამ აღტაცების ქუხილად გადაიგრიალა ევროპაში, ხოლო ესპანეთის სასახლეში გამარჯვებულებს გულცივად შეხვდნენ და წინასწარ გადაწყვიტეს, არ გაენებივრებინათ ისინი ჯილდოებით.

მეფე ფილიპემ დამშვიდებით მოისმინა სასიხარულო ამბავი და გულგრილად შენიშნა: — დონ ხუანმა მოიგო ომი, მაგრამ მისი წაგებაც ხომ შეეძლოო.

თურქების სისხლი ერეტიკოსთა სისხლზე უფრო იაფი იყო. ამასთან, გამარჯვების დიდება მის რაინდ ძმას — დონ ხუანს ეკუთვნოდა. სნეულ ფილიპეს კი არ უყვარდა გამოჩენილი ვაჟკაცი, სწორუპოვარი ამირბარი.

ნახევარმთვარის შარავანდედი მიიბჟუტა. მისი ძლიერება თავ-

დაყირა დაეშვა. დგებოდა მისი მეფობის აღსასრული. სულთნის სიამაყე შეიმუსრა და მთელმა საქრისტიანომ დაინახა, რომ თურქები ზღვაზე მართლაც უძლეველნი არ იყვნენ. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. სახელმწიფოთა კავშირი დაიშალა. ლეპანტოს გამარჯვებას შედეგი არ მოჰყოლია.

სერვანტესი უგრძნობელ მდგომარეობაში გაიტანეს ბრძოლის ველიდან. ჭრილობები მეტად მძიმე იყო. ისევ შეიპყრო ციებამ. აბოდებდა. ვერავის ცნობდა. შემდგომ ამხანაგები მოუთხრობდნენ მას, რომ მოკავშირეთა ფლოტის მთავარსარდალმა, თვითონ დონ ხუან ავსტრიელმა, მეფის ძმამ, ინახულა დაჭრილი გმირი და შეაქებულადი მიგელ დე სერვანტეს საავედრა.

ნაწილი მეოთხე

ალჟირის ტყვე

გალერა „მზე“

მესინისა და რეჯიოს ბარაკებში მკურნალობდნენ მის მკერდსა და ხელს. დასტაქრებს დიდი ცოდვილი როდი დასჭირდათ მკერდზე — იგი თვით გამომთელდა, მაგრამ სერვანტესის მარცხენა ხელი მათმა დანამ უმოძრაო და უგრძნობელ კუნძად გადააქცია.

მაშინ არ იცნობდნენ ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებებს. მძიმე ოპერაციების წინ ავადმყოფებს უგრძნობლად ათრობდნენ. სერვანტესი თაკილობდა ამას. ბანგი არ უხმარია. თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ ქექავდნენ დანით მის სხეულს. ერთიც არ დაუკვნესია. სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. მისი ამხანაგები ბუზებივით იხოცებოდნენ.

ცხრა თვეს გაგრძელდა ავადმყოფობა. რეჯიოს ჰოსპიტლის უკან იყო ფორთოხლის ბაღჩა, იქ იჯდა სერვანტესი და კითხულობდა წიგნებს. საავადმყოფოს მოძღვარმა, იეზუიტმა, უშოვნა პლუტარქე და თუკიდიდე.[1] ორივე წიგნი ლათინურად. სერვანტესი ხალისით საუბრობდა ბერებთან თავის საყვარელ საგანზე. ომის შემდეგ აღარ აციებდა. გზნება დაუცხრა და სული გაუსალკლდევდა. სასტიკი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მტკიცე, ხალისიანი და მშვიდი გახდა.

---

[1] პ ლ უ ტ ა რ ქ ე — საბერძნეთის მწერალი, საბერძნეთისა და რომის გმირთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფი; ისტორიკოსი და ფილოსოფოსი (40—120); თ უ კ ი დ ი დ ე — საბერძნეთის ცნობილი ისტორიკოსი (V საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდის). შეადგინა პელოპონესის ომების აღწერა.

კაპიტანი ურბინა ხშირად ნახულობდა ავადმყოფს. სარდლის სახელით გადასცა საპატიო ფულადი საჩუქრები, პირველად თხუთმეტი დუკატი,[1] შემდეგ — ოცი, შემდეგ კიდევ ათი.

— ველაპარაკე სარდალს, — აცნობა ურბინამ, — ბევრჯერ მოვახსენე, მალე ისევ გნახავს.

მაგრამ დონ ხუანი არ მოდიოდა. საქმეებით იყო გართული.

— მფარველობის წერილს მოგცემს, — ამბობდა ურბინა. — დამპირდა. ჩამოვუთვალე თქვენი დამსახურებანი.

— მაგრამ რა დამსახურებაა ეს, დონ დიეგო?

— სისულელეს ნუ ჩმახავთ! ორივემ ვიცით ეს. წერილი მეფის მისამართით იქნება დაწერილი. წერილით დაბრუნდები ესპანეთში, მეფე კაპიტნობას გიბოძებს და ასეულს ჩაგაბარებს.

ეს, რასაკვირველია, დიდი ბედნიერება იყო. კაპიტნის თანამდებობა ფრიად შემოსავლიანად ითვლებოდა. ამით უზოუნველყოფდა დედ-მამის არსებობას და დების მომავალს.

სახლიდან უნუგეშო ამბები მიიღო.

აღარ არსებობდა მშობლების სახლი. ალკალის პატარა მამული ვალში გაეყიდათ.

ამბები მოდიოდა: მადრიდიდან, სევილიიდან, ვალიადოლიდიდან. მოხუცი როდრიგო ადგილიდან ადგილზე გადადიოდა, უჩიოდა სიღარიბეს, სიბერეში ხელობა გამოიცვალა, სასამართლოს მრჩეველი გახდა, თანდათან აკლდებოდა ყურს. დედა დუმდა. სერვანტესი იტანჯებოდა, რადგან ვერ შეძლო შეემსუბუქებინა მათთვის აუტანელი გაჭირვება.

აქამდის ვერ მოახერხა გამოეყვანა სიღარიბიდან შინაურები. „ეკლესია, ზღვა, სასახლე!“ — მისთვის არ გამართლდა ეს ანდაზა. სამხედრო სამსახურში ვერ დაწინაურდა. დონ ხუანის წერილი მეფისადმი ვერ უშოვნა კეთილმა ურბინამ. იგი ჯერ არ იყო დაწერილი, არც არასოდეს დაიწერებაო, — ფიქრობდა სერვანტესი, ხოლო უპროტექციოდ ფონს ვერ გავიდოდა. ჩვეულებრივი გზით კაპიტნად რომ გამხდარიყო, ამისათვის ათი წელი უნდა ემსახურნა...

და ბოლოს, გამოუშვეს როგორც სრულიად ჯანსაღი. ხელის გაფშეკილი ნარჩენი ქანაობდა სახელოში. უცნაური შესახედავი

[1] დ უ კ ა ტ ი — ვენეციური ოქროს ფული, დაახლოებით 3 მანეთი.

იყო. ხელი პიტალო კლდის ნამსხვრევს მიუგავდა. შემდეგ ყოველთვის უდიდესი აღტაცებით იგონებდა ლეპანტოს ბრძოლას, ამაყობდა ამ ბრძოლაში მონაწილეობით და არ სწუხდა მარცხენა ხელის დაკარგვას. პირიქით, საქებურადაც კი მიაჩნდა ეს ხეიბრობა.

სად უნდა წასულიყო მიგელი ჰოსპიტლიდან, თუ არა ისევ მოკავშირეთა არმიის რიგებში? იტალიაში უცხოქვეყნელი იყო. არსად აძლევდნენ სამუშაოს. სამხედრო ხელობა კი საკმაოდ იცოდა. ბრძოლაში გულადი იყო. ხალისით მიიღეს კვლავ არმიაში, უხელობას არ დაუბრკოლებია.

რა ბედნიერებაა, რომ ეს მარცხენა ხელი იყო! შეიძლებოდა ფარის მიბმა ხელზე.

მზადდებოდა ახალი საომრი მოქმედებები თურქების წინააღმდეგ. იქნებ კვლავ მოეხერხებინა და სწეოდა ბედნიერებას ახალ, უფრო სახელოვან ბრძოლაში! მაგრამ სერვანტესისა და დონ ხუანისათვის გაქრნენ საომარ წარმატებათა დროინი. უწესრიგოდ და ბორძიკით მიმდინარეობდა შემდგომი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვაზე. მოიქნევდნენ მუშტს, მაგრამ აყოვნებდნენ დარტყმას. უკვე წელში გაიმართა მაჰმადიანთა ფლოტი. სარდალი მოუსვენრად აწყდებოდა აქეთ-იქით. დაიპყრო ტუნისი. სურდა იქ გამეფება. ფილიპე შეშინდა. ეჭვით უყურებდა თავხედ ძმას. ჯერ აკრძალა, ეწოდებინათ დონ ხუანისთვის „მისი უმაღლესობა“, შემდეგ თანდათან შეუწყვიტა სამხედრო და ფულადი დახმარება. დონ ხუანი იცქირებოდა ევროპის სახელმწიფოებისკენ. სურდა ხელმწიფობა. მის სურვილებს ფრთა შეაკვეცეს.

თურქები განმტკიცდნენ. ბერბერთა ავაზაკური ურდოები კვლავ თავხედურად დათარეშობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე.

მეკობრენი მოედვნენ სანაპიროებს, დაბეგრეს ქალაქები. გაიტაცეს ხომალდები და ადამიანები, წაიღეს ძვირფასი ნადავლი.

მეფე ფილიპემ გაიძახა გენერალისიმუსი სამხრეთის ზღვიდან ლომბარდიაში გასალაშქრებლად. ჯარების შესაკრებ პუნქტად დაინიშნა გენუა. ამ ჯარებს ეკუთვნოდა აგრეთვე ფიგეროას ლეგიონი, რომელშიც ჩარიცხეს მიგელი და მისი ძმა როდრიგო...

... ხუთი წელი კიდევ გაატარა სერვანტესმა ხმელთაშუა ზღვაზე ბრძოლებში. იბრძოდა ნავარინთან, კორფუსთან, ტუნისში. დაესწრო საშინელ ხოცვა-ჟლეტას, როცა ესპანეთის ძლევამოსილ-

მა ლაშქარმა შემუსრა გოლეთის ციხე-სიმაგრის მოქლონები. მონაწილეობდა უკანასკნელ იერიშებში, როცა ცოცხლადგადარჩენილი შვიდასი კაცისაგან არც ერთი არ ყოფილა დაუჭრელი.

მოსწყინდა ომი. სამშობლო ენატრებოდა. როდრიგო თან ახლდა მიგელს ყველა ლაშქრობაში. მაგრამ ძმებს არ ჰყავდათ გავლენიანი მფარველები და შრომის, ვაჟკაცობისა და გამძლეობის მიუხედავად, არც ერთს არ მიუღია წარჩინება. ხუთი წლის სამსახურის შემდეგ მიგელი კვლავ უბრალო ჯარისკაცი იყო.

ნეაპოლში გაატარა მიგელმა ზაფხულის მოსაწყენი დღეები. ფული უთავდებოდა. მაგრამ ეს იმდენად არ აწუხებდა. როდრიგოს ჯიბეში ჯერ კიდევ ებადა ორიოდე გროში. ბავშვური მიამიტობით შეეწყვნენ ერთმანეთს. როდრიგოს შეუდარებლად მიაჩნდა მიგელის ვაჟკაცობა და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. მიგელს ყოველთვის ეღიმებოდა ამ დროს. როდრიგო ძლიერ ჰგავდა ძმას. მხოლოდ უფრო ახოვანი და მოუხეშავი იყო. ისიც შინისკენ იწევდა. ამდენი ხეტიალისა და ფათერაკების შემდეგ ხელცარიელნი და ღატაკნი ბრუნდებოდნენ შინ. ამიერიდან ხეიბარ მიგელს უნდა ეხეტიალნა მადრიდის კანცელარიებში, ყველასათვის ეჩვენებინა გაშეშებული ხელი, დღეები ლუკმაპურის თხოვნაში უნდა დაეღამებინა.

ოდესღაც ოცნებობდა პოეტის დიდებაზე. ახლა დაღვრემით იღიმებოდა. მისი მსუბუქი და კეთილხმოვანი სტროფები მოსწონდა ლოპეც დე ოიოსს. მაგრამ ეს წინათ იყო. ყოველ ესპანელ ჭაბუკს შეეძლო ამგვარად თხზვა. უფრო გონივრული იქნებოდა ტონზურის შეკრეჭა და ბენეფიციის[1] მოპოვება. მაგრამ რომში მის მფარველთაგან აღარავინ დარჩა ცოცხალი...

1575 წლის სექტემბერი იდგა.

ოც სექტემბერს გალერები მიემართებოდნენ ესპანეთს, რაც დიდი გამბედაობა იყო. მაშინ ხომალდები იშვიათად ბედავდნენ ცალ-ცალკე გასვლას ფათერაკებით სავსე ზღვაში.

გალერას ეწოდებოდა „მზე“ და ამ „მზის“ ქვენაპირი ჩემი შავი ბედისწერა იყოო, — უკვე ალჟირში, ტყვეობაში ყოფნისას, წერდა სერვანტესი რამდენიმე წლის შემდეგ.

[1] ბ ე ნ ე ფ ი ც ი ა — კათოლიკური ეკლესიის ქონება; მამული, საეკლესიო თანამდებობა ან ჯილდო ამ თანამდებობის ასრულებისთვის, რომელსაც აძლევდა მეფე არისტოკრატებს და სამღვდელოებას ჯილდოდ დამსახურებისთვის შუა საუკუნეებში.

მშვიდობიანი გალერა ნეაპოლიდან ბარსელონისკენ მიემართებოდა.

ხომალდზე მოფარდაგულში იჯდა ორი ჯარისკაცი: როდრიგო სერვანტესი და მისი ძმა მიგელი.

ორივე ძმის ბარგი მეტად უმნიშვნელო იყო: იარაღი და ტყავის ორი ტომარა. ხომალდი სავსე იყო სამხედრო პირებით. აქვე იყვნენ მეფის მოადგილის მოხელენი, სამშობლოში მიმავალი ვაჭრები, მღვდლები, ქალები, ბავშვები.

მიგელს ჩანთაში ჰქონდა ორი ძვირფასი წერილი მარკიზ დე ლა კრუცსა და მეფე ფილიპესთან. კაპიტანმა ურბინამ მოახერხა და იტალიიდან გამომგზავრებისას ჰერცოგმა დე სასმა და დონ ხუან ავსტრიელმა შუამდგომლობის ქაღალდები მისცეს მიგელს.

უბრწყინვალესი მთავარსარდალი დონ ხუანი და ნეაპოლის ჰერცოგი აღნიშნავდნენ სერვანტესის გმირობას, აქებდნენ მას, როგორც ნაცად მეომარსა და მამაც კაბალეროს.

მიგელს აუცახცახდა მარჯვენა ხელი. ცრემლები გადმოაფრქვია, როცა გახარებულმა ურბინამ ჩააბარა წერილები, როდრიგო კი მედიდურად იდგა და თავს ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ არ უკვირდა, მისი აზრით, ძმა ღირსი იყო ამ დიდებისა.

სექტემბრის მზიან დღეებს ცვლიდნენ თბილი ღამეები. ზღვა წუნარი იყო და ნელი ქარი მიაქანებდა ხომალდებს სამშობლოს ნაპირებისკენ.

— მარკიზი დე ლა კრუცი უსამართლობას ჩაიდენს, თუ ახლა კაპიტნის ჩინი არ მოგცა, — ამბობდა როდრიგო.

— არც ვფიქრობ ამაზე, — წყნარად უპასუხა მიგელმა, — მინდა სამშობლოში ყოფნა, მინდა საყვარელი ესპანეთის, მშობლების დანახვა... გამოვექეცი მეფის სასამართლოს განაჩენს... და აი, ცალხელა ვარ. შვიდიოდე წელი უცხო მხარეში ვიხეტიალე, ბევრი გამოვცადე, ბევრი რამ ვნახე, ახლა წერა უნდა დავიწყო. დავკარგე მარცხენა ხელი, სამაგიეროდ, მარჯვენა უნდა ვასახელო... ო, რა ალტაცებით გადმოვალ ვალენსიაში, რა მოწიწებით ვემთხვევი ესპანეთის საყვარელ მიწა-წყალს!

სამი მომცრო ხომალდი ნელ-ნელა მისრიალებდა ჩრდილოეთისკენ. ეს იყო წუნარი, მაგრამ მხიარული მოგზაურობა. ყველას

მოუხაროდა სამშობლოსკენ. „მზის“ ბაქანზე თითქოს არ იყო არც ერთი უბედური. თვით მენიჩბენიც კი თავისუფალი მეზღვაურები იყვნენ. მხიარულად გაიმღეროდნენ მერხებზე ჩამომსხდარნი.

ყველაზე ბედნიერად გრძნობდა თავს როდრიგო სერვანტესი.

ვერ გაძღა დოკუმენტების კითხვით, სადაც ასე მშვენივრად იყო ჩამოთვლილი მისი ძმის ღირსება და ბრწყინვალე მომავალი.

სერვანტესს სჯეროდა ბედნიერი მომავლისა. წერილებში მისი უბრალო დამსახურებანი გაზვიადებული იყო სახელგანთქმული ჰერცოგის დე სასისა და აგრეთვე შეუდარებელი გმირის დონ ხუან ავსტრიელის მჭევრმეტყველური კალმით. სერვანტესი ამ წერილებს თვით კაპიტნობის ჩინის პატენტად თვლიდა. უკვე ლაპარაკობდა „თავის ასეულზე“, თითქოს უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მეთაურობდა მას.

ძმები გაეხვივნენ თავიანთ მოსასხამებში და გაწვნენ გვერდიგვერდ.

როდრიგოს ეძინა.

როცა მიგელი გადმობრუნდებოდა, უბეში აუშრიალდებოდა წერილები მეფე ფილიპესადმი. ეს იყო მთელი სიმდიდრე. ეს იყო ახლობელთა ხსნა. შეიძლება, დიდებაც კი. ცხოვრების კარი ფართოდ იღებოდა მისთვის. თუ მადრიდში კიდევ ახსოვდათ ჭაბუკ სერვანტესისა და კაპიტან დე სიგურას დუელი, ნაცად მეომარს, ლეპანტოს გმირს, ყველაფერს აპატიებდნენ და დაივიწყებდნენ.

თბილი ზვირთები ელამუნებოდნენ ხომალდის კიჩოს. კმაყოფილნი და იმედით აღსავსენი მიეშურებოდნენ ძმები საყვარელ სამშობლოში და ვერ ამჩნევდნენ, რა ხიფათი ელოდათ.

შუადღისას სამხრეთ-დასავლეთიდან ამოვარდა სასტიკი ზღვაური. იგი ისეთი ძალ-ღონით დატრიალდა, რომ მცირე ესკადრა ერთ წუთში გაფანტა.

„მზე“ უთანამგზავროდ დარჩა. წამოვიდა ცივი ღვრთქაფი და წალეკა ყველაფერი. ბოგაზე დარჩა მხოლოდ კაპიტანი ორი თანაშემწით. ჩამობნელდა. გაიელვა. სადღაც საშინლად დაიგრუხუნა.

ყველაფერი აირია ხომალდზე.

მთელი ღამე არ დაწყნარებულა ღელვა.

ამ ორომტრიალსა და ვაი-ვაგლახში თურქების მეკობრენი გამოუდგნენ „მზეს“. აბრეშუმის ქსოვილით დატვირთული მშვიდო-

ბიანი გალერა კარგ ნადავლად ჩაითვლებოდა. დილით თხუთმეტი გალერა შემოერტყა მას.

ღამის განმავლობაში გრიგალი დაცხრა და „მზეც“ სწრაფად ველარ მიცურავდა.

„მზეზე“ მყოფი ხალხი ძრწოლითა და შიშით ითვლიდა მეკობრეთა ხომალდებს. ბრძოლის ატეხა უგუნურება იქნებოდა. აბა, როგორ გაუმკლავდებოდა ერთი თხუთმეტს!

ახლობელ ხომალდიდან ჩამოუშვეს ნავი. რამდენიმე მეკობრე ნავით მიცურდა მოსალაპარაკებლად.

— დაგვნებდით უბრძოლველად, მხდალებო!

არც ხმელეთზე, არც ზღვაში ესპანელ ჯარისკაცს არ უყვარს უბრძოლველად იარაღის დაყრა, მტრის ძალთა უპირატესობის დროსაც კი. კაპიტანმა გადაწყვიტა დასტაკებოდა მტერს, ცეცხლით გაერღვია მოწინააღმდეგის ხომალდთა რკალი. „მზის“ კაპიტანი, მოხუცი ესპანელი ავარდა ქიმზე.

— ცეცხლი! — დაიღრიალა მან, — ჰკა მაგას!

გენუელი პიეტრო დიასი მეთაურობდა მარჯვენა ფრთის არტილერიას. მარცხენა ფრთას სერვანტესი ჩაუდგა სათავეში.

ესპანელები იბრძოდნენ ზედიზედ თექვსმეტ საათს. სანამ გალერაზე იშოვებოდა ერთი მუჭა დენთი და რკინის ნატეხი, რომელიც ყუმბარის ნაცვლად გამოდგებოდა, მათ იარაღი არ დაუყრიათ.

ისე, როგორც ყოველთვის, სერვანტესი გვერდში უდგა ამხანაგებს. ალჟირელთა ერთი ხომალდი ჩაძირეს. მრავალი დასახიჩრდა. მეკობრეთა გვამებით ამოავსეს ბაქანი, მაგრამ ბრძოლა უთანასწორო იყო. ექვსი ხომალდი ორივე მხრიდან მოადგა გალერას და კიბეები ბაქანზე გადისროლეს.

სასტიკი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ყველანი დაატყვევეს, სერვანტესი გათოკეს, სხვებთან ერთად ტომარასავით მიაგდეს კუთხეში. იგივე ბედი ეწვია როდრიგოსაც.

ოქვე საკუთარ სისხლში ცურავდა კაპიტანი. რამდენიმე მეზღვაური ეკიდა ანძაზე. გალერა აივსო მეკობრეებით.

ტყვეები შერეკეს ვიწრო გალიაში. ადამიანებთან ერთად აქვე იყვნენ გამომწყვდეული პირუტყვებიც. თერთმეტი დღე-ღამე ეგდო მიგელი იატაკზე, ტალახსა და ნეხვში, უსმელ-უჭმელი.

მიცურავდნენ წყვდიადში. ხომალდს სამხრეთისკენ ეჭირა გეზი. მალე ალჟირში მიეიდოდნენ.

მარჯვნივ დარჩა ესპანეთის ნაპირი. აქ ელოდა სერვანტესს სახელი და დიდება, ბრწყინვალე მომავალი. წერილები შარიშურობდნენ უბეში.

მეთორმეტე დღეს გაუღეს კარები. სინათლე და ზღვის მლაშე ჰაერი შეიჭრა საკანში. თურქებმა ხელჯოხებით გამორეკეს ტყვეები.

დილის სინათლემ დააბრმავა სერვანტესი. ბაქანზე დარბოდა და განკარგულებას იძლეოდა ფართოწვერებიანი და თვალებგადმოკარკლული კაცი. ერთ და იმავე დროს იგინებოდა იტალიურად, ბერძნულად და თურქულად.

— ერიდე კოჭლს! — ჩაუჩურჩულა სერვანტესს ერთმა ტყვემ.

მიგელი შეკრთა. „კოჭლი“ ელ კოხო, ანუ დალი მამა, როგორც მას თურქები უწოდებდნენ, იყო სახელგანთქმული კორსარი[1] ხმელთაშუა ზღვაზე, თურქებთან გაქცეული ალბანელი.

ტყვეები გაჩხრიკეს. სერვანტესს წაართვეს ყველაფერი, ააცინცლეს პრესიოზას მოსაგონარი ოქრო. გამოსტაცეს წერილები. კოჭლმა დალი მამამ მკვეთრი მზერით აათვალიერა სერვანტესი და ბრძანა — განზე გაეყვანათ სამ სხვა კაცთან ერთად. მხოლოდ შემდეგ, ხმელეთზე გაიგო მიგელმა, თუ რას ნიშნავდა ეს.

— მოიყვანეთ სხვები! — დაიღრიალა დალი მამამ.

ბაქანზე გაისმა ყიჟინი. სერვანტესმა მოიხედა. მენიჩბენი სულ ერთ მხარეს გაჰყურებდნენ.

გალერა ნელ-ნელა მიცურავდა, თითქოს მეჩეჩის ეშინიაო.

დილის ნისლში თეთრად კრთოდნენ ქვიან ფერდობებზე მიმოფანტული დიდი აღმოსავლური ქალაქის შენობები. ეს იყო ალჟირი, თურქების პირატთა ბუდე.[2]

ხომალდებს საპატიო სალუტით და მხიარული შეძახილებით შეხვდნენ: ხალხისთვის დღესასწაული იყო ხომალდთა მოსვლა დიდი ნადავლით.

---

[1] კ ო რ ს ა რ ი — მეკობრეთა საერთო ევროპული სახელწოდება.

[2] ალჟირელები განთქმული იყვნენ თავიანთი მეკობრეობით, რაც შეწყდა მხოლოდ 1832 წელს.

ტყვეობაში

ტყვეები გაიყვანეს ფართო მოედანზე. ზღვის პირას ტანთ გახადეს და ღარიბული სამოსი დაურიგეს: ხამის პერანგი, უშნო შარვალი, მოკლე ხიფთანი, ჩუსტები, წითელი ქუდი, შალის მომცრო საბანი. ეს იყო ყველაფერი. შემდეგ დაიწყო ვაჭრობა: თურქები, ებრაელები, მავრები ათვალიერებდნენ საქონელს, უსინჯავდნენ მხრებს, ფეხებს. სერვანტესი განზე გაიყვანეს. იგი არ იყო გასაყიდი. პოლიციელებმა წაიყვანეს ის და მისი სამი ამხანაგი მახლობელ საპატიმროში.

დონ ხუან ავსტრიელისა და ჰერცოგ დე სასის წერილებმა, რომელთაგან ასე ბევრ კარგს მოელოდა სერვანტესი, დიდი ვნება მოუტანეს მას. ყოფილი უფროსების გაზვიადებულმა ქება-დიდებამ აფიქრებინა ავაზაკებს, თითქოს იგი სინამდვილეში მნიშვნელოვანი და საპატიო ვინმე იყო, რომლისგანაც დიდ გამოსასყიდს მიიღებდნენ. ამ მდგომარეობას მისდა უნებურად ხელი შეუწყო როდრიგომაც. როცა სერვანტესის სახელი ამოიკითხეს, როდრიგო იქვე იჯდა შებორკილი, განაცხადა, დონ მიგელი ჩემი ძმაა, აქვეა ხომალდზე, ცალხელა მეომარი. და თუ როგორი დიდი კაცია მიგელი, ეს შეგიძლიათ დაამტკიცოთ წერილებით: ყველა ვიგინდარას ხომ არ დაუწერდა მთავარსარდალი შუამავლობის წერილს ესპანეთის მეფესთანაო. როდრიგომ ვულუბრყვილოდ ურჩია თურქებს, ბეწვიც კი არ შეერხიათ დონ მიგელ დე სერვანტეს საავედრასთვის. იმ წუთშივე იკითხეს, თუ რა ჩინი აქვს მიგელს, რომლის შესახებ ასეთი მიწერ-მოწერა აქვთ ქრისტიანთა მეთაურებსო. როდრიგო დუმდა, თითქოს დიდ საიდუმლოს მალავსო, ისე კი მიახვედრა თურქები, რომ საქმე ჰქონდათ უმაღლესი გვარიშვილობის კაცთან, გრანდთან, რომელსაც დააკისრეს განსაკუთრებული ვალდებულებანი. როდრიგოს ეგონა, ამით ძმას რაიმე სარგებელი ექნებოდა.

— უბედურო ადამიანო! — წამოიძახა მიგელმა, როცა ეს გაიგო, მაგრამ მყისვე შეინანა, გადახვია ხელი ძმას და დაუმატა: — შენ ხომ კეთილი გინდოდა ჩემთვის!

საპატიმროს ფართო ეზოს გარს ერტყა ქვის მაღალი გალავანი. ფარდულებში ეყარნენ ავადმყოფები. აქ მძიმე ჰაერი იყო. კვნესოდნენ, სული ეხუთებოდათ. მკბენარები და მორიელები ტანჯავდნენ.

აქ მორეკეს ტყვეების ახალი პარტია. უზარმაზარმა თურქმა ტყვეებს ბორკილები დაადო ხელ-ფეხზე. საბოლოო გასინჯვისა და დანაწილებისათვის მოვიდა პატრონი — დალი მამა.

კოჭლი გაბოროტებული იყო.

უკანასკნელი ლაშქრობა ვერ გამოდგა სარფიანი. მის ხელთ იყო ორი ათეული მონა და ისინიც გამხდარნი, ავადმყოფნი, დაჭლექებულნი. არავინ იყიდის მათ, ქალთა სამუშაოზედაც კი არ გამოდგებიანო, ფიქრობდა.

— რა კაცი იყავი შენ სამშობლოში? კაპიტანი? ლეგიონის მეთაური? — კუშტად მიუახლოვდა მიგელს.

— უბრალო ჯარისკაცი, — მიუგო მან.

— შენ სიცრუით იწყებ! — აენთო კოჭლი. — უბრალო ჯარისკაცს თვით ადმირალი არ მისცემდა ასეთ წერილებს. თქვენ გრანდი ხართ, ეს უკვე ცნობილია, — წარმოთქვა შემდეგ კეთილგანწყობილებით. — თქვენი საქმე, უნდა ვიფიქროთ, მალე მოგვარდება.

— არა ვარ გრანდი! ჩემგან ვერაფერს აიღებთ!

დალი მამამ საჭიროდ არ ჩათვალა დავა.

— ორი ათასი დუკატი, თანახმა ხართ? უმნიშვნელო სასყიდელია ისეთი დიდი კაცისთვის, როგორიც თქვენა ხართ.

— როგორ არა, მოგართმევთ! შეგიძლიათ ხვალ მიიღოთ!

— ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს ერთი თვისა! გსურთ ახლავე დაწეროთ წერილი? საიმედო კაცი წაიღებს.

— გამიგონეთ, კაპიტანო, — მიმართა სერვანტესმა, — თქვენ ცდებით! არა ვარ გრანდი, არც მდიდარი. არა მყავს მეგობრები, რომელთაც შეეძლოთ ჩემი გამოსყიდვა. სავსებით ღატაკი ჯარისკაცი ვარ.

— ვერ დაგიჯერებთ!

— წაიკითხეთ წერილი, იქ ყველაფერია აღნიშნული!

— რას ამბობ? — დალი მამამ აიღო ფურცელი მაგიდიდან. — აქ მხოლოდ დაჟინებითი, გულთბილი შუამდგომლობაა. ჯარისკაცსა და ღატაკზე კრინტიც კი არ დაუძრავთ.

— ეს ერთი წერილია. წაიკითხეთ უფრო დაწვრილებით მეფის მოადგილის წერილი.

— აა, მეფის მოადგილემაც მისწერა მეფეს! და ყველაფერი ეს უბრალო ჯარისკაცისთვის? ძალიან მარჯვედ აწყობთ საქმეებს!

— წაიკითხეთ მეორე წერილი!

— მეორე აქ არ არის. ტყუილია, თავს ვერ დაიძვრენ.

— მოძებნეთ კარგად!

— ჩემთვის ერთიც კმარა.

— ხეპრევ! — დაუყვირა სერვანტესმა, — სქელკანიანო, უჯიშო, ჯიუტო, ხეპრევ!

მისთვის უმჯობესი იყო იქვე აეკუწათ, ვიდრე ხანგრძლივი წლების მანძილზე ავაზაკთა მონობაში ეთრია ბედკრული სიცოცხლე, რადგან ვერასოდეს მიიღებდა ორი ათას დუკატს.

წამოხტა კოჭლიც, ბოროტად დაწკურა თვალები. ხელი წამოავლო მათრახს. ისევ დაჯდა, მხოლოდ ღრმად ამოისუნთქა.

— ახლა სავსებით დაადასტურეთ,—კმაყოფილებით წარმოთქვა მან, — ასეთი კადნიერება მხოლოდ საპატიო ვინმეს შეუძლია.

— და მაინც მხოლოდ უბრალო ჯარისკაცი ვარ, — გაიმეორა მიგელმა.

— თქვენ ყველანი მატყუარები და ძაღლები ხართ! თვალთმაქცობთ! ღატაკებად, უბრალო ჯარისკაცებად ასაღებთ თავს. გინდათ, მცირე გამოსასყიდი დაგინიშნონ, მაგრამ ჩემი მომტყუებელი კაცი ჯერ არ დაბადებულა.

— უსუპ! — გასძახა დალი მამამ და უჩვენა სერვანტესი. — ეს დიდი კაცია თავის ქვეყანაში, გამოჩენილი მეთაურია და თვითონ მეფის ახლობელი. წაიყვანე „მეფის საპატიმროში!“

სერვანტესი შეაგდეს თაღებიან ნახევრად ბნელ საკანში. შემდეგ მაგრად გაუყარეს ბორკილები ხელ-ფეხში. „მეფის საპატიმროში“ იტანჯებოდნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტყვეები. მათ ფხიზლად იცავდნენ. ტყვეები ელოდნენ გამოსყიდვას, ანდა... იხოცებოდნენ.

მიგელი პირველ ხანებში მოდუნდა. იწვა ქვებზე, ეზოს ჩეროიან კუთხეში, არაფერს ჭამდა, უაზროდ შეჰყურებდა კედელს.

რა საშინელია ბედის ტრიალი! მონობა ალჟირში!

იწვა და იგონებდა წლებს ლეპანტოს ბრძოლების შემდეგ: ნავარინი, ტუნისი, ორანი... გოლეთა.

ორანი! უკანასკნელ სახელწოდებაზე შეჩერდა რატომღაც.

ორანი ერთადერთი პუნქტია აფრიკის სანაპიროზე, რომელიც შეინარჩუნეს ესპანელებმა არმიის განადგურების შემდეგ. იქ ორ-

მოცდაშვიდი ზარბაზანია და ათასრვაასკაციანი გარნიზონი. ორასში ნახევარი მოსახლეობა ესპანელია. წყნარ ამინდში უბრალო ბარკასით[1] ორ დღეში შეიძლება აქედან მიაღწიო ესპანეთის ნაპირს!

ამ დღიდან აღარ ასვენებდა ფიქრი გაპარვაზე. მთლიანად შეიპყრო გაქცევის განზრახვამ.

გამოცოცხლდა. გარეგნულად უდარდელი, დარდიმანდი და მხიარული გახდა.

მალე სახელი გაითქვა, როგორც ყველაზე მორჩილმა ტყვემ, მაგრამ გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, რაც მის გარშემო ხდებოდა. უცდიდა ხელსაყრელ შემთხვევას. სიცილის ნიღბით მალავდა ტანჯვასა და თამამ განზრახვას. აზრი კომპასის ისარივით მიმართული ჰქონდა ჩრდილოეთისაკენ: სულ ორანზე ფიქრობდა.

ახლა აღარ იწვა უძრავად, გაპარვის გეგმებს აწყობდა: უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყვნენ ამხანაგები.

ათვალიერებდა ტყვეებს: აქ იყვნენ ესპანელები, მსოფლიოს დამმარცხებელნი. ისინი აქაც, ტყვეობაში, განცალკევებით იდგნენ და საპყრობილის ეზოში გავლისას, ბორკილგაყრილნი და დაკონკილნი, თავაზიანად ესალმებოდნენ ერთმანეთს. მათში ისევ ბჟუტავდა სამშობლოში დაბრუნების იმედი. მთელი ძალ-ღონით ზურგს უმაგრებდნენ ერთმანეთს. ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილნი ცოცხლობდნენ ესპანეთის ინტერესებით.

— ფილიპე ღვრის ესპანელთა სისხლს ქრისტიანული ფლანდრიის მიწა-წყალზე, — ამბობდნენ ესპანელები, — აქ კი, ალჟირში, სადაც იტანჯება ათასობით უბედური ქრისტიანი, მცირე არმიის გამოგზავნაც არ სურს.

— ალჟირი ისე ცუდადაა გამაგრებული, ხუთი ათასი მარჯვე ესპანელი იოლად შეძლებს ქალაქისა და ციხეების შემუსვრას, ფაშის ჩამოგდებას, მონობაში ტანჯული ოცი ათასი ქრისტიანის გათავისუფლებას...

— განსვენებული ჩვენი მეფე, უძლეველი კარლოს მეხუთე, დიდი ხანია გაანადგურებდა ავაზაკთა ამ ბუდეს.

სერვანტესმა გაბედა და აუხსნა თანამემამულეებს თავისი გეგმა.

— გაპარვა გსურთ? — შეეკითხა ყველაზე ხნიერი ტყვე, ბერ-

---

[1] ბ ა რ კ ა ს ი — სანიჩბე ნავი.

ტრან დე სალტო, და მიგელს მიაშტერა უცხოეთის მზისგან დაშრეტილი თვალები. — მეც მინდოდა გაქცევა, როცა ჭაბუკი ვიყავი.

გადაიწია ჭაღარა თმები, უჩვენა დასახიჩრებული ყური.

— ორანში გნებავთ გაქცევა? — წამოიძახა მეორე ტყვემ, ოსარიომ. — ოთხი ესპანელი ცდილობდა ორანში გაპარვას წელიწადნახევრის წინათ. ისინი დაიჭირეს და მარგილზე ჩამოაგეს...

— ორი გზა მიდის ორანში: ერთი ხმელეთით, მეორე — ზღვით, — თქვა მესამემ, ნავარეტმა, — ერთი მათგანი იოლია და მოკლე, თუ ვიშოვნით ხომალდს ან ნავს, თუმცა ზღვის სანაპიროს იცავენ იანიჩრები და მოდარაჯე ხომალდები. ხმელეთით კი გზა ძნელია და სახიფათო. მანძილი სამას კილომეტრს უდრის. ათი დღის სავალია უცნობ, უწყლო, ხრიოკ მინდვრებში, სადაც დაძრწიან მტაცებელი მხეცები, დათარეშობენ ავაზაკი ბედუინები.

— საქმე გამყოლზეა, — თქვა სერვანტესმა, — ვიპოვი ასეთს.

ხმელეთის გზით წასვლელისათვის საჭირო იყო მხოლოდ მაგარი ფეხები, მოთმინება და გამბედაობა. ამიტომაც სერვანტესმა ეს გზა აირჩია.

ტყვეებთან წყალი დაჰქონდა ისახარს, ზანგის ბავშვს. მას ჰქონდა შავი გრუზა თმა და თეთრი კბილები. ჯერ კიდევ თერთმეტი წლისა მოიყვანეს მამამისთან ერთად არაბებმა ერთ-ერთი ავაზაკური თავდასხმის შემდეგ.

მამა მენიჩბედ გაუყიდეს გალერებზე, ხოლო ისახარს ძალად მიაღებინეს მუსლიმანობა და მეფის საპყრობილის დარაჯს მიუჩინეს დამხმარედ. მუსლიმანები თაკილობდნენ ზანგს, როგორც „უწმინდურს“.

ბავშვის სევდიან თვალებში სერვანტესმა ამოიკითხა გაპარვის სურვილი. ღამით მიიპარა ისახარის საწოლთან. იგი ჩუმად გამოძვრა. ორივენი მიიმალნენ კედლის ჩეროში.

— ისახარ, — უთხრა სერვანტესმა, — გაგიგონია ორანი?

— ორანი! ვიცი ორანი, სერვანტი, — ძიუგო ისახარმა. — ორი წლის წინათ ათი ესპანელი მონა გაიპარა ორანში. არ დაბრუნებულან. მათი ძვლები უდაბნოში იპოვეს, სერვანტი!

— ორანისაკენ უდაბნოზე გავლით იცი თუ არა გზა?

— უდაბნო? — წარმოთქვა ისახარმა და თვალები აახამხამა შიშით. — უდაბნო? მარტოოდენ წითელ-ყვითელი და რუხი ქვიშაა.

იქ უდაბნოს ყვითელი სულთანი — ლომი ჩაუსაფრდება ხოლმე მგზავრებს. იქ დაძრწიან ვეფხვები. არც ერთი ესპანელი მონა არ დაბრუნებულა ჯერ იქიდან, სერვანტი. მხოლოდ აქაურებმა იციან ორანის გზა.

მიგელმა ხელი დაუჭირა ბავშვს.

— ისახარ, გინდა იყო თავისუფალი?

— მინდა, ძლიერ მინდა, სერვანტი!

— მომგვარე ისეთი ადამიანი, რომელმაც იცოდეს ორანის გზა.

— ხვალვე მოგიყვან, სერვანტი!

პირველი ცდა

პირმრგვალი, კეთილი სახის ახალგაზრდა არაბი ალიმი მალე დათანხმდა ტყვეების წაყვანას ორანში, სამოცდაათი ოქრო მოითხოვა. სასწრაფოდ შეაგროვეს ფული.

ალიმი კარგად იცნობდა ალჟირის ოაზისებს, იცოდა ყველა გზა, შორს მოსავლელი ბილიკები. პატიოსანი კაცი ვარო, ირწმუნებოდა. როგორი ხიფათიც არ უნდა მელოდეს, თამამად შეგიძლიათ დამენდოთ, ჩემი სიტყვის ბატონ-პატრონი ვარო.

ცხრა კაცი მიდიოდა: სერვანტესი, ისახარი, ოიოსი, ნავარეტი, ჰერტრან დე სალტო, ოსორიო, მენესესი, როდრიგო, გაბრიელ კასტანედა, ძველი ამხანაგი საზღვაო ლაშქრობაში, სერვანტესთან ერთად დაატყვევეს. როდრიგოსა და კასტანედასთან ისახარს ჰქონდა კავშირი.

მოხუცი ბერტრან დე სალტო გაპარვის წინა საღამოს მივიდა სერვანტესთან.

— მეც წამიყვანეთ, კაბალერო, — ყრუდ წარმოთქვა მან... — დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, მონობაში ყოფნას უდაბნოში დაღუპვა მირჩევნია.

ძველი ტყვეები უკვე სარგებლობდნენ დღისით საპყრობილიდან ქალაქში წასვლის უფლებით. რამდენიმე ასპრის[1] წყალობით სერვანტესმაც მიიღო ასეთი ნებართვა. დარაჯები არხეინად იყვნენ: ალ-

[1] ასპრი — ვერცხლის წვრილი ფული.

ჟირის გარშემო უდაბნო უფრო უკეთ დარაჯობდა ტყვეებს, ვიდრე ქვის მაღალი გალავანი.

ეჭვი რომ არ აეღოთ, დღისით გავიდნენ, ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს.

ბაზარში საგზლად მოიმარაგეს ნამცხვრები, შაშხი, ფეხსაცმელები. ალიმმა იშოვნა წყლით სავსე ორი ტიკი. დაპირებულ საათზე თავი მოიყარეს ქალაქის მთიან ნაწილში, ბაბ-ელ-უედის ჭიშკართან.

მხოლოდ ისახარი არ ჩანდა, ნახევარ საათს ელოდნენ. ალიმი იჩქაროდა. უბავშვოდ წავიდნენ.

— ვინ მიგყავს? — შესძახა ალიმს ჭიშკართან მთვლემარე იანიჩარმა.

— მონების პარტია, ჩემი ბატონის, სათნო ალი მურადის დავალებით ვიყიდე, ელ ადარში მიმყავს ახალი სახლის ასაშენებლად, — სწრაფად მიუგო ალიმმა. იანიჩარს ვერცხლის ფული ჩაუდო ხელში. ტყვეები გაატარეს. მოუხვიეს მარცხნივ, ნელინელ, წყნარად შეუყვნენ ალმართს. დუმდნენ.

უცებ უკანიდან მოესმათ გამალებული ფეხის ხმა, ვიღაცამ გამხდარი ხელი მკლავზე მოავლო სერვანტესს.

— ისახარ! — კინაღამ წამოიყვირა სწრაფად მოტრიალებულმა მიგელმა.

— დიახ, მე ვარ, სერვანტი! ველოდი, როცა უსუპს დაეძინებოდა. ნახე, რა მოვიპარე!

ბავშვი რაღაცას აჩეჩებდა ხელში. მიგელმა სიბნელეში ხელი მოუსვა მაჟაროს ცივ ლულას.

— ყოჩაღ, — წარმოთქვა მან და მიიხუტა ისახარი.

ალიონზე დაეშვნენ მეორე მხარეს. თვალწინ გადაეშალათ ალჟირის ხრიოკი ზეგანი.

სამასი კილომეტრი უნდა გაევლოთ ქვიან, მზით გადამწვარ უდაბნოში.

მიდიოდნენ ნელა, ზოგავდნენ ძალ-ღონეს. რიგრიგობით მიჰქონდათ უმძიმესი და უძვირფასესი ტვირთი — წყალი. თერთმეტ საათზე შეისვენეს. ელოდნენ აგრილებას. სიარული უჭირდათ. ალიმი ცდილობდა გზადაგზა საუბარს, მაგრამ არავინ პასუხობდა. სა-

ზრდო ელეოდათ. რამდენიმე დღის შემდეგ ალიმს მოუსვენრობა დაეტყო. განუწყვეტლივ იხედებოდა აქეთ-იქით.

— რას ეძებ? — შეეკითხა კასტანედა.

— მყუდრო ბინას ღამის გასათევად, — უგუნებოდ მიუგო არაბმა და განზე გაიხედა.

მზე ჩავიდა, ერთბაშად ჩამოწვა ბინდი, თითქოს უდაბნოს შავი ზეწარი გადაეფარაო. მგზავრები ერთ ხევში დაბინავდნენ. სერვანტესმა და კასტანედამ გაანაწილეს სურსათი. ყველას ერგო შაშხის ნაჭერი, ორიოდე ნამცხვარი, რამდენიმე ყლუპი წყალი.

მთელი ღამე კოცონი ენთო. გარშემო დაძრწოდნენ მტაცებლები. მგზავრობით მოქანცულებს მალე ჩაეძინათ, სერვანტესი და გამყოლი დარჩნენ კოცონთან. მიგელი ცეცხლს უდარაჯებდა. ალიმი არ იძინებდა.

შორს, უდაბნოში, გაჰკიოდნენ ტურები. დაღლილ მიგელს ლუ ლი ეკიდებოდა.

— წადი, დაიძინე, მე ვუდარაჯებ ცეცხლს, — უთხრა ალიმმა.

— არა, არ დავღლილვარ, ძილიც არ მინდა, — მიუგო მიგელმა, შეირხა და ქექვა დაუწყო ღადარს.

„ნეტა რა განიზრახა? — ფიქრობდა და შეჰყურებდა გამყოლის ჰოუსვენარ შავ თვალებს. — ნეტა რა უნდა ჩაიდინოს? გაგვცემს და მიიღებს ჩვენი პატრონისაგან ფულს? თუ მიგვყიდის უდაბნოში ბოგანო არაბებს?“

მიგელმა გაუსინჯა ფალია მაჟაროს და მოიმარჯვა.

ნელინელ შეეპარა ძილი. მბჟუტავ ნაკვერცხლებში კრთოდნენ ნაპერწკლები და უცნაურ სახეებს ქარგავდნენ. მიგელმა მათში დაინახა ნაცნობი ფიგურები, ხომალდები, აბჯარი... აგერ ანტონიო დე სიგურამ ყიჟინით იშიშვლა ელვარე ხმალი და გააფთრებით შემოუტია. ზღვის ამთაგორებული ზვირთები ვერცხლის მტვერივით მიმოიფანტნენ გალერა „მზის“ ქიმთან. მტრის ფრეგატი[1] შემოტრიალდა განდაგან და ზარბაზნები გრიალით აფრქვევდნენ წითელ ალმურს...

შეკრთა და გაიღვიძა... ალიონის ნიავი არხევდა ალვათა კენწეროებს. ყველას ეძინა.

---

[1] ფ რ ე გ ა ტ ი — სამანძიანი სამხედრო იალქნიანი ხომალდი.

ალიმი არ იყო მათ შორის. არც კი უფიქრია ტყვეების გაცემა ან ბოგანო არაბებისათვის მათი მიყიდვა. მხოლოდ არც ერთი წუთით არ სჯეროდა სერვანტესის განზრახვის შესრულება და როცა ფული მიიღო, გაიპარა, თან წაიღო სურსათის ნაწილი და წყლით სავსე ტიკი. იმედი ჰქონდა, ტყვეები როგორმე თვით გაიგნებდნენ გზას უკან, ალჟირამდის.

მიგელმა ატეხა განგაში. ყველა ფეხზე დადგა. მიგელმა აირბინა მახლობელ გორაკზე. ამაოდ ათვალიერებდა მიდამოს. ვერაფერი შეამჩნია.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რას იგრძნობდნენ უბედურები, როცა დარწმუნდნენ, რომ უღალატეს და მიატოვეს ამ უდაბნოში უგამყოლოდ. შორეულ ორანამდის მიღწევის იმედი ზმანებასავით გაქრა.

გამყოლმა მიატოვა ისინი უგზო-უკვლოდ უდაბნოში, ალჟირიდან ექვსი დღის სავალზე. მშიერ, უიარაღო, უმწეო ტყვეებს სასო წარეკვეთათ.

ატყდა წუწუნი და ჩივილი. თითოეული ამტკიცებდა, პირველმა შევამჩნიე გამყოლის არაკეთილსაიმედობაო. უბედურებაში ჩავარდნილი ამხანაგები მზად იყვნენ ერთმანეთს წაჰკიდებოდნენ, მაგრამ საერთო უკმაყოფილება მიმართეს სერვანტესისკენ, იგი ხომ ამ საქმის ნამდვილი წამომწყები და ორგანიზატორი იყო.

უნდა გადაეწყვიტათ: წინ თუ უკან.

— წავიდეთ წინ, — თქვა დე სალტომ.

— გზა არ ვიცით! — განაცხადა ოსარიომ.

— არც უკან ვიცით გზა, ალჟირისაკენ, — მიუგო კასტანედამ.

ერთადერთი კაცი, რომელმაც ზერელედ იცოდა უდაბნოს სანაპირო ზოლი, იყო ფრანცისკო დე მენესესი. მან აუხსნა ამხანაგებს:

— თუ ჩვენ ვივლით სულ ამ მიმართულებით, ზღვის ნაპირის პარალელურად, სამ დღეში მივაღწევთ მდინარე ხელიფას. მანამდის წყალიც გვეყოფა.

გადაწყვიტეს წინსვლა...

დღისით მიდიოდნენ უგზო-უკვლოდ.

კოცონთან ათევდნენ ღამეებს.

მიდიოდნენ სულ ერთი მიმართულებით. მზე თითქოს უძრავად ეკიდა ცაზე.

როდრიგო მიათრევდა ძვირფას ტვირთს — წყლიან ტიკს.

თანდათან აკლდებოდათ წყალი, სურსათი. ჰკარგავდნენ ძალღონეს. მძაფრი სამუშაოსაგან ავარდნილი გახურებული მტვერი აძნელებდა სუნთქვას და თვალთ უბნელდებოდათ.

ერთ დღეს ძლივსღა გაიარეს რამდენიმე კილომეტრი.

უცბად სერვანტესი შეიდგა. სამხრეთის ქარი პირდაპირ სახეში სცემდა. მტვერსა და ბუღში ნამდვილი მიმართულება დაჰკარგეს და დასავლეთის ნაცვლად სამხრეთისაკენ, მატერიკის შუაგულში შეიჭრნენ. აღარ იცოდნენ სად იყვნენ, საითკენ იყო ორანი. ალალბედზე მოუხვიეს ჩრდილოეთისაკენ. მიზოზინობდნენ ცოცხალმკვდარნი.

სერვანტესი უყურებდა ისახარს, ბიჭუნას მკვდრის ფერი დასდებოდა, ძლივსღა ადგამდა ფეხებს. ბერტრან დე სალტოს მოსასხამის ნაფლეთით დაეფარა თავი და წელში გამართული ამაყად მიაბიჯებდა წინ მაღალი, გამხდარი და მშვიდი, თითქოს ტოლედოს ქუჩებში მისეირნობსო. ოსორიო ყველაზე უკან მიღოღავდა და სულ წყალს მოითხოვდა, მაგრამ როდრიგოს ტიკი დიდი ხანია გამოშრა და გაიფშიკა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია მიგელმა, თუ რა ნელა მიდიოდნენ ისინი...

ერთხელ ხევიდან გამოვიდა ქარავანი, დაადგა საქარავნო ბილიკს, აჰყვა გორაკის ფერდობს და მიეფარა. ტყვეებს შეეშინდათ და ცოტა ხნით მიმალული იყვნენ.

— ეს ბილიკი უთუოდ რომელიმე დიდ ქალაქში მიდის, — თქვა ფრანცისკომ, — მივყვეთ!

გამოედევნენ ქარავანს. იარეს შუადღემდის. თანდათან ზევით იწევდნენ. ბილიკი გზად იქცა. გზა ხევში ჩავიდა. შემოუხვია მაღალ გორას. შემდეგ ისევ დაიკარგა.

ბერტრან დე სალტო კვლავ წინ მირბოდა. ყველაზე უწინ აირბინა ალმართი მახლობელ გორაკზე და გაიხედა. გაიხედა და იქვე გაშეშდა. შემდეგ ძლივს შემობრუნდა ამხანაგებისკენ. მათ დაინახეს ბერტრანის სახე: თეთრ ნიღაბს დამსგავსებოდა. რამდენიმე ნახტომით აიჭრა სერვანტესი კლდის წვერზე...

მის თვალწინ, ზღვის პირას, თვლემდა ქალაქი ალჟირი.

დაბრუნება

დალი მამა თმებს იგლეჯდა. ზარალს ითვლიდა. ხუმრობა საქმე როდი იყო, მეფის საპყრობილიდან გაიქცნენ ყველაზე საუკეთესო მონები, თვალდახელშუა გაუჩინარდნენ. დაიკარგა ორი ათასი ოქრო!

— სად იყავ? თვალები სად გქონდა? — უღრენდა უსუპს, — გეძინა, განა? ცოცხლად დაგმარხავ, ცემით სულს ამოგართმევ. თუ ვერ გიპოვნია!

თვითონაც შეწუხებული იყო უსუპი. ძებნით ვერას გახდა. ალჟირი დიდია, მრავალი ჭიშკარი აქვს, უფრო დიდია და ვრცელი უდაბნო...

უეცრად ყველანი მორჩილად დაბრუნდნენ და ჩამოსხდნენ კუთხეში.

ტყვეებმა ორანის ნაცვლად ისევ ალჟირში ამოჰყვეს თავი. მაშ რა უნდა ექნათ?

სერვანტესმა მოაწყო ეს გაქცევა. მან წაიყვანა ამხანაგები.

იცოდა: მადლობას არ ეტყოდნენ ამ საქმისთვის, მაგრამ უნდა ჩაედინა, რასაც უკარნახებდა მოვალეობა. თამამად გამოცხადდა დალი მამასთან და განუცხადა: ყველაფრის პასუხისმგებელი ვარო. ითხოვდა, ამხანაგების ნაცვლად დაესაჯათ იგი.

„ნეტავ რას უზამენ მათ? ჯოხებით სცემენ, თუ ფეხით ჩამოჰკიდებენ? მარგილზე ჩამოაგებენ, თუ ცოცხლად ჩაფლავენ მიწაში?“ — ფიქრობდა უსუპი.

დაბრუნებულებს ძლიერ ცუდად დაუხვდნენ, მაგრამ დალი მამას გაუხარდა დაკარგული ტყვეების დაბრუნება და დიდი სიმკაცრე როდი გამოიჩინა.

როგორც მეთაურს, სერვანტესს სამასი ჯოხის დარტყმა მიუსაჯეს, რაც სიკვდილს უდრიდა. განაჩენი არ შეუსრულებიათ. ტყვეებს მისცეს უფრო მკაცრი სამუშაო, ცუდი ლოგინი და საკვები. ამით დაკმაყოფილდნენ. გაწკეპლეს მხოლოდ ისახარი. სერვანტესს ესმოდა მისი ღრიალი, მაგრამ რას გააწყობდა. სისხლში მოსვრილი და გრძნობადაკარგული შემოათრიეს ბავშვი. ღამით სერვანტესი მიფორთხდა მასთან და სისხლი მობანა.

— ნუ სტირი, ისახარ, — ჩურჩულებდა იგი, — კიდევ გავეპარებით მაგ ძაღლებს.

ამ მარცხის შემდეგ სერვანტესი უფრო გააფთრდა. მთელი ღამე ველარ იძინებდა, ახლა უფრო გაბედულ გეგმებს ადგენდა.

დანარჩენ ტყვეებს იმედი დაეკარგათ, განსაკუთრებით — კასტანედას. დღითიდღე დნებოდა ვაჟკაცი.

მოხუც მშობლებს სადღაც ეშოვნათ ფული და გამოუგზავნეს. ფეხშიშველა ფრანცისკელმა ბერმა[1] პირდაპირ ციხეში მიუტანა ოქრო. კასტანედა კინაღამ გაგიჟდა სიხარულით.

მას გაატანა სერვანტესმა წერილი დედ-მამასთან.

ყველას ეცოდებოდა მოხუცი როდრიგო სერვანტესი.

საბრალო დონ როდრიგო ცოცხალი იყო, მაგრამ სიცოცხლე მისთვის სიცოცხლე აღარ იყო. ამქვეყნად აღარაფერი ახარებდა და მარტო ერთი სურვილიღა შერჩენოდა, შეეტყო, თუ რა მოუვიდათ მის საყვარელ შვილებს. დღენიადაგ იმას ნატრობდა, მათ უნახავად არ დაეხუჭა თვალები. ორივე შვილი ალჟირის ტყვეობაში იტანჯებოდა. საცოდავი დონა ლეონორა! ნახავდა კი კვლავ თავის შვილებს?

თავზარდამცემი ამბის მიღების დღიდანვე დონ როდრიგოს გაუკრთა ძილი და მოსვენება. ცრემლები ცოლსა და ქალიშვილებს მიანება, თვითონ კი გაცხარებული მოქმედებდა.

ყველაფერი გაყიდეს, დააგირავეს. გაფაციცებით აგროვებდნენ ფულს. ორი კვირა დაძრწოდა მოხუცი ქალაქში და ეძებდა ფულს სეხსად, ვაჭრებს ეცოდებოდათ, მაგრამ ფულს ხელს უჭერდნენ. მარტო პატიოსანი სახელი ცუდი თამასუქია. ძლივს შეაგროვეს ათას ორასი რეალი.[2]

— ეს ცოტაა, ლეონორა, — უთხრა ცოლს, — ორჯერ, სამჯერ მეტია საჭირო.

ცოლი მიხვდა. სკივრში ჭაპანწყვეტით შეგროვილი ჰქონდა რვა-

---

[1] ფრანცისკელთა ორდენი დაარსდა XIII საუკუნეში წმ. ფრანცისკ ასიზელის მიერ.

[2] რ ე ა ლ ი — დაახლოებით 10 — 12 კაპ. უდრის.

ასი რეალი ქალიშვილების სამზითვოდ. იმ დროს უმზითვო ქალი სიკვდილამდის გაუთხოვარი რჩებოდა. მოხუცი იდალგო უმზერდა ცოლს. ვერ გაებედნა თქმა.

გაიღო კარები. კარაპინზე იდგა ლუიზა. ის უკვე დიდი ხანია ოცნებობდა მონაზვნად აღკვეცას.

— მამილო! წაიღე ჩემი მზითევი და გაუგზავნე ძმებს! მე არ მჭირდება! — ნაღვლიანად წარმოთქვა ლუიზამ და გულზე ხელები დაიკრიფა. ჩრდილი გადაეფარა ფერმკრთალ შუბლზე.

— ჩემიც წაიღე, მამილო... — თქვა ანდრეამ, ვეღარ დაასრულა სიტყვა და სლუკუნით მიიმალა მეორე ოთახში.

ესეც არ ქმაროდა. საჭირო იყო არა ნაკლებ სამი ათასი რეალის გაგზავნა.

დონ როდრიგომ გაყიდა სახლი, ბოსტანი, პატარა ვენახი. გაყიდა თხები, ავეჯი და ჭურჭელი. შვილების გამოხსნისთვის მთელი ოჯახი გაღატაკდა, მარტო ხახვითა და პურით იკვებებოდნენ.

დონა ლეონორა მწარედ ტიროდა, როცა ყველაფერი გაყიდეს და უკანასკნელად ჩამოჯდა გაყიდული სახლის კარაპინზე. მაგრამ ტანჯულ ცოლ-ქმარს აიმედებდა მომავალი: ორი ვაჟკაცი, როდრიგო და მიგელი, ხომ დაბრუნდებოდნენ ტყვეობიდან!

სამი კვირის შემდეგ ალჟირს ჩასულმა მურჩიელმა ვაჭრებმა სერვანტესს გადასცეს სამი ათას სამასი რეალი.

თვითონ მიგელმა მიუტანა ფული კოჭლს.

დალი მამამ აუჩქარებლად დაითვალა ფული, შეაჩერდა ტყვეს.

— ეს ძმისთვის, — წარმოთქვა მძიმედ. — შენი სადღაა?

— აქ ორივეს გამოსასყიდია... — გაფითრდა მიგელი.

— ცუდად ანგარიშობ, — გადააქნია თავი კოჭლმა და ჩაიცინა. — მარტო შენთვის ორჯერ მეტია საჭირო.

— როგორ, სამასი ოქრო არ ქმარა ორისთვის? — წამოიძახა სერვანტესმა და მისდა უნებურად მიუახლოვდა კოჭლს.

— ცალხელავ, დამცინი განა? — დაიყვირა დალი მამამ. — თუ სულელი გგონივარ? განა ამაოდ დავთარეშობდი ზღვაზე თოთხმეტი წელი და ვარბევდი ხომალდებს, რომ არ ვიცოდე ადამიანებისა და ცხენების ყადრი? ჯერ არც ერთხელ არ მოვტყუებულვარ ტყვეთა შეფასებაში. იქნებ ვეღარ ვხედავ, თუ როგორ არწივივით დაბრძანდები მონებს შორის, როგორ გისმენენ მოხუცები, როგორ

ეშინიათ შენი თვით ბერებს, ესპანელ ბერებს, რომელთაც ეშმაკიც ვერ აშინებს. გინდა დაგიჯერო, თითქოს ჰერცოგი დე სასი და დონ ხუან ავსტრიელი უბრალო ჯარისკაცს მოგცემდნენ საიდუმლო წერილებს? გინდა გაგათავისუფლო რაღაც ერთი მუჭა ოქროსთვის უბრალო კალაბრიელ მეზღვაურთან ერთად? ვერ მოესწრები, ცალხელავ!

— კარგი ვაჭარი ხარ, დალი მამავ, — ყრუდ მიუგო სერვანტესმა, — მაგრამ ანგარიში გეშლება. ან დავლპები ბორკილებში ანდა გავიპარები! ეს კარგად იცოდე, გა-გე-პა-რე-ბი!

— ასე ამბობდა ყველა, მაგრამ მოტყუვდა. — ჩაიცინა კოჭლმა. — ყველანი ღატაკებად ასაღებთ თავს. ვინც სამასი მოიტანა, ხუთასსაც მშვენივრად იშოვნის!

აიღო ჩიბუხი, უდარდელად გააბოლა, შეხედა მიგელს და შეკრთა. საშინელი შესახედავი იყო ცალხელა: საცოდავი, ფეხშიშველა, ჩამოღლეტილი. პირქუშად უახლოვდებოდა კოჭლს, კუნთები დაძაბოდა გამხდარ ხელებზე. თვით უმწეოდ ჩამოკიდებული ხელიც კი უთრთოდა.

— ჩემმა ღატაკმა ოჯახმა, — თქვა ტყვემ, — ყველაფერი გაყიდა და ახლა უსახლკაროდაა დარჩენილი. მეტს ვეღარაფერს მიიღებ, ხოლო ბევრს კი დაჰკარგავ!

დალი მამამ სასწრაფოდ გამოიძახა მსახური არაბი.

— წადი, წადი, ცალხელავ, — შემარიგებლად თქვა კოჭლმა, — ყაზიმ, გააცილე.

როცა მიგელის ფეხის ხმა მიწყდა, დალი მამამ ამოისუნთქა.

— ყაზიმ, დაუძახე უსუპს!

— გესმის, უსუპ, ეს ცალხელა ესპანელი თავზეხელაღებული ვინმეა... ფრიად საშიში ტყვეა... გაუკეთე ბორკილები...

— ბატონი ბრძანდებით, — თავი დაუხარა უსუპმა.

— და თვალყური ადევნე, — მიაძახა დალი მამამ, — ფეხი არ გადგას კედელს იქით, კრინტი არავისთან დაძრას...

ახალი გეგმა

უბრალო, მაგრამ გაბედული იყო ეს გეგმა.

ყველაფერი გათვალისწინებული, ზედმიწევნით გამოანგარიშებული.

ერთი ღამე... ორი ღამე, ათი ღამე... და ჯაჭვი გახერხილია. ჩუმად აბიჯებენ შიშველი ფეხები მაღალ კედელზე ახოხებისას. მაგრად სძინავთ გუშაგებს. საღამოს იგემეს აკრძალული ქრისტიანული ღვინის ჭაშნიკი.

სერვანტესი დახეტიალობდა ღამღამობით: ეძებდა შესაფერ ადგილს, დადიოდა ნაპირზე, მივარდნილ კუთხეებში, შეჩერდებოდა, აქეთ-იქით იხედებოდა, ანგარიშობდა, ყურს უგდებდა.

მთელი რიგი პირობა იყო საჭირო გეგმისთვის. ზღვის უშუალო სიახლოვე, გაბცალკევებული ადგილი, რომელიმე ძველი, თუნდ დანგრეული შენობა ათი-თხუთმეტი კაცისთვის დროებით თავშესაფარად...

ალჟირიდან შვიდი ვერსის მანძილზე მდებარეობდა დიდი ბაღი. ჩვეულებრივი ხეტიალის დროს სერვანტესმა ბაღის ფერდობზე აღმოაჩინა ბუჩქებში მიმალული მღვიმე, რომელიც სწორედ მისი გეგმისთვის იყო ზედგამოჭრილი. თითქოს ვიღაცას განზრახ შეერჩია. მღვიმიდან ჩანდა ზღვის ცარიელი ნაპირი. არც ერთი მეთევზის ნავი არ ჭაჭანებდა ახლოს. მღვიმეში, გაფართოების შემდეგ, ადვილად მოთავსდებოდა რამდენიმე კაცი...

მიგელმა დაიმახსოვრა ეს ადგილი.

ხუან მორერო, ნავარელი მოხუცი მონა, სისხამ დილით დგებოდა და მთელი დღე მუშაობდა. პატრონმა, ყადი ჰუსეინმა ბევრი საქმე დააკალა: გაეწმინდა ყველა გზა, დაეკვალა ყვავილნარი, დაერგო ყვავილები ძველ, უკვე ეკალ-მაყვლით დაბურდულ ბაღში, ზღვის პირას.

ამ დილით მოხუცი ხუთი საათიდან მუშაობდა. უცბად ვიღაცამ დაუძახა. ხუანმა აიხედა, ერთი გამხდარი კაცი უახლოვდებოდა. დაგლეჯილი მოსასხამი ეხურა, გვერდზე ეკიდა მარცხენა ხელი. ხუანი შეშინდა.

— ნუ გეშინია, მეგობარო, — მიაძახა კაცმა. — სჯობს წყალი მიაწოდო საწყალ მგზავრს.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა ხუანმა.

— სერვანტეს საავედრა, ისეთივე კეთილი ესპანელი და ისეთივე უბედური მონა, როგორიც შენა ხარ. ნება მომეცი, დავისვენო ამ ბაღში და ყველაფერს გეტყვი!

ხუანმა წყალი მოიტანა.

მიგელი ჩამოჯდა ქვაზე და მოუთხრო თავისი თავგადასავალი. მოხუცმაც გააცნო მოკლე ისტორია.

თვრამეტი წელი გაატარა ტყვეობაში, შეიძლება მეტიც. აღარ ახსოვდა. შინ, ნავარაში,დარჩა ცოლი და ოთხი ბავშვი. არ იცის, ცოცხლები არიან თუ არა. პირველმა პატრონმა, პირატმა, ვაჭარ ებრაელს მიჰყიდა, ვაჭარმა — მოსამართლე ჰუსეინს, ახლანდელ პატრონს. ახლა მებაღეა. ეს მისი ხელობაა. შინ, ნავარაში, მებაღე იყო.

— შინ, ნავარაში... — შეაწყვეტინა თავის თავს ხუანმა და ჩაფიქრდა.

— თვრამეტი წელი, — გაიმეორა მიგელმა, — და არც ერთხელ არ გიცდია გაპარვა?

— როგორ არა, ოთხჯერ.

უჩვენა წაჭრილი თითები მარცხენა ხელზე, დაღი — შუბლსა და ლოყებზე, ნაცემი ზოლები — ზურგზე.

— გამიგონე, მოხუცო, — გადაჭრით უთხრა სერვანტესმა უცბად, — გეგმა მაქვს, სწორი გეგმა, შეუმცდარი, როგორც ჭადრაკი. გინდა თუ არა დაგვეხმარო?

გააცნო მებაღეს ყველაფერი: გამოგზავნილი ფულით გამოისყიდიან ძმას, როდრიგოს. იგი გაემგზავრება ორი თვის შემდეგ. მასთან ერთად მიდის ვიანა, მეორე გამოსყიდული ტყვე — გამოცდილი მეზღვაური და ერთგული კაცი. როდრიგო დატრიალდება, იშოვის ხომალდს ბარსელონასა ანდა ვალენსიაში, ისესხებს ვაჭრებისგან ფულს, თუ საჭირო იქნება, და ვიანასთან ერთად დაბრუნდება ალჟირში. მათ იციან ენა, იქაური პირობები.

— ალჟირელებს იქაური მეთევზენი, ანდა მეკობრეები ეგონებათ. დაპირებულ ადგილზე, ნაპირას, მათ დაელოდება ტყვეების მთელი პარტია, თხუთმეტ კაცამდის. ალიაქოთი რომ არ ატყდეს, სერვანტესი ამ ორ-სამ თვეში თითო-ოროლად გადმოიყვანს მათ ციხიდან იდუმალ ადგილს. აქ დაუცდიან ხომალდს.

— ჩვენ შესაფერი ადგილი გვჭირია, — დააშთავრა სერვანტესმა, — ისიც აქ არის, შენს ბაღში.

— აბა სად? — სწრაფად იკითხა ხუანმა.

— მღვიმე გორაკის ფერდობზე.

— აა, მაგრამ იგი ვიწროა, უნდა გავაფართოოთ.

— ამას კი...

— ...მე უნდა მოვკიდო ხელი, — დააშთავრა მოხუცმა. — ეს ჩემზე იყოს.

ამ დღიდან ხუანი დილიდან საღამომდის მუშაობდა ბაღში. მღვიმე დღითიდღე ფართოვდებოდა.

„ერთხელ კიდევ ვცდი ბედს სიკვდილის წინ, — ფიქრობდა მოხუცი, — იქნებ მართლაც არ დავვიწყებივარ შვილებს და მამის დაბრუნებას ელიან“.

დალი მამამ დაკარგა ძილი. რაღაც უხილავმა სენმა მუსრი გაავლო მის მონებს. ქრებოდნენ ჩუმად, გაუგებრად, ყოველღამ იკარგებოდნენ უგზო-უკვლოდ. არაფერმა უშველა, არც გაჯოხვამ არც დაკითხვამ. არავინ არაფერი იცოდა. იკარგებოდნენ რჩეულნი ყველაზე ძვირფასიანები.

დალი მამა ვეფხვივით დარბოდა გაფენილ ხალიჩაზე და გააფთრებით ანგარიშობდა ზარალს:

ხუან რამირესი — ორასი ოქრო.

ლუის კახიდა — ოთხასი.

დომინგო დე ტორესი — ასი.

ლუის დე გარსია — სამასი.

თომას მერკადო — ასი.

ათასზე მეტი ოქრო დაიკარგა სადღაც.

სიკვდილის პირად მიაყენა ორი დარაჯი. დამნაშავენი მაინც ვერ იპოვნა. ერთში დარწმუნდა: გოროზი სერვანტესი, ცალხელა მეამბოხე, წინანდელი გაქცევის მეთაური ამჟამად არაფერ შუაში იყო. მან, ალბათ, მიატოვა უაზრო ცდები და მტრედივით წყნარი შეიქნა. გამხიარულდა კიდეც. ხუმრობდა დარაჯებთან, სწავლობდა ერთძალიან გიტარაზე დაკვრას. მუდამ რაღაცას მღეროდა. დღისით ბევრი ეძინა...

„ეს კი კარგი ნიშანია, — ფიქრობდა კოჭლი, — ძილი ადამიანს ამშვიდებს“.

კოჭლი კმაყოფილი იყო სერვანტესისა. ნება დართო აეხსნათ ბორკილი და ხანდახან დღისით გაეშვათ ციხიდან. სერვანტესსაც ეს უნდოდა. თვალთმაქცობის პოლიტიკა მეტად ბრძნული აღმოჩნდა, გარეთ გასეირნება კი მისწრება იყო მისთვის. ამხანაგებს მღვიმეში სურსათ-სანოვაგე სჭირდებოდა. მიგელს მიჰქონდა ყველაფერი, რასაც კი გადაარჩენდა თავის ღარიბ ულუფას.

მონის გამოსყიდვას თან ახლდა დაუსრულებელი ფორმალობა. როდრიგოს წასვლამდის კიდევ დარჩა თვენახევარი. ამ ხნის მანძილზე მიგელს მღვიმეში უნდა გადაეყვანა დანარჩენი ტყვეები, მოემარაგებინა სურსათი და თვითონაც ჩამჯდარიყო ხომალდის მოლოდინში.

სერვანტესი სარგებლობდა თავისუფლებით. დაეხეტებოდა ქუჩებში. ათვალიერებდა ამ უცნაურ, მარადჟამს მშფოთვარე ქალაქს. სწავლობდა იქაურ ზნე-ჩვეულებას, ეცნობოდა ალჟირელთა ყოფა-ცხოვრებას.

მეკობრენი მუდამ მზად იყვნენ აჯანყებისთვის თურქთა ფაშის წინააღმდეგ. არაბები ვერ იტანდნენ იანიჩართა თავგასულობას. ევროპელი მონები კბილებს ილესავდნენ მეკობრეების, არაბებისა და თურქების წინააღმდეგ. ისინი ყველაზე ჩაგრული მონები იყვნენ ამ ძაღლთაპირების ბუნაგში. მათი შრომით იდგა ფეხზე ქალაქი. გაბმული იყვნენ ურმებში, დაჰქონდათ წყალი, უვლიდნენ ბავშვებს, აშენებდნენ კედლებს, თხრიდნენ არხებს, დაჰყავდათ ხომალდები. ამ ქალაქის სიმდიდრე და დოვლათი მათ მხრებზე იყო დაყრდნობილი. ოცი ათასამდე იყვნენ აქ ფრანგები, ესპანელები, იტალიელნი, ბერძნები.

„ოცი ათასი! — ფიქრობდა სერვანტესი. — მთელი მოსახლეობის მეოთხედი! რომ შეიძლებოდეს მათი დარაზმვა, შემჭიდროება, შეიარაღება!“

ერთ დღეს ნავსადგურში დიდი ჟრიამული იდგა.

უამრავი ხალხი აწყდებოდა ნაპირს.

— ჰალიმა, ჰალიმა![1] — გაჰყვიროდა ხალხი და ხელს იშვერდა

---

[1] ჰალიმა — ზღვის ხადაკლი.

ზღვისკენ. მეკობრეთა რამდენიმე გალერა შემოდიოდა ნავსადგურში. ერთ მათგანს ბუქსირზე აეყვანა დამსხვრეული ესპანური ხომალდი. დროშები და ალამი წყალში მოსთრევდა — დამცირების სიმბოლო დატყვევებული ხომალდისთვის.

უწინარეს ყოვლისა, მეკობრეებმა აიღეს ყველა ნიჩაბი და ნაპირზე საწყობში ჩაკეტეს. შემდეგ შეუდგნენ ტყვეების გადმოსხმას.

ხალხმა ატეხა ღრიანცელი.

— დიდი ნადავლი, კარგი ნადავლი! — ყვიროდნენ ქალები. — ჩვენს ბავშვებს ექნებათ პური და თაფლი, გვექნება ოქროს საყურეები და სამაჯურები, გვეყოლება მოსამსახურენი! დიდ არს ალაჰი! ჩვენს ქმრებს კარგი ნადავლი მოაქვთ! დიდ არს ალაჰი!

— ას ოცი... ას სამოცდაათი, ორას ოცდაათი... — ითვლიდა ხალხი.

ორას ოთხმოცი კაცი! მართლაც არნახული ნადავლი იყო. ტყვეები დაანაწილეს ჯგუფად. სერვანტესი გაჰყვა ერთ-ერთ ჯგუფს, ათვალიერებდა ტყვეებს. განაპირას მიაბიჯებდა ჭაღარაწვერიანი ხნიერი კაცი. მისი სახე თითქოს ნაცნობი იყო სერვანტესისთვის. მოხუცი ცნობისმოყვარე ცოცხალი თვალებით, გაკვირვებით, მაგრამ უშიშრად ათვალიერებდა გარემოს. ხშირად შეჩერდებოდა.

ზედამხედველმა გადაუჭირა შოლტი მხრებზე.

ტყვე შეკრთა და ნაბიჯს აუჩქარა.

მას კოჭლობით მოსდევდა ღიპიანი ბერი.

— დონ ანტონიო! დონ ანტონიო! დაიცადეთ, მეშინია ჩამოგრჩე. ნუ იჩქარით, დონ ანტონიო!

— წინათ, როცა თავისუფალნი ვიყავით, ასე არ ცდილობდი ჩემს ახლო ყოფნას, მამაო სიმონიო, — ოდნავ დამცინავი ღიმილით უპასუხა დონ ანტონიომ. — წინათ სულ სხვაგვარად უსტვენდი.

— ეს მე არ ვყოფილვარ, მამა ბლანკო იყო, — საცოდავად თქვა სქელმა ბერმა, — აწი აღარ მოგცილდებით, დონ ანტონიო! როცა ესპანეთში გაიგებენ, დოქტორი ანტონიო სოზა ტყვეობაშიაო, მრავალრიცხოვანი მეგობრები შეაგროვებენ ფულს და გამოგისყიდიან. იქნებ მაშინ მეც, მორჩილ ბერს, წილად მხვდეს ბედნიერება და თქვენთან ერთად დავბრუნდე სამშობლოში...

დოქტორი ანტონიო სოზა! სერვანტესს მადრიდში არა ერთხელ სმენია მისი სახელი და ერთხელ თვალიც კი მოჰკრა ქუჩაში.

დოქტორი სოზა ბედავდა ეკლესიის ავტორიტეტის წინააღმდეგ გამოსვლას და მეცნიერებაში ახალ იდეათა დაცვას. მადრიდში ყველას უკვირდა, თუ რა ყოჩაღად აღწევდა თავს იგი ინკვიზიციის ბრძყალებს.

— ეს მე არ ჩამიდენია! მამა ბლანკომ დაგწამათ ცილი, — განაგრძობდა სქელი ბერი, — ამიერიდან არასოდეს არ დავუჯერებ მას. აი ისიც, სენიორ! ბლანკო დე ლა პასი ჩვენთან ერთადაა ჯგუფში. ხედავთ? აგერ, უკანასკნელ მწკრივში...

უკანასკნელ მწკრივში მიაბიჯებდა მაღალი და მკერდი, მომწვანო, ულაზათო სახის ბერი, კრიალოსანს მარცვლავდა გულმოდგინედ. თვალნი ზეცად აღეპყრო და განუწყვეტლად აცმაცუნებდა ფერმკრთალ ტუჩებს, ალბათ, ლოცულობდა. მარცხენა თვალზე უპე ჩამოშვებოდა. მიხაკისფერი ანაფორითა და ფარისევლური გამომეტყველებით სერვანტესმა მასში გამოიცნო დომინიკელი.

„ღვთის ერთგულ ქოფაკებს“ უწოდებდნენ ისინი თავის თავს.[1] „ცოფიანი ძაღლები“, — მძულვარებით ამბობდა მათზე ხალხი. ყველგან ძაღლური ყნოსვით მიაგნებდნენ ერეტიკოსების კვალს და შემდეგ ყრიდნენ კათოლიკური ეკლესიის კლანჭებში. მათი ორდენის გერბზე გამოხატული იყო ქოფაკი პირში ცეცხლწაკიდებული ჯოხით...

სერვანტესს ძლიერ სურდა დოქტორ სოზასთან საუბარი, მაგრამ ამჟამად ვერ მოახერხა. ორი დღე დარბოდა ქალაქში და კითხულობდა, თუ ვინ იყიდა სოზა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ორი კვირის შემდეგ, ბაზარში გავლისას, დაინახა გასაყიდი ტყვეები.

აქ საჭონელივით ეპყრობოდნენ ადამიანებს. სინჯავდნენ მუშა პირუტყვივით. ექვსი იტალიელი გაყიდეს ოც-ოც ოქროდ. არაბებმა იქვე შეაბეს ურემში ხარების ნაცვლად და გარეკეს. ოთხი ესპანელი იყიდეს გალერაზე მენიჩბეებად, ორიც თურქმა იყიდა ცხენის მომვლელად.

უცბად სერვანტესმა დაინახა ის ბერი, რომელიც ახლდა დონ ანტონიოს, მოახერხა და გამოჰკითხა ზედამხედველს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ტყვეები.

[1] დომინიკელებს ლათინურად ეწოდებათ dominicanes, რაც იკითხება როგორც „ღვთის ქოფაკები“. დომინიკელთა ორდენი დააარსა დომინიკე დე ჰუსმანმა (1170 — 1201), რომელიც შემდეგ კათოლიკურმა ეკლესიამ წმიდანთა შორის ჩარიცხა.

— ალი კაურს, ტლემსენელ მამაც პირატს, — მიუგო ზედამხედველმა.

ალი კაური ცნობილი იყო ალჟირში. სერვანტესი იმავე დღეს გაემართა მისკენ. ალი კაურის დიდ ეზოში ჟრიამული იდგა, ერთად შეეგროვებინათ მრავალი ტყვე. აქვე იყო სისმონიოც. მისი გაყიდვა ჯერ ვერ მოესწროთ. აყლაყუდა ბლანკო არსად ჩანდა, აგრეთვე არც დოქტორი სოზა.

— სად არის ტყვე ანტონიო სოზა? — ჰკითხა სერვანტესმა დარაჯს და ხელში ჩაუდვა ორი ასპრი.

დარაჯმა გაიყვანა უკანა ეზოში.

— აი! — გულგრილად მიუთითა სარდაფზე, რომელსაც ვიწრო სარკმელი ჰქონდა.

— დონ ანტონიო! — ჩასძახა სერვანტესმა სარკმლიდან. — დონ ანტონიო!

— ვინ მეძახის? — მოისმა მიკნავებული ხმა.

— ეს მე ვარ, აქაური მონა, ესპანელი სერვანტეს საავედრა! რად ჩაგსვეს ამ ხაროში? რას გერჩოდნენ?

— მე მგონია, კარდინალად ანდა ესპანეთის დედოფლის მთავარ მრჩევლად მიმიღეს, — უპასუხა სოზამ. — ჩემს სასყიდლად ორი ათასი ოქრო დააწესეს. ეს იმას ნიშნავს, სიკვდილამდის ამ ხაროში უნდა დავრჩე.

სერვანტესმა შეიჭვრიტა სარკმელში. ბნელში გააჩნია სოზას ფერმკრთალი სახე, შებორკილი ხელ-ფეხი, რკინის ჯაჭვი ყელზე.

— დოქტორ სოზა, — ჩურჩულით ჩასძახა მას, — მე და ჩემს ამხანაგებს გვაქვს გაქცევის გეგმა. წამოდით ჩვენთან ერთად!

სოზამ წყნარად აჩვენა ჯაჭვები, დასიებული ფეხები, ჭაღარა წვერები, აცახცახებული ხელები.

— მე დაგეხმარებით! — უთხრა სერვანტესმა. — ყველანი დაგეხმარებით!

სოზა ჩაჩუმდა. შემდეგ, თითქოს გამოერკვაო, თავი აიღო.

— ჩემთვის არაა საჭირო გაქცევა! — სწრაფად წამოიძახა მან. — როგორც კი შევდგამ ფეხს ესპანეთის მიწა-წყალზე, მაშინვე გამთოკავენ. უარეს ორმოში ჩამაგდებენ. ხომ დაინახე ტყვეებში ის ბერი? იგი ინკვიზიციის ჯაშუშია. უკვე მზადაა ჩემს დასასმენად. როგორც კი შევალთ პალოსის ნავსადგურში, წამსვე შემიპყრობენ

ინკვიზიციის მსახურნი. ჩემი შეხედულებები ფრიად ეწინააღმდეგება კათოლიკური ეკლესიის დოგმატებს[1]... იქნებ ბედნიერებაც იყოს, პირატებმა რომ ხელთ იგდეს ჩვენი ხომალდი... აქაური ჯურღმული და ლუკმაპური არაბის ბავშვთა ხელიდან უკეთესია, ვიდრე კოცონი და რკინის საყელური სამშობლოში.

— ნუთუ ესპანეთში არაფერი შეიცვალა? — წყნარად იკითხა მიგელმა.

— ესპანეთი ერთი უზარმაზარი საპყრობილეა, — ჩაიქნია ხელი სოზამ. — არა, უმჯობესია დამტოვო ჩემს ორმოში! ხოლო თუ დაგჭირდეთ შენ და შენს ამხანაგებს გამოცდილი ადამიანის ფრთხილი რჩევა-დარიგება, მოდით ჩემთან. ყოველთვის დაგეხმარებით!

აღელვებული და შეწუხებული გაბრუნდა სერვანტესი.

ეჩქარებოდა. მღვიმეში ტყვეებთან მიჰქონდა ორი ახალგამომცხვარი პური, ლიტრით ერბო და ერთი კონა ხახვი. ბნელდებოდა. ერთ-ერთ მრუდე შუკაში თვალი მოჰკრა ახმახ დომინიკელ ბლანკოს. ვეღარ მოითმინა.

— როგორ მოახერხე გამოსასყიდის ასე მალე შოვნა, ჩემო მამაო? — ცივად შეეკითხა ბერს.

ბლანკო შეაჩერდა უფერული თვალებით.

— მე ვერ გიცნობ, ტყვევ, — უხამსად მიუგო მან.

— მე კი კარგად გიცნობ, მამაო! — დაცინვით შესძახა მიგელმა. — შენ ბლანკო დე ლა პასს გეძახიან. დოქტორ სოზას ჩამოჰყევი ესპანურ ხომალდ „სან პაბლოთი“. შემიძლია გაგეცნოთ კიდეც: მე გახლავარ მიგელ სერვანტესი! ჯაშუში ხარ განა?

ბლანკომ გულგრილად გამოიხედა და შებრუნდა. მაგრამ როცა სერვანტესი ჩამოშორდა, დიდხანს უთვალთვალებდა მას გველივით კისერწაგრძელებული.

პირატთა შურისძიება

ტყვეები ღელავდნენ. უკვე ორი თვე ისხდნენ სიბნელესა და სინესტეში. მხოლოდ ღამით ბედავდნენ კარში გამოსვლას. როდრიგოს გამგზავრება კი ყოველდღე ფერხდებოდა. სერვანტესის გასვლაც ქალაქგარეთ გაძნელდა.

[1] დ ო გ მ ა ტ ი — უცილობლად მიჩნეული დებულება.

ქალაქი დრტვინავდა. იანიჩართა ბრბო დაძრწოდა ქუჩებში, ეზოდან ეზოში, ატრიალებდა მრუდე დანებს და წყევლიდა ქრისტიანებს. ალჟირამდის მოაღწია ხმებმა: ვალენსიაში ერთ-ერთ აუტოდაფეზე ესპანელებმა დასწვეს ახმეტი, მართლმორწმუნე მუსლიმანი და ქრისტიანთა დაუძინებელი მტერიო. თავისუფალ პირატთა ტომი აღშფოთდა. მთელი ღამეები დაძრწოდნენ ეზოებში, ათვალიერებდნენ საპყრობილეებს, ჩხრეკდნენ ყველა კუთხეს, ეძებდნენ მსხვერპლს — ქრისტიანს, მაგრამ არა უბრალოს, არამედ ისეთს, რომლის ცეცხლზე დაწვაც ღირდა ახმეტის სანაცვლოდ.

ქალაქის ჭიშკრებიდან არც დღისით, არც ღამით აღარ უშვებდნენ არც ერთ ქრისტიანს. მღვიმეში შეხიზნულ ტყვეებს შიმშილით სიკვდილი მოელოდათ. როდრიგომ დაიხსნა სერვანტესი. მან აღმოაჩინა ევროპიდან გამოქცეული გამაჰმადიანებული ფლორენციელი, რომელიც იდუმალ ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე. რამდენჯერმე გამოეცვალა სარწმუნოება ტუნისში.

პროფესიით მეზარნიშე იყო. ამიტომ დორადორს[1] ეძახდნენ. დორადორი სიხარულით დათანხმდა დახმარებოდა ტყვეებს. იმედი ჰქონდა, ამ დახმარებისათვის სამშობლოში აპატიებდნენ სარწმუნოების გამოცვლას. ასეთი ადამიანი დიდი განძი იყო სერვანტესისთვის. მუსლიმან დორადორს გზა ყველგან ხსნილი ჰქონდა.

მღვიმესთან კავშირი განახლდა...

პირატები გაცოფდნენ: იპოვეს მსხვერპლი — ესპანელი მღვდელი მიგელ არანდა, ჩააგდეს ორმოში, დანიშნეს დასჯის დღე.

ნავსადგურში დილიდანვე დაამზადეს შეშის მთელი მთა, მიწაში ჩაასვეს ყველაზე მძიმე ღუზა. უბედურ არანდას წაუსვეს კუპრი, ამოგანგლეს ბურტყლში, დიდხანს ათრიეს ქუჩებში. ნაშუადღევს ცოცხალმკვდარი, გულშეღონებული მიათრიეს ნავსაყუდში.

მიგელი, როდრიგო და სხვა მრავალი ტყვე შორიდან უყურებდნენ ამ ამბავს. ანტონიო სოზაც კი გამოუშვეს და აყურებინეს, თუ როგორ წვავდნენ ქრისტიანს.

არანდას წელსა და მკერდზე შემოუჭირეს დაჟანგული ჯაჭვი და მიაკრეს მიწაში ჩასობილ ღუზაზე. იანიჩართა რაზმის უფროსმა — ოდაბაშმა მისცა ნიშანი. მდუმარე ბრბო მორჩილად გაიყო

---

[1] დ ო რ ა დ ო რ ი — ესპანურად მეზარნიშეს, მევარაყეს ნიშნავს.

შუაზე და მაღალი არაბი, დამწვარი პირატის ძმა, გამოვიდა წინ. დაიხარა და მოზრდილმა ქვამ სტვენით გააპო ჰაერი...

ღუზაზე მიკრულს სეტყვასავით დაუშინეს ქვები...

არანდამ ჩაქინდრა გასისხლიანებული თავი, მაგრამ ისევ ფეხზე იდგა, ჯაჭვი აკავებდა. ხალხი გახელდა, ქვის სროლა გახშირდა.

— ჰარალა! ჰარალა! — გაჰკიოდნენ მუსულმანები. — ისინი ცეცხლზე წვავენ ჩვენს ძმებს, შვილებს! შური ვიძიოთ მათთვის! ჰარალა![1]

თვითონ მოლამ წაუკიდა ცეცხლი არანდას გარშემო შეშას. ალმა იფეთქა. მოედვა სახეზე.

არანდამ ააცმაცუნა ტუჩები, თითქოს რაღაცა უნდა თქვასო, მაგრამ სქელმა ბოლმა შთანთქა იგი. რამდენიმე წუთს მოისმოდა მხოლოდ ცეცხლის შუშხუნი და ბრბოს ყრუ დრტვინვა.

სერვანტესმა ხელები აიფარა თვალებზე. უნდოდა დაეხშო მეხსიერების მოფელილი კარები, მაგრამ მაინც გაიღო იგი და შემოეჯარა კალმით აუწერელ და ენით გამოუთქმელ მოგონებათა ლაშქარი.

ჯერ კიდევ რვა წლის ბავშვი, მამასთან ერთად დაესწრო ერეტიკოსთა დასჯას ტოლედოში. წელთა მანძილზე ეს სურათი გადაავიწყდა, მაგრამ ახლა ისევ ცხადად დაუდგა თვალწინ. დაბარბაცდა და თვალი გაახილა...

არანდა ეგდო ნახშირადქცეული.

აგვისტო იყო.

ზღვა აღარ ღელავდა.

როდრიგოს წასვლის დღეც დადგა.

პირატებს სხვა საქმეები გაუჩნდათ, მთელი ალჟირი გაიტაცა ახალი ფაშის ჩამოსვლამ. ფაშა იცვლებოდა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. მას აგზავნიდა თურქეთის სულთანი.

მუსიკითა და ყიჟინით, იანიჩართა აღლუმით შეეგებნენ ახალ ფაშას, ფორტებმა და სანაპირო დაცვის ხომალდებმა ააგრიალეს ყველა ორმოცდაათი ზარბაზანი, როცა ფაშამ ფეხი შედგა სასახლეში. ქარაფშუტა ალჟირელებს უკვე დავიწყებოდათ ძველი მმარ-

---

[1] ჰარალა — შურისძიება.

თველების სისასტიკე, ახლისაგან მოელოდნენ შეღავათსა და შეწყალებას. მოტყუვდნენ: ახალი ფაშა ათ ძველ ფაშას უდრიდა. ამ იტალიელ რენეგატს ოდესღაც ანდრეტა ერქვა, ახლა კი ჰასან-ვენეციანოს უწოდებდნენ. ეს იყო იმ საუკუნის ყველაზე უსაშინელესი აღამიანი.

დადიოდა ხმები: ჰასან ფაშას ძლიერი მფარველი ჰყავს სულთნის სასახლეში და საწინდრად სულთანთან სამასი ათასი ოქრო შეიტანაო, ახლა პროცენტებით სურდა აენაზღაურებინა დანაკლისი და დაიწყო ფარფაში ალჟირში. არნახული და გაუგონარი გადასახადით დაბეგრა მოსახლეობა, მეშვიდედის ნაცვლად პირატებისგან მოითხოვა ნადავლის მეხუთედი. ისაკუთრებდა საუკეთესო ხომალდებს, ყიდულობდა ყველაზე ხელსაყრელ ტყვეებს. აორკეცებდა მათ გამოსასყიდ თანხას. ხელთ იგდო მთელი მარცვლეული. აცხობდა და ყიდდა პურს, აგროვებდა ვერცხლის ხურდა ფულს და ევროპელი მონების დახმარებით ადნობდა მას. აჩანაგებდა ბაზარში საქონელს, თაფლს, ბრინჯს, ზეთს, ლეღვის ჩირს. იანიჩრებს სამოწყალოდ უნარჩუნებდა მხოლოდ ხახვსა და კომბოსტოს. არაბ მოსახლეობას აიძულებდა ბეგარა ეხადათ ნატურით, შემდეგ კი მათსავე პროდუქტებს გაათკეცებული ფასებით ჰყიდდა ისევ მათზე.

ხალხი აკვნესდა.

პირატები აღელდნენ. მიაყარეს საჩივრები სტამბოლში სულთანს, მაგრამ იგი თითქოს ყრუ იყო.

ჰასან-ფაშა ალჟირის ღმერთი გახდა.

ვაი იმ ტყვეს, რომელიც გაბედავდა გაქცევას. შემოიღეს ახალი წესი, მოფიქრებული წამება. ფაშას განსაკუთრებული გემოვნება ჰქონდა ამ საქმეში. ის იყო ავხორცული, მეთოდური სიმკაცრის განსახიერება. აბა, რა გასართობი იყო ჩვეულებრივი სასჯელი: ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა ან ცეცხლში დაწვა. გამოიგონა მარგილზე ჩამოგების ზედმიწევნით გაფაქიზებული პროცედურა. როცა დამნაშავეს სიგრძეზე გაურჭობდნენ წვეტიან სარს, ფაშა ენაძლევებოდა თავის ამფსონებს, თუ რომელ ადგილას ამოჰყოფდა თავს მარგილი: თვალში, ხახაში თუ ლოყაზე.

ჰასან-ფაშა თავზარს სცემდა პოლიციას, აამხედრა ვაჭრები. მთელ ჩრდილო აფრიკაში სძულდათ იგი, მაგრამ იმავე დროს პატივსაც სცემდნენ უსაზღვრო მამაცობისათვის, რითაც ისევე იყო სახელ-

განთქმული, როგორც სიმხეცით. მისი განკარგულებით ყველგან შემოიღეს მკაცრ სასჯელთა სისტემა. დამნაშავეთ სწვავდნენ კოცონზე, აკრავდნენ ურმის ბორბალზე, ხელ-ფეხშეკრულთ ახრჩობდნენ ტბაში, ჭრიდნენ ოთხად, გლეჯდნენ ნაკუწ-ნაკუწებად, აბამდნენ ცხენის კუდზე.

ასეთი იყო ის კაცი, რომლის წინააღმდეგ გაბედა ბრძოლა ცალხელა მონამ — მიგელ სერვანტესმა.

იმ დღეს, ლეპანტოს ბრძოლის წინ, იგი ციებ-ცხელებამ დასცა ძირს მარტოოდენ კვიპროსის სიმხეცეთა ცნობის გამო. ახლა კი ყოველდღიურად საკუთარი თვალით ხედავდა ასეთ საშინელებას.

მკაცრ დროში თვითონაც მკაცრად ეპყრობოდა თავს, მაგრამ მიგელი, გრძნობისა და ფანტაზიის ამყოლი ადამიანი, გრძნობდა და განიცდიდა სხვის უბედურებას. საშინელებათა დანახვა უკვე ვეღარ ახდენდა მასზე წინანდელ გავლენას. სალი კლდე ჩაიდო გულის ნაცვლად მკერდში. სურდა გაპარვა, რაც შეიძლება მეტი ამხანაგის ეანთავისუფლება და იქ, ქრისტიანულ სამყაროში ხალხის დარაზმვა ამ ჯოჯოხეთზე გამოსალაშქრებლად.

ალჟირში შიმშილობა დაიწყო. უფრო ღარიბმა პირატებმა აღარ იცოდნენ, რით გამოეკვებათ ტყვეები. უშვებდნენ თავისუფლად, ახლა „გულკეთილობის“ გამო ათობით ჟლეტდნენ. ყველა საკუთარი ბედით იყო დაინტერესებული.

დადგა გაპარვისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი.

გამგზავრებამდე სერვანტესმა ერთხელ კიდევ წაიყვანა როდრიგო ნაპირზე, შეამოწმა ადგილმდებარეობა და მეათასეჯერ შეუთანხმდა ნიშნებსა და ურთიერთსიგნალებზე. ძმები დიდი ხნით როდი ეთხოვებოდნენ ერთმანეთს. არა უგვიანეს ერთი თვისა კვლავ შეხვედრის იმედი ჰქონდათ. ასე ფიქრობდნენ. როდრიგო გაემგზავრა.

სერვანტესმა გაატანა ძმას წერილი ლექსად ფილიპე მეორის ერთ-ერთ მინისტრ მათეო ვასკესთან. ამ წერილში სერვანტესი მოკლედ ჩამოთვლიდა თავის საბრძოლო ცხოვრებას ზღვასა და ხმელეთზე, თუ როგორ ემსახურა ის დიდ ფილიპეს, როგორი სიხარული განიცადა მან ლეპანტოს ბრძოლაში გამარჯვებისას, იხსენიებდა თავის ჭრილობებს, აღწერდა ამ ბრძოლის სხვადასხვა მომენტებს, იგონებდა დაჭრილთა კვნესა-გმინვას, მეკობრეებისაგან ხო-

მალდ „მზის“ დაღუპვასა და ალჟირის საშინელ ტყვეობაში ჩავარდნას.

„მე ხომალდ „მზეზე“ დავიღუპე მთელი კრებულით“, — სწერდა ის და ევედრებოდა მეფეს, გამოელაშქრა ავაზაკთა ამ ბუნაგზე, გაენადგურებინა იგი და დაეხსნა ათიათასობით ტყვე ქრისტიანი. დასასრულ, სერვანტესი თვით ადგენდა ტყვეთა აჯანყებისა და ესპანელი ჯარების დახმარებით მათი განთავისუფლების გეგმას.

ამ წერილზე სერვანტესს არავითარი პასუხი არ მიუღია. შეიძლება იმიტომაც, რომ მათეო ვასკესმა ეს წერილი ვიღაც რეგვენი ჯარისკაცის ბოდვად ჩათვალა. ფილიპე არაფერს ფიქრობდა ალჟირელ ტყვეებზე. იგი ეომებოდა ნიდერლანდებს და სპობდა „ერეტიკოსებს“, ებრძოდა ფრანგებს, საკუთარ ესპანელ ხალხს. სერვანტესი არსად არ იხსენიებს ამ უსარგებლო და გამანადგურებელ ომებს, ესპანეთის დაცემისა და გაღატაკების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს.

უკანასკნელ წუთებში ხომალდი თავიდან ბოლომდის გაჩხრიკეს. საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს, მაგრამ მაინც რაღაც უცნაური ხდებოდა. მონები იკარგებოდნენ. სერვანტესი კვლავ უდარდელად დასეირნობდა, უწერდა წერილებს მსურველებს, გახარებული მოუთხრობდა ყველას ძმის განთავისუფლებას. რამდენიმე დღის შემდეგ გაამზადა ყველაფერი. წაიყვანა ისახარი. გამოეთხოვა სოზას. ჩასაფრდა მღვიმეში.

ეს იყო 1577 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში. ხუანი დარაჯობდა გარედან. დროდადრო ყიდულობდა ბაზარში სურსათს, მიჰქონდა მშიერ ამხანაგებთან. ისახარი დარბოდა მზვერავად.

სერვანტესის გაპარვამ საშინელი ალიაქოთი გამოიწვია ქალაქში.

ყველაფერი ააფორიაქეს, მაგრამ ცალხელა ესპანელი ვერსად იპოვნეს. იგი უგზო-უკვლოდ გაქრა.

მღვიმეში

ვიწრო მღვიმეში თხუთმეტი კაცი მოთავსდა. ყველას დაავიწყდა სივიწროვე, შიმშილი, ავადმყოფობა, უკმაყოფილება.

ეყარნენ მიწაზე, ეგოთ ჩალა და ელოდნენ ხომალდს.

ერთი ტყვე ყოველთვის დარაჯობდა ხშირ ბუჩქებში, გორაკის თავზე.

გავიდა ხუთი, ექვსი, შვიდი დღე.

სერვანტესი დამშვიდებული ელოდა: იცოდა, ხომალდის შოვნა იოლი საქმე როდი იყო, ვინ იცის, რა მოულოდნელი შემთხვევა შეუშლიდა ხელს როდრიგოსა და ვიანას, ჯერ არ აგვიანდებოდათ. ვარაუდით განთავისუფლების დღედ ოცი სექტემბერი დანიშნეს როდრიგომ და მიგელმა. ეს დღეც ახლოვდებოდა.

სერვანტესს უცბად გაახსენდა: სწორედ ოც სექტემბერს გამოემგზავრა ნეაპოლიდან. ჩააფიქრა მძიმე წინათგრძნობამ...

მთვარიანი ღამე იყო. გორაკზე დარაჯობდა ლუის დე გარსია, გამბედავი ჭაბუკი, სულ ახლახან ჩავარდნილი ტყვეობაში. ისახარი წამდაუწუმ არბოდა მასთან. ტყვეები დუმდნენ. უცბად გაისმა მსუბუქი ხმაური და ისახარი ჩამოგორდა მღვიმეში. საშინლად ღელავდა.

— სერვანტი! — ძლივსღა წარმოთქვა მან... — სერვანტი, ზღვაში სინათლე ჩანს! წითელი სინათლე! უთუოდ ხომალდია!

ყველა წამოხტა.

— დაწექით და კრინტი არ დაძრათ, სანამ არ დაგიძახებთ! — განკარგულება გასცა სერვანტესმა, აანთო მომზადებული ჩირაღდანი და გაძვრა გარეთ. სულ ახლოს, ზღვაზე, მკაფიოდ გამოჩნდა წითელი სინათლე. ახლოვდებოდა, უფრო და უფრო გაიზარდა, აშკარად გაიყო ორად, ეს იყო პირობითი ნიშანი. სერვანტესი სწრაფად აიჭრა გორაკის თავზე და ააბრიალა ჩირაღდანი. ხომალდზე სინათლე ჩაქრა, ისევე აინთო: ნიშანი შენიშნეს, ნავს გზავნიდნენ.

ტყვეები გამოფორთხდნენ მღვიმიდან და დაეშვნენ ნაპირისკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მთვარის შუქზე გამოჩნდა მათკენ სწრაფად მომავალი ნავი...

საუბედუროდ, ამ დროს შემთხვევით იქ გაიარა მეთევზე აბუ ტალებმა, შეამჩნია სინათლე ზღვაში, ჩირაღდანი გორაკზე, თხუთმეტი აჩრდილი ნაპირას, დაინახა მოახლოებული ნავი...

„აა, აქ შეთქმულება ყოფილა, წყეულ ქრისტიანებს გაქცევა განუზრახავთ“, — მოისაზრა მან და სტვენით ამცნო ამხანაგებს.

წუთში სტვენამ გადააყრუა არემარე. მოდარაჯე ხომალდები გამოუდგნენ უცხო ნავს.

ნავი შედრკა, შეჩერდა. შეუჩერდათ გულის ძგერა ნაპირზე მდგომთაც.

— ჩქარა, ჩქარა! — თავგანწირული უქნევდნენ ხელს.

მაგრამ ნავი სწრაფად გაბრუნდა. ხომალდზე სინათლე ჩაქრა.

ტყვეებმა ასტეხეს ღრიანცელი, უყვიროდნენ ნავს, ტიროდნენ, ღრიალებდნენ, მაგრამ ხომალდმა მოასწრო გაქცევა. ყველაფერი დაშოშმინდა.

სერვანტესმა ძლივს დააოკა ისინი იმ ღამეს. დილით ისევ შეკრიბა მღვიმეში.

დაითვალა. დორადორი არ აღმოჩნდა მათთან: გაპარულიყო.

სასოწარკვეთამ მოიცვა საცოდავი ტყვეები. რა ახლოს იყო ხსნა და როგორ გაუქრათ იმედი! ეყარნენ ისევ გამოქვაბულში ულუკმაპუროდ, ავადმყოფები, უსასოონი.

გავიდა ორი დღე უარესის მოლოდინში. მესამე დღეს საშინელმა ღრიალმა დაარღვია ალიონის მყუდროება.

— ეს ხუანია! გაგვცეს! — დაიყვირა გარსიამ.

— გაგვცეს, გვიღალატეს! — წამოხტნენ ყველანი. — ამწუთს აქ გაჩნდებიან!

— გაგვყიდეს, მოგვატყუეს! — გააფთრებით შემოესივნენ ისინი სერვანტესს, — შენი ბრალია! შენ გაგვაბრიყვე! თორემ...

— ჩუმად! — წამოიძახა მიგელმა, — ფეხი არ დაძრათ! გაიგონეთ ჩემი: მე შეგკრიბეთ აქ ყველანი, მევე ვიქნები პასუხისმგებელი მარცხისთვის! ყველანი გადარჩებით! მხოლოდ მისმინეთ! ილაპარაკეთ მარტოოდენ სიმართლე: თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ, მოგატყუეთ, ყველაფერი მე გავაკეთე, დაგიყოლიეთ, მე მოვამზადე ყველაფერი!

ამაყად გავიდა გარეთ.

ოცდაოთხი ცხენოსანი და ორმოცზე მეტი ქვეითი იანიჩარი გარშემორტყმოდა მღვიმეს. ფაშის ოფიცერი უახლოვდებოდა გამოქვაბულს.

მოვიდა დალი მამაც. თან ახლდა დორადორი.

შიშს გამცემად ექცია.

— შენი სისხლი უნდა დაიღვაროს, ჯაშუშო, საზიზღარო! — შესძახა სერვანტესმა.

დორადორი იანიჩრების ზურგს უკან მიიმალა.

— ამიერიდან ველარავის მოჰკლავ! — დაიყვირა დალი მამამ. — სახრჩობელასთან იმ ერთადერთ მარჯვენა ხელსაც მოგკვეთენ. შენს არიფებს კი — მარცხენას. მეთაურს უნდა დაემსგავსონ.

— სხვების დასახიჩრება ზედმეტი ზარალია, ეს თქვენთვის აბა რა საჭიროა? როცა მარტო მე მომკლავთ, ვერავინ გაბედავს კვლავ გაპარვას! იქ ნუღარ შეხვალთ, აღარ! იქ უდანაშაულო ადამიანები არიან. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. დავიყოლიე ისინი, გავაბრიყვე, შევკრიბე გამოქვაბულში. მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრება. დამაპატიმრეთ!

სერვანტესმა დარწმუნებითა და დამაჯერებელი სერიოზულობით წარმოთქვა ეს.

დამორჩილდა.

მეტი აღარაფერი დარჩენოდა. უკვე აღარ სჯეროდა ბედის ვარსკვლავისა. ამდენი ხალხი დაღუპა თავისი ჯიუტობით...

ოდნავ განცვიფრებულმა ოფიცერმა აიქნია ხელი და რვა იანიჩარი მივარდა მიგელს.

— საითკენ გვიბრძანებ მის წაყვანას, ბატონო? — პირმოთნედ იკითხა ერთმა, როცა უთოკავდა ხელებს.

— ფაშასთან, ელ ჯეზაირში, საწამებელ ეზოში!

— თქვენი ჩინი და სავაჭრო ღირებულება რომ მიქარვაა, ეს უკვე დიდი ხანია ვიცი, — შემპარავად მიმართა მიგელს დალი მამამ. — აქამდის ისე ვიქცეოდი, ვითომ მჯეროდა ზღაპარი. მაგრამ კიდევ შეიძლებთ წარჩინებას და უფრო ამაღლებას.

— თქვენ სახრჩობელაზე ამაღლებას გულისხმობთ, არა? ვიცი, არ ამცდება!

— ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული კორსარი ხორუკ ბარბაროსა, გამოჩენილი ხაირედინის ძმა, თქვენსავით ცალხელა იყო.

სერვანტესი დუმდა.

— რა ძალა გიზიდავთ თქვენიანებისკენ? რა უნდა გააკეთოთ ესპანეთში? ჩაიცვით ჩვენებურად, გამოიცვალეთ სარწმუნოება, გაგათავისუფლებთ, მოგცემთ ხომალდს. გახდით მეკობრეთა მეთაური. ცალი ხელი თქვენს სიმამაცესთან კარგ სამსახურს გაგიწევთ. თანახმა ხართ? — და ხელი გაუწოდა მიგელს.

სერვანტესმა არ ჩამოართვა.

— განა რა გიშლით? თქვენი ღმერთი? აქამდის ძლიერ არ

გწყალობდათ. თქვენი მეფე? იგი არ გიცნობთ. თქვენი ამხანაგები? ახლა ხომ ნახეთ, როგორ შეურაცხგყვეს. დამიჯერეთ, ყველა ეს კაცუნა მხოლოდ იმისთვის არის გაჩენილი, რომ შეუბრალებლად გავუჭეჭყოთ თავები.

სერვანტესმა გულში ჩაიცინა. გაახსენდა საუცხოო ბოშური ანდაზა: „სიტყვა არა მხოლოდ ერთი ასოთია უგრძესი, ვიდრე კი".

პასუხის ნაცვლად იკითხა:

— რა ბედი მოელით ჩემს ამხანაგებს, აღავ? აპატიებთ თუ არა?

— თავი გაანებეთ იმ ქვემძრომებს. დაფიქრდით, რაც გითხარით, მეორეჯერ აღარ დაგიწყებთ ხვეწნას.

მიგელს ხმა არ გაუცია.

დაკითხვა


არაჩვეულებრივი იყო ის ღამე. თვით დარაჯებმაც კი მიატოვეს საგუშაგოები, ირეოდნენ ქუჩებში და ელოდნენ ამბებს. ისინი არც კი აჩერებდნენ ტყვეებს, რომლებიც დაუკითხავად გამორბოდნენ ჭიშკრებიდან.

რენეგატები, მავრები, გააზატებული მონები ყოველ წუთს მოდიოდნენ ელ ჯეზაირის უბნიდან. მოჰქონდათ ცხელ-ცხელი ამბები.

დილიდან გრძელდებოდა დაკითხვა — ორთაბრძოლა პირის-პირ. ერთი მხრივ იყო: ჰასან-ფაშა, ვენეციელი რენეგატი, აღჭურვილი თურქეთის მოადგილის უზენაესი უფლებებით, მეკობრეთა ქალაქის მეთაური იანიჩრების ლაშქრით, ზურგგამაგრებული სასამართლოებითა და საწამებელ იარაღთა არსენალით; მეორე მხრივ: ცალხელა გამხდარი მათხოვარი, ხელფეხშებორკილი ესპანელი, უთვისტომო ტყვე, რომელიც ძლივსღა იდგა ფეხზე შიმშილის, უძილობისა და ციებისაგან.

ფაშა ღრინავდა, იგინებოდა, იმუქრებოდა.

სერვანტესი ალაპარაკდა. ტრაბახი არ დაუწყია. მისი სიტყვა იყო სადა და ღირსებით აღსავსე. არაფერი დაუმალავს. ნათქვამიდან ჩანდა: მარტო მან მოაწყო ყველაფერი, აამოძრავა ტყვეები. ამიტომაც მოითხოვდა, მარტო ის დაესაჯათ.



სერვანტესის რომანის „დონ კიხოტის“ გმირი დონ კიხოტ ლამანჩელი.
ნახ. გუსტავ დორესი.

ფაშა ცდილობდა გაეგონა სერვანტესისაგან სახელი რომელიმე მდიდარი ვაჭრისა, რომელმაც, მისი აზრით, ხელი შეუწყო სერვანტესის განზრახვას. მთელი ხომალდის შეძენა ხუმრობა საქმე როდი იყო. ამ საქმეში უთუოდ ერივნენ მდიდარი თანამოაზრენი. ფაშას სურდა ხელთ ეგდო მათი ქონება.

დაკითხვა გრძელდებოდა. სერვანტესი არ თმობდა. ფაშამ ვერაფერი მოუხერხა.

— მარტო მე ვარ დამნაშავე, — უღიმღამო ტუჩებით იმეორებდა სერვანტესი, — არ მყოლია თანამონაწილენი.

მიგელის ამხანაგებმა არ იცოდნენ, რა ეფიქრათ: მათთვის ხელი არ უხლიათ, მხოლოდ გამოქვაბულიდან ისევ ციხეში გადაიყვანეს. ახლა სხვებთან ერთად იდგნენ ჭიშკართან და ელოდნენ.

მხოლოდ მოხუცი ხუანი ჩამოჰკიდეს ძელზე თავდაღმა. სასიკვდილოდ ხრიალებდა. დალი მამა და ბაღის პატრონი ყადი ჰუსეინი იქვე სეირნობდნენ. სიამოვნებით უმზერდნენ, თუ როგორ ახრჩობდა სახეში მოწოლილი სისხლი საბრალო მოხუცს.

ხომ ისეთივე სასჯელი მოელოდა სერვანტესსაც. ამ განზრახვის დამწყებსა და შემსრულებელს?

მთელი ქალაქი დაინტერესდა.

სამ საათზე ხმა გავრცელდა: ფაშამ ბრძანა სერვანტესს ორი ათასი ჯოხი დაჰკრანო.

ორი ათასი! ეს სიკვდილს უდრიდა! იშვიათად უძლებდა ვინმე სამასს ან ოთხასს. ხუთასი დარტყმის შემდეგ ცოცხალი არავინ გადარჩენილა.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, უკვე თავის სამშობლოში მყოფი, სახელგანთქმული მწერალი მოხუცი სერვანტესი სევდიანად იგონებდა ამ მომენტს და ესკივიასელ მეგობართა ვიწრო წრით გარშემორტყმული თავისებური დარბაისლური ენამზეობით ხუმრობდა:

„როცა გაჯოხვაზეა ლაპარაკი, მაქვს პატივი მოგახსენოთ: ორი ათასი — ეს ფრიად მნიშვნელოვანი რიცხვია, ორი ათასი მუსლიმანური ჯოხი, ჩემო მეგობრებო, ყველაზე ცოდვილ კათოლიკესაც კი მიანიჭებს მოწამის გვირგვინს. უკვე ვხედავდი ჩემს თავს ხელში ბზის რტოთი, წამდგარს სამოთხის კარაპინზე წმიდა კრებულის ახლოს. უნდა გამოგიტყდეთ, ვფიქრობდი აგრეთვე იმ ტანჯვათა

შესახებაც, რომელიც უნდა განმეცადა ზეცად ამაღლებამდის. ეს ტანჯვა-წამება უნდა გამეზიარებინა საცოდავი მწერებისათვისაც, რომლებიც მეხვივნენ მაშინ. მათ კი არავითარი იმედი არ ჰქონდათ ჯილდოს სახით მიეღოთ სამოთხის ნეტარება. ამგვარად, ძმებო, ხმამაღლა გამოვთქვი სიბრალული და გულისტკივილი სვენავსი რწყილებისა და ტილებისათვის, რომლებიც არც იმდენად მაძღრად ნაყრდებოდნენ ჩემი გაძვალტყავებული სხეულის სისხლითა და ხორცით. ნამდვილი მჭევრმეტყველებით ვეეჯდრებოდი მსაჯულებსა და ჯალათებს, შეებრალებინათ ალალ-მართალი, ისედაც ბედდაცარული მკბენარები, ჩემთან ერთად არ გაეჯოხათ ისინი და გადაერჩინათ დაღუპვისაგან ქარიშხლის დროს, რასაც ისინი სულაც არ მოელოდნენ, რაც არაფრით არ დაემსახურებინათ.

უმნიშვნელო ლაღობა ხშირად საკმაოა არაბთა გასაცინებლად. დამსწრე დოყლაპიებმა სიცილი ვერ შეიკავეს და ახარხარდნენ. თვითონ ფაშამ წუთით დაკარგა ჩვეულებრივი კუშტი სერიოზულობა. საბედნიეროდ, მასაც ეწადა ხუმრობა და დარბაისლურად განაცხადა:

— მიპატიებია შენი ტილებისთვის. ახალ ხიფათში ნუღარ ჩააგდებ. ახლა ეს შენზეა დამოკიდებული.

კარისკაცებმა გააძლიერეს ხარხარი. ჩემი მიამიტი, კდემამოსილი სახე, ალბათ, კიდევ უფრო აღვივებდა საერთო მხიარულებას, ისე, როგორც პიტალო კლდის უძრაობა აამთაგორებს ზვირთთა სიფიცხეს...“

ალაყაფის კარებთან იდგა ხალხი და ელოდა, როდის გამოიტანდნენ გაჯოხილ სერვანტესს.

იქიდან არა ერთხელ გამოუტანიათ პირდაპირ სასაფლაოზე წასასვენებლად გასიებული, დასახიჩრებული გვამები, სისხლში მოსვრილი და დალილავებული.

უკვე ჩაესვენა მზე. გრძელწვერა არაბებმა გაშალეს ხალიჩები. დაეუდგნენ მწუხრის ლოცვას.

სერვანტესი კი არ გამოჰქონდათ არც ცოცხალი, არც მკვდარი.

ფაშის მსახურნი ჩურჩულებდნენ: ფაშამ შეაჩერა დასჯა, რათა დანიშნოს სხვა უფრო სასტიკი და საშინელი.

წამების ეზოდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

— ვიცი სერვანტესის ამბავი. თვით ცეცხლშიც რომ იდგეს,

ერთს არ დაიკვნესებს. ვაჟკაცურად შეხვდება სიკვდილს. ახლა მკვდარი იქნება. წამებისაგან არაქათს გააცლიდნენ! — ყრუდ დაიგმინა ბერტრან დე სალტომ.

— სერვანტი მოკვდა, იგი ჩემი დედ-მამის მაგიერი იყო! სერვანტი აღარ არის! იგი ყველაფერი იყო ჩემთვის ამ ქვეყანაზე, — ტიროდა აცახცახებული ისახარი.

დაღამდა. სერვანტესი არ დაბრუნებულა.

დილით ფაშამ მიიხმო დალი მამა, მიგელის პატრონი.

— რამდენი დანიშნე ამ ჯიუტი კასტილიელის გამოსასყიდად? — შეეკითხა ფაშა.

— ხუთასი ოქრო, — შიშით უპასუხა დალი მამამ.

— შემეძლო დამესაჯა ან წამერთმია შენთვის უფასოდ, — მოწყალებით წარმოთქვა ფაშამ, — მაგრამ ამ ზაფხულზე ისედაც არაფერი გიშოვნია და არ მსურს შენი განადგურება. ვყიდულობ შენს ტყვეს და ფულს სრულად გაძლევ.

— ალაჰი იყოს თქვენი შემწე, ჩემო ბატონო! — გაუხარდა დალი მამას. — დამიჯერეთ, ღირს მაგდენი. ნეაპოლის ჰერცოგის მეგობარია და ადმირალ დონ ხუან ავსტრიელის მთავარი მრჩეველი. ექვსას ან შვიდას ოქროს მოგცემს.

— ათასსაც! — წამოიძახა ფაშამ. — ვაორკეცებ სასყიდელს: ათასი ოქრო!

ფაშამ იყიდა სერვანტესი. გაუორკეცა სასყიდელი და ბრძანა ხაროში ჩაეგდოთ.

გუშინ აქ ყველა მოელოდა ტყვეთა გაპარვის მეთაურის — სერვანტესის დასჯას. მაგრამ გათენდა და იგი ცოცხალი გადარჩაო, ასე ჩაწერა იმ დღეს დოქტორ ანტონიო სოზამ თავის „მოგონებებში“.

ამიერიდან სერვანტესის ბინა გახდა მყრალი სარდაფი. რკინის სერსეროთი დახლართულ ვიწრო სარკმლიდან ბეჟუტავდა სინათლის შუქი. ქვის იატაკზე იდგა წყლიანი ლიტრა. ხის თეფშზე ეყარა უგემური ნამცხვარი.

მიგელს წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი გაპარვაზე. გაქცევის ახალი გეგმის შეუდგენლად ახლა უკვე აღარ შეეძლო ცხოვრება. სარკმელი ებჯინებოდა მაღალ კედელს. კედელს იქით იყო ცია-

ბო ფლატე. ვერავინ გასწევდა რისკს იქიდან ამოსასვლელად. ამ მხარეზე არც დარაჯობდნენ. ისახარმა მოახერხა და მალე მიგელი დაუკავშირდა ფაშის სხვა ტყვეებს.

სამი დღის შემდეგ უკვე ჰქონდა ვენეციური ქაღალდის ფარატინი და კალამი, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ნავარეტის მეგობარმა, ნაცადმა მავრმა იბრაჰიმმა, უკვე გასწია ორანისაკენ. თან მიჰქონდა მიგელის ბარათი ორანის კომენდანტისადმი. მიგელი სწერდა — გამოეგზავნა გამყოლები და დამცველი რაზმი ესპანელ ლტოლვილთა დიდი პარტიისათვის.

გეგმა ასეთი იყო: თვრამეტი დღის შემდეგ, დანიშნულ საათზე, ფაშის ციხეებში ღამით დაიწყებოდა განგაში (ხანძარი ანდა სიგიჟე — ეს ხშირად ხდებოდა ალჟირის ციხეებში). ატყდებოდა ლაწალუწი, აყეფდებოდნენ ძაღლები, აირეოდა ხალხი. სიბნელესა და ალიაქოთში ტყვეები დროს იხელთებდნენ, გავიდოდნენ ქალაქგარეთ, იქ დახვდებოდათ საიმედო დამცველი რაზმი და მოცოცხავდნენ ორანისაკენ.

მაგრამ ათი დღის შემდეგ სარკმელთან მოჩოჩდა ისახარი. ძლივსღა იღებდა ენას. შავი სახე ელდით გაჰფითრებოდა. საშინელი ამბავი შეატყობინა მიგელს:

იბრაჰიმი დაიჭირეს ორანის სანახებში. ალჟირში მოათრიეს, ფაშას მიუყვანეს წამების ეზოში. ხელ-ფეხი გადაუმსხვრიეს აღსამართით, ცეცხლი შეუნთეს, სცემეს მკერდსა და მუცელზე. მაგრამ კრინტი არ დასძრა: არ გაუმხელია, თუ ვინ მისცა წერილი. მოსწყინდათ მისი ტანჯვა და მარგილზე ჩამოაგეს.

გეგმა ჩაიშალა. გაქრა კიდევ ერთი იმედი. ვიწრო სარკმელი, მაღალი კედელი, ციცაბო ფლატე, ფაშის სიმკაცრე — ამ ეკლიანი წრით შემოიხლართა მიგელის ყველა იმედი და განზრახვა.

საერთო საპყრობილის პატიმრებს იმედის ნატამალი მაინც ჰქონდათ. ორიოდე თვის მანძილზე სამაგალითო ყოფაქცევისთვის უმსუბუქებდნენ მდგომარეობას. რამდენიმე ასპრის წყალობით დარაჯები გასეირნების ნებასაც კი აძლევდნენ. სერვანტესის მსგავსი ტუსაღებისთვის ყოველი იმედი ამოიწურა.

ასე გავიდა ორი წელი...

...ორი წლის შემდეგ სერვანტესს თითქოს ბედმა გაუღიმა. ახლაც, როგორც წინათ, ნავსიანი სექტემბერი იდგა.

ალჟირში ხმა გავრცელდა ესპანეთის მეფე ფილიპე მეკობრეთა საბუდარზე აპირებს გამოლაშქრებასო. ვაჭრები, პირატები და ევროპის სანაპიროდან გამოქცეულნი ამბობდნენ: ფილიპე ნიშნავს მეთაურებს, აიარაღებს ხომალდებს, დიდი ლაშქარი იყრის თავს ნახევარკუნძულის სამხრეთ ნავსადგურებშიო.

ჰასან-ფაშა შეშინდა. მისი ბრძანებით ტყვეები ნავსადგურში მორეკეს ზღვის ნაპირის გასამაგრებლად. რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი საკუთარი და სხვა ციხეებიდან. სერვანტესსაც გაუღეს კარები.

ტყვეები მუშაობდნენ ალიონიდან ვარსკვლავების აციმციმებამდის.

სერვანტესს ყველა იცნობდა, „მღვიმელ გმირს“ უწოდებდნენ. მასთან მოდიოდნენ რჩევა-დარიგებისათვის, მოუთხრობდნენ თავიანთ გაჭირვებას. ახლოს გაიცნო ყველა პატიმარი, ყველა ტყვე. დაუახლოვდა მათ. ესაუბრებოდა „ფრანკულ“ ენაზე — ეს იყო იტალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენათა ნარევი. ამ ენაზე ლაპარაკობდნენ ტყვეები, ეს ენა ესმოდათ თურქებსა და არაბებს ალჟირში.

და ახალი გეგმა, წინანდელზე უფრო ფართო და გაბედული, კვლავ დაესახა მას.

მარტოკა გაპარვას ახლა იოლად მოახერხებდა, რადგან ისე მკაცრად აღარ ადევნებდნენ თვალყურს, მაგრამ მისი მიზანი იყო ბევრი ხალხის განთავისუფლება. მარცხი არ აშინებდა. მოუსვენარ ბრძოლაში ეძებდა თავისი ბედკრული, უპახელოდ გამქრალი ცხოვრების გამართლებას.

ერთხელ, შესვენებისას, ისა და ისახარი თავისუფლად დახეტიალობდნენ.

ერთი გალერა ის იყო მოადგა ნაპირს. ზედამხედველმა ჩამოუარა მენიჩბეებს, ჩამოართვა ნიჩბები.

სერვანტესი და ისახარი მიუახლოვდნენ გალერას. მახლობელ ქიმთან მერხზე მიჯაჭვული იჯდა ზორბა ზანგი. თავი ასწია და მიაშტერდა ბავშვს.

თვალები გაუფართოვდა, წამოიჭრა.

— ნიანჰო! — ყრუდ დაიგმინა მან.

ისახარი შეკრთა და გაქანებული შეიჭრა წყალში.

— ატაი! — საშინლად შეჰყვირა ხელებგაწვდილმა. — ატაი!

ისახარმა იცნო მამა და ეძახოდა მშობლიურ ენაზე.

— ნიანჰო! — გაიმეორა ზანგმა. ასე ეძახდნენ ისახარს თავის ქვეყანაში. — ნიანჰო!

გაქაჩა ჯაჭვი გასაწყვეტად.

ზედამხედველი მივარდა ზანგთან და მათრახი გადაუჭირა. ზანგი გაიმართა წელში, ხარივით დააბრიალა თვალები, მთელი ძალღონით მოუქნია ნიჩაბი ზედამხედველს. იგი განზე გახტა.

— რინჰო! — ღრიალებდა ზანგი და გააფთრებული იქნევდა ნიჩაბს.

თითქოს ერთი ბრძანებით, ნიჩბების მთელი ტყე აღიმართა ორივე ქიმზე. ტყვეები ღრინავდნენ ძაღლებივით, ამსხვრევდნენ ბერხებს, ლეწდნენ ბორკილებს, ერთიმეორეზე ხტოდნენ წყალში, მიეშურებოდნენ ნაპირისაკენ.

ეს იყო ნამდვილი ჯანყი. ზედამხედველები მიმოიფანტნენ ბაქანზე, მაგრამ მათ მალე დაეხმარა სანაპირო დამცველი რაზმი. იანიჩრები შიშველი სატევრებით გარბოდნენ მენიჩბეთა გზის გადასაჭრელად.

— დასცხეთ ძაღლებს! დასცხეთ მაგ უწმინდურებს! — გაჰყვიროდნენ ისინი.

— არ გადმოუშვათ ნაპირზე! გადაუჭერით გზა! შეიპყარით სათითაოდ! — მეთაურობდა ოდაბაში, რომელიც მოულოდნელად გამოძვრა საიდანღაც.

ისახარის მამა დასდევდა ზედამხედველს ნიჩბით. ზედამხედველი დამფრთხალი გაურბოდა მას. მეორემ მაჟარო დაუმიზნა ზანგს.

— ატაი! — გულგამგმირავად დაიწივლა ისახარმა. — ატაი, აქეთ, აქეთ, ჩქარა!

მამა მიბრუნდა მისკენ, მივარდა ქიმთან, მაგრამ ამ დროს გაისმა სროლა და ზანგი თავგახვრეტილი ჩაეშვა წყალში.

სერვანტესმა გამოათრია აკივლებული ისახარი.

უცბად ღრიალმა და უჩვეულო ყიჟინამ გააყრუა არემარე.

აჯანყებულ მენიჩბეთა ბრბო გაიზარდა. მას მიემხრნენ სხვა ტყვეებიც, შეიარაღებულნი უროებით, წერაქვებით, რკინის კეტებით, უბრალო ქვებით. უკვე გაბედულად შეებრძოლნენ იანიჩრებს. ხელთ იგდეს ნავსადგურის გამოსასვლელები.

ასეთი არაორგანიზებული, სტიქიური ჯანყი, რასაკვირველია,

უაზრობა იყო. სერვანტესმა იცოდა ეს, მაგრამ მაინც, მისდა უნებურად, სხვებთან ერთად გაჰყვიროდა, დარბოდა, იძლეოდა განკარგულებებს, მოჰქონდა ქვები, მოათრევდა დირეებს, აწყობდა ნავსადგურში ბიმავალი შუკის გადასაკეტად.

ტყვეებმა ხელთ იგდეს მთელი ნავსადგური, ფისი გადაასხეს გასასვლელებში დაყრილ დირეებს და ცეცხლი წაუკიდეს. განაიარაღეს კომანდა რამდენიმე გალერაზე.

მაგრამ ოდაბაში გონს მოვიდა და დროულად გამოუძახა დამხმარე ძალებს. რამდენიმე ლეგიონმა მოუსწრო ქალაქიდან, ტყვეები ნავსადგურში ჩაკეტეს, დაამშვიდეს, საპატიმროებში ჩამოარიგეს.

აჯანყება უშედეგოდ ჩაქრა. მაგრამ ამ შემთხვევამ ნათლად დაანახვა სერვანტესს, თუ როგორ ძალად შეიძლება გადაიქცნენ იგივე ტყვეები, თუკი მათ მოამზადებენ, დარაზმავენ, შეამჭიდროებენ ერთიან მასად.

ფილიპეს ლაშქრობა თავისთავად უკარნახებდა აჯანყების გეგმას.

როცა ესპანეთის ფლოტი ალყას შემოარტყამდა ალჟირს ზღვიდან და აუტეხდა სროლას, თურქეთის ყველა გალერაზე მენიჩბენი ერთბაშად დაყრიდნენ ნიჩბებს, ხოლო ხმელეთზე შეიარაღებული და მომზადებული ტყვეები ზურგში მახვილს ჩასცემდნენ პატრონებს.

დიდი შეთქმულება

ამ დღიდან ფაშის საპატიმრო ალჟირის ყველა ციხის მუდმივი შტაბი შეიქნა. სერვანტესის გარშემო თავს იყრიდნენ ტყვეები.

ქალაქი მღელვარებდა: ფაშის საშინელმა ბეგარამ და მოუსავლიანობამ ხალხი დაამშია, დააავადა. ციხეებში დაეცა დისციპლინა. ახლა ტყვეები დიდხანს რჩებოდნენ ამხანაგებთან, ღამესაც კი ათევდნენ მათთან.

შეძრწუნებული ფაშა აძლიერებდა თავდაცვას. მის ყურამდის აღწევდა სულ უფრო და უფრო სარწმუნო და თავზარდამცემი ამბები.

საერთო საპატიმროები, ბნელი საკნები გააფრთხილეს და მზად იყვნენ. ტყვეების სამი მეოთხედი მონაწილეობდა შეთქმულებაში.

თითოეულ ეზოში ჩამოყალიბდა მცირე შტაბი. ტყვეები ელოდნენ გამზადებული, თვით დოქტორი ანტონიო სოზაც ჩაითრიეს შეთქმულებაში.

ზაფხული მიიწურა. ცხადი შეიქნა — ფილიპეს ლაშქრობა აღარ შედგებოდა. ყალბი ხმები თურქეთში ლაშქრობაზე ყასიდად გაავრცელეს. ლაშქრობა მზადდებოდა, მაგრამ თურმე პორტუგალიის დასაპყრობად.

სერვანტესი უიმედობამ მოიცვა. მშვიდად იყო მხოლოდ დოქტორი სოზა. მას საკუთარი გეგმა ჰქონდა:

გრენადელი ლიცენციატი ხირონი ტყვეობაში მუსულმანი გახდა და აბდ ელ რახმანი დაირქვა. როგორც გამოსყიდულს, კარგა ხანია შეეძლო შინ დაბრუნება, მაგრამ ესპანეთში გამგზავრების წინ საშინელი ამბავი შეიტყო: შავ ჭირს ერთ თვეში მუსრი გაევლო მისი ცოლ-შვილისა და ნათესავებისთვის.

ალჟირში დარჩა და ვაჭრობას მიჰყო ხელი. ცოტაოდენი ქონებაც შეიძინა. მაგრამ სიბერეში მოსვენებას არ აძლევდა სევდა სამშობლოზე.

ასეთი კაცი დაუფასებელი იყო შეთქმულთათვის. მეგობრობდა ყველა მეკობრეს. თვითონ ფაშაც პატივსა სცემდა ხირონს.

სოზამ გაიგო, ხირონი არ დაზოგავდა ფულს თანამემამულეთა დასახმარებლად.

სოზამ გააცნო საკუთარი გეგმა სერვანტესს:

ხირონი მივა ჰასან-ფაშასთან და ეტყვის, რომ მოსძულდა ლეღვის ჩირით ვაჭრობა. სურს სცადოს ბედი უფრო დიდ საქმეში და გამოითხოვს ნებართვას სამეკობრო ლაშქრობისათვის ხომალდის ასაგებად. ფაშა აუცილებლად დართავს ნებას. ხირონი მოიმარაგებს სურსათს, აიყვანს მენიჩბეებს და გავა ზღვაში. იქ კი ამოჟლეტენ კომანდას და გაქუსლავენ ესპანეთისკენ.

ხირონი თავჩაქინდრული იდგა ფაშის წინაშე.

თოვლივით სპეტაკი ჩალმა ეხურა ფაშას, მაგრამ ევროპული ცისფერი თვალები და ოქროსფერი წვერ-ულვაში, სახე და მთელი მიხრა-მოხრა ისევ ვენეციელის შერჩენოდა.

ნება დართო ხირონს. ნადავლის მეხუთედი ფაშას უნდა რგებოდა.

— და კიდევ ერთ მოწყალებას ვთხოვ ჩემს ბატონს, — უფრო

მოიდრიკა ქედი ხირონმა, — ნება მომეცით ტყვეებიდან შევარჩიო მენიჩბენი.

— შეგიძლია წაიყვანო საიდანაც გსურს, ჩემი საპატიმროდანაც, — ალერსიანად მიუგო ფაშამ, — მაგრამ მაშინ მთელი ნადავლის მეოთხედი ჩემი იქნება.

— ალაჰი დაგაჯილდოებს, ბატონო ჩემო! — თაყვანი სცა ხირონმა. — იმასვე ვთხოვ, დათრგუნოს და გააცამტვეროს ყოველი შენი მტერი და მოშურნე!

ინკვიზიციის მსახური

ნავსადგურში გაცხარებული მუშაობდნენ.

ხირონმა დაიქირავა ტყვეები და დიდ გალერას აგებდა.

საკუთარი ხელით აკეთებდნენ ტყვეები ხომალდს, რომლითაც სამშობლოში უნდა გამგზავრებულიყვნენ.

— აბდ ელ რახმანი სიბერეში მეკობრე ხდება, — ღიმილით ამბობდნენ ალჟირელები, — ალაჰმა მოუმართოს ხელი!

საუბედუროდ, ხირონს საკმაო ფული არ გააჩნდა. გამონახა ორი ნაცნობი მდიდარი ვაჭარი და მათ გააცნო გაპარვის გეგმა.

— ორასი კაცი მოდის ჩემთან, — აუხსნა მან. — მათგან ორმოცამდის კეთილშობილი და მდიდარი ხალხია. სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ვალს პროცენტებით აგვინაზღაურებენ.

ვალენსიელ მდიდარ ვაჭარს ონოფრიო ექზარხს კანტორა ჰქონდა ალჟირში. ეს იყო მეტად გულკეთილი ადამიანი. ხშირად მოდიოდა ტყვეებთან, მოჰქონდა საჩუქრები, ამხნევებდა, ანუგეშებდა მათ. ხირონის გეგმა მოეწონა და დათანხმდა.

ნავსადგურში კიდევ უფრო ჩქარა ახმაურდა ნაჯახები, ამოძრავდა ხერხები, სასწრაფოდ აიგო ხომალდი. ეს არ ყოფილა მომცრო გალერა, ზორბა ფრეგატი იყო, შეიარაღებული. იგი ჩაუშვეს ზღვაში და დააყენეს იქ, სადაც ოდესღაც იმპერატორმა კარლოს მეხუთემ ხომალდებზე დასხა დამარცხებული ჯარი და თვით ყველაზე ბოლოს, უბრალო ჯარისკაცივით ავიდა ბაქანზე.

ციებამ, რომელიც თვეობით სტანჯავდა სერვანტესს, ახლა უმაღლეს წერტილს მიაღწია. საბრალოს მთელი დღე აცახცახებდა.

ღამე აძლევდა სიცხეს და აბოდებდა. ხშირად წამოხტებოდა და ყურს უგდებდა თავისსავე ბოდვას. საკუთარი თავის იმედი ჰქონდა, მაგრამ საიდუმლო უკვე ბევრმა იცოდა და შიშობდა, არავის წამოსცდენოდა რამე.

ყველაფერი მზად იყო. დილით სერვანტესმა უკანასკნელი განკარგულება მისცა ტყვეთა რწმუნებულებს. ყველანი წავიდნენ. ელოდნენ სერვანტესის ნიშანს, მაგრამ ამაოდ: ნიშანი არავის მიუცია. სერვანტესი არავის დაუნახავს.

საღამოს არავინ გასულა ქალაქიდან. ხირონიც არ ჩანდა.

საქმეში კვლავ გამცემი ჩაერია. გამცემლობა იმდენად უცხო იყო სერვანტესისთვის, რომ ყოველთვის ავიწყდებოდა იგი.

გამცემი აღმოჩნდა ესპანელი სწავლული, დოქტორი ხუან ბლანკო დე ლა პასი, ოდესღაც სალამანკის დომინიკელი ბერი, ინკვიზიციის კომისარი და ჯაშუში. საზიზღარი და ორჭოფული იყო მისი სიტყვები ყოველთვის, სულითა და ხორცით აშმორებული, საზიზღარ სუნს ავრცელებდა გარშემო. ყველა „ყიამყრალს“ ეძახდა თვით იმ ქალაქში, სადაც ამდენი ჰუჭყიანი მონა დაწანწალებდა. წირპლიან ბერს საშინლად ეჯავრებოდა და სძულდა შარჯვე, ყოჩაღი სერვანტესი, რომელიც ყველას აღტაცებას იწვევდა.

შეთქმულების მონაწილეებში აღმოჩნდა ერთი გამოუცდელი, დაუდევარი მოლაყბე ბიჭი. სერვანტესის დაუკითხავად წინადადება მისცა ბლანკო დე ლა პასს გაპარულიყო მათთან ერთად.

ბლანკომ, როგორც კი გაიგო ტყვეების განზრახვა, წუთშივე დაავალა ერთ-ერთ ფლორენციელ რენეგატს გაეფრთხილებინა ფაშა. შემდეგ დომინიკელი პირადად მიიხმეს სასახლეში. ესოდენი პატივისცემის გამო ბაყაყივით გაიბერა. ღვთის ქოფაკმა ძაღლივით დაუწყო ლაქუცი და ხელების ლოკვა ფაშას. რაც იცოდა, ყველაფერი ამოალაგა.

სერვანტესმა ადრე გაიგო ეს თავზარდამცემი ამბავი.

საბედნიეროდ, დომინიკელმა ქოფაკმა შედარებით ბევრი არაფერი იცოდა. სერვანტესსა და სოზას არავისთვის გაუმხელიათ ონოფრიო ექზარხის დახმარების ამბავი, თითოეულ შეთქმულს პირადად მიგელთან ჰქონდა საქმე. მენიჩბეთა სიაც მასთან ინახებოდა.

მიგელი მიხვდა: ფაშა ერთი კლანჭის მოქნევით აპირებდა ყვე-

ლა შეთქმულის ხელში ჩაგდებას, ჩასაფრებული იყო. უთვალთვალებდა გაპარვისთვის დანიშნულ საათს. აშკარად არ დაესხა თავს ტყვეებს. არც ერთი არ დაუპატიმრებია. აქამდის არ გამოამჟღავნა, ყველაფერი ვიცით. ღამით კი თავს უყრიდა იანიჩრებს ნავსადგურში. ბნელ შუკაში კედელზე ატუზულმა სერვანტესმა ცხადად დაინახა, თუ როგორ შედიოდნენ არსენალში იარაღასხმული იანიჩრები. ორმოცდაათ კაცამდის დაითვალა.

ყველაფერი ნათელი იყო: ფაშა ამზადებდა თავდასხმას. სწორედ არსენალის ახლოს იდგა ხირონის ხომალდი. ფაშის მიზანი იყო: ტყვეებს თავი მოეყარათ ხომალდზე, გამგზავრებისას მოულოდნელად თავს დასხმოდა მათ და მუსრი გაევლო მეთაურებიანად.

მაგრამ იმ ღამეს ალჟირის ყველა საპატიმროს კედელთან ფხიზლად მოდარაჯე ტყვეებს სამგზის მოესმათ ზარნაშოს ამაზრზენი ყივილი და სტვენით გაეხმაურნენ მას.

ხომალდის გამგზავრება გადაიდო. ფაშა გაშლიდა კლანჭებს, მაგრამ ცარიელ ადგილს მოხვდებოდა ლომის მოქნეული თათი.

სერვანტესმა უბრძანა ხირონს მიმალულიყო. თვითონ კი გაემართა საპყრობილისკენ, მაგრამ მალე მუხლთ მოეკვეთა და შეჩერდა: როცა ფაშა გაიგებს, ნახტომი შემეშალაო, უწინარეს ყოვლისა, ყელში სწვდება იმ მეთაურებს, რომელთა სახელიც უკვე აცნობა ბლანკომ. იგი საშინლად აწამებს მათ, სანამ არ გაიგებს დანარჩენთა სახელებს.

მიგელი უეცრად მოდუნდა. შიშმა და სისუსტემ შეიპყრო. საბრალო უღონოდ ჩამოჯდა ქვაფენილზე.

ერთხელ გაუძლო წამებას, მეორეჯერ ვეღარ აიტანდა, ძალღონე აღარ ეყოფოდა.

ასე გაატარა მთელი ღამე. რიჟრაჟზე დაღლილ-დაქანცული და მშიერი წამოდგა. გაემართა ქალაქის შუაგულში. თავი შეაფარა ერთ-ერთ მამაც თანამემამულეს, მეფის ყოფილ მედროშეს — დიეგო კასტელანოს.

სამი დღის შემდეგ მოვიდა მდიდარი ვაჭარი ონოფრიო ექზარხი, ფრიად შეძრწუნებული იყო შეთქმულების ჩაშლით, დიდად უფრთხილდებოდა საკუთარ ტყავს. აუწყა სერვანტესს ამბავი, რომლის შესახებაც კრინტიც არ დაუძრავს კეთილშობილ კასტელანოს

სერვანტესის თავი ას ოქროდ შეაფასეს. სიკვდილით დასჯიდნენ იმას, ვინც გაბედავდა მეამბოხის დამალვას.

— აი, ეს შენ! — ხელში ჩაუდო ონოფრიომ ქისა სერვანტესს, — აქ ბევრი ფულია. წადი, შეიტანე ორმაგი, სამმაგი სასყიდელი, ჩაჯექი პირველსავე ხომალდში და მოუსვი ესპანეთისკენ. თუ აქ დარჩი, შეგიპყრობენ და გაწამებენ, გადაგიმსხვრევენ ხელ-ფეხს, შეგინთებენ ცეცხლს, ხახაში ჩაგასხამენ ადუღებულ ფისს. ვეღარ გაუძლებ, გაგვცემ ორივეს, მეც და ტორესსაც. მაშინ ხომ ორივენი დავიღუპებით. აიღე, ჩქარა, აქ ოთხი ათასი ოქროა. როგორც კი თავისუფალი იქნები და ხიფათი გაივლის, თამასუქს მომცემ ფულების ნაცვლად.

— ყალბი თამასუქი იქნებოდა, ჩემო ონოფრიო, — მშვიდად მიუგო სერვანტესმა. — ვერასოდეს ვერ გადავიხდი ასეთ თანხას. ეს უაზრობაცაა. ასეთი საქციელისთვის სწორედ თქვენზე მოიტანენ ეჭვს. მეტად ხელსაყრელი წინადადებაა ჩემთვის, მაგრამ, სენიორ, მდგომარეობა ისეთია, არაფრით არ შემიძლია მივიღო იგი. ფაშა უთუოდ დასჯის ვისმეს ჩემი დანაშაულისთვის. განა შემიძლია დავთანხმდე, რომ სხვა დაისაჯოს სერვანტეს საავედრას ნაცვლად? არც ის მსურს, დაღუპვის კარამდის მივიყვანო სახელოვანი დიეგო კასტელანო.

— მაშ არ გინდათ? — შიშისგან გაოცებული სახით შეეკითხა ონოფრიო, — აბა, ის გსურთ, რომ სული გაგვარდეთ ტანჯვა-წამებით?

— არა, ამ შემთხვევაში მოვალეობა ყველაზე მაღლა დგას! მე ვტოვებ კასტელანოს, არ მინდა ხიფათში ჩავარდეს!

— ეს არაფერსაც არ ნიშნავს, მიგელ! — წამოიძახა დიეგომ. — იწექი, აქ ვერავინ მოგაგნებს.

— არა, — მშვიდად მიუგო სერვანტესმა, — არ მსურს დაიტანჯო სხვისი უბედობისათვის!

წუთის შემდეგ იგი უკვე შეუყვა აღმართს ალჟირის მეორე კვარტალისკენ. დიეგომ მისცა ძველი მოსასხამი და გააზატებული მონის ფართოფარფლებიანი ქუდი.

მუხლები ეკეცებოდა, თავბრუ ესხმოდა, მიიჩქაროდა ქალაქის ზემო ნაწილში — ხელოსნების, მკალავების, მეჩექმეთა და მკერავთა უბანში. ფრთხილად ათვალიერებდა გამვლელებს. ალჟირში

ძლიერ ბევრი იცნობდა „მღვიმელ გმირს“. და ყველას თვალში ხვდებოდა კიდევ ერთი ნიშანი: უძრავად დაკიდებული გამხმარი ხელი. სერვანტესმა მოსასხამში მიმალა ის და ნაბიჯს აუჩქარა.

სურდა საჩქაროდ ჩასულიყო მთავარ ბაზარში: იქ ბლომად იყო ხალხი და დიდი ჟრიამული იდგა. იქ იოლი იყო დამალვა.

ასე დახეტიალობდა დაბინდებამდე.

საშინლად დაქანცული ჩამოჯდა მერხზე. იქვე იჯდა ორი თურქი. სერვანტესი ვერ ხედავდა მათ სახეებს, მაგრამ ესმოდა საუბარი.

— რა ბევრი სამუშაო გვექნება ხვალ, ალი-ჯან! — ამბობდა ერთი და იწმენდდა ოფლს.

— ვითომ რატომ? — ჰკითხა მეორემ.

— ხვალ ფაშამ დანიშნა ტყვეთა დაკითხვა. იქ შეთქმულება აღმოაჩინეს, მაგრამ მთავარი წამომწყები, ცალხელა, გაიქცა. მას ეძებენ. დაისჯება ისიც, ვინც მას შეიფარებს. ფაშას სურს, ათქმევინოს ტყვეებს დანარჩენ შეთქმულთა სახელები. თუ ვერ გაიგო, დასჯის და ჩამოახრჩობს ყოველ მეათე კაცს. ხვალ ბევრი სამუშაო გვექნება. რამდენი სამარე უნდა გავთხაროთ!

სერვანტესი გიჟივით წამოხტა და მოკურცხლა ფაშის სასახლისკენ.

ჯიუტი ესპანელი

ფაშა დაბალ ტახტზე იჯდა. გარს ერტყნენ შეიარაღებული მცველები. გვერდით უსხდნენ: მრჩევლები, ახლობელნი, მსახურნი. იანიჩრები, მეცხოვნენი.

უბრალო მაყურებლები ირეოდნენ გარშემო.

ახლა ფაშამ ყველას ნება მისცა შესულიყვნენ მის სასახლეში. უნდოდა ზეიმად გადაექცია ეს დაკითხვა-ორთაბრძოლა, რომლიდანაც მხოლოდ თვითონ გამოვიდოდა გამარჯვებული.

იქვე აემართათ სახელდახელოდ აგებული სახრჩობელა.

ჯიუტი ესპანელი, სერვანტეს საავედრა, გათოკილი წარუდგინეს ჰასან ვენეციანოს. მიგელს კისერზე გამოაბეს ყულფად გაკეთებული თოკი. ფაშასთან შენიშნა დალი მამა. უკან, თაღის ჩეროში, იმალებოდა გამცემი „ყიამყრალი“.

ჰასან-ფაშამ ჩასისხლიანებულ თვალთა ბრიალით შეათვალიერა უსუსური ადამიანი. გოროზად შეყარა წარბები, მრისხანედ გადახედა დალი მამას, მხრები აიჩეჩა და შეუდგა დაკითხვას.

— შენი ნება-სურვილით მოხვედი ჩემთან მოსალაპარაკებლად განა, ცალხელავ? — დაიწყო ფაშამ.

— დიახ, — მიუგო მიგელმა.

— და მზად ხარ მიპასუხო ყველა კითხვაზე?

— მზად ვარ!

მაშინვე გამოირკვა, რომ დომინიკელს გაეზვიადებინა: მან აცნობა ფაშას, ხომალდზე ორასი მონა მოთავსდება და სწორედ ამდენს სურს გაპარვაო.

— მაშასადამე, გაიძვერა ქურდბაცაცავ, გსურდა მოგეპარა ჩემთვის ორმოცი ათასი დუკატი? გამოტყდები თუ არა?

— არამზადა გამცემძა, — თქვა სერვანტესმა და ზიზღით გადახედა დომინიკელს, — გააზვიადა ტყვეთა რაოდენობა უფრო მეტი ჯილდოს იმედით. ხომალდში მხოლოდ სამოცი კაცი ეტეოდა.

— მაშ, აღიარებ თავს დამნაშავედ?

სერვანტესმა მორჩილად დახარა თავი.

— კარგი! ახლა გვითხარი: ვინ არიან შეთქმულების მთავარი ხელმძღვანელები?

— მხოლოდ მე!

— მარტო შენ დაიყოლიე ყველა, იშოვნე ფული და შეიძინე ხომალდი?

— მარტო მე!

— ცალხელავ, დამცინი განა? — გააფთრებით დაიყვირა ფაშამ.

— თუ ჩემი სიტყვები სანდოდ არ მიგაჩნიათ, მაშინ რად ჰკარგავთ ძვირფას დროს დაკითხვისთვის? — ღიმილით უთხრა სერვანტესმა, — თავისუფალი რომ ვიყო, ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში დაეჭვების გამო ხმლით გავუსწორდებოდი ჯიუტ მოპირდაპირეს, ახლა ვდუმდები და კრინტსაც არ დავძრავ...

ფაშამ ანიშნა. მონა ზანგმა ძელზე შეისროლა თოკის წვერი და დასწია ძირს.

— ვნახოთ, თუ კრინტსაც არ დასძრავ! — მრისხანედ ჩაილაპარაკა ფაშამ. — დავიწყოთ თავიდან: მარტო მოიფიქრე და მოაწყვე ეს ეშმაკური შეთქმულება? შენ გსურდა მთელი ქალაქის აჯანყება

ჩემს წინააღმდეგ, არა? ახლავე დაასახელე სამოცივე ტყვე. შემდეგ მაცნობე იმ კაცის სახელი ან იმ ხალხის ვინაობა, ვისი სახსრებითაც ყველაფერი ეს ეწყობოდა. ცოტაოდენი ფული როდი დაჯდებოდა ეს საქმე!

მიგელი დუმდა. მაგრამ იგრძნობოდა: ამ მდუმარების კედელი აუღებელი იყო.

— თანამონაწილენი არ მყოლია!

— დაჭიმეთ ბაწარი!

ზანგმა დაქაჩა თოკის ბოლო და ყულფმა მაგრად მოუჭირა სერვანტესს ყელში.

— იტყვი, თუ არა?

სერვანტესმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— თქვი, თორემ წუთის შემდეგ მაღლა იქნები ჩამოკიდებული.

სერვანტესი დუმდა.

— უფრო მაგრად დაჭიმეთ ბაწარი!

ყულფი დავიწროვდა, გაიქაჩა და წაეჭირა ყანყრატოში.

თვალებსა და საფეთქლებში მოწოლილი სისხლი ამოხეთქას ლამობდა. მიგელი დაბარბაცდა და ძლივსღა შეინარჩუნა წონასწორობა. მიწა ეცლებოდა ფეხქვეშ. გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ცრებითღა წვდებოდა მიწას. ყელიდან მხოლოდ ხრიალი აღმოხდა.

— იტყვი, თუ არა? — გაჰყვიროდა ფაშა.

სერვანტესმა კვლავ გააქნია თავი.

— კიდევ უფრო მაგრად!

— ახლავე ალაპარაკდება! — წამოიძახა ფაშის მცველმა ახმეტმა და თვალებში ჩახედა გონებამიხდილ სერვანტესს.

— მოუშვით ბაწარი! — ბრძანა ფაშამ. — თქვი, ცალხელავ! ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ! გყავდა თუ არა მომხრეები? თქვი და ყველაფერს გაპატიებ!

— დიახ, მყავდა... — ამოიკვნესა მიგელმა.

— მოუფონეთ ბაწარი! ახლოს მოდექ! აბა, მითხარი, ვინ იყვნენ? თქვი, რამდენი იყვნენ? — გაუხარდა ფაშას.

სერვანტესი შეჩერდა. სუნთქვა შეჰკვროდა და ბარბაცებდა.

— ოთხი, — ძლივს გასაგონად წარმოთქვა მან.

ხალხი სულგანაბული ელოდა. ეგონათ, შედრკა ცალხელა გმირის ვაჟკაცობაო.

— ოთხი წარჩინებული ესპანელი: ლუის გარსია... — დაიწყო მან.

— კიდევ, კიდევ.

— თომას სოლანო, ალონსო დე ნავარა, რაფაელ დე რაპიდა. ყველანი დიდი ხანია სამშობლოში იმყოფებიან თავისუფალნი...

ეს ოთხი წარჩინებული და მდიდარი ტყვე მართლაც სამი კვირის წინათ გათავისუფლდა, ბედნიერად დაბრუნდა სამშობლოში.

ფაშა გაცოფდა. კვლავ ანიშნა. განის კარებიდან გამოვიდა ორი მწვანით მოსილი, მარჯვნიდან კიდევ ორი, იისფერსამოსიანი და შავსამოსიანი. ხელთ ეპყრათ უცნაური ფორმის გრძელი ხელსაწყოები.

— გაიხარე! — დამცინავად წარმოთქვა ფაშამ. — როცა ჯაჭვები ოცჯერ შეგეკითხებიან, ენა თავისთავად ალაპარაკდება.

ჯაჭვებს დატანებული ჰქონდა წვეტიანი ნემსები.

სერვანტესი წამოაქციეს. ჩვეული სისწრაფით ჩამოჰგლიჯეს სამოსი. შიშველი გააწვინეს ცივ იატაკზე.

დახუჭა თვალები. არ განუცდია არც შიში, არც შემდრკალა. უკვირდა უფრო. შეეცადა მოეხმო საშველად წმიდანები, მაგრამ ძრწოლვით იგრძნო, აღარ ჰქონდა უნარი მიემართა მათთვის. „განა ქრისტიანი აღარა ვარ, — გაიფიქრა ცახცახით, — ან აქ რად ვაგდივარ?“.

ჯალათებმა გაუკავეს ხელ-ფეხი. შავოსანი მუხლით დააწვა მკერდზე.

სუნთქვა შეუჩერდა მიგელს. ამოოხვრა უნდოდა, ვერ შეძლო.

— იტყვი თუ არა კიდევ რამეს?

— არა!

— სულ არაფერს?

— არა და არა!

ჯალათმა თანდათან დააჭირა მუხლი მკერდზე. მოამზადა ჯაჭვები.

მიგელმა წყნარად ანიშნა ხელით მოკუმულ ტუჩზე, ყულფწაწერილ კისერზე და გაიქნია თავი: აღარაფერს ვიტყვიო. გრძნობას ჰკარგავდა...

ფაშა შეყოყმანდა. საკმაო იყო ხელის მცირეოდენი აქნევა და ეს ჯიუტი ესპანელი გააფრთხობდა სულს, მაგრამ შეიძლება სერვანტესის სიამაყემ და სიკვდილისადმი გულგრილობამ დაარწმუ-

ნეს სიმართლეში... ანდა, იქნებ, მიგელის ვაჟკაცობამ და გამბედაობამ გამოიწვია სიმპათია... უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, ალჟირის ვერაგი და მსუნაგი მფლობელი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ანგარებით ხელმძღვანელობდა და არა დიდსულოვნებით. სერვანტესის სიკვდილი მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებდა. კაცი, რომელმაც შეძლო ამდენი ფულის შოვნა ხომალდის შესაძენად, ადრე თუ გვიან ადვილად მოახერხებდა საკუთარი თავის გამოსყიდვასაც.

უთუოდ ამით გადარჩა საბრალო მიგელი.

— მეტისმეტად უსუსურია, ვერ გაუძლებს წამებას. წამოაყენეთ! მოხსენით ყულფი! — ბრძანა ფაშამ.

სერვანტესი წამოდგა ცოცხალ-მკვდარი, ტორტმანებდა.

ფაშამ ბრძანა და გამცემი გამოვიდა ჩეროდან.

— კარგი სამსახური გაგვიწიე, ყიამყრალო, უხვადაც დაგასაჩუქრებ.

გაიჩხრიკა ჯიბე, ამოიღო ერთადერთი ოქრო, ჯერ თითებში აათამაშა, ააციალა მზეზე და ფეხებში შეუგორა ყიამყრალს.

— ეს ყველაფერი როდია, ეს არ გეყოფა, მიდი ჩემს მზარეულთან, ერთ ლიტრა ერბოს გითავაზებს. შეგიძლია გამოლოკო და ისიამოვნო... მთელი ლიტრა ერბო, — გაიმეორა დაცინვით. — მოიდრიკე წელში, — დასჭყივლა უცბად. — აიღე ოქრო აშმორებული პირით და ფორთხვით შეძვერი შენს სოროში. ეგ კი გაიყვანეთ აქედან! — მიუთითა სერვანტესზე. — აღარ მსურს ამ გაძვერას მოსმენა და დანახვა. წაიყვანეთ და ჩააგდეთ ასპიტთა ჯურღმულში.

ხალხი დაფრთხა, განზე მიდგა, გზა დაუთმო სერვანტესს. ის მიდიოდა თავჩაქინდრული. ვერაფერს ხედავდა.

ფაშის ეზოდან მიღოღავდა დედაბერივით ოთხადმოკეცილი საბრალო ტყვე, ბავშვივით ათრთოლებული და უმწეო.

ასპიტთა ჯურღმულში

ირგვლივ წყვდიადია. კედლებიდან მოჟონავს ნესტიანი შმორი და წვეთავს ტალახიან იატაკზე.

კუთხეში დგას წუმპე. დახტიან ვირთაგვები. არც სინათლეა, არც ადამიანის ხმა ისმის, მარტოოდენ დუმილი სუფევს. ერთადერთი კარი გადის მიწისქვეშა დერეფანში. ხანდახან კარი გაიღება, მცველს შემოაქვს ხელადით წყალი და ორიოდე ნამცხვარი. ესაა და ეს.

კისერზე გადაცმული აქვს რკინის საყელური, მსხვილი ჯაჭვით შეერთებული ფეხებთან. დრო დაიკარგა: ხანდახან წუთივით გარბის, ხან წლებივით გაჭიანურდება. ასე გაატარა ხუთი თუ ექვსი თვე.

ერთ დილას საკანის კარი ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ გაიღო და დარაჯმა ჯუჯღუნით წამოიძახა:

— გამოდი გარეთ, ცალხელავ!

სერვანტესი ვეღარ წამოდგა. ხელით გაიყვანეს. თვალებს აცეცებდა. ვერაფერი გაეგო. დღის სინათლემ თვალი მოსჭრა. სუფთა ჰაერმა თავბრუ დაასხა. მუხლები მოეკვეთა.

— იარე! — წაჰკრეს ხელი და წაიყვანეს.

ფაშის ბრძანებით საგანგებოდ გაკეთებული ვერცხლის ჯაჭვით მიაბეს სასახლის კარებთან. ჯაჭვი გრძელი იყო. სერვანტესს შეეძლო გავლა-გამოვლა. ჰასან-ფაშა ცალხელა მონას ისე ეპყრობოდა, როგორც კეთილშობილ, მძვინვარე მხეცს. „ჩემი სახელგანთქმული ლეოპარდი“, — ეტყოდა სტუმრებს და მიიყვანდა წალოსთან, სადაც იჯდა სერვანტესი და წერდა. ფაშამ ყველაფრის ნება მისცა, რასაც მოისურვებდა ძაღლივით მიბმული მიგელი.

— კარგად უდარაჯეთ ამ ცალხელა ესპანელს, — უბრძანა ერთხელ იანიჩრებს ფაშამ, — ქალაქი ალჟირი არ დაიღუპება, ხომალდებს, მონებს და მთელ დოვლათს ხელს ვერავინ ახლებს, სანამ სერვანტესი დაბმული იქნება.

ფხიზლად უთვალთვალებდნენ.

სერვანტესი კი გაფაციცებით წერდა და წერდა. წერდა ალჟირზე, მონობის საშინელებაზე, ბედუკუღმართ ცხოვრებაზე, ყველაფერზე, რაც განიცადა ტყვეობაში.

დაუბრუნდა დრო, გაქრა სიცარიელე, წყვდიადი. ყველაფერი

ამოავსეს მის მიერ შექმნილმა სახეებმა. ისინი გახდნენ მარტოობის მეგობრები.

ბევრი ფხიანი კალამი დაილია. წერდა დრამას, ეს იყო „ალჟირის ზნე-ჩვეულებები“. ოცნებობდა მალულად გაეგზავნა ხელნაწერი ზღვის გაღმა. იქნებ პიესა დადგას ესპანეთის რომელიმე სახელგანთქმულმა თეატრმაო. იცოდა: ესპანეთში მძლავრად გაიფურჩქნა ახალი ლიტერატურა, არნახულად გაიზარდნენ თეატრალური ამხანაგობები. მაშინ პიესა თვალს აუხელს მეფეს, მთავრობას, გახდება ნიშანი ჯვაროსნული ლაშქრობისა, რომელიც ძირფესვიანად აღგვის ავაზაკთა საბუდარსო.

ხან გაიხსენებდა სიყრმის საყვარელ ხელობას და წერდა ლექსებს, მხოლოდ ახლა უფრო სხვანაირად. აღარ ჰქონდა წინანდელი პატივმოყვარეობა, არც წამქეზებელი ჯილდო პოეტურ ტურნირებზე, არ ჰყავდა მაესტრო ოიოსი, რომელიც თავგამოდებით ადიდებდა თავის. მოწაფეს და ხედავდა მასში მომავალ ბოსკანს ანდა ჰარსილასოს [1].

სურდა მალე გასულიყო დრო ტყვეობაში და მოეგონებინა წარსული. ფიქრობდა აღეწერა ისტორია თავისი უკანასკნელი წლებისა, რომლებიც საუკუნეებად ეჩვენებოდა. დაიწყო ელეგია სათნო აკვავივას გარდაცვალებაზე, გადავიდა გმირულ ამბებზე. შეთხზა ოდა ლეპანტოს ბრძოლის შესახებ. გრძნობდა, ყველაფერი ეს იყო რახარუხი და რიტორიკა.

მის თვალწინ მდინარებდა გასაოცარი ვერაგობითა და არნახული მუხანათობით განთქმული სასახლის საიდუმლო ცხოვრება. სწავლობდა ავაზაკური სასახლის ფერად-ფერად ცერემონიებს, ხედავდა გასამართლებასა და დასჯას, უყურებდა, თუ როგორ კვეთდნენ თავს დამნაშავეს, ასახიჩრებდნენ და აგებდნენ მარგილზე, როგორ რეცხდნენ შემდეგ სისხლით მოთხუპნილ ქვის იატაკს სასახლის ეზოში, სადაც საღამოობით გაისეირნებდა თვითონ მბრძანებელი.

---

[1] ჰარსილასო დე ლა ვეგა, უფრო სწორად ჰარციას ლასო (1503 — 1536), ესპანეთის გამოჩენილი პოეტი. ესპანურ პოეზიაში შემოიღო იტალიური ლირიკის ხერხები და ფორმები. სახელი გაითქვა ეკლოგებით. მისი თანამედროვე იყო ხუან ბოსკან ალმაგოვერი (1495 — 1542).

ნაძირალების სახელმწიფოზე იმდენი რამ შეიტყო, რაც სხვებს არც ეზმანებოდათ.

პირუტყვივით დაბმული დღედაღამ ოცნებობდა და ამზადებდა განზრახვას, კიდევ უფრო თავზეხელაღებულს, უფრო ფართოს, ვიდრე წინათ.

გადაწყვიტა: სიმარჯვით, მოთმინებით, შეუპოვრობით აეჯანყებინა ალჟირში მყოფი ოცი ათასი მონა.

ოცნებობდა: სათავეში ჩასდგომოდა მამაც აჯანყებულებს, აეღო ქალაქი, გაემუსრა ავაზაკთა ურდო, აეფრიალებინა ესპანეთის დროშა.

გეგმა კარგად იყო მოფიქრებული და შემუშავებული. ყველაფერი გაითვალისწინა. საჭირო იყო მცირეოდენი სიმარჯვე. აპირებდა გმირობის ჩადენას, რომელიც უკვდავყოფდა მის სახელს, მაგრამ ყველაზე მოხერხებული პროექტები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. სერვანტესს ფრთხილად სდარაჯობდნენ. არ იქნა და ვერ მიაღწია დიდებას და წარჩინებას ვერც კალმით, ვერც მახვილით. მწერლობაში ჯერ კიდევ მაესტრო ხუან ლოპეც დე ოიოსის მოწაფე იყო. მებრძოლად აღარ ვარგოდა ღატაკი ხეიბარი.

მაგრამ სასახლის კედლების ირგვლივ აზვირთდა მისი ლეგენდური სახელი, გასაოცარი შეიქმნა მიგელის ცხოვრება. ყველა ჯურის ქრისტიანი მონები, მეზღვაურები, მორთულ-მოკაზმული ქალები, ჯარისკაცები, სამღვდელოება, ხელოსნები, ვაჭრები და სწავლული ებრაელები, მეცხოვნენი ლეგენდებსა და ზღაპრებს მოუთხრობდნენ ერთმანეთს ვერცხლის ჯაჭვით დაბმულ ცალხელა ესპანელზე.

ყველას უკვირდა: რატომ დატოვა ფაშამ ცოცხალი ეს საშიში ადამიანი. ბევრი ჯადოქრობას მიაწერდა ამ ამბავს.

ტყვეები ისევ იტანჯებოდნენ საპყრობილეებში, იხოცებოდნენ, თავისუფლდებოდნენ.

„მღვიმელი გმირი“, „სახელგანთქმული ლეოპარდი“ კი იჯდა თავის საწოლში და წერდა.

ჰასან-ფაშა ვერ ძღებოდა ადამიანთა სისხლით. სახრჩობელები არასოდეს მდგარან ცარიელები. ბაბ-ელ-უედის წინ მიწა სისხლის ჭაობად გადაიქცა. აღარ ჰყოფნიდათ დაქირავებული ჯალათები.

თითქმის ყველა ქრისტიანი უყურებდა დადის. ბედნიერებაა, თუ

ვინმეს ცალი თვალი მაინც შერჩენიაო, — წერდა ამ ხანებში ერთი ნეაპოლელი თავისიანებს.

სერვანტესმა ყველაზე უწინ გაიგო, რომ ჰასან-ფაშას გადაყენებას უპირებდნენ. საინტერესო იყო, რას უზამდნენ მიგელს.

ვენეციელი რენეგატი სამი წელი თვითნებობდა. საშინელ მონობაში ჩააგდო ხალხი. ამჟამად ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაიწყო სტამბოლში სასახლის ინტრიგები. უკვე ასახელებდნენ შემცვლელის სახელს. ეს იყო ჯაფერი. მან ქრთამებითა და დასმენებით ძირი გამოუთხარა ჰასან-ფაშას გავლენას სულთნის სასახლეში.

გავიდა თვეები და „ლეოპარდი“ კვლავ ჯაჭვით იყო მიბმული, თითქოს მიავიწყდათო.

მაგრამ ზღვის გაღმა, ნახევარკუნძულზე, მშობლებსა და ნათესავებს კარგად ახსოვდათ მიგელ სერვანტესი.

მოხუცი დონ როდრიგო ვერ ისვენებდა, სანამ მიგელი ტყვედ იყო ალჟირში. მთელი ოჯახით გადასახლდა მადრიდში, ცხოვრობდა ღატაკურად და ცოდვილობდა შვილის განთავისუფლებისათვის.

ეგზომ გათამამდა, თხოვნა მიართვა მეფეს, თან დაურთო ოფიციალური ცნობა მოწმეებისა, რომლებიც ადასტურებდნენ მიგელის ვაჟკაცობას ბრძოლებში, მის გმირულ საქციელს ტყვეობაში.

პასუხს ვერ ეღირსა. მათხოვრობისათვის უნდა მიეყო ხელი. მაგრამ სიკვდილმა დაასწრო და გაანთავისუფლა გაძაღლებული სიცოცხლისგან.

ცოლი და ქალიშვილები ულუკმაპუროდ დარჩნენ მადრიდში. ლუიზა უკვე მონასტერში იყო. ევედრებოდა ღმერთს ძმის დაბრუნებას. მისი ძმა როდრიგო ისევ წინანდელ ლეგიონს დაუბრუნდა.

ანდრეა დარჩა დედასთან. ორივენი მამაცურად იბრძოდნენ, მუშაობდნენ და აგროვებდნენ ფულს მიგელისთვის. ვერც მოხუცი როდრიგოს სიკვდილმა, ვერც ხუთი წლის ამაო შრომამ ვერ დააძაბუნა დედა-შვილი. უკერავდნენ კამზოლებს მდიდარ ბატონებს, ცოდვილობდნენ, შუამდგომლობდნენ. იკლებდნენ ყველაფერს. უკეთუ სამუშაო აღარ იყო, გავიდოდნენ ქუჩებში და არ თაკილობდნენ სამათხოვროდ გაეწვდინათ ხელი. ასე გაჭირვებით შეაგროვეს მცირეოდენი თანხა.

1580 წლის ზაფხულის მიწურულში მომცრო გალერა გავიდა აფრიკის სანაპიროებისკენ. გალერაზე მიემგზავრებოდა ტრინიტა-

რელ ორდენის ბერთა ჯგუფი. ეს ორდენი აწარმოებდა უცხოეთში მყოფი ქრისტიანი ტყვეების გამოსყიდვას.

ორდენის მთავარი პროკურატორი იყო ბერი ხუან ჰილი. დონა ლეონორამ და ანდრეამ შემთხვევით გაიგეს: მეფემ დაავალა ხუანს გამოესყიდა რამდენიმე ტყვე, რომელთა ბედით განსაკუთრებით დაინტერესებულია მათი უდიდებულესობაო. ანდრეამ ხუანს ჩააბარა ჭაპანწყვეტით ნაშოვნი სამას სამოცი დუკატი. ხუან ჰილი დაჰპირდა ყველაფრის გაკეთებას.

როგორც კი ფეხი დაადგეს ალჟირის მიწას, ნავსადგურში მომუშავე აუარებელი ტყვე გარს შემოეხვია ბერებს. ჰკოცნიდნენ ხელებზე, ტანისამოსზე, იჩოქებდნენ მათ წინაშე, ევედრებოდნენ... თითოეული მოითხოვდა ხსნას. აღარ ჰქონდათ მშობლებისგან ფულის გამოგზავნის იმედი. მაგრამ ორდენის მეთაურმა, მამა ალივარმა, ასწია ხელი და წამოიძახა:

— ძმანო ქრისტიანენო, პირველ ყოვლისა გამოვისყიდით იმას, ვინც გამოირჩევა სხვა ტყვეებისგან წარჩინებული გვარიშვილობითა და წმინდა სისხლით. თქვენ კი, ძმანო ქრისტიანენო, დაუბრუნდით სამუშაოს და იქონიეთ ღვთის იმედი!

არა, ასე არ ივარგებსო, — იფიქრა ხუან ჰილმა.

თვითონ მოძებნა მიგელი. მივიდა ფაშასთან, შეასთავაზა სამას სამოცი ოქრო.

— ათასი! — განუცხადა ფაშამ. — ათასი ოქრო! არც ერთი ასპრით ნაკლები!

— რად გინდა იგი? — მიუგო ხუანმა — ავადმყოფია და უმწეო. შენი ვადა მთავრდება! მალე წახვალ აქედან! თან ხომ არ წაიყვან?

— კარგად მომაგონე, — გაუხარდა ფაშას, — სტამბოლში წავიყვან!

განთავისუფლება

ალჟირის ნავსაყუდში ბუზივით ირეოდა ხალხი.

გასამგზავრებლად გამზადებული ოთხი ხომალდი იდგა ყელამდის დატვირთული.

ჰასან ფაშა ტოვებდა ალჟირს: ამოშრიტა მთელი დოვლათი.

გააღატაკა ნახევარი ქალაქი, გაანადგურა ქვეყანა, გააჩანაგა სოფლები. ყავლი გაათავა. ახლა მიდიოდა ალჟირიდან.

სერვანტესი ჯაჭვით მიებათ მერხზე მენიჩბეებთან ერთად, გასასვლელის ახლოს, რადგან მენიჩბედ არ გამოდგებოდა. მოიგონა თარიღი და მიხვდა: ცხრამეტი სექტემბერი იყო. ღამდებოდა. ოც სექტემბერს ალიონზე გაშლიდნენ იალქნებს. დაღრეჯით ჩაეცინა ამ თითქოსდა კანონზომიერების გამო.

მენიჩბეებს ეძინათ. მას კი რული არ ეკიდებოდა. იცოდა, რაც მოელოდა... ჯიუტობდა ბავშვივით. რამდენჯერ უარყო საკუთარი თავის გადარჩენა. მრავალთა მხსნელობას ჩემობდა. ალჟირში ყველაფერი დასრულდა. სტამბოლში ყველა გზა სამშობლოსკენ სამარადჟამოდ მოჭრილი იქნებოდა. იქ არ დადიოდნენ ესპანეთის ხომალდები. სტამბოლიდან არასოდეს დაბრუნებულან ტყვეები. სტამბოლი სამუდამო მონობა იყო...

უკანასკნელად გადახედა ნაპირს, დიდი მიზგითის ელვარე მინარეთს, სასახლის მაღალ კედელს, ციხის ქონგურებს და მოეჩვენა, თითქოს ესოდენ ტანჯვა-წამების ადგილს კი არ ტოვებდა, არამედ სანუკვარ სამშობლოს...

ნავსადგურის ერთ-ერთ ქუჩაბანდში პირქუშად მუსაიფობდა ორი ბერი.

— ვინ დაიჯერებს, მამაო ბლანკო, რომ სწორედ ეს ფაშა ერთ დროს ვენეციელი ბიჭი იყო მეთევზეთა ბაზარში? — ამოიოხრა ჭროღამ.

მეორე, ფერმკრთალი, დუმდა, მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა.

— ახლა კი რა პატივისცემას და სიმდიდრეს მიაღწია! — განაგრძობდა პირველი, — საქონლითა და ოქროთი სავსე გალერები. სასახლეები, მონები...

მეორე დუმდა.

— წავაგეთ მე და შენ, ბლანკო, — აუმაღლა ხმას პირველმა, — უბრალო ბერები დავრჩით, რაც ქურდობისა და გამცემლობის გზას დავადექით. ტრინიტარელი მამებიც კი აღარ გვანდობენ გამოსასყიდ ფულს.

ბლანკოს თვალები ზეცას მიაპყრო. რაღაც გაუგებარი დაიბუტყლა.

— შენც, მამაო ბლანკო, ბევრი არაფერი მოგიგია ალჟირში.

რამდენი გაჩუქეს ცალხელა სერვანტესისა და მისი ამხანაგების გაცემისათვის? ლიტრა ერბო და ერთი ოქრო, არა? ღირდა შრომად?

უფრო ხმამაღლა და უკმაყოფილოდ დაიზმუვლა ბლანკომ.

— ვერ მივხვდით მე და შენ, ბლანკო, მოსვლისას ერთბაშად მიგვეღო მათი სარწმუნოება. ვისეირნებდით ახლა ოქრო და ვერცხლით აფერადებული, რახტებით მორთულ-მოკაზმული ცხენებით, ყველანი პატივს გვცემდნენ, როგორც ამ გაიძვერა ვენეციელს...

ყიამყრალა ბლანკო დე პასი ისევ დუმდა და შეჰყურებდა ზეცას.

— შეხედე, შეხედე ერთი! — უეცრად წამოიძახა ჭროღამ, — ხედავ სერვანტესს გალერაზე? ალბათ თან მიჰყავს ფაშას! დაიღუპა საცოდავი! ვეღარ მოესწრება სამშობლოს ხილვას! აი თვითონ ფაშაც, შეხედე!

სერვანტესი გამოლენჩებული გაჰყურებდა ნაპირს. სილიგდარებმა, ფაშის მცველებმა, მისწი-მოსწიეს ხალხი. იანიჩრებმა დახარეს შუბები და დაიჩოქეს. ჰასან-ვენეციანოს დინჯად მოჰყავდა ოქროთი მოჭედილი უნაგირითა და ვერცხლის რახტ-საძუეთი დახლართული არაბული ტაიჭი. მხარიღლივ ეკიდა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მოკლე, მრუდე ხმალი, დარდიმანდულად უპასუხებდა მისალმებებზე.

შემდეგ სერვანტესმა დაინახა: ხალხიდან გამოძვრა ერთი კოჭლი ბერი, მიიჭრა ფაშასთან, გაჰყვა ცხენს. ფაშამ შეუმჩნევლად შეანელა სვლა და ცხენდაცხენ ცალუბად გადახედა ბერს. ბერი რაღაცაში არწმუნებდა ფაშას და ქისას აჩეჩებდა. ფაშამ უარის ნიშნად გაიქნია თავი და ააჩქარა ცხენი, მაგრამ ბერი არ ჩამორჩა, კოჭლობით მისდევდა, ფეხებში ებლანდებოდა ცხენს.

ჰასან-ფაშა არ თმობდა მიგელ დე სერვანტესს, ხოტბას ასხამდა ცალხელა ესპანელს. უქებდა ვაჟკაცობას, ზვიად სულს, სწავლა-მცოდნეობას, უმწიკვლო და შეუბღალავ ყოფაქცევას. კვლავ მოიგონა მიგელის წარჩინებული გვარიშვილობა.

ხუან ჰილი ჯიუტი და ხრიკიანი იყო, როგორც ნამდვილი ანდალუზიელი. მიხვდა, თუ როგორ შიშს განიცდიდა ფაშა სერვანტესის მუდმივი გაქცევების გამო. გადაკვრით მოახსენა ფაშას: სასოწარკვეთა გააძლიერებს მიგელის სიძულვილს და სტამბოლში უკვე საფრთხეში ჩავარდება ფაშის სიცოცხლეო. ამ ხიფათის აცილება

შესაძლებელია მხოლოდ ცალხელას სიკვდილით. ასე რომ, ჰასანისათვის სამას სამოცი დუკატიც დაიკარგებაო.

ჰასან-ფაშა ცუდი ვაჭარი იყო. ბოლოს გადაწყვიტა ამ გაჭიანურებული საქმის მოგვარება. მაგრამ სიძუნწემ სძლია და ერთსა და იმავეს იმეორებდა: გამოიჩინეთ სინდისიერება და ამინაზღაურეთ ის ხუთასი დუკატი მაინც, რომელიც დალი მამას მივეციო.

ხუან ჰილს მხოლოდ სამას სამოცი დუკატი ჰქონდა.

კიდევ დიდხანს ელაპარაკებოდა ფაშას და ბოლოს ოთხად გაკეცილი ქაღალდი გაუწოდა.

— აი თამასუქი, — მოესმა ახლომდგომ ხალხს, — მიიღე თამასუქი და, რაც დაგაკლდება, ერთი წლის ვადაში აგინაზღაურებთ ესპანური ოქროთი.

ფაშამ გაშალა ქაღალდი. ჩაიღიმა. დათანხმდა. ჩამოართვა ქისა და ანიშნა სილიგდარს. სილიგდარი მიუახლოვდა გალერას და რაღაც უბრძანა ზედამხედველს. ზედამხედველმა ამოიღო გასაღები, გააღო მიგელის ფეხზე მიბმული რგოლი, შემოხსნა ჯაჭვი...

გაანთავისუფლეს!

ფაშა ჩამოხტა ცხენიდან. დინჯად ავიდა ხომალდზე. სერვანტესისთვის არც კი შეუხედავს. თითქოს ვერ ამჩნევდა გარშემოკრებილ ხალხს. შორს გაჰყურებდა სივრცეს.

აღარ ახსოვდა თავისი სახელგანთქმული „ლეოპარდი“, რომელიც მდუმარედ ჩამოვიდა ნაპირზე და შეერია ხალხში...

ერთი საათის შემდეგ, როცა განთავისუფლებულმა ინახულა პროკურატორი, ბერმა ალერსით როდი მიიღო სერვანტესი.

აღმოჩნდა: ჰასანი უკანასკნელ მომენტში მცირე თანხით არ დაკმაყოფილებულა. მიგელს ვალად დაედვა ტრინიტარელ ძმათა დუკატები. ხელი მოაწერინეს თამასუქზე. ეს იყო პირველი სიტყვა, რომელიც დაწერა მიგელმა განთავისუფლების პირველ დღეს.

— ერთბაშად ვერ გავბედე მომეცა თქვენთვის ორდენის თავდებობა, — უთხრა ხუან ჰილმა,—რადგან თქვენი გმირობა ჩემთვის საეჭვოა. თავის გამართლება მოგიხდებათ.

სერვანტესს თავი უნდა ემართლებინა „ყიამყრალის“ წინაშე.

დომინიკელი ქოფაკი გამოისყიდეს. დაუბრუნეს ესპანეთის ინკვიზიციის კომისრობა. გონჯი ბლანკო დე ლა პასი ისევ შურითა და გესლით იყო სავსე. არ დავიწყებია ერბოიანი ლიტრის გამოლოკვა.

მასთან შიშობდა, სერვანტესს დაბრუნებისას არ გაემხილა მისი გამცემლობა. ამოქმედდა. ყოველდღიურად ასმენდა, სადაც ჯერ არს, ჯაჭვით დაბმულ მიგელს მიაწერდა: რელიგიის აბუჩად აგდებას, მაჰმადის ცრუმოძღვრებისადმი ერთგულებას, მექრთამეობას, გარყვნილებას, ათასგვარ უწესრიგობას.

მთავარმა პროკურატორმა უწმიდესი პალატიდან მიიღო ბრძანება, გამოერკვია ყველა ბრალდება. ბრალდებულს კარგი სახელი ჰქონდა ალჟირში, ხუან ჰილმა გადაარჩინა მიგელი სტამბოლში გადაკარგვას. მაგრამ ინკვიზიციას ხელთ უნდა ჰქონოდა გასამართლებელი საბუთი. ბერი მოითხოვდა მას საკუთარი კეთილდღეობისთვის.

ასე დაიწყო მიგელ სერვანტესისათვის თავისუფლების დღეები. სამშობლოსაკენ გამგზავრების ნაცვლად კიდევ მრავალ კვირას ცვეთდა ნაცნობ ქვაფენილებს. ხვეწნა-მუდარით ძლივს იშოვნა მოწმეთა ჩვენებები. ფარისევლური მლიქვნელობით დაწვრილებით დაამტკიცებინეს, რომ არ იყო ერეტიკოსი, არც ფარული მუსლიმანი, მატყუარა, გახრწნილი, ბავშვების გამრყვნელი, არამედ—თავისი ეკლესიის ერთგული და სათნოებით აღჭურვილი შვილი.

ასე შედგა გრძელი, შეთითხნილი, მზაკვრულად შეწმახნილი დოკუმენტი. მოწმეთა მთელი ლაშქარი აამოძრავეს. ყველა, ვინც კი იცნობდა სერვანტესს, იფიქრებდა: ესაა მხდალი, უენო და ლაქუცა ადამიანის და არა მამაცი, ხალისიანი, თავისუფალი სერვანტესის მიერ დაწერილიო. მაგრამ ასე იყო საჭირო „ყიამყრალის“ ასალაგმავად.

ხუან ჰილმა განაცხადა, კმაყოფილი ვარო. დეკემბერში მიგელი გაემართა ესპანეთისაკენ. ალჟირის ტყვეობაში გაატარა ხუთი წელი და ერთი თვე. უსიხარულოდ, ფრთაშეკვეცილი იმედებით ბრუნდებოდა სამშობლოში.

ანტონიო ფრანჩესის მომცრო ხომალდს მასთან ერთად მიჰყავდა ახლახან განთავისუფლებული ხუთი ტყვე. აქვე იყო ხუან ჰილიც. სწრაფად და მსუბუქად მისრიალებდა ხომალდი. რა უმნიშვნელო რუ აშორებდა მონების ქვეყანას ესპანეთის ნაპირიდან! იგი გამოჩნდა მეორე საღამოს.

ცადაზიდული მთის მწვერვალი დევგმირივით წამოიმართა ზღვიდან.

— მაესტრო, — შეეკითხა სერვანტესი ფრანჩესს, — არ გიძგერთ გული?

სერვანტესს ჩვეულებრივზე უფრო როდი უძგერდა გული. ოქმებისა და თხოვნების გროვამ, მთელი კვირაობით ლოდინმა უფრო მეტად მოქანცა იგი, ვიდრე ათასგვარი ფათერაკითა და ხიფათით სავსე წლებმა.

ელის თუ არა ახლა ვინმე ნათესავთაგანი? იქნებ ანდრეა? ანდა მოხუცი დედა? ცდილობდა წინასწარ ეგრძნო და განეცადა შეხვედრის სიხარული. ნეტავ იშოვნიდა სამშობლოში რაიმე მყუდრო თავშესაფარს? ვინ იცის, დრომ და სიკვდილმა მოშალეს ნათესავ-მშობელთა ყოფა-ცხოვრება და მისთვის ძვირფასი ადამიანების ნახვის ნაცვლად, ეშინოდა, ვაითუ სამშობლო ქვეყანაში ისეთს ვერავის შეხვედროდა, რომ მისი გამოცნაურების ღირსი გამხდარიყო. მაინც აჯერებდა თავს დიდებული მომავლის რწმენაში.

— მაესტრო ფრანჩეს, იქნებ შემთხვევით იცოდეთ, სად იმყოფება ამჟამად მეფე ფილიპე? ალბათ მადრიდში იქნება, არა?

— არა, მადრიდში არაა. ახლა პორტუგალიის საზღვრებზეა. იქ შავი ჭირითაა ავად დედოფალი. იქნებ ახლა მკვდარიც იყოს.

„დედოფალი? რომელი დედოფალი? განა დრო იცდიდა? თითქოს გუშინ დასწერა სამგლოვიარო ლექსი!“

— რომელი დედოფალი? — იკითხა ხმამაღლა.

— რომელი? რომელი და მეოთხე, ავსტრიელი. უკვე ათი წელია შეირთო, განა არ იცოდი?

სერვანტესმა არაფერი უპასუხა. „ათი წელი ვითარცა ერთი დღე“, — გაიფიქრა მან.

— დონ ხუან ავსტრიელი მასთანაა? — კვლავ იკითხა.

— დონ ხუანს იქ რა უნდა?

— ოდესღაც კარგად მეპყრობოდა.

— დონ ხუან ავსტრიელი ხომ მიიცვალა!

თავზარი დაეცა სერვანტესს. მაგრამ რისთვის? იმიტომ ხომ არა, რომ დონ ხუანის სიკვდილი ამსხვრევდა სერვანტესის ერთადერთ მკრთალ იმედს? ანდა შეიძლება იმიტომ, მიგელი დონ ხუანის

კბილა იყო და ახლა უეცრად გაიგო, რომ შეწყდა მისი თანატოლის ბობოქარი ცხოვრება. თორემ ისე რა ესაქმებოდა ვიღაც ცალხელა საპყარს ამ გამოჩენილ და ზვიად ადმირალთან, ესპანეთის რაინდთა ამ უკანასკნელ თავქარიან და ბრწყინვალე ნაშიერთან!

ხომალდის პატრონმა მოუთხრო ყველაფერი.

— ჭეშმარიტად, სამწუხარო ხვედრია! ესოდენ დიდი და მრავალფეროვანი გეგმები და ასეთი ბოლო! აფრიკა, საბერძნეთი, გენუა — ყველაფერი ეს არ ჰყოფნიდა. უფრო მეტს ებღაუჭებოდა: საფრანგეთის გვირგვინს, ინგლისის ტახტს... და ბოლოს ნიდერლანდებში გაგზავნეს. აქაც მკრთალად ციალებდა გვირგვინი, მაგრამ დაიღუპა. უნდა დაღუპულიყო კიდეც. სწორედ ამიტომ გაგზავნეს იქ.

ოცდაცამეტი წლის ვაჟკაცი მოხუცივით უსუსური გახდა. მხოლოდ ერთი იყო მისი მუდარის საგანი: დაეკრძალათ ესკურიალში[1] — მამამისის, იმპერატორის ნეშტის ახლოს. ეს იქნებოდა სამაგიერო ყველა მისი დამსახურებისათვის.

— მერე, ეს თხოვნა შეუსრულეს?

— შეუსრულეს!

— ესპანეთში გარდაიცვალა?

— არა, ფლანდრიაში, დონ მიგელ, ერთ ქოხმახში, ტრიალ მინდორზე, თავის ჯარისკაცებთან.

— ნანატრი სიკვდილია!

— დიახ... — გააგრძელა ანტონიო ფრანჩესმა.—საუცხოო სიკვდილია! თუმცა, ამბობენ, გვამი მუგუზალივით გაშავებულიყო. ხოლო, როცა გაქვეთეს, გულის ნაცვლად მჭკნარი სორსალი იპოვესო. მოუწამლავთ თურმე.

— ახლა ხომ ესკურიალშია დაკრძალული?

— გვამი ოთხად გაჭრეს. ოთხად გაჭრილი იდუმალ დაბრუნდა ესპანეთში. ასე სძულდათ იგი. ახლა ესკურიალში ასვენია.

---

[1] ე ს კ უ რ ი ა ლ ი — წუვდიადით მოცული შენობა, ნახევრად ციხე-დარბაზსა ჰგავს, ნახევრად მონასტერს. გეგმა მოგვაგონებს რკინის სერსეროს, რომელზეც დასწვეს წმიდა ლორენცო. უმთავრესი შესავალი იღებოდა ესპანეთის მეფეთათვის და ისიც მხოლოდ ორჯერ: მათი მონათვლისა და დაკრძალვის დროს.

ბინდდებოდა. ესპანეთის ნაპირიდან უღიმღამოდ ბჟუტავდა მკრთალი სინათლე.

სერვანტესს მოეჩვენა: თორმეტი წლის შემდეგ თითქოს უკანა კარებიდან ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ ესპანეთის დანახვამ მთლად დაავიწყა, რაც კი უბედურება და გაჭირვება თუ სიგლახაკე გამოევლო, თითქოს მას კი არა, სხვას განეცადა ყველაფერი ეს. სამშობლოს მიწას მუხლმოდრეკილი ეამბორა და სიხარულის ცრემლებით სავსე თვალები გაუბრწყინდა.

ასე ტკბილია დაკარგული თავისუფლების დაბრუნებაო,--- იმღერა მან სიბერის ჟამს დაწერილ ერთ-ერთ სონეტში...

ნაწილი მესამე

„მწუხარე სახის რაინდი“

სამშობლოში

სერვანტესი ოციოდე წლის ჭაბუკი წავიდა სამშობლოდან. უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული ბრუნდებოდა შინ.

მღვრიე მანსანარესის ნაპირას, გარეუბნის ერთ ქოხმახში იპოვა მიგელმა თავისიანები.

შეაძრწუნა სოროს დანახვამ, რომელშიც თავი შეეფარებინა დონ როდრიგოს ოჯახს.

მიგელის დაბრუნების პატივსაცემად ხელდახელ მოეწყო ნადიმი — ცხელი ვახშამი, იშვიათი და უჩვეულო ამ სახლისთვის. საიდანღაც გაჩნდა ღვინო. ჭიქები სხვადასხვანაირი ყალიბისა იყო. ამ წვრილმანმა რაღაც განსაკუთრებულად გაკენწლა მიგელის გული. შეწყვიტა ოლას ჭამა.

მამა აღარ იყო ცოცხალი. ნაადრევად მოხუცებული დედა და ერთი და — ანდრეა საშინელ სიღატაკეში ცხოვრობდნენ. დონა ლეონორა წელში ოთხად მოკეცილიყო, თუმცა ჯერ ორმოცდაათი წლის ძლივს იქნებოდა. ალერსიანად შეჰყურებდა შვილს და ცრემლები წამდაუწუმ ულტობდნენ კაეშნით სავსე ლამაზ თვალებს.

მიგელს ძმა არ დახვედრია შინ. როდრიგო პორტუგალიაში სალაშქროდ იმყოფებოდა მეფესთან. მეორე და — ლუიზა მონასტრის წინამძღვრის თანაშემწე გამხდარიყო.

ანდრეა იქვე იჯდა მაგიდასთან.

მიგელს სურდა საჩქაროდ ჩაწოლილიყო ლოგინში, თავი ჩაეშალა საბანში, აღარ დაენახა საბრალო, უმწეო ადამიანები, რომელთაც მცირე თანხის შეგროვება როდი მოახერხეს მისთვის.

ტყვეობაში ხშირად ოცნებობდა, თუ რა კმაყოფილებითა და ხალისით გაისეირნებდა დაბრუნების შემდეგ პირველ დილას მადრიდის მთავარ ქუჩაზე. ეს განზრახვა სამშობლოში ჩასვლის ერთგვარ სიმბოლოდ გადაექცა.

მაგრამ ადამიანის ოცნებას იშვიათად ესხმება ფრთები. პირველ დილას ავდარი იდგა. ცივი ქარი უტლაშუნებდა შხაპუნა წვიმას ტალახიან ქუჩაბანდებს. სახლში დარჩა. ნოემბრის დილის დაბინდულ სინათლეში კიდევ უფრო მწუხარე და სევდიანი იყო მშობლების ბეჩავი ბინა.

სასახლე დროებით მადრიდს გადავიდა. მადრიდში სიწყნარე იყო. მადრიდი თანდათან ხდებოდა დედაქალაქად. ფილიპე მეორეს არ უყვარდა ძველი ქალაქი, არასაიმედო და წარმართული, მშვენიერი ტოლედო, სადაც მავრულ ქუჩებში კიდევ გაისმოდა საუბარი არაბულ ენაზე.

მიგელი დასეირნობდა ქალაქში. ხედავდა: იდალგოები ძველებურადვე დახეტიალობდნენ ქუჩებში. ისე ადვილადვე ატრიალებდნენ ხმლებს, როგორც ოდესღაც მიგელის სიჭაბუკეში და ისევე ხალისით ფიცულობდნენ ყოვლადწმიდა ქალწულსა და იესოს გულს. მაგრამ ხალისიანი და მღელვარე სულისკვეთება უკვე დიდი ხანია გამქრალიყო ძველ ესპანეთში. ადამიანები დაბნეულად გამოიყურებოდნენ — იდალგოს ვეღარ ეპოვა ადგილი საკუთარ ქვეყანაში.

იმ დროს ყველაფერი უცხოეთიდან შემოჰქონდათ. მადრიდში მხოლოდ ორი მომცრო ფაბრიკა იყო: ერთი — ჭურჭლეულის, მეორე — ნოხების დამამზადებელი. მთელ ესპანეთს მოეფინა განძეული: ინდოეთის კუნძულებიდან, მექსიკიდან, პერუდან. გლეხი კი ჩიჩქნიდა კლდოვან ნიადაგს და უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა აუტანელ სიღატაკეში.

ფილიპე მეორე ცხრამეტი წელი აშენებდა ესკურიალს. გვადარამის უდაბურ მთებში, მოტვლეპილ კლდოვან პლატოზე, ერთ-

ფეროვანი ლეგა გრანიტის ლოდებისაგან აგებდნენ ვეებერთელა სწორკუთხედს, თითქოს გიგანტურ გეომეტრიულ სათამაშოს, შიგ წრედ მოქცეულ სასახლესა და შიდა ეკლესიას. ეს უნდა ყოფილიყო ფილიპეს მუდმივი რეზიდენცია, წმიდა ლორენცოს სახელობის მონასტერი და ჰაბსბურგელთა დინასტიის მეფეთა უზარმაზარი აკლდამა.

ესპანეთის ორი საუკეთესო ხუროთმოძღვარი მუშაობდა გეგმაზე. იტალიელი მხატვრები აფერადებდნენ კედლებს. ოქრო, მარმარილო, ბრინჯაო, პორფირი, სურათები, ქანდაკებები ფილიპეს ქვეშევრდომი თორმეტი ქვეყნიდან თავს იყრიდა აქ.

ფილიპე იწუნებდა არქიტექტორთა პროექტებს და თვითონ ხაზავდა გეგმებს. წმიდა ლორენცოს აკლდამის მსგავსად აგებდა თავის ესკურიალს. სიმაღლე ასი მეტრი ექნებოდა, ათას ასი სარკმელი წინამოს გასწვრივ.

მხოლოდ ასეთი შენობა სჭირდებოდა შავ-ბნელ მონარქს, რომლის ტახტი დედამიწაზე „პირველი იყო ცათამფლობელის შემდეგ".

ესკურიალის ასაშენებლად ფილიპემ ტყავი გააძრო ქვეყანას. მდიდარ ვაჭრებსა და მრეწველებს შემოჰქონდათ უზარმაზარი თანხა, იხდიდნენ ხარკს და ეძლეოდათ უმაღლესი აზნაურობის, დაუბეგრავთა წოდება. გადასახადებისა და ბეგარის მთელი სიმძიმე მოსახლეობის დაბალ ფენას აწვებოდა. გლეხები გაურბოდნენ ღალას. უკაცრიელი რჩებოდა სოფლები. ინკვიზიციის კოცონზე ტკაცანით იწვოდა მეამბოხე მოქალაქეთა ძვლები. წვრილი აზნაურობა ომის გარეშე ვეღარ პოულობდა ხელობას, შიმშილობდა, ანდა მასობრივად სახლდებოდა ახალ ქვეყანაში. დამშეულთა ბრბოები დაეხეტებოდნენ შარაგზებზე.

კოლონიებიდან მიღებული აუარებელი ოქრო უცხოეთში იგზავნებოდა საქონლის შესაძენად. საშინლად გამრავლდნენ სხვადასხვაგვარი სოციალური პარაზიტები, არამშრომელი ელემენტები. ესპანეთის შარაგზებზე დაძრწოდა მოხეტიალე ღატაკების, გაიძვერების, ფეხშიშველა ბერების[1], პორტუგალიელი კახპების, პიკა-

---

[1] ესპანეთში არსებობდა ფ ე ხ შ ი შ ვ ე ლ ა ბ ე რ ე ბ ი ს ო რ დ ე ნ ი, რომლის წევრები ცნობილი იყვნენ თავიანთი ასკეტური, მკაცრი ცხოვრებით, ისინი მათხოვრობით ირჩენდნენ თავს.

როებისა და სხვადასხვა ჯურის უსახლკაროთა მრავალათასიანი ლაშქარი. საგრძნობ რიცხვს მიაღწია სამღვდელოებამაც. ესპანეთში მე-16 საუკუნის მიწურულში უამრავი მონასტერი იყო 60.000 ბერ-მონაზვნით. სამღვდელოება და თავადაზნაურობა, წვრილი იდალგოები გაურბოდნენ შრომას.

ესპანეთის აბსოლუტური მონარქია ბატონობდა დედამიწის ნახევარზე. მას ეკუთვნოდა ამერიკის განუზომელი სიმდიდრე. მაგრამ ოქროს ნიაღვარი ვერ ამდიდრებდა ქვეყანას, ვერ აყუჩებდა იარაღის ჟღარუნს, ვერ აგრილებდა თავზარდამცემი აუტოდაფეს ცეცხლისგან სისხლგამშრალ ესპანეთს. მასების მძიმე ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გააღრმავა ხარჯებმა ომებისა და დიპლომატური ინტრიგების ჩასატარებლად. სასახლის შენახვისთვის ფილიპე II ყაჩაღურად იტაცებდა კერძო ხომალდებს, ჭრიდა ყალბ ფულს. შორეულ ქვეყნებთან ომები ანადგურებდა ესპანეთს.

მუდმივი ომების გამო გაიხრწნა ესპანეთის საზოგადოება. გასაოცრად მომრავლდნენ, ასპარეზზე გამოვიდნენ დეკლასირებული ადამიანები, რომელთაც ასე კარგად გაეცნო სერვანტესი და გამოხატა თავის უკვდავ ქმნილებებში: ყოფილი ჯარისკაცები, ყალთაბანდი ექიმები, გაღატაკებული სტუდენტები, როსკიპები, გაკოტრებული აზნაურები, ავაზაკთა და ქურდბაცაცათა ბრბოს მონაწილენი, დაჭირავებული მკვლელები, რომელთაგან უმრავლესობა სახრჩობელამდე მიათრევდა გაძაღლებულ სიცოცხლეს. უსახელოდ და უპატიურად იღუპებოდნენ თავმომწონე და ამპარტავანი კაბალეროები, ცუდმედიდა და გაფცქვნილ-გაქსუებული იდალგოები, კეთილშობილ გვარიშვილთა უძღები ნაშიერები.

აზნაურები ფარეშებად უდგებოდნენ გაბედნიერებულ ბატონებს (ისე, როგორც ერთ დროს სერვანტესი ემსახურებოდა კარდინალ აკვავივას); ანდა ნახევრად მათხოვრულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

ყველას შესაფერად მოეპყრა ჟამთა სიავე...

---

1 პიკარო — (picaro — ქურდბაცაცა) — სოფლის პროლეტარიატის დეკლასირებული ელემენტები, რომლებიც დაეხეტებოდნენ მსხვილ ცენტრებში იოლი საშოვრისათვის და პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

ფილიპე ისევ განაგრძობდა ესკურიალის შენებას, ვეება აკლდამას უმზადებდა თავის საგვარეულოს. ესპანეთი კი დაიცალა სისხლისაგან.

...ასეთი იყო ესპანეთი, რომლის მიწა-წყალზეც შემოდგა ფეხი ალჟირელი მონის ტანისამოსში გამოწყობილმა მიგელ სერვანტესმა ათას ხუთას ოთხმოცი წლის შემოდგომის დამლევს.

ასეთი იყო მაშინდელი მადრიდი, გვირგვინოსანთა თვითნებობის უძღები პირმშო, თანამდებობათა და მეფის კანცელარიების ქალაქი, ჩინებსა და ბენეფიციებზე მონადირეთა, მცონარა მუქთახორების, მკრეხელ წარჩინებულთა და მკვეხარა გაიძვერების ქალაქი. ამავე დროს მადრიდი იყო ჰუმანისტური სკოლებისა და აკადემიათა ნამდვილი ცენტრი, მხატვრების, პოეტებისა და კომედიანტების სავანე...

ყველაზე მეტს ლაპარაკობდნენ თეატრზე. ქალაქში არსებობდა მუდმივი თეატრი. ყოველდღე იმართებოდა წარმოდგენები. სერვანტესმა ალჟირშივე იცოდა ეს.

აი სად მივიდოდა სიამოვნებით მიგელი!

მაგრამ არ ჰქონდა ფული. თითქმის გამოსაკვებიც, თავშესაფარიც არ გააჩნდა. კვლავ მშობლიურ ჭერქვეშ იყო, შეხუთულ საკანში გამომწყვდეული.

საუბედუროდ, მეფე ფილიპე ყოვნდებოდა პორტუგალიაში. სერვანტესისათვის მხოლოდ მეფე იყო ნუგეშისა და მოწყალების ერთადერთი წყარო.

დონ როდრიგოს წყალობით მიგელის თავგადასავალი ნაცნობი იყო მრავალ სამოსამართლო კოლეგიაში, საფინანსო და უზენაეს სამხედრო პალატაში. მისი დამსახურებების შესახებ იცოდა კასტილიის პრეზიდენტმა, იცოდნენ მეფის მთავრობის მდივნებმა და თვით საიდუმლო სახელმწიფო საბჭოს ვაჟბატონებმა. მიგელს იმედი ჰქონდა: მისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა უმაღლესი ჯილდო — სამხედრო ან სამოქალაქო, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

განსვენებული მოხუცი გარდაცვალებამდე მეათასეჯერ უმტკიცებდა უზენაეს ჩინოსნებს: მიგელი რომ არ ყოფილიყო, ლეპანტოს ბრძოლა წაგებული იქნებოდაო. მაგრამ ვიღას აინტერესებდა ახლა ეს ბრძოლა? ვის ეცალა ცალხელა ლეპანტოელი საეჭვო გმირისთვის, როცა ამ გამარჯვების სულისჩამდგმელს, სახელოვან

მთავარსარდალ დონ ხუან ავსტრიელს ასე ვერაგულად მოუღეს ბოლო?

მთელი ესპანეთი სხვანაირი გმირებით გაივსო. ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდნენ გარეწრები, ბილწი არამზადები, ესპანეთის ქალაქთა სირაჯხანების თავქარიანი მოსუფრალნი. ტუნისისა და ალჟირის ფათერაკებით აღსავსე გმირული თავგადასავლები ჩალის ფასადაც აღარ ღირდა.

მეფის მეტი შემწე აღარ დარჩა მიგელს. მეფე კი შორს იყო.

გადაწყვიტა პორტუგალიაში წასვლა. ჯიბეში ერთი მარავედისიც[1] არ გააჩნდა.

ყოფილ მასწავლებელს, დონ ხუან ლოპეც დე ოიოსს დაუწყო ძებნა, მაგრამ საყვარელი მოხუცის სისხლი აღარ ჩქეფდა: მომკვდარიყო მაესტრო.

მისმა ენაწყლიანმა მემკვიდრემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო მიგელს.

— ეს მოხდა სამი წლის წინათ, კლასში ყოფნისას. მაესტრო ხმამაღლა კითხულობდა პოემას „სიმღერა ჩემს სიდზე“.[2] როცა წარმოთქვა სტრიქონები:

ცათამფლობელო, მეუფეო, გაჭებ, გადიდებ,
რომ მოგვანიჭე გამარჯვება ასეთ ბრძოლაში...

უეცრად ისეთი ხმაურით დაასკდა მერხს, თითქოს აბჯრიანი რაინდი დაეცაო. გულის მანკი ჰქონდა საბრალოს.

სკოლის ამხანაგებიც მიმოიფანტნენ ესპანეთის ვრცელ სამეფოში. ზოგი მათგანი დიდი კაცი იყო და აღარ სცნობდა ყოფილ ჯარისკაცს. ალჟირელი ამხანაგებიც თავის გზას ეწივნენ, ნათესავები კი სულს ღაფავდნენ სიდუხჭირისგან...

---

[1] მ ა რ ა ვ ე დ ი ს ი — ყველაზე წვრილი ესპანური ფული.

[2] „ს ი მ ღ ე რ ა ჩ ე მ ს ს ი დ ზ ე“ ესპანეთის გმირული ეპოსის უძველესი და უდიდესი ძეგლია; შეიქმნა მე-12 საუკუნეში. დაცულია ერთადერთი, მე-14 საუკ. ხელნაწერი. „სიმღერა“ წარმოადგენს ისტორიული პიროვნების, ხალხგანთქმული რაინდის რ უ დ ი ა ს დ ე ბ ი ვ ა რ ი ს (არაბულად: სიდი — ბატონი) თავგადასავლის აღწერას.

პორტუგალიაში გალაშქრება შეიარაღებულ გასეირნებას ჰგავდა.

ახალგაზრდა და სიგიჟემდის მამაცი აქაური მეფე აღტაცებული იყო დაპყრობათა შეუნელებელი სურვილით, მაგრამ უდროოდ დაიღუპა მაროკოელებთან ვაჟკაცურ ბრძოლაში. მალე გადაშენდა მისი საგვარეულოც. ტახტის ერთადერთი პრეტენდენტი ფილიპე დარჩა, ის კი ყველას აჭარბებდა ძლიერებით. ადვილად გარეკა დანარჩენები, მიიმხრო დიდებულები. პორტუგალია ესპანეთის პროვინცია გახდა.

ამგვარად, მთელი ნახევარკუნძული გაერთიანდა. ერთი მეფე გახდა ქვეყნის მფლობელი. ფილიპემ ხელთ იგდო პორტუგალიის ქვეყნები. ასე შეიქმნა თვალუწვდენელი მსოფლიო სახელმწიფო. დასავლეთ ინდოეთს, მექსიკასა და პერუს შეუერთდნენ ახალი, ვრცელი, უმდიდრესი სამფლობელოები. ბრაზილიაც დაიპყრო ესპანეთმა. მთელი აფრიკის გარშემო ფრიალებდა ფილიპეს წითელ-ყვითელი დროშა.

მას ეკუთვნოდა: არაბეთის მასკატი, ირიანის ორმუზი, აღმოსავლეთ აზიის გოა, კალკუტა, მალაკა, იავა, მაყაო.

ლისაბონი გადაიქცა ესპანეთის მეორე დედაქალაქად. ფილიპე ფლობდა ახლა ოქრო-ვერცხლის ქვეყნებს. მოსდიოდა: ბრაზილიის ხე-ტყე, მადეირის შაქარი, ირანული ხალიჩები, ჩინური აბრეშუმი. შიშითა და ძრწოლით შეჰყურებდნენ მეზობელი სახელმწიფოები მეფე ფილიპეს ძლიერებას.

სერვანტესმა ქალაქ ტომარაში მოუსწრო მეფეს.

შეხვდა ალჟირის ტყვეობაში მყოფ ორ წარჩინებულ აზნაურს. მადრიდში არავინ იცნობდა. აქ, პორტუგალიაში, პირველსავე საღამოს მოხვდა მეგობრულ წრეში. ყველა შუამდგომლობდა მას,— უჩვენებდნენ გზებს. უკვე მესამე დღეს მოუვიდა მეფის საჩუქარი — ორმოცდაათი დუკატი. ერთი კვირის შემდეგ მიიღო მეფის საპატიო დავალებაც: ორანის მთავარმართებელს ენიჭებოდა სანტიაგოს ორდენის რაინდობა. სერვანტესს უნდა გადაეცა სიგელი. აუნაზღაურეს სამივლინებო ხარჯები — ასი დუკატი. ეს იყო ელჩის მისია.

სერვანტესი არ დაეჭვებულა ამაში. მისი აზრით, ეს ნიშნავდა პირველ ნაბიჯს მეფის სამსახურის სახელოვან გზაზე.

უხვი და მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო მიგელი. უკვე წარმოიდგინა თავი მეფის საბჭოს მაღალ თანამდებობაზე, ელჩად, ლეგიონის მეთაურად. ლაზათით მოიკაზმა. მოოქრული ხმალ-ხანჯალი დაიკიდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ხელმწიფის დავალებით მიდიოდა აფრიკის მთავარმართებელთან შუამავლად!

მეფის ცხენებით გადასერა ანდალუზია, ელვასავით გაიცალა სევილიისა და კორდოვის ახლოს. ნავსადგურში ელოდა გალერა. მისალმებათა სამგზისი შეძახილით შეეგებნენ ხომალდზე. მეორე დღეს თვალწინ გადაეშალა ორანი, რომლისკენაც ამაოდ ისწრაფოდა ოდესღაც ალჟირის ტყვეობიდან გამოპარული, ხრიოკ უდაბნოში მოხეტიალე.

მიხრწნილი ძველი ოფიცერი ცას ეწია სიხარულით. ეს სიგელი მისთვის მარტო პატივისცემას როდი ნიშნავდა: რაინდობის წოდებასთან დაკავშირებული იყო ყოველწლიური პენსია — ოთხი ათასი ტალერი. საღამოს გაიმართა ნადიმი.

მიგელ დე სერვანტეს საავედრა ამაყად იჯდა დიდებულთა გვერდით. ისინი მოწიწებითა და ყურადღებით ისმენდნენ მეფის ელჩის ყოველ სიტყვას...

ორანში ალყაშემორტყმულებივით ცხოვრობდნენ. ყოველდღე ელოდნენ მეკობრეების თავდასხმას. საჭიროა მოხედონ ორანსაც. არ ვარგოდა ზარბაზნები, არ ჰქონდათ ტყვია-წამალი, ჯარისკაცებს არ ურიგდებოდათ ჯამაგირი. ბატონი ელჩი განაცხადებს ამას, სადაც ჯერ არს.

სერვანტესი უსმენდა, ეთანხმებოდა, პირდებოდა. კარგად იცოდა, თუ რა აკლდა აფრიკას. თვითონ გამოსცადა ეს ხუთი წლის მონობაში ყოფნისას. დახმარება აუცილებელია! ეს აშკარაა!

თვითონვე სჯეროდა თავისი მისიის, ისე როგორც ორანის მმართველსაც სჯეროდა სერვანტესისა.

როცა მდიდრულ სარეცელზე მოასვენეს, წუთით წარმოიდგინა თავი მეფის ფლოტის წინამძღვრად. აი, მას დაავალეს აფრიკის დაპყრობა. სახელგანთქმული რაინდი სერვანტესი ერთიმეორეზე იღებდა ავაზაკთა ბუნაგებს: ალჟირს, ტაბარკას, ტუნისს... ნატიფი ჭანდაკებით იდგა საადმირალო ხომალდის ბოგაზე, კუშტი მზერით

ზვერავდა მიდამოს. წითელ-წითელი დროშის კალთები ელამუნებოდნენ კლდოვან ნაპირებს. იპობოდნენ კლდენი, თავს იდრეკდნენ მთანი...

დაბრუნდა. მეფეს ლისაბონში გაესწრო. სასახლეში ცალყბად მიიღეს.

დიდხანს ელოდა: არაფერი გამოვიდა. კვლავ გამოცხადდა — პასუხი არ აღირსეს. ეახლა უზენაეს მოხელეებს — არ იცნობდნენ. ინახულა უმდაბლესნი — ბევრი ალოდინეს. გაახსენდა წარჩინებული მეგობრები — ცივად დაუხვდნენ.

გამოიცვალა ბინა, ჯერ უფრო იაფი, შემდეგ მონახა სორო.

ჯიბეცარიელმა იხეტიალა ლისაბონში. გაყიდა მოოქრული ხმალი: საგზაოდ ფული არ ეყო. ძლივს იშოვა ორიოდე რეალი.

თურმე არ ყოფილა ელჩი, შიკრიკად გამოიყენეს მხოლოდ. ეს გვიან გაიგო. ას ორმოცდაათი დუკატით აუნაზღაურეს ღვაწლი.

დიდი ვაი-ვაგლახით დაბრუნდა მადრიდში. ბინაზე უცხო ხალხი დახვდა: დედა და ანდრეა ტოლედოში გადასულიყვნენ. მიგელმა აიღო მათ მიერ დატოვებული ბოხჩა და მატუტეს მოედანზე, ლორეტოს კოლეგიუმის უკან, დაიქირავა პაწაწინა ოთახი. როცა ბოხჩა გახსნა, შიგ ნახა მისი წითელი ქუდი, ალჟირის ტყვეობაში რომ ესურა.

დაიხურა. ჩაიხედა კედელზე ალმაცერად მიკიდებულ გაბზარულ სარკეში. გამხდარი და ჩამომჭკნარი სახე, წვერები და საფეთქლები ჭაღარანარევი... წინანდელი უფლებით დაიხურა ქუდი. იგი უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე მოგონებები. სინამდვილეში ერთი მონობა ხომ მეორით შეიცვალა. სამუდამო და გადაუხდელი ვალი მართებდა ყველასი: მართებდა მშობლების, საბრალო დის, სათნო ლუიზასი, პორტუგალიელი ნაცნობებისა.

მოვალე იყო ტყვეობიდან გამომსყიდველ ტრინიტარელთა ძმობისა, ხომალდისთვის, რომელიც შეიძინა როდრიგომ, ვაჭარ ონოფრიო ექზარხის ფრეგატისთვის, მოვალე იყო და ემართა ყველასი.

კაეშნიანი ღიმილით შეჰყურებდა სარკეში წითელარახჩინიან ნაცრისფერ სახეს და არყოფნის სამეფოდან იწვევდა უკვე დავიწყებულ მოვალეთა ლაშქარს.

იცოდა: ვერასოდეს გადაუხდიდა მათ. ლუკმაპური არ გააჩნდა სახვალიოდ. დაძებნა სამუშაო მადრიდში, მაგრამ ამაოდ.

მარცხენა ხელი არ უვარგოდა. სამაგიეროდ, მარჯვენას შეეძლო ხმალ-ხანჯლის დაჭერა. სამშობლომ არ განუმზადა არც თავშესაფარი, არც ლუკმაპური. ერთიღა დარჩენოდა: ჯარი და ბრძოლა.

კვლავ გადაიცვა ჯარისკაცის ქურთუკი, ხელთ მახვილი აიღო, შეუერთდა როდრიგოს და სამ წელიწადს მასთან მხარდამხარ გაატარა მთელი ლაშქრობა პორტუგალიაში.

იყო ლისაბონში. მონაწილეობდა აზორის კუნძულების ექსპედიციაში. როდრიგოსთან ერთად წელამდის წყალში მდგარს იერიში მიჰქონდა ციხე-სიმაგრეზე.

მიგელს ორი ახალი ჭრილობის გარდა არაფერი შეუძენია ბრძოლებში. ორასიოდე რეალი ჩამოჰყვა ჯამაგირიდან.

„გალატეა“ და ანა ფრანკა

ისევ დაუბრუნდა მადრიდს. მტკიცედ გადაწყვიტა — სამუდამოდ თავი მიენებებინა სამხედრო ხელობისთვის. ხელი მიჰყო ლექსების წერას. ხანდახან ახერხებდა რამდენიმე რეალის შოვნას სახოტბო ლექსებით — თხზულებათა ავტორებს ფრიად უყვარდათ ასეთების მოთავსება თავიანთი წიგნების პირველ გვერდზე. ერთი მათგანი შეუთხზა ხუცესს, რომელიც ერთობოდა მელექსეობით, მეორე — ვიღაც ხუან რუფოს, რომელმაც მოსაწყენი ლექსებით აღწერა დონ ხუან ავსტრიელის ცხოვრება...

შეკრიბა ყველაფერი, რაც დარჩა „ფილენიდან“, რომელიც სიჭაბუკეში დაიწყო. იდილიას[1] სახელი შეუცვალა. მწყემსი ელისიო, ტახოს ამწვანებული ნაპირებიდან, ეტრფიალა იმავე მიდამოში გაფურჩქვნილ მშვენიერ გალატეას[2]. სერვანტესი ლეპანტოს ბრძოლის მონაწილე, ჰასან-ფაშას ტყვე მეომარი, რომელმაც გამოიარა პორტუგალიის ლაშქრობის სისხლიანი სასაკლაო და ქარცეცხლი, იწყებს პასტორალით. მაშინ ასე იწყებდა ყველა.

---

[1] იდილია — პოეტური ნაწარმოები მიწის მუშის კმაყოფილ, მიმზიდველი ყოფა-ცხოვრებიდან.

[2] გალატეა — ძველი ბერძნების ფერია, ღვთაება, წყნარი და ბრწყინვალე ზღვის განსახიერება.

გამომცემელ ბლას დე რობლესის ფირმა ცნობილი იყო მიგელისათვის. დადეს ხელშეკრულება. სერვანტესმა მიიღო მცირეოდენი ბე. ჩაიკეტა ბნელ ოთახში, მოიმარჯვა კალამი და შეუდგა მუშაობას. ამიერიდან მახვილი კალამმა შეცვალა. ისინი როდი აჩლუნგებდნენ ერთმანეთს!

„გალატეა“ შეიქმნა ფორმით იწერებოდა: ლექსად და პროზად. შრომა არ ახარებდა. ამ მანერულ ჰიკჰიკსა და ქვითინს, დაშაქრულ სატრფიალო რიტორიკას არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანურ გრძნობებთან. მოდის შესაფერ საქონელს ამზადებდა მიგელი. სიამოვნებით ამჯობინებდა მეჩექმეობას, ხელობა რომ სცოდნოდა.

უკვე ორმოცი წელი უკაკუნებდა კარებზე. უტოლოდ, უმეგობროდ, უსიყვარულოდ განვლო მთელი ცხოვრება. სიჭაბუკის საამური წლები დავიწყებას მიეცნენ. განახლებას არ ცდილობდა. ნასალდათარს, ხეიბარს, საპყარს უფლება არ ჰქონდა ტრფიალებისა და მყუდრო ოჯახისა.

მაგრამ სწორედ ახლა, როცა ლუკმაპურისთვის იგონებდა და თხზავდა უბრალო სამიჯნურო ზღაპარს, ონავარი ფრინველივით თავს დააცხრა სიყვარული და ბასრი კლანჭები ჩაასო გულში.

მიგელი, ჩვეულებრივ, გაურბოდა ქალებს. ერთ დღეს რატომღაც თვალში მოუვიდა ახალგაზრდა ქერათმიანი გოგონა. პირველ შეხვედრისთანავე მიიპატიჟა ხილსა და ნამცხვარზე. შემდეგ ყველაფერი სწრაფად და ჩვეულებრივადვე დატრიალდა. ქალი იმ უსახლკარო ქმნილებათა წრიდან იყო, რომელთაც ბურთივით ათამაშებენ მამაკაცები და ოცდათხუთმეტი წლის ასაკში უკვე დედაბრებს გვანან, შემდეგ ხსნიან საროსკიპოებს, მაჭანკლობენ, ანდა საღმე კუთხეში ვაჭრობენ ყოველგვარი ფალასფულასით.

ქალს ერქვა ანა ფრანკა დე როხესი. მიგელი გაიტაცა ანა ფრანკამ. გატაცება სიყვარულად გადაექცა.

დიდი დრო გავიდა, სანამ ქალი მიხვდებოდა, აქ რაღაც სერიოზული ხდებაო. ნამდვილი სიყვარული უცხო იყო მისთვის. სრულიადაც არ აინტერესებდა, თუ რას აკეთებდა მაგიდასთან მთელი დღეობით მიმჯდარი მიგელი. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მოსწყინდა მუდამ შინ ჯდომა და იაფი ტკბილეულობის ხრამუნი, სადღაც გავიდა და მესამე დილას შემოაღო კარები. მოქანცული საბე

ჰქონდა. წინასწარ გააფრთხილა მიგელი — არ დაეწყო საყვედურები, რადგან ამის უფლება მას არ ჰქონდა. კაცი არაფერს აძლევდა. მთელი დღე ეგდო საკუჭნაოში და ოთხი თვის განმავლობაში ერთი ახალი კაბაც კი ვერ უყიდა თავის სულიკოს.

ახალ სამოსში გამოპრანჭულიყო. ნელსურნელებას აფრქვევდა.

თავზარი დაეცა სერვანტესს. აცახცახდა ეჭვიანობისა და სიღატაკის შეგნებისგან. მიხვდა, ვისაც შესწირა გული. გვიანღა იყო. კავშირის გაწყვეტა აღარ შეიძლებოდა. ძალაუნებურად ცხოვრობდნენ მაინც ერთ ჭერქვეშ...

გოგო შეეძინათ. იზაბელა დაარქვეს. ბიჭს მოელოდა მიგელი. ოცნებობდა, თუ როგორ აღზრდიდა და გამოწვრთნიდა მას, მოუთხრობდა თავგადასავლებს დონ ხუან ავსტრიელზე, დალი მამასა და ჰასან-ფაშას შესახებ, რაც უკვე აღარავის აინტერესებდა. მამას მაინც უხაროდა.

იმ დღეებში გამოვიდა „გალატეა“.

ბლას დე რობლესმა და მისმა მბეჭდავმა დიდი შრომა დახარჯეს. წიგნს ამშვენებდა კარგი ქაღალდი, გარკვეული, ლამაზი შრიფტი. თანაბრად დალაგებული ტექსტი, პროზიდან საუცხოო გემოვნებით გამოყოფილი ლექსები.

სერვანტესმა გაშალა წიგნი. ამაოდ ეშინოდა... ყველაფერი რიგზე იყო. და მხოლოდ წიგნის ბოლოში შემთხვევით გადაშლილ „კალიოპას“[1] სიმღერაზე არ შეჩერებულა, სადაც ავტორი აღფრთოვანებულ ხოტბას ასხამდა ესპანეთის პოეტთა მთელ წყებას. ეშინოდა მათი შხამიანი ენის, ლანძღვა-გინების. ქება-დიდების ალმურით სურდა მათი გამოლაშქრების დაოკება.

ბლას დე რობლესი კეთილსინდისიერად მოიქცა. მთელი ჰონორარი — 1336 რეალი — ერთად გადასცა ავტორს. გახარებული მივიდა სერვანტესი შინ. ხელთ ეპყრა სასტამბო დაზგიდან ახლადამოღებული სქელი წიგნი. მაგრამ ანა ფრანკა აღარ იყო ოთახში, გაპარულიყო.

კუთხეში ბალიშზე იწვა პაწაწინა იზაბელა. სერიოზულად აფოფინებდა თვალებს. მიგელს არავისთვის არაფერი უთქვამს. მიეჩვია ბედის დაცინვას. მხოლოდ ერთხელ გაიგო, თითქოს ენახათ

---

[1] კ ა ლ ი ო პ ა — ეპიკური პოეზიის მუზა.

ანა ფრანკა ანდალუზიის ქალაქებში საეჭვო ყოფაქცევის ხალხთან. შემდეგ მისი კვალი სამუდამოდ დაიკარგა. დარჩა მხოლოდ ბავშვი.

იზაბელა ძიძას მიაბარა. საქმეში ანდრეა ჩაერია. მიგელმა არ ისურვა დის შეწუხება. ამ დროს მოუსწრო დედის წერილმაც: წამოიყვანე ბავშვი და წამოდი, ჩემო მიგელ, — სწერდა დონა ლეონორა, — იქნებ მომაგონოს განვლილი წლები, როცა პაწაწინა და ჟინიანი იყავიო.

ჰკუაში დაუჯდა დედის რჩევა.

„გალატეა“ არ მოიწონეს. მართალია, შემდეგ სერვანტესის სიცოცხლეში ორჯერ გამოიცა ის (ლისაბონში 1590 წ. და პარიზში 1611 წ.), მაგრამ მათგან ავტორს ორიოდე მარავედისიც კი არ მიუღია. ხალხი კვლავ რაინდულ რომანებს დაეხვია, პასტორალურ რომანებზე აღარ იყო მოთხოვნილება.

მეორე ნაწილი არასოდეს დაუწერია. ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში ამაოდ ჰპირდებოდა საზოგადოებას.

პასტორალური პოემები არ უპასუხებდნენ მის ამოცანებს. სურდა ეწერა იმაზე, რაც გამოსცადა ტყვეობასა და ლაშქრობებში, ეს იქნებოდა ჩაგვრა-მონობა და საშინელებები, სიბეჩავე და ყოველდღიური გმირობა, საპყრობილეთა ალმური და სიბინძურე, — ნამდვილი ცხოვრება!

წერისთვის მყუდროება იყო საჭირო. უფრო აუჩქარა წასვლას. ერთ დღეს გადაჯდა ჯორზე, ჩაისვა უნაგირის ჩანთაში იზაბელა და დაადგა ტოლედოს გზას.

ცოლი და თეატრი

მიგელი დასახლდა დაბა ესკივიაში, მადრიდიდან ოცდაათ კილომეტრზე.

მამამისის შორეული ნათესავების ოჯახში დაუმეგობრდა 19 წლის გოგონას, კატალინა დე-პალასიოს სალასარ-ი-ვოსმედიანოს.

მას უკითხავდა „გალატეას“. კატალინა აღტაცებული იყო პოემით. მიგელს მოეწონა ქალი. უკანასკნელ წლებში განცდილი ორომტრიალით მოქანცულს დასვენება მოენატრა. იქნებ ეს ქალი დახმარებოდა ანა ფრანკას გადავიწყებაში. მეგობრულად მიმზი-

დველი და მომხიბვლელი ეჩვენა უბიწო ასული. კატალინასათვის კი მიგელი იყო მამაცი, კეთილშობილი ვაჟკაცი, მისი საყვარელი რომანების ჩაყვითლებული ფურცლებიდან გადმოსული სათაყვანებელი გმირი.

საქმეში შინაურები ჩაერივნენ და 1584 წლის 12 დეკემბერს ესკივიასის პატარა საყდარში მოხდა მათი შეუღლება.

თვრამეტი წლით უმცროსს, სერვანტესზე ოდნავ მდიდარ ქალს, არ აკლდა სათანადო აღზრდა. ოცდაათ წელზე მეტი ზიდეს ორივემ ცოლ-ქმრობის უღელი და მათი ცხოვრება ალბათ ბედნიერი იყო (სერვანტესის ქვრივმა სიკვდილის წინ ისურვა ქმრის გვერდით დაეკრძალათ მისი ცხედარი).

იმ დღიდან მიგელის ცხოვრებაში ცვლილება იწყება. შეეჩვია ესკივიასის გლეხებში სიარულს. მალე გახდა მათი საყვარელი სტუმარი. გლეხებს მოსწონდათ ეს ცალხელა, ალალ-მართალი ჯარისკაცი, არაჩვეულებრივად მხიარული, ენაწყლიანი, უებრო მობაასე, მოსწონდათ, რომ არ იყო ტრაბახა. მიგელს ბადალი არ ჰყავდა უჩვეულო ისტორიებისა და საარაკო ფათერაკებით სავსე თავგადასავლების მოყოლაში. უკვე თავისიანად თვლიდნენ გლეხები. ათვალიერებდა მათ მდუმარე სახეებს, გოროზად აზიდულ წარბებს და ფიქრობდა: ნამდვილად კეთილშობილ მმართველს, თავისუფალი, დაუბრმავებელი ნება-სურვილის მქონე ხელმწიფეს შეუძლია გახადოს ეს ხალხი უდიადესი და უძლეველი მთელი დედამიწის ზურგზეო...

დიდხანს არ დარჩენილა ესკივიასში, აქაც სიღარიბემ დაუწყო დევნა. ცოლითა და ბავშვით მალე დაბრუნდა მადრიდს. ახლა პიესების წერას მიჰყო ხელი. სახელიც მალე გაითქვა.

დაწერა კომედია „სულთნის ცოლი“, — მეფის თეატრში დადგეს. ეს იყო ესპანელი გოგონას, კატალინა ოვიედოს ისტორია. ის ბავშვობისას დაატყვევეს თურქებმა. პირატმა მორატომ მიჰყიდა მდიდარ მავრს. შემდეგ სულთნის ცოლი გახდა, მაგრამ ფარულად სამშობლოს ერთგული დარჩა და ტყვეობიდან გადაარჩინა ესპანელები.

„სულთნის ცოლს“ მოჰყვა პიესები: „ალჟირის ზნე-ჩვეულებები“, „ალჟირის საპყრობილეები“, „საზღვაო ბრძოლა“, „პედრო ურდემალასი“, „მარჯვე ესპანელი“, „ეჭვიანობის სავანე და არდე-

ნის ტყე“, „სიყვარულის ლაბირინთი“, „ნეტარი გაიძვერა“, „თაფშესაქცევი კომედია“, „ინტერმედიები“, „განქორწინებული მსაჯული“, „საკვირველებათა თეატრი“, „ფხიზელი დარაჯი“, „ქვრიეი გაიძვერა“, „სალამანკის გამოქვაბული“, „ეჰვიანი მოხუცი“, „ცრუ ბისკაელი“, „ალკალდთა არჩევნები დაგანსოში“ და სერვანტესის საუკეთესო დრამა, ნაციონალურ-გმირული ტრაგედია — „ნუმანსიის დანგრევა“.

ეს პიესა ეხება ძველ იბერიელთა ქალაქ ნუმანსიის გმირულ დაცვას რომაელთა ალყისაგან. ოთხი ათასი ნუმანსიელი თოთხმეტ წელიწადს მამაცად იცავდა თავს 80-ათასიანი რომაელი და ნუმიდიელი ლაშქრისაგან. კართაგენის ცნობილი დამპყრობნი — პუბლიუს კორნელიუს სციპიონი და მარიუს იუგურტა ამაოდ ცდილობდნენ მათ მოდრეკას. ბოლოს, შიმშილით ქანცგამოლეულებმა, დახოცეს თავიანთი ცოლ-შვილი, ამოჟლიტეს ერთმანეთი და გამარჯვებულ მტერს მარტო ნანგრევები შერჩა ხელთ და ერთი ცოცხალ-მკვდარი ბავშვი დაუხვდა ქალაქის ზღუდესთან, რომელმაც ციხე-სიმაგრის გასაღები გაუწოდა სციპიონს, შემდეგ კოშკიდან ძირს დაენარცხა და კლდეზე დაიმსხვრა.

— შენ დაამარცხე გამარჯვებული! — შესძახა გამოჩენილმა სარდალმა და ქედი მოიდრიკა უსახელო გმირის ნეშტთან.

ტრაგედიის მთავარი გმირია მთელი ქალაქი, მთელი ესპანეთი, „მდინარე დუერო შენაკადებიანად“, „ომი“, „ავადმყოფობანი“, „შიმშილი“ და „დიდება“.

სერვანტესმა შექმნა ნამდვილი ნაციონალურ-გმირული ტრაგედია, სადაც ამბავი ეხება არა ცალკეულ ადამიანს, მის ბედ-იღბალს, არამედ კოლექტივს, მასას, მთელ ხალხს. ტრაგედიის გმირი ვინმე ცალკე პიროვნება კი არაა, არამედ ესპანეთის ხალხის კოლექტიური ნებისყოფა, მისი სიძულვილი სიკვდილისადმი, მისი მზადყოფნა თავდადებისათვის, მისი პატრიოტული აღტყინება და მგზნებარე ლტოლვა დიდებისაკენ. სერვანტესი, თავისი სამშობლოს სახელოვანი ჯარისკაცი და პატრიოტი, ცდილობდა წარსულის გმირული მაგალითებით აღეგზნო თანამედროვეთა პატრიოტული გრძნობები. ტრაგედიის წერის დროს ის შთაგონებული იყო მოწინავე ჰუმანური იდეებით: ქადაგებდა არა მარტო ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი ხალხის გმირულ თავდადებას. სწორედ ამიტომ

იკითხება ახლაც ასეთი მღელვარებით წარმტაცი ამბავი შორეულ წარსულზე, სწორედ ეს მხარეები ხდის მას მარადუჭკნობ ქმნილებად. ამიტომაც იყო, რომ მტრისაგან ალყაშემორტყმულ მადრიდის ძველ თეატრს სარუელაში (1937—1938) დადგეს „ნუმანსია“. იგი ახლებურად თანამედროვე შეიქმნა ესპანელი ხალხისათვის, შთაბერა მას ვაჟკაცური სული და დიდი ჰუმანისტი მწერლის სიტყვებით, ბასრი იარაღი გახდა მტერთან ბრძოლაში[1].

სერვანტესის ეს პირველი დრამატული თხზულებები გამსჭვალულია და გამთბარი სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით, თავისუფლებისა და უდიდესი სამართლიანობის პათოსით, მონობის სიძულვილით, ბრძოლის სულისკვეთებით. ამ პიესებში სერვანტესი შეეცადა აგრეთვე გამოეხატა ის ახალი ურთიერთობა ადამიანთა შორის, რასაც, მისი ღრმა რწმენით, ძირფესვიანად უნდა გარდაექმნა მაშინდელი ცხოვრება: ეს იყო შეგნებული ბრძოლა საზოგადოებრივ მოუწესრიგებლობასთან, ადამიანთა შორის მეგობრული და ძმური კავშირის განმტკიცება, იდეალური წყობის დამყარება, რომელიც მისთვის და მისი გმირებისათვის განხორციელდა ძველს მითში — „ოქროს საუკუნეში“. იგი ქადაგებს ადამიანის სრულ განთავისუფლებას, მისი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, ცრუმორწმუნეობისა და დამყაყებული ტრადიციების აღმოფხვრას, გესლიანად აკრიტიკებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებულ სხვადასხვა მავნე ზნე-ჩვეულებას.

მრავალი მისი პიესის მასალად გამოყენებულია მისივე პირადი განცდები და დაკვირვებანი. ასახულია მონობაში გაყიდული ოჯახის ტრაგიკული ბედი, ეპიზოდები: ტყვე-მონის გაქცევა, დატყვევებულის სიმამაცე, ლტოლვილთა ტანჯვა-წამება. თვითონ ავტორი გამოდის აქ ჯარისკაც საავედრას სახით, ანუგეშებს ტყვეებს, ამხნევებს მათ, აღაფრთოვანებს განთავისუფლების იმედით, აქ მარტო

---

[1] ფიქრობენ, რომ ესპანეთის სახელგანთქმულმა მსახიობმა ისიდორო მაიკესმა (1768—1820) ეს ტრაგედია დადგა (1808—1809) ნაპოლეონის ჯარებისაგან ალყაშემორტყმულ ქ. სარაგოსაში — ჯარების გასამხნევებლად და მოსახლეობის აღსაფრთოვანებლადო, მაგრამ ეს არ დასტურდება. როგორც ამტკიცებენ, ეს იყო XVIII საუკუნის მეორეხარისხოვანი დრამატურგის იგნასიო ლოპეს დე აიალას პიესა „დანგრეული ნუმანსია“, რომელიც ხშირად იდგმებოდა იმ ხანებში.

პირადი დრამა როდია: ესაა მონობის ტრაგედია, დაწერილი მონა-წილისა და მოწმისაგან.

ბავშვობიდანვე ხალხში აღზრდილი და ნაცხოვრები მიგელ სერვანტესი კარგად იცნობდა გლეხების, ხელოსნების, ჯარისკაცების, ღატაკთა და ჩაგრულთა ცხოვრებას, მათ ენას, ჭირ-ვარამს, მთელი ცხოვრებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავისი ქვეყნის ბედსა და უბედობასთან და ამით აიხსნება მისი შემოქმედების თავისებურება: უდიდესი პატრიოტიზმი, სიცოცხლის ხალისი, ადამიანის სიყვარული, არავითარი სასოწარკვეთა და უიმედობა, ძალადობის, მონობისა და სიცრუისადმი სიძულვილი.

მიგელი საუკეთესო კომედიების მწერლად აღიარეს. ამ ხანებში დაწერა მან 20 — 30 პიესა (მათგან ბევრს არ მოუღწევია ჩვენამდე).

ახლა აღარ უხდებოდა ჰაპანწყვეტით მუშაობა ლუკმაპურისათვის, ჰქონდა პროფესია. სხვა ღატაკ იდალგოებივით არ ეძებდა მფარველებს დიდებულ აზნაურთა შორის.

თვითონ მოიპოვა წარმატება. სწრაფადვე გამოუჩნდნენ მტრებიც. უმაღლესი წოდების ლაქუცა და მლიქვნელი კრიტიკოსები აღაშფოთა ვიღაც ნაჯარისკაცალმა, რომელმაც გაბედა და ვინმე წარჩინებულის გარეშე, უმფარველოდ გამოყო ფეხი მწერლობაში. სერვანტესს მოაგონეს — უნივერსიტეტშიც არ გისწავლიაო. მიუთითეს დაბალ განათლებაზე, ანტირელიგიურ აზრებზე.

ეს კიდევ არაფერი.

პიესებს ისევ დგამდნენ თეატრში, მაგრამ მადრიდში მალე გამოჩნდა ახალი ბრწყინვალე დრამატურგი, ლოპე დე ვეგა[1], რომელმაც მალე დაიპყრო კომედიების სამეფო.

„ბუნების ამ საოცრებას“ ვეღავინ უწევდა მეტოქეობას. ყოველ სამ დღეში მზად ჰქონდა თითო პიესა. მის კომედიებში ახალგაზრდა კაბალეროები გაიმღეროდნენ მომხიბვლელ სერენადებს ლამაზმანების ფანჯრებთან, ღამის წყვდიადში კენწლაობდნენ დაშნებით, წარმოთქვამდნენ ჟღერად ლექსებს.

---

[1] ლოპე ფელიქს დე ვეგა კარპიო (1562—1635) — ესპანეთის გამოჩენილი დრამატურგი, სერვანტესის თანამედროვე მწერალი. დასწერა 2200 დრამა და აუტო-საკრამენტალე (სიმბოლური და ალეგორიული ხასიათის სასულიერო პიესა), მათგან მხოლოდ 400 მოაღწია ჩვენს დრომდე.

ხალხი ლოპე დე ვეგას პიესათა გარდა აღარაფერს ნახულობდა. თეატრის მეპატრონეებმა ზურგი აქციეს სერვანტესს, პიესებს აღარ უდგამდნენ. შემოსავლის წყარო ამოიწურა.

კვლავ დაუბრუნდა სიღარიბე და შიმშილი. ცოლი ბავშვიანად სოფელში გაგზავნა, თვითონ კი ღამეებს ათევდა მადრიდის ფოლორცებში.

ლეპანტოსა და ალჟირის სახელგანთქმული გმირი ხანდახან ორიოდე მარავედისს იმით შოულობდა, რომ გადაუწერდა ვისმეს საარშიყო წერილებს, წაუღებდა სატრფიალო ბარათს რომელიმე შეყვარებულს, აქა-იქ დალალობდა კიდეც.

მოლიპული გზით

არ ჰქონდა არც ჩინი, არც მაღალი წოდება. არ გააჩნდა მფარველი. ესპანეთის ვრცელ სახელმწიფოში მისთვის ვერ გამონახეს პაწაწინა კუნჭული. ულუკმაპუროდ დახეტიალობდა ნახევარკუნძულის ქალაქებსა და დაბებში შავ დღეზე გაჩენილი ამბოკარი.

მისი პიესები წასაკითხადაც არავის უნდოდა, სიამოვნებით გახდებოდა ყოველდღიური მუშა, კალატოზი, მღებავი, მტვირთავი, მაგრამ ცალხელა იყო, არსად ღებულობდნენ.

ღამეებს ათევდა საეჭვო ხალხთა ბუნაგებში, სადაც ბუზებივით ირეოდნენ ჯიბგირები, შულერები, პოლიციელთა მაძებრები, ინკვიზიციის ჯაშუშები და სხვადასხვა ჯურის გარეწრები. წყევლა-კრულვით დატოვა მადრიდი. სევილიაში გადასახლდა.

კათოლიკური მსოფლიოს დიდი მეფე, ფილიპე მოხუცდა და დაავადმყოფდა. აღსასრულის დღე უახლოვდებოდა, მაგრამ უქმად როდი იყო, ინგლისის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას.

ესპანეთის საზღვაო ფლოტს არ ჰყავდა წინამძღოლი, თუმცა რა საჭირო იყო გამოცდილი მეთაური, როცა თვით ღმერთი წაუძღვებოდა მათ? ინგლისზე გალაშქრება და სამუდამოდ მისი გასრესა — ეს ხომ ღვთის საამებელი საქმე იყო. იგი არ დაუშვებდა დამარცხებას ან ქარიშხალს. სათნო და კეთილშობილი სახელი — აი ყველაფერი, და ფლოტის მთავარსარდლად დანიშნეს მხდალი დონ ალონსო პერეც დე გუსმანი, ჰერცოგი მედინა სიდონია.

ამაოდ ევედრებოდა ჰერცოგი მეფეს, აეცილებინა მისთვის ესოდენ დიდი პატივისცემა. ლაშქრობისთვის ფული იყო საჭირო, თითქმის მთელი მსოფლიოს მფლობელი ესპანეთი კი შიმშილობდა. სალაროებში თაგვები დახტოდნენ, და... კვლავ დაიბეგრა ქვეყანა არნახული გადასახადებით, უმაგალითო ხარკით.

გიგანტურ მუწუკად აჯდა შვიდ მილიონ მშრომელს ერთი მილიონი დიდებული და მუქთახორა სამღვდელოება. ტყავს აძრობდნენ ხალხს. ხორბალი, ქერი, სიმინდი, ერბო, კარაქი, ღვინო, ნამცხვარი, ყველი — ყველაფერი ბეგარას მიჰქონდა. ნაცვლად ეძლეოდათ ხელწერილი: გადაგიხდიან, როცა საღვთო საქმე გაიმარჯვებსო. გამალებით ტვირთავდნენ ას ორმოცდაათ ხომალდს სურსათ-სანოვაგით. 1588 წლის 29 მაისს ლისაბონის ნავსადგურიდან გავიდა „უძლეველი არმადა“. მას თან გააყოლეს რამდენიმე ათასი ბერი, რომელთაც უნდა მოენათლათ „ურწმუნო“ ინგლისელები...

მეფე ფილიპე იწვა, ითვლიდა კრიალოსანს და ნაღვლიანად იმზირებოდა ფანჯარაში. ათვალიერებდა ესკურიალის საყდრის კამარებს.

იქვე იჯდა მეფის მდივანი დე სასი.

— დაიწყე კითხვა! — წარმოთქვა ფილიპემ და მიუთითა ქაღალდთა გროვაზე.

— აქ თხოვნაა თქვენი უდიდებულესობისადმი ყოფილი ჯარისკაცის სერვანტესისგან, — წარმოთქვა დე სასმა და აიღო ზედა ქაღალდი.

— სერვანტესი? რომელი სერვანტესი? — ააცმაცუნა ტუჩები ფილიპემ. — არ მახსოვს ასეთი!

— მსახურობდა დონ ხუანთან... მარკიზ დე ლა კრუცთან, ფიგეროისთან... იბრძოდა ლეპანტოში, ორჯერ დაიჭრა. ხუთი წელი გაატარა ალჟირის ტყვეობაში.

— მერე და რას მოითხოვს? — ცივად იკითხა მეფემ.

— ახალ ქვეყანაში გამგზავრების ნებართვას, გვატემალაში ან პერუს.

— იქნებ ამ უთვისტომო ჯარისკაცს სურს თქვენმა უდიდებულესობამ გუბერნატორად დანიშნოს რომელიმე ახლად აღმოჩენილ კუნძულზე! — გესლიანად შენიშნა მეფის ფავორიტმა დე ლერმამ.

უხამსი ღიმილი გადაეფინა მეფეს უსიცოცხლო ბაგეზე.

— უარი ეთქვას, — წამოიძახა მან. — თუმცა არა! მომეცით ქაღალდი.

მეფემ საკუთარი ხელით წააწერა თხოვნაზე:

„გამოინახოს აქ, სამშობლოში, მისთვის ადგილი. მიეგოს მთხოვნელს ჩვენი წყალობა!“

და სერვანტესს „მიაგეს წყალობა“: დანიშნეს ხარკის ამკრეფად სამხრეთ პროვინციებში.

სურსათის ამკრეფი კომისიები დააჩინდრიკებდნენ ჯორებს გაღატაკებულ მხარეში და ტყავს აძრობდნენ ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს: ამსხვრევდნენ ფარდულებს, ბეღლებს, ართმევდნენ გლეხებს სათესურს, ბოჭავდნენ ბეგარას.

ერთი მათგანი იყო მიგელ სერვანტესი.

როგორც მშიერ ძაღლს გამოხრული ძვალი, ისე მიუგდეს ეს თანამდებობა. არ შეეფერებოდა სერვანტესს. ასეთ ადგილზე უხამსი და აბეზარი ვინმე უნდა დაენიშნათ, მაგრამ რომელიღაც კანცელარისტმა, ალბათ, მოახსენა სადაც ჯერ არს: სწორედ მიგელისთვისაა ზედგამოჭრილი გლეხთა სულთამხუთავის ადგილიო. ეგონათ: დონ ხუანის დროის ძველი სალდათი, აფრიკაში გამოწვრთნილი და ტყეობაში გატლანქებული, ყოველმხრივ გამოდგებოდა გლეხთა ტყავის გამძრობად!

დღეში თორმეტი რეალი დაუნიშნეს. მისცეს ერთი ჯორი. უკვე აღარ ჰგავდა მაწანწალას. შესაფერისად ჩაიცვა და დაიხურა. მონაზონ დასთან მყოფ დედას დაეხმარა. ცოლსა და შვილს გაუგზავნა ცოტაოდენი და თითქოს სული მოითქვა. მაგრამ ამაზე დაბლა ვეღარ დაეშვებოდა. ფსკერს მიაღწია. მისდა უნებურად გლეხთა სულთამხუთავად გადაიქცა. მათი სისხლისმსმელი წურბელა გახდა.

ამ დღიდან დაკარგა სულის სიმშვიდე. მის დანახვაზე გლეხები კეტდნენ ბეღლებს, მალავდნენ კასრებს, აძრობდნენ ბორბლებს ურმებიდან. აქა-იქ ცელებსაც ლესდნენ. ატყდებოდა ქალთა წივილ-კივილი, ბავშვების უნიათო ღნავილი. ღამღამობით ტანგაუხდელს ეძინა. ხშირად სასთუმალთან ჩახმახშემართული დამბაჩა ედო.

დღიურად თორმეტი რეალისთვის ჯოჯოხეთში ცხოვრობდა.

და სულშიც ჯოჯოხეთის გენია უტრიალებდა სიცოცხლეგაძაღლებულს. სახელმწიფო მანქანის უსულგულო ნაწილად გადაიქცა. გრძნობდა ამას, მაგრამ არ უნდოდა ეფიქრა. მაშინ აუტანელი გახდებოდა არსებობა. რკინის ფარდა ჩამოაფარა და ყველაფერი წარსულს მიანება.

მიმოსვლაში ხვდებოდა ვაჭრებს, გლეხებს. მეჯოგეებს, მეჯორეებს, მწყემსებს, მეფუნდუკეებს, ბერებს. მოიარა მალაღის გარეუბანი, სევილიის არემარე, სეგოვიის გვირაბები, რიანონის კუნძულები, ვალენსიის ზეთსახდელი ქარხნები, სანლუკარის სანაპიროები, კორდოვის საჯინიბოები, ტოლედოს ყველა სამიკიტნო, რომელიც ცუდმედიდა კაცების ბუდედ იყო გადაქცეული და ყველა ის ადგილი, სადაც არა ერთს უმაქნისსა და გაიძვერას გამოუყენებია ფეხების სიმკვირცხლე და ხელების სიმარდე. სწავლობდა ყოველი კუთხის ზნე-ჩვეულებას.

ხედავდა და სწავლობდა ნამდვილ, ცოცხალ, არაromანტიკულ ესპანეთს. სურდა დაეწერა რამე, მაგრამ დრო აღარ ჰქონდა. ანგარიში კარგად არ იცოდა. ხშირად ეკარგებოდა საანგარიშო წიგნაკები, ანდა ციფრების ნაცვლად მათ ლექსებით ავსებდა. რამდენიმეჯერ საკუთარი ხელფასით დაფარა დანაკლისი.

აქა-იქ სიარულში გაიცნო და დაუმეგობრდა დიდი ველასკეზის[1] მასწავლებელსა და სიმამრს, სახელგანთქმულ მხატვარს ფრანცესკო პახეკოს; ლირიკოს პოეტს — ფერნანდო ერერას, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ დაუწერა სონეტი; დაუახლოვდა ტორკვატო ტასოს მთარგმნელსა და ცნობილ მხატვარს — ხუან დე ხაურეგის[2] (უკანასკნელმა, როგორც ამბობენ, დაგვიტოვა სერვანტესის პორტრეტი). სევილიაში ყოფნისას გაიცნო მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანი.

---

[1] დიეგო დე სილვა ველასკეზი (1599—1660) — ესპანეთის გამოჩენილი მხატვარი.

[2] ხუან დე ხაურეგი (1583—1641) — თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ესპანელი პოეტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი და მხატვრობის მოყვარული. „სამოძღვრებო ნოველების" პროლოგში სერვანტესი ახსენებს ხაურეგის სახელს. რამაც საბაბი მისცა ბევრს, ეფიქრათ, არსებობს ხაურეგისაგან დახატული სერვანტესის პორტრეტიო. ეს ჰიპოთეზი მით უფრო მაცთუნებელი იყო, რომ სერვანტესის ნამდვილი პორტრეტი არ დარჩენილა და ყველა არსებული კი ამა

ახირებული კომისარი

მოხუცი პედრო გუტერესი უკმაყოფილო იყო.

მთელი ღამე ტრიალებდა ლოგინში.

სოფელ როხასში ჩავიდა ხარკის ახალი ამკრეფი. ხანდაზმული ცალხელა.

იჯდა ბებერ და ისეთსავე გახრეკილ ჯორზე, როგორიც თვითონ იყო.

პედროსას გაათია ღამე: მიგელ სერვანტესი მქვია, ყოფილი ჯარისკაცი ვარო, განაცხადა.

პედროს არ მოეწონა სტუმარი. ხარკის არც ერთ ამკრეფს არ ჰგავდა. ყველგან ჩაყო თავისი გრძელი ცხვირი, ყველაფერი გამოიკითხა: რამდენი ცხვარი ჰყავდა ბაკში, რამდენი ტომარა მარცვლეული და კასრი ღვინო ჰქონდა მარანში.

ოთხმოცდაათი რეალი შეაწერა. მეზობელ დიეგოს კი იმ უსაქმურსა და არამზადას, დაუკლო გადასახადი. ასე თქვა: დიეგოს ცოტა მიწა აქვს და ბევრი შვილი ჰყავსო. დათანხმდა ნაწილ-ნაწილად გადახდას. გუტერესს კი მთლიანად ააღლიტა ღალა. ახირებულ სტუმარს თან ჰქონდა წიგნი, მაგრამ შიგ შემოსავალი კი არ ეწერა, არამედ — ლექსები.

არ ეძინა პედროს. გულზე სკდებოდა. სერვანტესს კი არ მოუთხოვია ქვეშაგები. ფიცრულ ტახტზე დაწვა და ისე გამოიძინა.

დილას საკვირველ თავგადასავლებს მოუთხრობდა ქალებს ლეპანტოს გმირობისა და აფრიკის ტყვეობის შესახებ. ყველამ მიატოვა სამუშაო. გაფაციცებით უსმენდნენ.

უკმაყოფილო პედრო ბაკში გავიდა. გოჭებს გადაებრუნებინათ ვარცლი, ბოსტანში შესულიყვნენ, ხახვის კვლებს ჩიჩქნიდნენ. საღ დაიკარგა ალქაჯი ხუანიტო? აა, ხის ძირში ზის, დასძინებია იმ არამზადას!

თუ იმ მხატვრის უპასუხისმგებლო ფანტაზიის ნაყოფია. 1911 წელს ვინმე ალბოლმა, ქ. ოვიედოს სამხატვრო სასწავლებლის მასწავლებელმა, ესპანეთის აკადემიას აჩუქა ძველი სურათი (ხაურეგის ხელმოწერითა და 1600 წლით დათარიღებული). იგი თითქოს სერვანტესს გამოხატავდა, რაც დღემდე კატეგორიულად არაა უარყოფილი. 1911 წლიდან ის თან ერთვის სერვანტესის თხზულებათა ყოველ ახალ გამოცემას.

პედრომ აიღო სახრე და მიეპარა. არა, ხუანს არ ეძინა. ხელი გაუშეშდა პედროს. ბავშვი წიგნს კითხულობდა.

— ო, შე ცუღლუტო, წიგნებს კითხულობ, განა?

გამოჰგლიჯა ხელიდან ძველი, დაქექილი წიგნი. შორს გადაისროლა. ზედიზედ უჭირა სახრე.

— მიდი მუხასთან!

— მაპატიეთ, ბატონო! ვაიმე! მაპატიეთ! ამიერიდან აღარ ჩავიდენ, ბატონო!

— მიდი მუხასთან! მიდი-მეთქი! მიეკარი ზედ! პირი გააღე და თვალები დააჭყიტე!

ბავშვმა მოიხსნა ქამარი და მიეკრა მუხას.

— კიდევ იცუღლუტებ, მწიგნობარო? აა, ესეც შენ!

— რა ამბავია, დონ პედრო? რადა სცემთ ბავშვს?

კვლავ ეს წყეული ამკრეფი! რად ეჩრება სხვის საქმეში? ეგდოს ქალებთან! ბავშვიც გაკვირვებული მიბრუნდა, — ასეთი გამოსარჩლება ახალი ამბავი იყო მისთვის.

— წიგნებს კითხულობს აქ!—პირქუშად მიუგო დონ პედრომ.— აბა, შებრუნდი, თვალები დააჭყიტე-მეთქი!

— წიგნებს? — სერვანტესმა ხელში აიღო წიგნი, — რა წიგნია ეს ხუანიტო?

ხუანმა შეიმშრალა ცრემლები.

— საინტერესო წიგნი... — წაილუღლუღა ბავშვმა, — რაინდების შესახებ! — ხუანიტოს თვალები უბრწყინავდა.

მიგელი ხელში ატრიალებდა წიგნს. რაღაც შორეული და ნაცნობი მოაგონა წიგნმა. გარეკანი მოეგლიჯათ, არ ჰქონდა პირველი ფურცლებიც... მაგრამ სახელები... დიახ, ორიანა, ბელ-ტენებროსი, პირქუში მზეჭაბუკი... ისაა, რასაკვირველია, ძველი ნაცნობი, „ამადის გალელი“.

— ჯანდაბას იმის სული და ხორცი, ვინც ამ წიგნებს კითხულობს! — წამოიძახა დონ პედრომ და გადააფურთხა.

მიგელი ისევ ხელში ატრიალებდა ჩაყვითლებულ, დაფლეთილ წიგნს.

— მართალს ამბობთ, დონ პედრო. — წარმოთქვა მან. — თვითონ მეც, სიჭაბუკეში ძლიერ ბევრს ვკითხულობდი მოხეტიალე რაინდებზე. იქნებ იმიტომაც ვარ ასეთი უბედური.

ფრთხილად დადო წიგნი ხის ქვეშ.

— სენიორ, სენიორ, ერთი წუთით!

— რა გინდა, ხუანიტო?

— მითხარით, სენიორ, — გაბედულად შესძახა ბავშვმა, — თქვენ ხართ ის ნახევრად გიჟი ამკრეფი, გლეხებს რომ ესარჩლება?

— დიახ, სწორედ ისა ვარ! — ნაღვლიანად გაიღიმა მიგელმა.

— სენიორ! დამიხსენით, გეთაყვა! ჩემი პატრონი ყოველ წუთს მცემს, ჯამაგირს არ მაძლევს.

— ახსენით ბავშვი, პედრო! — წყნარად უთხრა სერვანტესმა.

პედრომ უნდომად ახსნა ბავშვი.

— იცოდე, დღესვე გადაუხადე მთლიანად, რაც გმართებს.

— სიამოვნებით გადავუხდი,—გესლიანად ჩაისისინა პედრომ.— წაბრძანდით თქვენს საქმეზე, ბატონო ჩემო...

შუადღემდის დაიარა სოფელი მიგელმა. დაბრუნდა პედროსას.

ჭიშკრიდანვე მოესმა ხუანის კვნესა. ბავშვი ეზოს კუნჭულში ეგდო მთლად დალურჯებული. დაწითლებული თვალები შეანათა სერვანტესს.

— სჯობდა, სულაც არ გამომსარჩლებოდით, სენიორ, — ჩიოდა ბავშვი. — მცემა. აი, მთლად მიიღე ვალიო, ყვიროდა და მირტყა, სანამ დაიღლებოდა. სჯობდა, არ ჩარეულიყავით ამ საქმეში, სენიორ!

სერვანტესი გააფთრდა. შევარდა სახლში. პედრო და მისი ცოლშვილი შემოსხდომოდნენ სუფრას, კუს-კუსს[1] შეექცეოდნენ.

— შენ სცემე ბავშვს, პედრო? — შეუტია სერვანტესმა.

პედრო გუტერესმა მაგიდაზე დადო კოვზი და ამრეზით წარმოთქვა:

— ჯანდაბას მისი სული და ხორცი, ვინც ჩემს საქმეში ჩაერევა! ვცემე არამზადას! კიდევ ბევრჯერ ვცემ! ჩემს სახლში მე ვარ ბატონ-პატრონი.

— ნებას არ მოგცემთ! პასუხს გაგებინებთ ამისთვის! — შეუძახა სერვანტესმა.

— ჯანდაბამდისაც გზა გქონია და ეშმაკსაც წაუღიხარ! — უკმეხად წამოისროლა პედრომ. — ნუ ეჩრები სხვის საქმეში!

---

[1] კ უ ს-კ უ ს ი — ესპანური საჭმელი.

დაავლო კოვზს ხელი და მოუქნია.

— როგორ მიბედავ? — გაბრაზდა მიგელი, ხელი გაიკრა მარცხნივ, ქამართან. გაიკრა... და ისევ ნელინელ დაუშვა: ხმალს აღარ ატარებდა.

სიცილი დააყარეს.

— დახეთ, დახეთ, ხმლის ამოღება უნდოდა! — ხარხარებდა გუტერესის მეუღლე. — ისევ ლეპანტოს ბრძოლაში ჰგონია თავი.

პედროს ორივე ქალიშვილი ხმამაღლა იცინოდა: რა სასაცილოა ეს ახირებული, ნახევრად შეშლილი ხეპრე ამკრეფი!

— თქვენ იმ რაინდს გავხართ წიგნიდან, ამას წინათ რომ შეაქეთ, ჩემო ბატონო, — წარმოთქვა უფროსმა ქალმა.—რად იწუხებთ თავს სხვისი გულისთვის?

ფრიად სასაცილო ვინმეა ეს სერვანტესი. გამხდარი, ცალხელა და მამლაყინწობს ნამდვილი მეომარივით: სულ ლეპანტო და ალჟირი ელანდება!

სერვანტესმა თავი ჩაქინდრა და დატოვა პედროს ეზო. დააკიწყდა: უკვე დიდი ხანია აღარ იყო მეომარი. მისი ძველი ხმალი აღარ ეკიდა გვერდზე, სადღაც კარადაზე ჩამოკიდებული იჟანგებოდა.

უხალისოდ ჩამოიარა ეზოები, უგემურად აკრიფა ფული, მოისმინა საჩივრები. დასცინოდნენ. აბუჩად იგდებდნენ. სასაცილო გახდა ლეპანტოს გმირი. მოჩმახულად მიაჩნდათ მისი ვაჟკაცობა და თავდადება ტყვეობასა და ლაშქრობაში.

საღამოს მიაღწია დაბა ესიხას. აქაურები ლმობიერად დაუხვდნენ. არაფერს დაზოგავდნენ თავიანთი საყვარელი მეფისათვის! ესიხა რომელიმე მიყრუებული უბანი როდია, მაგრამ ბატონი ამკრეფი სომ თვით სედავს: აქ აღარაფერი დარჩა ასაკრეფი. დაბა გასუფთავებულია პირწმინდად. ცარიელია ბეღლები, საწყობები!..

მთლად დაიარა სოფელი. თან ახლდა ორი ალგვასილი. არსად არაფერი ჩანდა. როგორ უნდა ამოეღლიტა ამ გაღატაკებული სოფლიდან ათასი ფანეგა ფქვილი და ოთხი ათასი ლიტრა ერბო? — ნაღვლიანი სიცილი აუტყდა. ხარხარად გადაექცა. ხარხარებდა გიჟივით. ხალხს უკვირდა: ალბათ გიჟი კომისარი გამოგვიგზავნესო.

მდინარე სენილის ნაპირას მივიდნენ. დაბის გარეთ წამოჭიმული იყო სამი ვეებერთელა ბეღელი.

— გახსენით, — ბრძანა სერვანტესმა და კვერთხი ატაკა პირველი მათგანის კარებს.

ატყდა ჩურჩული. ვერ ბედავდნენ: ბეღლებში ეკლესიის ქონება იყო. მონასტრის საწყობები მოეთავსებინათ შიგ.

საქმეში ვიღაც სამღვდელო პირი ჩაერია. ურჩია სერვანტესს — ხელი აეღო ბოროტ განზრახვაზე.

— ეს არავითარი ბოროტი განზრახვა არ არის, — დინჯად წარმოთქვა სერვანტესმა. — რეკვიზიცია საღვთო მიზნებს ისახავს — ჯვაროსნულ ლაშქრობას ინგლისის წინააღმდეგ. პირველ რიგში ეკლესიამ უნდა გაიღოს წვლილი. ასე სწყურიათ ღმერთებს.

მაგრამ მღვდელი თავისას არ იშლიდა: ეკლესიამ თავისი წილი უკვე გადაიხადა, ახლა მოსახლეობაზეა ჯერიო.

— მოსახლეობამ ბევრი გადაიხადა, საკმაოდ მოიხარა ქედი და სისხლიც ბლომად დაღვარა, — გულმოსულად წარმოთქვა მიგელმა.—სამღვდელოება არხეინად უპვრეტს ყველაფერს, ზის ფეხმორთხმული ოქროებით სავსე ყუთებსა და ტომრებზე. მომეცით გასაღები!

— გასაღები არა მაქვს, — განაცხადა სამღვდელო პირმა.

— მაშ გასტეხეთ! — უბრძანა ალგვასილებს. ისინი ვერ ბედავდნენ.

მაშინ მიგელმა ძალუმად ჩასცა წიხლი კარებს. კარები ჭახანით ჩამოვარდა...

რეკვიზირებული საეკლესიო დოვლათი ნავებით დააყოლეს პალმა დე რიოსკენ, იქიდან გვადალკვივირით შეაცურეს ოკეანეში. მესამე დღეს მიიღეს ლისაბონში, სადაც თავი მოიყარა ფლოტის ნაწილმა.

ახირებული კომისარი, ამ მკრეხელობის გამო დიდის ამბით შეაჩვენეს და განაყენეს ეკლესიიდან.

სისხლის გასინჯვა

განაჩენი კანონიკთა კაპიტულმა[1] გამოიტანა სევილიაში. მიგელი გაეშურა იქითკენ.

ანათემამ ვერ შეაძრწუნა მისი გული. დიდი ხანია გაქრნენ ჭა-

[1] კანონიკთა კაპიტული — კათოლიკე სასულიერო პირთა კოლეგია; კანონიკი — კათოლიკეთა ეკლესიაში საკათედრო ტაძრის მღვდელი.

ბუკური მართლმორწმუნეობის წლები. უცხო იყო მისთვის საეკლესიო რიტუალიც, მაგრამ მორწმუნეთა კრებულიდან განდევნამ ააფორიაქა. ესპანეთში ვერ იბოგინებდა სამღვდელოებასთან კავშირგაწყვეტილი მოხელე...

დიდი წვალების შემდეგ განაჩენი გააუქმეს: საჭირო იყო მხოლოდ ჩვეულებრივი საეკლესიო მონანიება, ლოცვა-ვედრება, მკაცრი მარხულობა და წმიდა ადგილების მოლოცვა. სასურველად თვლიდნენ აგრეთვე ჩამორთმეული საეკლესიო ქონების დაბრუნებასაც, მაგრამ იმას ვინღა დააბრუნებდა...

საქმე მოგვარდა. სერვანტესი უკვე აპირებდა რონდას ოლქში საკალმასოდ გამგზავრებას. ამ დროს მოვიდა ახალი, უფრო შემაძრწუნებელი ამბავი. არ აძლევდნენ მოსვენებას, გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ თავზეხელაღებული უკეთურისთვის.

„სიწმინდის პალატა“ ეწვევა „სისხლის გასასინჯად“.

სერვანტესისათვის ძნელი არ იყო დაედასტურებინა წინაპრების ძველი ქრისტიანული საგვარეულო შტო, რომელშიც უკანასკნელ ოთხ თაობას სრულიადაც არ ერია მავრის ან ებრაელის სისხლი.

ესპანეთის სახელმწიფოში ასე იყო მიღებული, მოხელეებისაგან მოითხოვდნენ მსგავს საბუთს.

მიზეზს ეძებდნენ, თორემ ასეთი საბუთი ყველას როდი სჭირდებოდა. მაშინ ვერც ერთი ვეღარ დარჩებოდა თანამდებობაზე.

გამოიცა „სიწმინდის სტატუტები“,[1] დაარსდა გამსინჯველი პალატები, დაისახა წესები.

წმიდასისხლიანად ითვლებოდა ის, ვისი წინაპრებიც, მამის ან დედის მხრით, ინკვიზიციის წევრები იყვნენ. წმიდა იყო ის, ვინც არ იხდიდა „ხორციელ ბეგარას“, საერთოდ წარჩინებულები, მდიდრები და დიდებულები, ძველი მოდგმის ქრისტიანები.[2]

შედგა სათანადო სიები. უგვაროვნი არ იშურებდნენ ქრთამს ამ სიებში მოსახვედრად.

დე სერვანტესისა და დე კორტინასის ოჯახები სიღარიბის გამო არ ითვლებოდნენ ამ კურთხეულ კატალოგში... მათი გვარიშვილო-

[1] სტატუტი — მთავრობის დადგენილება, კანონი.

[2] ძველი მოდგმის ქრისტიანები ეწოდებოდათ მოქალაქეთ, რომელთაც ჰქონდათ იმის ოფიციალური მოწმობა, რომ მათ მოდგმაში არასოდეს მომხდარა ქორწინება მავრთა და ებრაელთა ოჯახთან და იმ ოჯახებთან, ვისაც წინაპრებში გაქრისტიანებული ებრაელი ან მავრი ჰყავდათ.

ბა ერთ უნციასაც არ იწონიდა. მიგელი იძულებული იყო დაეწყო ტრაბახი, კვლავ შეექო ლეპანტო, თავისი გმირობა, ეჩვენებინა გამხმარი ხელი. რცხვენოდა თავდამცირების, და რისთვის? გლეხთა სულთამხუთავისა და გამყიდველის საზიზღარი, სამარადჟამოდ წყევლა-კრულვით მოსაგონებელი თანამდებობის შესანარჩუნებლად. მერე უშველიდა ეს?

საზეიმოდ მორთულ ვრცელ დარბაზში გრძელ მაგიდასთან იჯდა სამი მსაჯული. ჩვეულებრივი წესით დაიწყეს დაკითხვა, თავმჯდომარემ ალმაცერად გადახედა მიგელს. აიღო ქაღალდები.

— გადაგითარგმნით წინასწარ გადაწყვეტილებას, — წარმოთქვა მდაბიური დიალექტით, — რადგან ლათინური, რასაკვირველია, გაუგებარი იქნება თქვენთვის.

— ლათინური ენა არ მეძნელება, — ლათინურად მიუგო მიგელმა.

თავმჯდომარემ ყურადღებით აათვალიერა ის და უფრო თავაზიანი ტონით დაიწყო:

— „სათანადო ხელისუფალთა განკარგულებითა და ყველა წესის აღსრულებით, ინიშნება წარმოშობის უმცირესი გამოცდა სამეფო უწყებათა სასურსათო ხარკის ამკრეფი კომისრის, როდრიგო დე სერვანტეს საავედრას და ლეონორა დე სერვანტეს კორტინასის შვილის მიგელ დე სერვანტეს საავედრასი, რომელიც დაიბადა მათი შეუღლებისაგან ალკალა დე ენარესში და მოინათლა იქვე სანტა მარია ლა მაიორის საყდარში 1547 წლის 9 ოქტომბერს...“

— უნდა მოგაგონოთ, რომ... — წამოიწყო მიგელმა.

თავმჯდომარე წამოდგა და ბრაზმორეული ხმით შეუძახა სერვანტესს:

— დაჩუმდით! იმისთვის კი არა ხართ გამოძახებული სიწმინდის პალატაში, თქვენი ისტორიები მოვისმინოთ. თქვენ, მიგელ დე სერვანტეს საავედრა, მკაცრად უნდა გამოგცადოთ და გამოვიკვლიოთ თქვენი საგვარეულო შტო. ამიტომ ვალდებული ხართ წარმოადგინოთ საბუთები იმაზე, რომ წმინდა ქრისტიანული ოჯახიდანა ხართ წარმოშობილი...

— ჩემი ცხოვრება და ჩემს მიერ ჩადენილი საქმეები — აი ჩემი სისხლის სიწმინდის საბუთები; ადამიანს გამოაჩენს საქმენი მისნი.

თქვენ გინდათ იმის საბუთები, რომ ჩემში წმინდა სისხლი მჩქეფარებს? გავიწყდებათ ესპანელი ჯარისკაცების დამსახურებანი. მე ვდგავარ აქ, თქვენს წინაშე, და მოგაგონებთ. შეხედეთ ამ ხელს. ეს ხელი შევწირე ესპანეთის დიდებას. თქვენ გაინტერესებთ, თუ როგორი სისხლი მაქვს? გადაფურცლეთ მთელი ჩემი ცხოვრება და იქ ამოიკითხეთ! — სულმოუთქმელად მიახალა სერვანტესმა.

— ხმა ჩაიკმინდეთ! — შეჰყვირა მოსამართლემ. — დაჯექით და ელოდეთ განაჩენს...

სერვანტესი ჩამოჯდა სელზე და ათვალიერებდა მსაჯულებს.

ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მათ ჩაყვითლებულ სახეებს, გაცრეცილ სამოსელს.

უეცრად მაგიდამ ტორტმანი იწყო. მოსამართლე შეჩერდა. მარცხნით მჯდომი ერთ-ერთი დომინიკელი მსაჯული აწრიალდა სკამზე და სერვანტესს მიაპყრო შიშით დაჭყეტილი თვალები.

- ბიჭოს! ეს ხომ ყიამყრალია! — შესძახა განცვიფრებულმა სერვანტესმა და წამოიჭრა.

ყველანი გაშეშდნენ ამ სააუგო და უკმეხი სიტყვის მოსმენისას.

დომინიკელმა ალბათ არ იცოდა, რა მოხდებოდა. გამოცდა მასობრივად ტარდებოდა. სერვანტესის რამდენიმეჯერ გამეორებულმა საბელმა საშინელი განსჯის საყვირის ხმასავით შეაძრწუნა ის.

-- ყიამყრალო! — ნელინელ და სიხარულით გაიმეორა სერვანტესმა. — როგორ ბრძანდება თქვენი საძაგელი, წირპლიანი მოწყალეობა? ლიტრა ერბო შეთქვლიფეთ, განა? ოქრო გარდააგეთ როსკიპებს? წუწკი ძაღლი აღმოჩნდა ალჟირის ფაშა?

-- რას ნიშნავს ეს, დოქტორ დე პას? — აღშფოთებით იკითხა თავმჯდომარემ. — რას მოასწავებს ამ კაცის ლაყბობა? ხომ არ შეიშალა თქვენი ნაცნობი?

ეს ბერი ის არამზადა „ყიამყრალი" ბლანკო დე ლა პასი იყო, რომელიც საშინლად სდევნიდა სერვანტესს და სხვა ქრისტიან ტყვეებს ალჟირში და საზიზღარი ინკვიზიციის დავალებით გამცემლობასა და ჯაშუშობას ეწეოდა. რაოდენი ტანჯვა და მწუხარება გამოსცადა მიგელმა ამ საძაგელის დასმენით ალჟირის ტყვეობაში და აი, ახლა სად შეახვედრა ბედმა! ახლა კი შეუძლია სამაგიეროს გადახდა!

მაგრამ დოქტორმა ხუან ბლანკო დე პასმა დაასწრო მიგელს. ამაში იყო მისი ხსნა. კიდევ ერთი სიტყვა და, ეს წყეული ცალხელა მოუთხრობდა სამსჯავროს სამარცხვინო ღალატს ალჟირში, სამოცი ქრისტიანი მონის გაცემას.

ბლანკო საშინლად ღელავდა. თუ მიგელი გაამხელდა დე პასის გაიძვერობასა და ქრისტიანი ტყვეების ღალატს, მაშინ ყველაფერი დაიღუპებოდა: პატივისცემაც, მსაჯულის თანამდებობაც. ჩააგდებდნენ ინკვიზიციის საპყრობილეში და მაშინ მშვიდობით, ტკბილი ცხოვრებავ! იქნებ, აუტოდაფეც არ ასცდეს!

— მეხუმრება, დიდად პატივცემულო ბატონო, — დაიწყო შიშით წკავწკავი, — მეხუმრება, როგორც კარგი მეგობარი. ეს ხუმრობა დიდი ხანია ვიცით ორივემ — ერბოს შესახებ. ეს ჩემი მეგობარია, ბატონო, განუყრელად ვისხედით ალჟირის ციხეში. ვეღარ ვიცანი. რომ გამეგო, აღარ შევაწუხებდი ბატონ მსაჯულებს. ხომ მართალია, დონ მიგელ? ყოველგვარი ეჭვის გარეშე ხართ ღვთის საქმისთვის ნაცადი მებრძოლი, ქრისტიანულ ლაშქრობათა გმირი, გვაჩვენეთ თქვენი ხელი, ის ხომ სარწმუნოებისათვის ბრძოლას შესწირეთ! ბატონო ჩემნო, დე სერვანტეს საავედრას საგვარეულო შტო ესაა უძრახველად უძლეველი, წმიდა ქრისტიანული, კეთილშობილი და უძველესი აზნაურობა, რომელიც რვა საუკუნის მანძილზე ამტკიცებდა თავის ვაჟკაცობას პირენეის მთებში. თვით ვადასტურებ და ვთავდებობ. წინადადება შემომაქვს: შეწყვიტეთ გამოცდა! მოსპეთ ეს საქმე! მაგის სისხლი სუფთაა და მასში არ ურევია ურწმუნოთა სისხლი.

დაკმაყოფილდება თუ არა მტერი? მღვრიე თვალები გაფაციცებით ელოდნენ. ქშენა აუვარდა.

სერვანტესი არ ჩქარობდა. ტკბებოდა წუთით. სურდა: არ ყოფილიყო გონიერი, არ ესარგებლა ბედნიერი შემთხვევით. უნდოდა სასტიკი სიტყვებით გაეშოლტა იგი და დამსახურებისაშებრ ძიეზღო მაგიდასთან მედიდურად წამოსკუპებული გამცემისთვის.

დიდი იყო ცთუნება, მაგრამ დაძლია და გაჩუმდა. მხოლოდ მომართა კვერთხი, დაუმიზნა „ყიამყრალს“ და შიგ მუცელში ჯგვლიმა. ტლანქი ალერსი გამოვიდა. შეფურთხებაზე უფრო შეურაცხმყოფელი და სათაკილო იყო ეს ბერისთვის.

მიგელს ზედაც არ შეუხედავს. წყნარად, გოროზი სახით მიმოიხედა და ნელი ნაბიჯით გამოვიდა დარბაზიდან.

შვიდი ათასი რეალისთვის

1588 წლის რვა აგვისტოს, ღამით, სასტიკმა გრიგალმა გაანადგურა ფილიპეს ფლოტი. ინგლისის მეზღვაურებმა მეკობრე-კაპიტნის — ფრენსის დრაიკის მეთაურობით გაფანტეს „უძლეველი არმადა“. გაქრა ესპანეთის თვალისჩინი.

ადმირალი მედინა სიდონია თვით აღიარებდა საკუთარ უუნარობას. მასთან მხდალიც აღმოჩნდა. ის გაიქცა, ფლოტი მიატოვა. ფილიპემ მაინც მოწყალებით მიიღო უბადრუკი ამირბარი.

სამუდამოდ მოეღო ბოლო ესპანეთის მბრძანებლობას და ბატონობას ზღვაზე. მეფე ფილიპემ დაღუპა საკუთარი ხალხის სამხედრო-სასიცოცხლო ძალა. ოცი ათასი საუკეთესო გამოცდილი ჯარისკაცი და ათასობით ბერი იწვა ზღვის ფსკერზე. ზღვაშივე იპოვა სამარე თორმეტი ათასმა ძიძამ. ფილიპეს განზრახვა ჰქონდა, ინგლისის მიწა-წყალზე ფეხის შედგმისთანავე ესპანელი ქალის რძე ეწოვებინათ ინგლისელი ბავშვებისათვის. ოცი მილიონი დუკატი დაიხარჯა. სალაროებში ერთი რეალიც აღარ დარჩა. კვლავ გაადიდეს ხარკი და ბეგარა, კვლავ დადაღულივით დაქროდა მიგელ სერვანტესი ბედუკუღმართი გზებით მალაღასა და საენას, გრენადასა და ხერეს შორის. ესტრამადურიდან ანდალუზიამდის არ დარჩენილა არც ერთი საცალფეხო ბილიკი, სადაც არ დაედგას ფეხი მის გახრეკილ ჯორს.

ბოლო აღარ უჩანდა ხეტიალს. აღარ თავდებოდა ძაღლური წანწალი, ეგონა, ასე დაუსრულებლად, აჩრდილივით დაძრწოდა ყოველთვის.

ხალისი დაკარგა, პირზე ღიმილი აღარ მოსდიოდა. ჩაიძირა ანგარიშების, ქვითრების, ამონაწერების, თხოვნებისა და ოქმების ზვინში. მუდამ ედავებოდა სევილიელ კანცელარისტებს, აყალმაყალი ჰქონდა უფროსებთან, ბევრჯერ აერია ანგარიში. დააკლდა სამოცდაათი ტალერი. შემდეგ ეს თანხა ოთხას ორმოცდაათად გადაიქცა. არ უპასუხა, არ გამოარკვია. კვლავ დღე-ღამ დახეტიალობდა ჯოჯოხეთური გზებით ტყეებსა და ველებში, წვიმასა და თოვლში, ქარსა და სიცხეში.

კრეფდა ხარკს, ართმევდა სურსათს, ეჩხუბებოდა ხელისუფალთ, ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა გლეხებთან. ხანდახან უთმობდა, იბრალებდა, იცოდებდა.

ჯამაგირი აღარ ეყო. სახელმწიფო ფულით სარგებლობა კი აკრძალული იყო. მაშ როგორ ეარსებნა? სხვები ხომ ხარჯავდნენ? მთლად გაიხლართა ვალებში. ახლა ვეღარც კი მიატოვებდა წყეულ ხელობას: ეჭვს აიღებდნენ ფულის მითვისებაში, ამიერიდან ასე უნდა ეტანტალა კუბოს კარამდე.

მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომელთაც ენატრებოდათ და შურდათ მიგელის მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში, იყო ერთი კაცი მაინც. ეს იყო ძმა. როდრიგომ მოსწერა წერილი. კვლავ ფლანდრიაში მსახურობდა ვილარის ლეგიონში. პრაპორშჩიკი იყო ორმოცდაათი წლის კაცი. ისევე ურყევად სჯეროდა მიგელის გავლენიანობისა. დარცხვენით ითხოვდა: იქნებ ცოტათი მაინც დახმარებოდა მიგელი დაწინაურებაში. ეს ხომ ადვილი საქმე იყო მიგელისთვის. შენ, ჩემო მიგელ, გენერალ-ინტერდანტივითა ხარ ახლაო, — წერდა მიამიტი როდრიგო...

ვერაფერი უპასუხა ძმას. ამის შემდეგ აღარაფერი გაუგია მისი. უთუოდ განგმირეს რომელიმე უმნიშვნელო ბრძოლაში, რომელიც ჟამთააღმრიცხველს ისტორიაში აღარსად მოუხსენებია...

სან ლუკარიდან, კადიქსიდან, პალოსიდან, სევილიის ახლობელი ნავსადგურებიდან ყოველდღიურად მიემართებოდნენ ხომალდები ამერიკაში, სასოწარკვეთილი ადამიანები ათობითა და ასობით გარბოდნენ ახალ ქვეყანაში სამუშაოდ, ოქროს საშოვნელად, ინდიელთა დასამონებლად. გაძაღლებულმა სერვანტესმა ორჯერ ითხოვა ამერიკაში წასვლა. აქაც უარი უთხრეს.

იმ დღეებში მადრიდში, ვიღაც მეძველის ოჯახში, გარდაეცვალა დედა. მიგელს არ ეცალა გლოვისთვის. თეატრის პატრონს, ოსორიოს, ხელშეკრულება დაუდო ექვს პიესაზე. მაგრამ არც ერთი არ დაუწერია, რადგან სწორედ ამ ხანებში 1595 წლის 20 სექტემბერს (ოცი სექტემბერი ყოველთვის უბედური იყო მისთვის) თავი ამოაყოფინეს კასტრო დელ რიოს საპყრობილეში. იქნებ კვლავ ბლანკომ დაასმინა. არავინ იცის, რისთვის და რატომ! რამდენიმე დღის შემდეგ გამოუშვეს. რატომ? ესეც არავინ იცის. ალბათ რომელიმე გულშემატკივარი მეგობარი გამოუჩნდა!

ამ ორომტრიალში არ ივიწყებდა პოეზიას. სარაგოსში დომინიკელთა ორდენმა მოაწყო პოეტების ტურნირი წმიდა გიაცინტეს პატივსაცემად. სერვანტესმა გაგზავნა ლექსები და მიიღო პირველი

ჯილდო: ვერცხლის სამი კოვზი! ათას რამეს წერდა კიდევ,—რაღაც შესავალი ლექსის მსგავსს თირკმლების დაავადებაზე ექიმ დიასის წიგნში, უწერდა შაირებს უნიჭო მიჯნურებს სერენადებისთვის. სტრიქონში ორ რეალს აძლევდნენ. მოწყალების ნაცვლად, თითო მარავედისად რომანსებს უთხზავდა ქუჩის მათხოვრებს.

მხოლოდ ერთხელ გაბედა გაუბედურებულმა სხვანაირად აჭრერება. ეს მაშინ მოხდა, როცა ინგლის-ჰოლანდიის ფლოტი კადიქსთან თავს დაესხა ესპანეთის ხომალდებს, გაანადგურა ისინი და შეიჭრა ნავსადგურში. ინგლისელებმა დაარბიეს მთელი ესკადრა და წაართვეს სურსათის მარაგი, ქალაქს წარსტაცეს 20 მილიონი დუკატის ქონება. ყველა დაიბნა, მაგრამ, როცა ინგლისელები გაქრნენ, მედროშეთა და მორთულ-მოკაზმული ამალის თანხლებით ქალაქში ტრიუმფატორივით შემოვიდა „ოკეანისა და ანდალუზიის სანაპიროების მთავარი კაპიტანი“, „უძლეველი არმადის“ „სახელგანთქმული გმირი“ — ჰერცოგი მედინა სიდონია, რომელსაც ძველებურად სცემდა პატივს და მფარველობდა მეფე ფილიპე.

სერვანტესმა ეს ამბავი იმღერა სონეტში, რომელიც სრულყოფილია ფორმით და აღსავსეა ფარული ირონიით. იგი მაშინვე არ დაუბეჭდავთ, ხელნაწერებად ვრცელდებოდა კადიქსისა და სევილიის სამიკიტნოებში. არ ჰქონია ხელმოწერა, მაგრამ იცოდნენ, ვიღაც მოხელე სერვანტესის შეთხზული რომ იყო.

მთავრობას არ მოეწონა ეს ამბავი. დაუწყეს მიზეზს ძებნა, თუ როგორ აელაგმათ საეჭვო ლექსების მთხზველი. მიზეზიც მალე აღმოჩნდა.

სასტიკი ზამთარი მძვინვარებდა ანდალუზიაში.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა. დაგვიანებით გამოვიდა სოფლიდან მიგელი. სევილიაში ბრუნდებოდა.

ეს უკანასკნელი მგზავრობა იყო სოფლად. ცივი ქარი აყრიდა ნამქერს სახეში.

დუმდნენ ტიტველი მიდამოები, შიშველი, ყარიბად მდგარი ხეები.

მეშვიდე წელი დაძრწოდა ასე სოფლიდან სოფელში საბრალო მიგელი. რამდენი რამ ნახა ამ შვიდ წელში, რამდენი განიცადა. რა ძნელია ხარკის აკრეფა გლეხებისგან, ჩხუბი ჩინოვნიკებთან, ღა-

ტაკთა გამოსარჩლება. რა მძიმეა ანგარიშის ჩაბარება, ქაღალდების შერჩევა! მეფე გაუმაძღარია და მსუნაგი, მეფის მოლარეებს როდი უყვართ ლოდინი.

მაგრად გაეხვია მოსასხამში, უფრო მოიბუზა ჯორზე. ეს წელი ოდნავ სჯობდა შარშანდელს. პირველ ნახევარში თანხა მთლიანად და ვადაზე აკრიფა. რადგან გზაზე სახიფათო იყო, სახელმწიფო ფული სიმონ ფრეირე დე ლიმას ბანკირთა სახლს ჩააბარა, ნაცვლად თამასუქი გაგზავნა მადრიდში.

მიადგა სევილიას. განვლო ტრიანა, ბოშათა ტალახიანი უბანი. ქვიტკირის ხიდზე იდგა ბოშა გოგონა. მიგელმა წყალში დაინახა თავისი და ჯორის ანარეკლი. ჯორის ფეხები სასაცილოდ დაიკლაკნა წყლის ჭავლით დამახინჯებული, წაგრძელდა, ჯორს კისერი მოეზნიქა, რაინდული მოთხრობის ზღაპრულ რაშს ჰგავდა. მიგელიც აბჯრიანი რაინდივით უსაზომოდ გრძელი ჩანდა, ფარს ჩამოჰგავდა ტყავის ჩანთა. მწუხარე სახის რაინდის ანარეკლი გამოკრთა წყლიდან. გოგონა უმზერდა ლანდს და იცინოდა.

„პრესიოზა! — მოაგონდა სიყრმის მეგობარი მიგელს. — როგორ ჰგავს! პრესიოზა, მარგალიტი! პატარა ცუგრუმელა! ის რომ არ გამეცნო, იქნებ არც ლეპანტოს გმირი ვყოფილიყავ, არც ალჟირის ტყვე... ვინ იცის, იქნებ უფრო წაღმართად დამგრეხოდა ბედი“.

მაგრამ მოგონება ისეთი შორეული იყო, გულიც არ სტკენია. სერვანტესმა მოქაჩა აღვირი. ჯორი ჩამოვიდა ხიდიდან და წაგოგმანდა სევილიისაკენ. გვერდი აუარა ცნობილ საყასბოებს, მონადირეთა ქუჩით გავიდა კოსტანილიას მოედანზე...

როცა შინ დაბრუნდა, უკვე ღამე იყო. კარი შემტვრეული დახვდა. გაჩხრეკის დროს ხელნაწერები აებურდათ, ავეჯი დაემტვრიათ. კედლიდან გამოეწიათ ძველი ტახტი. აქა-იქ აეყარათ იატაკიც.

ფერმკრთალი იდგა კატალინა. ქვითინებდა იზაბელა.

მოხდა ის, რისიც ეშინოდა. ფრეირე დე ლიმა მოულოდნელად გაკოტრდა. ხაზინაში არ შეიტანა სერვანტესის მიერ მიცემული ფული. ახლა მთელ თანხას მიგელისგან მოითხოვდნენ. დაიწყო პროცესი სასამართლოში. დაკითხვები, გამოძახება კორეხიდორთან,[1]

---

[1] კ ო რ ე ხ ი დ ო რ ი — მეფის უმაღლესი მოხელე, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ადგილზე; ერთგვარი „მთავარმართებელი“.

იმ დროის ესპანეთის სასამართლოს დაუსრულებელი კვლევა-ძიება. მთავრობა ისე მოეპყრო, თითქოს მიგელი ყოფილიყო დამნაშავე ამ გაკოტრებაში. თავი იმართლა, მაგრამ მოხსნეს თანამდებობიდან. ერთრიგად უხაროდა კიდეც ეს ამბავი. ადამიანურად იძინებდა. სიამოვნებას გრძნობდა მეზობლებთან საუბრისას და სევილიის დიდებულ მზეზე ითბობდა მოღლილ ძვლებს.

მოულოდნელად უმაღლესმა პალატამ მოითხოვა მთელი ანგარიშის შემოწმება 1594 წლიდან. მიგელს დიდი სიფრთხილე და სიზუსტე უნდა გამოეჩინა, მეთოდურად უნდა გაერჩია სკივრში ჩაყრილი შეყვითლებული დოკუმენტებისა და ხელწერილების გროვა.

ამის უნარი არ ჰქონდა. საშინლად დაიღალა. თავი მობეზრდა. ურჩიეს მადრიდს წასვლა. არ დაიჯერა. სევილიაში დარჩა ისევ.

მეფის განკარგულებით ანდალუზიის უზენაესმა სასამართლოს მრჩეველმა დონ გასპარ დე ვალეხომ ამცნო: სამ კვირაში გამოცხადებულიყო უმაღლეს პალატაში. დავალიანება, ისე როგორც ვადაზე მისი გამოცხადება, გარანტირებული უნდა ყოფილიყო რომელიმე წარჩინებულის თავდებობით.

თავმოძულებულ მიგელს ბევრი აღარ უფიქრია. ამდენ წვალებას ისევ ტყვეობა არჩია. შეკონა ბარგი და დაბარებულივით მიადგა ციხის კარებს.

ნანატრი სავანე

სამშობლომ ისეთივე საუცხოო თავშესაფარი გამოუნახა სერვანტესს, როგორიც ჰასან-ფაშამ ასპიტთა ჯურღმული ალჟირში.

ლამანჩის[1] პატარა ქალაქ არგამასილში, ერთსართულიანი სახლის განაპირა საკანში, დიდი ხნით დაევანა ყარიბი, ყველასთვის უცნობი ტუსაღი.

არგამასილის მცხოვრებთ არაფერი სმენოდათ მასზე.

ტუსაღი არ მოითხოვდა არც კრიალოსანს ლოცვისათვის, არც თამბაქოს, არც პურს, არავის ელაპარაკებოდა, არც გაპარვას ცდილობდა.

[1] ლამანჩა (La Manlha — არაბული სიტყვაა. Manxa ნიშნავს მწირ, გამომშრალ მიწას) ოლქია ახალ კასტილიაში (სამხრეთ ესპანეთში).

მას უნდოდა მხოლოდ ქაღალდი და საწერ-კალამი. დილიდან საღამომდე იჯდა და წერდა.

უკვე აღარ აწუხებდნენ დაკითხვებით. მიავიწყდათ.

— ვინ გიზის, ბაზილიო, განაპირა საკანში? — შეეკითხებოდნენ ხანდახან საპატიმროს უფროსს.

— მიგელ დე სერვანტესი, ყოფილი ჯარისკაცი. ამბობენ, სიჭაბუკეში პოეტი იყოო. ზის და წერს, ალბათ ლექსებს.

მაგრამ სერვანტესი ლექსებს აღარ წერდა. ლექსების დრო დიდი ხანია წავიდა...

ერთ დილას საწერ-კალამი მოითხოვა. დაჯდა. კანცელარიულად აჭრელებული, გამოკვანწული ასოებით ლამაზად გამოიყვანა:

„ხარკის ამკრეფ პალატის პრეზიდენტს მადრიდში“...

თხოვნის შეტანა სურდა. შეცდომა ფრიად თვალსაჩინო იყო. ეჭვი არ არის — გაანთავისუფლებდნენ, მაგრამ შემდეგ რა? რამეს მოიგებდა საპატიმროდან გამოსვლით? განა კვლავ უკუღმართი გზებით არ უნდა გადაესერა გარდი-გარდმოდ ვრცელი ესპანეთი?

აღარ გაუგრძელებია...

შემთხვევით თვალი მოჰკრა: გაელვარებული თუნუქის სამკუთხა სარკე ეკიდა კედელზე. ლენჩივით დააცქერდა თავის სახეს. ძალნო ციურნო! აი როგორი გამხდარა მიგელ სერვანტესი! სად გაქრა ოქროსფრად მობიბინე ფაფუკი წვერი, ვაჟკაცურად აცქვეტილი ულვაშები? გაეცხლისფრდა და აიბურძგნა. ეს რაღაა? მოგრძო, მჭკნარი ნაოჭები ცხვირთან და ღაწვებზე... შეათვალიერა კბილები. წინანდელს აგონებს მხოლოდ თვალები. იქ ჯერ კიდევ შეხიზნულა ჯიუტი სიცოცხლე, მაგრამ დანარჩენი?

ელამ სარკეში საცოდავად, სასაცილოდ წამოგრძელდა ისედაც გრძელი სახე.

აი რა დაუტოვა ცხოვრებამ. ალალბედზე დაიწყო ხაზვა. გამოხატა თავისი გამხდარი, კუთხოვანი, უშნოდ წაგრძელებული და უსაზომოდ ცხვირმოკაკული სახე. პალატის პრეზიდენტისათვის ასეთი სურათის გაგზავნა ყველაფერს ემჯობინებოდა. კარგი იქნებოდა, დაეხატა თავი ჯორზე მჯდომი, იღლიაში კვერთხამოჩრილი, სპაკალმასად უგზო-უკვლოდ მოხეტიალე.

დახატა ესეც. მოეწონა. ჯორი იყო მჭლე და გაძვალტყავებუ-

ლი. ქვიქვირჩამოგდებული, თვალთაგან არ აფრქვევდა ცეცხლს. შეფურად წამოჭიმულიყო ჩონჩხადქცეული მხედარი. უღონოდ ჩამოჰკიდებოდა მრუდე ფეხები. იღლიაში ამოჩრილი ყავარჯენი შუბის მსგავსად წაუწვეტა. გაუკეთა დანარჩენი საჭურველიც. ჩექმებს შეაბა უზარმაზარი დეზები.

გაიხარეთ და დატკბით, ინკვიზიტორებო, პალატის ვაჟბატონებო! აი როგორი რაინდი გამოვიდა თქვენი კლასის სახელით სისხლისგან დამწდარი ესპანეთის საძარცვავად!

რაინდი! ეშველა, ჩამოხტა ცხენიდან და ჰპოვა მოსვენება. როგორც იქნა, მოიცალა! უცნაური კმაყოფილება იგრძნო!

გაიარ-გამოიარა ოთახში. ცდილობდა გაერკვია განვლილი და განცდილი.

მაგრამ ვერ მოერია, მეტად ვრცელი გამოდგა წარსულის მოგონებები. დომხალივით ირეოდა ყველაფერი: იმედის, გამბედაობის, სასოწარკვეთის, ახალი აღტყინების, ახალი უსასოობის მკრთალი აზვირთება! აკვნიდანვე დღენიადაგ ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდნენ:

სამი გზა არის: ზღვა, სასახლე და ეკლესია...
ერთი მათგანი დიდებისკენ უმოკლესია.

არც ერთი არ გამოდგა მისთვის. ვერსად იპოვა სავანე. აღმოჩნდა მხოლოდ მეოთხე გზა და ამ მეოთხემ მთელი ქვეყნის ციხე-ჯურღმულები შემოატარა. დარჩა მარტოოდენ ილუზიები, გაცრუებული იმედები. წყევლა-კრულვით იხსენიებენ გლეხები. არ იშურებენ ჩასაქოლად! გაახსენდა პრესიოზა. რა ბედნიერი იქნებოდა მასთან! ის ოქროც მოსტაცეს, მან რომ დაუბრუნა სახსოვრად!

მოაგონდა დონ ხუან ავსტრიელის წერილი. სხივოსანი იმედებით გაბრწყინებული სიჭაბუკე. საარაკო გმირობა ლეპანტოს ბრძოლაში, შემდეგ მონობა, სიდუხჭირე. ამაოდ დაკარგული საუკეთესო წლები...

ილუზია, სულ ილუზია და სულ ასე... სანამ არ მოხუცდა, არ გაქვავდა ბედნიერებისა და თავისუფლების აჩრდილთა შემყურე!

ოთახში ფეხაკრეფით შემოიპარა რიბირაბო, მიგელს არ შეუნიშნავს. დარაჯმა შემოუტანა საჭმელი. არ მიჰკარებია. ის გონებით დახეტიალობდა განვლილ წლებში. ისევ და ისევ დაეთრეო-

და ნაცნობ გზებზე. ეგონა, თითქოს აჩრდილივით მიისწრაფოდა საკუთარი თავის შესახვედრად. პირველი ცოლი — ანა ფრანკა. ისიც ილუზია და ოცნება! — ოცნება ამერიკასა და ინდოეთს გამგზავრებაზე, გაცრუებული იმედი პოეტურ დიდებაზე.

ახლანდელი ცოლი კატალინა, რომელსაც სიხარულის ნატამალიც არ უგრძვნია ქმრის ხელში და ახლა სადღაც სამოწყალოდ შეკედლებული ზრდიდა მიგელის ბავშვს — იზაბელას. ისიც ხომ ილუზიის ნაყოფი იყო. სიცოცხლეში გაუხარელი დედ-მამა. ახლა მიწა ჭამს მათ საყვარელ ძვლებს. უძვირფასესი და სანატრელი და-ძმანი: ანდრესი, როდრიგო, ლუიზა, ანდრეა, ხუანი... ნეტავი სად არიან ახლა ისინი?!

მიუახლოვდა მაგიდას. მკრთალ სინათლეზე ჩააჩერდა უგბილ ნახატს. მისი რაინდი არაა მზეჭაბუკი, რომელიც მომხიბლავად იშიშვლებს ელვარე ხმალს და მუსრავს დევგმირებსა და გრძნეულებს. ის ჩონჩხადქცეული მოხუცია, ოდნავ გამოსულელებული ყველა ამ ნახევრად დავიწყებულ აჩრდილებთან ყოფნით. განა საუცხოო არ იქნება დაიაროს ასეთმა რაინდმა მთელი ქვეყანა იმ რწმენით, რომ ჯერ კიდევ არ წასულან, მთლად არ გამქრალან რაინდული დრონი? როგორი გიჟური, მწარე ხუმრობით იქნება სავსე ყოველი მისი ნაბიჯი, როდესაც გამოაჩინდრიკებს გაძვალტყავებულ ჯაგლაგს ახლანდელს ესპანეთში, სწორედ იმ გაღატაკებულ ლამანჩში, სადაც გლეხები წუხილს გამოთქვამენ კვერცხზე ფასის ოდნავ მომატებისას.

ხმალმოღერებული გადაეშვება ბრძოლაში, უბიწოებისა და სიმართლის დასახსნელად, უმანკოებისა და ღირსების დასაცავად. საბრალო, ჭკუადამთხვეული მარადჟამს იოცნებებს, ხელთ იგდოს ის, რაც მუდამ გაურბის და ქრება.

ყველგან ცემა-ტყეპით უმასპინძლდებიან. ეცემა და კვლავ ფეხზე დგება. ისევ წინ მიდის. მისთვის უცხოა უსასოობა. ცივი ბერიკაცული მზერით შეჰყურებს ილუზიათა უშრეტ ჩქერალს...

სერვანტესს მეტი აღარაფერი ესმოდა. თრთოლვით წამოავლო ხელი კალამს. პრეზიდენტისადმი გასაგზავნ თხოვნის ქაღალდზე ბატიფეხური ნახაზებით დაჯღაბნილი სურათის ქვეშ დაიწყო წერა:

„ლამანჩის რომელიღაც სოფელში, სახელს არ მოვიხსენიებ, ამას წინათ ცხოვრობდა გუდამშიერი აზნაური, ერთი იმ იდალგოთაგანი,

რომელთა მთელ სიმდიდრეს შეადგენს: თაროზე დაგდებული დაჟანგული ფარი, კუთხეში დაყუდებული მამაპაპური შუბი, ერთი მჭლე ჯაგლაგი და ერთიც მწევარი...“

„დონ კიხოტი“

სერვანტესი წერდა ნახევრადშეშლილი იდალგოს — დონ კიხოტის შესახებ, რომელმაც ვეღარ იცნო თავისი საუკუნე.

საბრალო იდალგომ გადაიკითხა წიგნები, იშვიათი და არაჩვეულებრივი, საარაკო მოულოდნელობითა და გასაოცარი ფათერაკებით სავსე ისტორიები. ცხადი ეგონა მოჯადოებული ციხე-დარბაზები, არნახული საკვირველებანი. ირწმუნა რაინდის ღირსება და მისი მეაბჯრის ერთგულება. უწოდა თავს რაინდი და ფილიპე მეორის ესპანეთში, მჩაგვრელთა და ვაჭრუკანების ქვეყანაში დააჩინდრიკებდა ფერდებჩაცვენილ ჯაგლაგს და იბრძოდა უფლებისა და სამართლიანობისათვის.

საოცარი ამბები ემართებოდა რაინდს.

როსინანტზე[1] ამხედრებული დონ კიხოტი[2] ებრძოდა ქარის წისქვილებს, ხვდებოდა უჩვეულო ფათერაკებს. მამაცობით სიდსა ჰგავდა, მჭევრმეტყველებით ციცერონს[3] არ ჩამოუვარდებოდა.

ყველას აოცებდა დონ კიხოტის არეული ლაპარაკი: ხან ჭკვიანური, ხან უჭკუო, აგრეთვე მისი მედგარი და დაჟინებული ფათერაკების მაძიებლობა, რაც ყველა მისი წადილისა და სურვილის დასასრულს შეადგენდა. პირველი შემხვედრნი ხან გიჟად თვლიდნენ მას, ხან ბრძენ კაცად, რადგან, რასაც დონ კიხოტი ამბობდა, გონივრული იყო: მშვენიერი, თავისუფალი, დალაგებით გამოხატული. ხოლო, რასაც აკეთებდა — სულ უცნაური, სულელური და გიჟური.

არ იყო არც ერთი საგანი, არც ერთი მოვლენა, რომელიც

---

[1] რ ო ს ი ნ ა ნ ტ ი ერქვა დონ კიხოტის ცხენს. ესპანურად რ ო ს ი ნ ნიშნავს ჯაგლაგს, ა ნ ტ ე ს — წინათ, ან — წინ.

[2] კ ი ხ ო ტ ი ესპანურად სამღვდლო სამოსს (ენქერს) ნიშნავს.

[3] ც ი ც ე რ ო ნ ი მარკ ტულიუს (106—43 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდის)— რესპუბლიკური რომის უდიდესი ორატორი და მწერალი.

მას ზმანებად არ გადაექცია. უბრალო ფუნდუკი მას ეჩვენებოდა ჩინებულ ციხე-დარბაზად, შავი დაობებული პური — ფუნთუშად. კახპა ქალები — სეფექალებად და პრინცესებად, ქარის წისქვილები — დევგმირ გოლიათებად და ბუმბერაზებად, ბენედიქტელი ბერები — ჯადოსნებად, ვაჭრები — მოგზაურ რაინდებად, ცხვრების ფარები — იმპერატორ ალიფანფარონისა და გარამანტთა მეფის ლაშქრებად, სოფლელი გოგო ალდონსა ლორენსა — უნაზეს და უმშვენიერეს დულსინეა ტობოსელად.

გარს ეხვეოდნენ აჩრდილები, მოჯადოებული მავრები, ხოლო როცა გადაეშვებოდა ბრძოლაში, ბერები და მეჯოგეები სცემდნენ კომბლებითა და კეტებით.

აგდებინებდა თავებს გრძნეულებსა და თვალთმაქცებს, — მეფუნდუკე მოითხოვდა ფულს დაღვრილი ღვინისა და დაფხრეწილი ტიკებისათვის. ათავისუფლებდა საკატორღე ტყვეებს, — ისინი მადლობის ნაცვლად უმასპინძლდებოდნენ წიხლების ცემითა და წყევლა-კრულვით.

მშიერ-მწყურვალი, გზადაბნეული დაძრწოდა სეირა-მორენის ტევრებში, მარხულობდა, ამადის გალელივით ჭამდა ბალახს უდაბნოში, თხზავდა ლექსებს გულისვარდის — დულსინეა ტობოსელის სადიდებლად.

რაინდი არ ერიდებოდა ცხარე ბრძოლებს. გულადად უმკლავდებოდა არნახულ ფათერაკებს. დიდებისა და ადამიანური სახელის მოლოდინში ნაცემ-გვემული, დალურჯებული ღამეებს ათევდა სხვენზე, ცხენის თექალთოზე.

სცემდნენ ვაჭრები და მოხეტიალე კომედიანტები. უმსხვრევდნენ ნეკნებს, აყრევინებდნენ კბილებს. მაინც არ თმობდა რაინდობას, არ ეშვებოდა ფათერაკებს.

დამტვრეული, დასისხლიანებული, უკბილოდ, უროსინანტოდ ეგდო მტვერში ამოგანგლული, გაიმღეროდა პასტორალებს და მედიდურად ესაუბრებოდა ერთგულ მეაბჯრე სანჩო პანსას.[1]

სერვანტესის ბნელ საკანში გაისმოდა დონ კიხოტის ჩახლეჩილი ხმა:

---

[1] სანჩო პანსა — დამახინჯებული სიტყვებია; ესპანურად პანსა ნიშნავს ღიპს, ხოლო სანკა — გრძელფეხებიანს.

— იცი თუ არა, ჩემო სანჩო, რომ თავისუფლება ყველაზე უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მოჰმადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში ჩაფლული განძეული, ან ზღვის უფსკრულში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება თავგანწირვა, რადგან ნაძრახი სიცოცხლე და მონობა ყველაზე უდიდესი უბედურება და ბოროტებაა კაცისთვის. ყველაზე ცუდი, რაც ამ ქვეყნად მოგველის, სიკვდილია, მაგრამ დიდებით და სახელოვნად რომ მოვკვდეთ, იმაზე უკეთესს ვერას ვიზამთ. და კიდევ გეტყვი, სანჩო, სული მტკივა იმის გამო, რომ მოხეტიალე რაინდის ხელობა ავირჩიე ესოდენ საძაგელ საუკუნეში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ ახლა.

თავის ბატონის მსგავსად ცემულ-გვემული სანჩო პანსა ოცდაათჯერ ამოიოხრებდა, სამოცჯერ ვაი-ვიშს იტყოდა, ასოცჯერ შეჩვენებას შეუთვლიდა იმ რაღაც ფათერაკებს და ბოხი ხმით მიუგებდა რაინდს:

— მართალს ამბობთ, ბატონო ჩემო, მაგრამ, გეფიცებით ღარიბი ადამიანის პატიოსნებას, თბილ-თბილი მალამოები უფრო მჭირდება ახლა მე, ვიდრე ასეთი საუბარი...

და სანჩო ოხრავდა, რადგან მოხეტიალე რაინდთა მეაბჯრეებს უნდა აეტანათ „დიდი შიმშილი. ფათერაკები და კიდევ მრავალი სხვა მოვლენა, რომელიც უფრო უკეთ იგრძნობა, ვიდრე ითქჭება“.

ისევ მიდიოდნენ წინ.

რაინდს აღვირით ჰკიდებდნენ სარკმელთან.

მეაბჯრეს ათამაშებდნენ საბანზე, უმოწყალოდ გვემდნენ მუშტებით.

საბრალო სანჩო პანსა ვერასოდეს აღწევდა კუნძულამდე, რომლის გუბერნატორობას ჰპირდებოდა რაინდი.

უფრო ტლანქი ცომიდან გამომცხვარი უბირი ადამიანი მაინც წინ მიაგოგმანებდა შვილივით საყვარელ ვირს და სჯეროდა რაინდის სიტყვები. მსუქანი, გლეხური ზურგი ადვილად ივიწყებდა ცემა-ტყეპას.

— მეგობარო სანჩო, უნდა მოგახსენო, რომ მე გახლავარ მოგ-

ზაური რაინდი, დონ კიხოტ ლამანჩელი, რომელმაც აღთქმა დავდე: კეთილს ვემსახურო, სიმართლე აღვადგინო, ბოროტი დავთრგუნო, დავსაჯო ყველა მოღალატე, დავიფარო სუსტი და დავრდომილი. ნუთუ არ იცი, მოხეტიალე რაინდის ცხოვრება სავსეა ათასგვარი ფათერაკითა და სიდუხჭირით? მაგრამ არავითარი საშიშროება არ არსებობს, რომ ამ მახვილით არ ვძლიო... იცოდე, არ არის ისეთი ტკივილი, რომელიც არ გააქარვოს დრომ, არ არის ისეთი მწუხარება, რომელიც ვერ განკურნოს სიკვდილმა.

— მოწყალეო ბატონო, გმადლობთ ნუგეშისათვის! ნეტა ვიცოდე, თქვენის აზრით, იმაზე მეტი ტკივილი რაღა იქნება, რა ტკივილსაც მარტო დრო გააქარვებს და მწუხარებას მხოლოდ სიკვდილი განკურნავს? ნათქვამია: მკვდარი წავიდეს სამარეს, ცოცხალი საძოვარსაო. ჩვენც ჩვენს გზას დავადგეთ! მშვიდობიანი ხასიათის კაცი გახლავართ და სხვის ჩხუბსა და აურზაურში გარევა არ მიყვარს. ხომ ხედავთ, ღამდება და მერე რა წყვდიადი ჩამოწვება ხოლმე ამ კლდე-ღრეში. განა არ გეცოდებათ თქვენი ერთგული სანჩო? ათასი ქაჯი და ჭინკა დაძრწის ამ სიბნელეში!

— ნუ გეშინია! გული გაიმაგრე. უკან მომყე ფეხდაფეხ! წყვდიადის შემდეგ იმედი მაქვს განთიადისა![1] — შესძახებდა რაინდი და აათოხარიკებდა როსინანტს. — ამ რკინის საუკუნეში უზენაესის ნებით ქვეყანაზე იმიტომ დავიბადე, რომ ოქროს საუკუნე აღვადგინო. უდიდესი საშიშროებანი ჩემთვის არიან გაჩენილნი, დიდებულნი ღვაწლნი და უკვდავნი საქმენი მე მომელიან. ვფიცავ. თავი არ დავივარცხნო და წვერი არ მოვიპარსო, ტანისამოსი არ გამოვიცვალო და ფეხსაცმელი არ ჩავიცვა, დაბა-ქალაქებში არ შევიდე და დღედაღამ აბჯარი არ ავიხსნა, სუფრაზე პური არ ვიგემო. ვიდრე სიმართლეს არ აღვადგენ ამქვეყნად.

— ეგ აღთქმა ეშმაკეულია, ჩემო ბატონო, მაგას ღმერთი როგორ შეისმენს და ხელს მოუმართავს. მაგრამ ღმერთმა ინებოს, ჩვენი საქმე კარგად წავიდეს და მეც ის დაპირებული კუნძული მალე მივიღო.

საბრალო სანჩოს ძილი ენატრებოდა და მოსვენება. კარგი გა-

---

[1] ასეთი სიტყვებით იყო შემკობილი „დონ კიხოტის“ პირველი გამოცემის ორივე წიგნის ყდა ლათინურ ენაზე; ამოღებულია ბიბლიიდან (წიგნი იობისა, თავი XVII).



დონ კიხოტის ერთგული საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა.
ნახ. გ უ ს ტ ა ვ დ ო რ ე ს ი.

მოგონებაა ძილი; ღმერთო, აკურთხე იმის მომგონიო, — გაიძახოდა წამდაუწუმ.

— ნუ გძინავს... ვინც მზესთან ერთად არ დგება, ის ვერ დატკბება მთელი დღის მშვენიერებით. მე ვფხიზლობ, შენ გძინავს, მე ვტირი, შენ მღერი, სულს ვღაფავ შიმშილით, შენ ყელამდი მაძღარი ხარ და მეფობასა და გუბერნატორობას ნატრობ... — უსაყვედურებდა დონ კიხოტი.

— მეფე რომ ვიყო, რაც მეამება, იმას ვიზამ, და რაკი იმას ვიზამ, რაც მეამება, მაშ სხვა რაღა ეშმაკი უნდა ვისურვო; რაკი სხვას აღარ ვისურვებ, მაშ ნატვრაც არაფრისა მექნება, რაკი ნატვრა არაფრისა მექნება, მაშინ ჩემი საქმეც გაჩარხული იქნება,— ცბიერად მიუგებდა სანჩო.

— უკეთესი მომავლის იმედი ვიქონიოთ, ჩემო კეთილო სანჩო!— არიგებდა რაინდი.

ამიერიდან სერვანტესი აღარ იყო მარტოდმარტო. ედავებოდა თავის გმირებს, უპასუხებდა, ეთანხმებოდა, წამოხტებოდა, დარბოდა კედლიდან კედლამდის, კვლავ დაჯდებოდა და წერდა... წერდა დაუსრულებლად!

არ იტყოდა უარს, განმარტოებულად ეცხოვრა ამ საკანში ორი, თუნდა სამი წელი.

დონ კიხოტი უკვე აღარ იყო უბრალო ახირებული. სევრე ვიღაც, რომელიც გააგიჟა რაინდულმა წიგნებმა. იგი შეიპყრო უფრო მაღალმა სიგიჟემ. ისევ გაგიჟებულივით შმაგობდა, მაგრამ მისი სიტყვები სავსე იყო სიბრძნითა და სითბოთი. უბედური რაინდი ყველა საგანზე გონივრულად მსჯელობდა და აბდაუბდას მხოლოდ მაშინ მოჰყვებოდა, როდესაც ლაპარაკს რაინდობაზე გადაუხვევდა.

სერვანტესის გარშემო ამთაგორებით ბორგავდა ისტორიათა და სახეთა ნიაღვარი. ამოსკდა მჩქეფარე წყარო და იღვრებოდა დაუშრეტელად. ოცდაათი წლის მანძილზე ხეტიალისას ნასმენნახულს ახლა დაუდგა ჟამი. ჩარჩოში მოემწყვდა ყველაფერი: ამბები მონებზე, სატრფიალო თავგადასავლები. დაუსრულებელ ხეტიალთა ისტორიები საამურ ზმანებათა მსგავსად მიჰქროდნენ თვალწინ.

და როგორც სიზმარში უსიტყვოდ აეხდება ხოლმე საბურველი

ჭეშმარიტებას, ისე უსიტყვოდ იცოდა მან დონ კიხოტის გამხდარ სახეში იდუმლად შერთული ყველა მხარე.

მაგრამ მწერალი დუმდა. დუმდა საკუთარ თავზე, რომელიც პირველად წამოისახა სარკიდან, რათა სრულუფლებიანად შესულიყო წიგნში. დუმდა დონ ხუან ავსტრიელის, უკანასკნელი ჭკუადამთხვეული ბრწყინვალე რაინდის შესახებ, რომელიც ბავშვური თავხედობით ებღაუჭებოდა გვირგვინებს. დუმდა ესკურიალში დაკრძალულ მეფე ფილიპეზე, რომელიც იმ მწუხარე შემოდგომის დღეებში მიიცვალა და რომლის მძლავრი, ყოვლის შემმუსვრელი ილუზიისათვის სულს ხდიდნენ მთელს ქვეყანას.

სერვანტესი უბრალოდ წერდა რაინდული რომანების გასაკიცხ, მხიარულ წიგნს...

განა ამისთვის პასუხს მოსთხოვენ? ნუთუ გამოიცნობენ მის იდალგოში ესპანეთის მიწა-წყლის სულს, რომელიც გულკეთილი სიბრმავით დახეტიალობს წარსულში მაშინ, როცა გარშემო სამყარო იღვიძებს ახალი სიმართლისათვის.

მიგელმა მხრები აიჩეჩა. გასამარტავი არაფერია! მოთხრობა და აზრი განუყოფელი იყო, როგორც ნაყოფი და მისი სურნელება.

მთელი დედამიწის ზურგზე მსგავსი არაფერი ენახათ ჯერ.

მაშინ, როცა ინკვიზიციის სასტიკი ცენზურა ახშობდა თავისუფალ აზრს და ყოველ ცოცხალ სიტყვას, სერვანტესმა უძლიერესი მხატვრული სიმართლით ასახა ეპოქა, აღსავსე დიდი ისტორიული მოვლენების დრამატიზმითა და შეჯახებებით, დაუნდობელი ბრძოლებით, რომელსაც ეწეოდა ახალი ბურჟუაზიული საზოგადოება დრომოჭმული ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ.

სერვანტესმა, როგორც უდიდესმა ჰუმანისტმა, ამ რომანში გამოხატა აღორძინების ხანის მოწინავე იდეები და მისწრაფებანი. ამ ეპოქაში ადამიანს გადაეშალა ახალი ჰორიზონტები. პიროვნება თავს აღწევდა შუასაუკუნეობრივი ავტორიტეტების უღელს, ფეოდალთა თვითნებობას, პიროვნების დამამახინჯებელსა და დამაჩლუნგებელ ეკლესიის ტირანიას.

სერვანტესის სატირის არსი და მისი რომანის პროგრესული მნიშვნელობა სინამდვილის სიმართლითა და სწორად ასახვაშია, მის მჭიდრო კავშირში ესპანეთის მთელ ისტორიულ წარსულთან, მის ბრძოლასთან სოციალური ბოროტების წინააღმდეგ.

„რაინდი“ დონ კიხოტის სახით სერვანტესმა დახატა თუმცა უანგარო, მაგრამ უნიადაგო მეოცნებე, წვრილფეოდალური აზნაურობის უბადრუკი ნაშიერი. იგი გააგიჟა რაინდულმა რომანებმა, სადაც გაიდეალებული იყო რაინდული საუკუნე, და დონ კიხოტი კვლავ იმ საუკუნის აღორძინებაზე ოცნებობდა. იდალგო ვერ ხედავდა, რომ იმ ესპანეთში დადიოდა, სადაც ოქრო ღვთაებად იყო გადაქცეული, სადაც მდიდრულ ციხე-დარბაზებს გარს ერტყა დამშეული სოფლები, სადაც დახეტიალობდა ლუკმა-პურის მძებნელი გლეხობა, ხოლო მოედნებზე გიზგიზებდა ინკვიზიციის შემზარავი კოცონი. სინამდვილე ყოველ ფეხის ნაბიჯზე სასტიკად ამარცხებს ბეჩავ, გიჟ მეოცნებეს, მაგრამ ეს ვერ აჩერებს დონ კიხოტს. ილუზიათა სამყაროში ცხოვრობს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე კისერს იტეხს. ამასთან მისთვის უცხოა ყოველგვარი სასოწარკვეთა და არასდროს არ წუწუნებს.

დონ კიხოტს არ ესმის, რომ რაინდობის დრო დიდი ხანია გაქრა და ახალ საზოგადოებას აღარ ესაჭიროება რაინდული გმირობა და თავდადება. დონ კიხოტს სურს დაიცვას სიმართლე და დაეხმაროს ჩაგრულებს, მაგრამ თვითონვე ყოველ ნაბიჯზე უსამართლობას ჩადის და ზიანს აყენებს მას, ვისი გადარჩენაც სურს. მან გაანთავისუფლა პატარა მწყემსი, მაგრამ გლეხმა კვლავ მიაკრა ბიჭი მუსაზე და ცემით კინაღამ სული ამოხადა. რამდენიმე ხნის შემდეგ დონ კიხოტი შეხვდა განთავისუფლებულ ბიჭს და მადლობის მაგივრად მისგან მხოლოდ წყევლა-კრულვა მოისმინა. ყველაზე თავს აცნობდა მოგზაურ რაინდად, სამართლიანობის აღმდგენად, ბოროტების დამთრგუნველად, მაგრამ პასუხად ყველასგან ერთი და იგივე ესმოდა: ყველაზე უდიდესი ბოროტება და უსამართლობა ის არის. ასეთ ბედუკუღმართ და გიჟ რაინდს რომ გადავეყარეთო. მას სავსებით დაკარგული აქვს რეალობის გრძნობა, არ ესმის, რომ ნამდვილი ცხოვრების პირობები ხელს არ უწყობენ მისი გეგმის განხორციელებას. მან ვერასოდეს ვერ იპოვა თავის ფიქრთა მპყრობელი დულსინეა ტობოსელი. თუმცა ყოველ წუთში გულში ატარებდა მის სახეს: ჰპოვა იგი ერთხელ. მოხიბლულ-მოჯადოებული და პრინცის ასულის მაგივრად გლეხის ქალად გარდაქმნილი. მაგრამ დონ კიხოტმა მაინც არ უარყო იგი და როცა მთვარის რაინდმა — სამსონ კარასკომ საბოლოოდ დაამარცხა დონ კიხოტი, პირველი სიტყვა.

რაც შესძახა მიწაზე გაშხლართულმა და მტვერში ამოგანგლულმა რაინდმა, ეს იყო: დულსინეა ტობოსელი მთელს ქვეყანაზე ულამაზესი ქალია, ხოლო მე მთელს ქვეყანაზე უუბედურესი რაინდი ვარ. ჩემი უღონობის გამო ამ ჰეშმარიტებას ვერ ვუღალატებო.

თვით სერვანტესი უარყოფითად უყურებს თავისი გმირის ამ სიგიჟეს. მაგრამ, როცა დონ კიხოტი ზოგჯერ საღად მსჯელობს, მაშინ იგი თვით ავტორის აზრთა გადმომცემი ხდება და აქ მოჩანს მისი თანადროულობა და ერთაზროვნება ახალი კლასის — ბურჟუაზიის მსოფლმხედველობასთან. როცა დონ კიხოტი წარსულის აღდგენას ცდილობს, სერვანტესი დასცინის მას და აბუჩად იგდებს. მაგრამ გმირის საღი აზრები მოსწონს, როცა იგი არ უბედობს წიგნებიდან ამოკითხული ფანტასტიკური აბდაუბდებით. დონ კიხოტის სიტყვებს ბევრი აქვს საერთო ესპანეთის დიდი ჰუმანისტების აზრებთან. ჩვენ აქ გვესმის გატანჯული ესპანელი ხალხის, ახალი, უკეთესი ცხოვრების მონატრული ხალხის ხმა. სერვანტესს უყვარს ადამიანები და ეცოდება ისინი. იგი დასცინის თავის გმირებს და ყველაზე მეტად დონ კიხოტს. მაგრამ დონ კიხოტის სასაცილო მხარეების გამომჟღავნებისას მწერალი არა მარტო უბრალოდ, ადამიანურად იცოდებს მას, არამედ უდიდეს მორალურ სიმაღლეზე აჰყავს იგი. ამგვარად, გაორებულია რომანის გმირიც და ავტორის დამოკიდებულებაც მისადმი. ეს აიხსნება იმით, რომ სერვანტესი თვითონ არის ამ გუდამშიერ აზნაურთა შთამომავალი და ფსიქოლოგიურად დაკავშირებულია იმ წყვდიადით მოცულ სამყაროსთან.

ეს რომანი წარმოიშვა განსაზღვრულ საზოგადოებრივ-ისტორიულ ურთიერთობათა ნიადაგზე. ეპოქა, რომელშიც შეიქმნა დონ კიხოტი, იყო რენესანსის ეპოქა, როცა XV — XVI საუკუნეების მძაფრმა ეკონომიურმა გადატრიალებამ შეარყია ფეოდალიზმის ბატონობა. დააწინაურა ახალი სოციალური ჯგუფები და წარმოშვა ახალი კულტურული იდეალები. ისევე როგორც კაცობრიობის სხვა მოწინავე მწერალთა შემოქმედებაში, სერვანტესის შემოქმედების ცენტრშიც მოექცა ადამიანის პიროვნება, მიწიერი ცხოვრება, როგორც ერთადერთი ღირებულება, ოცნება თავისუფალ, ჰარმონიულ, ძლიერ ადამიანზე. ძველი ფეოდალური მორალის, ადამიანის ღირსებისა და პიროვნების დამამცირებელი, დამჩაგვრელი მორალის ნაცვლად მან წამოაყენა ახალი ჰუმანისტური პრინციპები. სერვან-

ტესის აზრით, ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება მისი წარმოშობის წარჩინებულება კი არ არის, არამედ მისწრაფებათა და საქმეთა კეთილშობილება. დონ კიხოტი სანჩო პანსას ასეთ დარიგებას აძლევს: „ნუ გრცხვენია, გაამხილო, რომ წარმოშობით გლეხი ხარ... ადამიანი სისხლს მემკვიდრეობით იღებს, სათნოება კი უნდა მოიხვეჭოს ადამიანმა, და იგი გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სისხლი...“.

მაგრამ თავისუფლებისა და გონების მეუფების განხორციელების იმედი არცთუ ისე დიდი იყო. ჩაგვრის შუასაუკუნეობრივი ფორმების მოსპობა ნამდვილად მოასწავებდა არა ადამიანის განთავისუფლებას, არამედ მონობის ახალი ფორმების დამყარებას, ძველი ბორკილების ახლით შეცვლას. ესპანეთი „მოწინავე ქვეყნად“ ითვლებოდა, მაგრამ არსებითად იგი იყო კათოლიკური რეაქციის ავანგარდი, ფეოდალურ-მონარქიული კონტრრევოლუციის დასაყრდენი, რომელიც ამახინჯებდა აბსოლუტიზმის ისტორიულ აზრს. ჭეშმარიტი ჰუმანისტი სერვანტესი ვერ შეურიგდა ამას და უდიდესი გულისტკივილით განიცდიდა იმ მდგომარეობას, რომ ქვეყნად ისევ ბოროტება და უსამართლობა მეფობდა, ისევ ძველებურად დარჩა ყველაფერი; მეფე, ფეოდალები და უმაღლესი სასულიერო პირები კვლავ ყოველნაირად აფრთხობდნენ ახალი ბურჟუაზიის მისწრაფებებს.

დონ კიხოტს არ შეუძლია გარემომცველი პირობების სწორად გაგება და არ გააჩნია ამ პირობების შეცვლის უნარი. იგი დამარცხდა, მაგრამ ეს მარცხი მოჩვენებითია, რადგან მისი სასიქადულო მისწრაფებანი შეუბღალავი და ხელშეუხებელი დარჩა. სიკვდილის სარეცელზე მას გონება დაუბრუნდა, დაწყევლა რაინდული რომანები, მიხვდა თავის შეშლილობის მიზეზს, გამოეთხოვა ნათესავებსა და მეგობრებს, ერთგულ სანჩო პანსას და წყნარად მიიცვალა. იგი აღარ იყო მებრძოლი რაინდი დონ კიხოტ ლამანჩელი, არამედ— უბრალო, ღატაკი აზნაური — ალონსო კიხანო კეთილი. გიჟივით ცხოვრობდა, ხოლო ბრძენივით მიიცვალაო, — დასძენს ავტორი.

ამ წიგნით სერვანტესმა დაამტკიცა, რომ წარსულის დაბრუნება, გადასული ცხოვრებისა და ძველი ეპოქების აღდგენა არასოდეს არავის არ შეუძლია.

რომანში გაშლილ ჰუმანისტურ მსოფლმხედველობას ცხოველმყოფელ ძალას ჰმატებს ხალხური სიბრძნე. როცა ერთგული საჰურველმტვირთველი სანჩო ესაუბრება რაინდს, მკითხველის თვალწინ იშლება ხალხური სიბრძნის უღრმესი საგანძური, რომელიც ანელებს დონ კიხოტის განყენებულ მსჯელობას. ისინი საუბრობენ ერთსა და იმავე საგანზე, მაგრამ დონ კიხოტი ლაპარაკობს მაღალფარდოვანი რიტორიკული ფრაზებით, ხანდახან გაპრანჭული სტილით, რომანებიდან ამოღებული მოძველებული ენით. სანჩო იმავე აზრებს ამტკიცებს უბრალო, ცოცხალი ხალხური სიტყვებით, ანდაზებით, გამოცანებით, კალამბურებითა და ნაკვესებით.

სერვანტესამდე ესპანურ მოთხრობებსა და რომანებში გლეხებსა და ხელოსნებს ხატავდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დაპირისპირებით ბატონებთან ქება-დიდება შეესხათ ამ უკანასკნელთათვის. მოთხრობის ბოლოს კი ისინი ჩვეულებრივად ან საპატიმროში მოხვდებოდნენ ან სახრჩობელაზე აჰყავდათ. სერვანტესამდე ესპანეთში მდაბიო ხალხზე ყოველთვის დაცინვით და აბუჩად აგდებით ლაპარაკობდნენ. მდაბიო ხალხი იყო ექსპლოატაციის საგანი, სანჩო პანსას სახით კი ესპანეთის მწერლობაში პირველად აისახა ხალხის საღი აზროვნება, ღირსება და უზადო კეთილშობილება. რომანის ცენტრში პირველად დადგა არა ფანტასტიკური და ნახევრად ზღაპრული სამოსით შებურვილი გლეხი, არამედ რეალური, ფხიზელი ადამიანი. რომანის პირველი ფურცლებიდანვე დონ კიხოტი ყველგან ღატაკადაა გამოყვანილი. მიუხედავად გარეგნული სიგიჟისა, იგი ყოველთვის დაპირისპირებულია რეგვენ მდიდრებთან — როგორც ბრძენი. განსაკუთრებით ძლიერდება ეს მხარე რომანის მეორე ნაწილში. ორივენი ამჯობინებენ იცხოვრონ პატიოსან სიღარიბეში, ვიდრე იყვნენ ჰერცოგის უბადრუკი მასხარები. ამ დაპირისპირებაში იფარება სერვანტესის ზიზღი მდიდრებისადმი.

დონ კიხოტი და სანჩო ძველი საზოგადოების ორი კლასის წარმომადგენლები არიან. სანჩო ისევე უცხოა ბურჟუაზიული ვაჭრუკანების სამყაროსათვის, როგორც დონ კიხოტი. თუ დონ კიხოტი უაღრესი ადამიანური აღტაცების განსახიერებაა, სანჩო ხალხის შვილია, მას ოქროს გული აქვს, ის ფხიზელია და ჯანსაღად მოაზროვნე. სანჩო ყოველთვის სადაა და უბრალო, არასოდეს არ ვარდება ყალბ პოზაში. არარსებული კუნძულის გუბერნატორობას

ატარებს იშვიათი კეთილსინდისიერებითა და უდიდესი სერიოზულობით. ის ღორმუცელაა და ხანდახან გაიძვერაც, ხშირად შიმშილობს, მაგრამ მაინც უყვარს დონ კიხოტი და უნდობლად ეპყრობა არა თუ მის სიგიჟეს, არამედ გაბატონებული კლასების ოფიციალურ დოგმებსაც. დონ კიხოტის მაგალითით ის ზნეობრივად კეთილშობილდება, სულიერად იზრდება. მან აღიქვა დონ კიხოტის ბრძნული დარიგებები და ბრწყინვალედ გამოიყენა ისინი გუბერნატორობის დროს. ავტორი სანჩო — გუბერნატორს უპირისპირებს ყეყეჩ და ეგოისტ ჰერცოგს და ქმნის გლეხი მმართველის ნამდვილ აპოთეოზს. რასაკვირველია, სანჩოს მართვა-გამგეობის ამსახველი ეპიზოდები ირონიული ხასიათისაა, მაგრამ გლეხის საღი გონება, ჰუმანურობა და სამართლიანობა საუცხოო კონტრასტად მოჩანს „უწმინდესი“ პოლიციისა და ჩინოვნიკებისაგან შემდგარ უსულგულო სახელმწიფო-ბიუროკრატიული მანქანის საქმიანობასთან. თუ დონ კიხოტი ეძებს სახელსა და დიდებას, სანჩოს მატერიალური კეთილდღეობა უნდა; თუ დონ კიხოტი კმაყოფილდება წიგნებში მოხსენიებით, სანჩოს სურს რომელიმე კუნძულის გუბერნატორობა, მაგრამ თავის ბატონზე უფრო საღი გონება აქვს და დონკიხოტზე ადრე იკურნება მწარე ოცნებისაგან დაავადებული: „ჩამოდექით, ბატონებო, ნება მომეცით დავუბრუნდე ჩემს წინანდელ ცხოვრებას, რომ აღვდგე მკვდრეთით. ყველა უნდა აკეთებდეს იმ საქმეს, რისთვისაც დაბადებულა. უკეთესია ფრთები შევიკვეცოთ, მიწაზე დავბრუნდეთ და ვიაროთ საკუთარი ფეხებით“, — გაიძახის იგი, როცა ჰკარგავს გუბერნატორობას.

სანჩოს სჯერა ყველაფერი, რასაც დონ კიხოტი ლაპარაკობს, რადგან თავიდანვე მართალ და გონიერ კაცად თვლიდა მას, მაგრამ ხანდახან მასაც ეჭვი ებადება. ხშირად დონ კიხოტის ყველა დაპირება მხოლოდ გიჟის ოცნებად მიაჩნია და საშუალებას ეძებს, ერთ მშვენიერ დღეს როგორმე გაუსხლტეს რაინდს, არც რაიმე ანგარიში მოსთხოვოს და არც გამოეთხოვოს. ხშირად წვერს იგლეჯს, იმ დღესა და საათს წყევლის, რა დღიდანაც ბედმა ამ გიჟი ბატონის მსახური გახადა, მაგრამ მაინც ვერ შორდება მას, ეცოდება, იბრალებს, „მწუხარე სახის რაინდს“ უწოდებს და უშლის, ამ საშინელ ფათერაკებში ნუ გაერევიო, ურჩევს, გაეცალოს ყოველ ხიფათს და დავიდარაბას, და დასძენს: „გაცლა გაქცევა როდია და

არცთუ იმაშია დიდი სიბრძნე, ისეთ მტერს ველოდო, მის დასახვედრად ღონე აღარ მქონდეს. უფრო გონივრული ის იქნება, დღეს თავი შევინახო ხვალისათვის და მთელი ჩემი არსება ერთ დღეს არ შევალიო. მერწმუნეთ, ჩემს სულელურ გლეხურ ჭკუას კარგად ესმის, კაცმა თავის თავს როგორ მოუაროს... ამასთან, ხომ მოგახსენებდით, ქარის წისქვილებია-მეთქი? ღმერთმანი, გოგრაში კაცს ისეთი ქარის წისქვილები უნდა უტრიალებდეს, რომ ისინი დეევებად მოეჩვენოს...“

სანჩოს წყევლა-კრულვასა და ცრემლთა ღვრაში ისიც არ ავიწყდება, თავის ლურჯას მოეფეროს, ამასთან სულ მუდამ ბედნიერ მომავალზე ფიქრობს, არხეინ ცხოვრებას ეწევა, ექვსი კაცის ოდენს ლაპარაკობს, თორმეტის ოდენს ჭამს და სვამს, საძაგლად ყბედობს და ლაზღანდარობს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ანდაზებს ერთმანეთზე ასხამს, რაც რევს და აგიჟებს ისედაც ჭკუადამთხვეულ დონ კიხოტს.

სანჩომ ძალიან კარგად იცის, რომ დონ კიხოტი გიჟია. სულ დასცინის მას, მაგრამ იმავე დროს რამდენჯერ მიატოვებს თავის ადგილსამყოფელს, სახლს, ცოლ-შვილს, რომ გაჰყვეს ამ გიჟს. დასდევს მას ყველგან, მისი ერთგულია კუბოს კარამდე. მიუხედავად ათასგვარი სიდუხჭირისა, ის მეტად უანგარო და პატიოსანია, თანაც დიდი მოთხოვნილებისა როდია. ამიტომ ეუბნება დონ კიხოტს: „ჩემს დღეში ფიქრადაც არ მომსვლია ვაჟკაცობით სახელი გამეთქვა. მხოლოდ მინდოდა ყველა იმ საჭურველმტვირთველზე ალალ-მართალი ვყოფილიყავი, ვისაც ოდესმე მოგზაურ რაინდებთან უმსახურია და, თუ ჩვენს ბატონს სურს ერთგული სამსახურისათვის რომელიმე კუნძულით დამაჯილდოოს, რა უშავს, კეთილი იყოს, ძალიან მადლობელი ვიქნები. არ მომცემს და რა გაეწყობა, უკუნძულოდაც იოლად წავალ! ეგეც რომ არ იყოს, ჰე ვუბრძანებ. თუ მე მიბრძანებენ, ამით ლუკმაპური უფრო გემრიელი როდი მეჩვენება... სანჩოდ დავიბადე და იმედი მაქვს, სანჩოდვე მოვკვდები“...

ძოხელეებისა და წარჩინებული ბატონების შეფასებისას სანჩო და დონ კიხოტი ერთ აზრზე დგანან. სანჩო გუბერნატორობას ელოდებოდა, ამასთან თავის ვირსაც არ ივიწყებდა და ამბობდა: „არა ერთხელ მინახავს, როგორ გზავნიან ვირებს გუბერნატორებად, ასე

რომ, თუ მე თან წავიყვან ჩემს წყნარ ვირს, ამით ახალს არაფერს ვიტყვი". სანჩო წინააღმდეგია კუნძულზე გუბერნატორობისას ნაწილაკი დონი[1] მიუმატონ მის სახელს: „მე მეძახიან სანჩო პანსას, მამაჩემს ერქვა სანჩო, ბაბუაც სანჩო იყო და ყველანი იყვნენ სანჩოები, მათ დონები და ზედონები არ ჰქონდათ, და თუ მეღირსა გუბერნატორობა თუნდაც რამდენიმე დღით, ყველა დონს აღმოვფხვრი აქედან..."

მართალია, გუბერნატორ სანჩოს სიტყვასა და საქმეში გონიერება და სისულელე დომხალივით იყო ერთმანეთში არეული. სანჩომ ხომ არ იცოდა, კუნძული რა იყო? განა მშრალ ხმელეთზე კუნძული შეიძლებოდა? მაგრამ ბოლოს იმდენი ჭკუა ეყო, რომ საბოლოოდ დარწმუნდა — კუნძულებისა კი არა, ცხვრის ფარის გუბერნატორობა შეეძლო მხოლოდ. იგი საგუბერნატოროდ არ იყო დაბადებული და არც ამის ნიჭი ჰქონდა. მისი საქმე მიწის ხვნა და ბარით მუშაობა იყო, ურმის მართვა, ვენახის მოვლა და არა კანონების წერა, თემებისა და სახელმწიფოების მართვა და დაცვა. „მე ნამგალი შემფერის მეჭიროს ხელში და არა გუბერნატორის კვერთხი. ყველა ერკემალი თავისი ყოჩისათვის იყოს და ფეხები საბნის ტოლად უნდა გაჭიმოს კაცმა. როცა მე გუბერნატორობის განაწევ სიმძიმეს ვწონიდი, ვპოვე, რომ ჩემი ზურგი მას ვერ ზიდავდა და რომ ის ისარი ჩემს კაპარჭს არ ადგებოდა, და ვიდრე გუბერნატორობა მე დამტოვებდა, მე თვით დავტოვე გუბერნატორობა... არავისაგან არა მისესხია რა და ჩემი გუბერნატორობიდანაც არავითარი სარგებელი არ გამომიღია. და თუმცა. როგორც მგონია, რამდენიმე დიდად სასარგებლო განკარგულება მოვახდინე. მაინც ნამდვილად არა მომიხდენია რა, რადგან ჩემს ბრძანებას, უეჭველია, არავინ არ ასრულებს. მაინც ასე მგონია. გამეცა თუ არ გამეცა რაიმე ბრძანება, ერთი და იგივე იქნებოდა. ათი დღის გუბერნატორობის დროს გავიგე, რომ გუბერნატორად არა ვარ გაჩენილი და არც მსურს გუბერნატორობა არა თუ რომელიმე კუნძულისა. არამედ მთელი ქვეყნისაც. ახლა ისევ ჩემი ბატონი დონ კიხოტის მსახური ვხდები; თუმცა მასთან შიშქვეშ მიხდება პურის ჭამა. მაგ-

---

[1] დონი — მაღალი წოდების ტიტული ესპანეთში, ბატონი; დონა — ქალბატონი.

რამ მაძღარი და დამშვიდებული მაინც ვარ. ჩემთვის კი სულ ერთია, კაკბის ტაბაკათი გავძღები, თუ სტაფილოთი. ხშირად ერთი მუჭა რკოთი ან კაკლით იოლად წავსულვართ მე და ჩემი ბატონი. შიშველი დავიბადე, შიშველივე ვრჩები, არც არა მომიგია, არც არა წამიგია რა“.

ჩვენი დროის მკითხველს გაზვიადებულად, გროტესკულად მოეჩვენება სანჩოს მისწრაფება კუნძულის მიღებისა და გუბერნატორობისაკენ, მაგრამ ეს ასე როდია. ეს გარემოება სავსებით უპასუხებს იმ ეპოქის საერთო ხასიათს, მის ფავორიტიზმს, გამდიდრების დაუცხრომელ სურვილს. სერვანტესი აქ უდიდესი რეალისტია. ამ სავსებით სასიცოცხლო ხასიათის გარეშე სანჩო არ იქნებოდა სრული, მხატვრულად დამთავრებული სახე, რა ვუყოთ, რომ ერთი მათგანი ეკუთვნის სოციალურად ნახევრად მაღალ წრეს და მეორე კი დაბალთა ფენას, მათ შორის დიდი განსხვავება როდია, სანჩოც ისეთივე უმიწაწყლო გლეხია, როგორიც დონ კიხოტი — გუდამშიერი აზნაური.

„დონ კიხოტის“ ორივე წიგნში მკითხველის თვალწინ გაივლის 670-მდე მოქმედი პირი, რომლებიც სხვადასხვა მხრითა და კუთხით ახასიათებენ მაშინდელ ეპოქას. ესენი არიან სამღვდელოების წარმომადგენლები, გაიძვერა მეუდაბნოენი, ფილიპე მეორის უხამსი მოხელეები. მცონარა არისტოკრატები, ბაქია ჯარისკაცები, რეგვენი და ყოყოჩი ექიმები, გაქნილი მეფუნდუკენი და მეჯორენი, კახპა ქალები, მოხეტიალე მსახიობები და სტუდენტები. პროფესიული ავაზაკები და კატორღელები; იქ გვხვდება გლეხობა, მაგრამ იგი მიწათმოქმედებას როდი მისდევს. განა რა მიწათმოქმედებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი მაშინ, როცა მთელი ესპანეთი უკაცრიელ უდაბნოდ იყო ქცეული.

1604 წლის შემოდგომის ერთ-ერთ საღამოს ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში შევიდა საპატიმროდან ახლადგამოშვებული ხანდაზმული მგზავრი. ღარიბულად ეცვა: სხვადასხვაღილებიანი გახუნებული კამზოლი, დაკერებული ქოშები, თეთრი ძაფით აჭრელებული, ამოკემსილი მწვანე წინდები. მოზრდილი ხელნაწერი ედო ტილოს ჩანთაში.

ხელნაწერის მოყვითალო ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა:

„მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლა-მანჩელი“.

ეს მგზავრი მიგელ სერვანტესი იყო. ჭაღარას შეეფერცხლა თმები, ღრმა ნაოჭებით შემოგარსოდნენ თვალთა უპენი. გადაიტანა: სამშობლოდან განდევნა, ტყვეობა, მომქანცველი ლაშქრობანი, სიღატაკე. ორმოცდამეჩვიდმეტე წელი მიადგა კარზე. მისი ცხოვრების უმაგალითო თავგადასავლები დასასრულს უახლოვდებოდა. დაძაბუნებულს მაინც ამაყად ეჭირა თავი. მხიარულ გუნებაზე იყო. ტკბილი ხმით ღიღინებდა სიჭაბუკეში შეთხზული რომანსის სტრიქონებს:

მე სიყვარულის ვარ მეზღვაური!
ბობოქარ ზვირთებს მივანდე ნავი!
ქარი უსტვენდა აურზაურით,
აგორდა ტალღა გულშემზარავი, —
არ გამიხრია საჭესთან მკლავი,
რადგან შენ იყავ ჩემი ვარსკვლავი!

* * * * * * *

მე სიყვარულის ვარ მეზღვაური...

„დუელის კარიბჭეს“ მიუახლოვდა, შეჩერდა. მდუმარედ ათვალიერებდა მიდამოს...

საშინელ სიღატაკეში წერდა მიგელი „დონ კიხოტის“ პირველ წიგნს. როცა ვალიადოლიდში შევიდა, უკვე მზად ჰქონდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. მთლიანად დაამთავრა და დაბეჭდა 1605 წელს მადრიდში, ხუან დე ლა კუესტას სტამბაში, მანამდე კი საყოველთაოდ ცნობილი გახდა ხელნაწერადაც. წიგნის ზომა ფურცლის მეოთხედი იყო და 312 კაბადონს შეიცავდა. 1605 წლის იანვარში „დონ კიხოტი“ უკვე იყიდებოდა მეფის წიგნის გამყიდველ ფრანცისკო დე რობლესის მაღაზიაში. წიგნმა დიდი აღტაცება გამოიწვია, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არც ერთ წიგნს არ გაუთქვამს სახელი ისე, არც ერთ რომანს არ მოუპოვებია ისეთი პატივი, არც ერთი თხზულება ისე არ მოსდებია ქვეყანას, როგორც სერვანტესის „დონ კიხოტია“ საქვეყნოდ ცნობილი. უკვე 1605 წლის ივლისიდან ვალენსიაში მზადდებოდა მე-5 გამოცემა. რამდენიმე წლის განმავლობაში 30 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა, რაც იმ დროის შესაფერად უმაგალითო ამბავი იყო. არა მარტო

ესპანეთში, არამედ პორტუგალიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ნიდერლანდებსა და ინგლისში მრავალჯერ დაიბეჭდა ეს წიგნი.

ბევრი განზრახ სწავლობდა ესპანურ ენას, რომ დედანში წაეკითხა ეს გენიალური თხზულება.

მცირეოდენ ხანში ყველა დუქანი, სამიკიტნო, სასტუმრო, ფუნდუკი, სადალაქო დონ კიხოტისა და იმის მეაბჯრის, სანჩო პანსას ამბებისა და ფათერაკების აღწერამ დაამშვენა.

ბავშვები ხელიდან აღარ იცილებდნენ მას, ჭაბუკები გატაცებულნი იყვნენ, მოზრდილები დღედაღამ ჩაჰკირკიტებდნენ და მოხუცები ქება-დიდებას უძღვნიდნენ. მანამდის ქვეყნად არ ყოფილა ასეთი ისტორია, რომელსაც ადამიანთათვის ესოდენი სასიამო და უზადო გართობა მიენიჭებინა. ყველგან აღტაცებით მიიღეს იგი.

„დონ კიხოტმა“ პირველმა უმღერა სულთათანა შუა საუკუნეების რაინდულ რომანს და გზა გაუხსნა შემდგომ ახალ თაობებს, რომელთაც მიიღეს იგი, როგორც იუმორისტული ფანტასტიკის საკვირველება, ღრმა ანალიზისა და შეუდარებელი გამომგონებლობის საუცხოო შედევრი. ეს რომანი მსოფლიო ლიტერატურის ერთერთი ყველაზე პოპულარული ძეგლია. ცოტაა თხზულება, სადაც ასე ჰარმონიულად იყოს შერწყმული მომხიბვლელი სიუჟეტი, მახვილი აზრი, სრულყოფილი სტილი... ადამიანებისადმი უსაზღვრო თანაგრძნობითაა გამთბარი მისი თითოეული სტრიქონი. აქედანაა სერვანტესის შემოქმედების საკაცობრიო ხასიათი და სამარადჟამო დიდების ბრწყინვალება... „იგი ძვირფასი თხზულებაა და ისეთივე ძვირფასი კოლოფის ღირსია, ალექსანდრე მაკედონელმა დარიოსის სასახლეში რომ იპოვა და შიგ ჰომეროსის ლექსებს ინახავდა. წიგნში მოხსენებული ფათერაკები მოფიქრებულიც ჩანებულადაა და აღწერილიც საგანგებოდ. სიტყვა-პასუხი მსუბუქი და ცოცხალია, მკაფიო, გონიერი და ზრდილობიანი, და ყველაფერში მოუბრის ხასიათს შეესაბამება... იმ კილოთია დაწერილი, რომ მთელს ქვეყანაზე ბადალი არ მოეპოვება. იგი მხიარულების სალაროა და შექცევის მადანი... მას აქეთ, რაც აპოლონი აპოლონობს, მუზები მუზობენ და პოეტები პოეტობენ, მასზე მშვენიერი და შმაგიანი თხზულება ჯერ არავის დაუწერია. მთელს რომანში ყველაფერი ღირსსაცნობია და იმგვარი წარმტაცი შემთხვევებით არის აღსავსე, რომ მსმე-

ნელს კიდეც აკვირვებს, კიდეც იზიდავს. ხელმეორედ რომ დაიწყონ კითხვა და მეორე დღემდე ილაპარაკონ, მაინც დიდის სიამოვნებით მოისმენს ყველა“.

„დონ კიხოტი“ მოფიქრებული იყო როგორც პაროდია შუა საუკუნეთა რაინდულ რომანებზე. მაგრამ მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა. ესაა მძაფრი სატირა, მიმართული მთელი ფეოდალური სამყაროს წინააღმდეგ,და მე-16 საუკუნის ესპანეთის ცხოვრების ნათელი რეალისტური სურათი.

ამ წიგნით სერვანტესი გასცილდა საკუთარი ქვეყნის ჩარჩოებს და გადაიქცა ყველა ხალხისთვის სულიერი დატკბობის დაუშრეტელ ჩანჩქერად.

„დონ კიხოტის“ გამოსვლის შემდეგ სერვანტესის მიბაძვით შექმნილი რაინდული რომანები შარშანდელი თოვლივით გაქრნენ. ბევრ გენიალურ ქმნილებას წაეყარა დავიწყების მტვერი, — „დონ კიხოტი“ კი პიტალო კლდესავითაა აღმართული საუკუნეთა მანძილზე...

ყველა კულტურულ ენაზეა გადათარგმნილი ეს რომანი,[1] რომლის შინაარსი მოკლედ ასეთია:

ცენტრალური ესპანეთის ლამანჩის ოლქში მცხოვრები გაღატა-

---

[1] 1605 წლიდან გასული საუკუნის მიწურულამდე მარტო ესპანეთში ოთხასჯერ გამოიცა „დონ კიხოტი“. ინგლისურად 200-ჯერ, ფრანგულად — 170-ჯერ, იტალიურად — 100-ჯერ, პორტუგალურად — 80-ჯერ, გერმანულად — 70-ჯერ, შვედურად — 15-ჯერ. პირველი არასრული რუსული თარგმანი გამოვიდა 1769 წელს, მას შემდეგ მრავალჯერ გამოიცა. 1900-იანი წლების დამდეგს მსოფლიოს ყველა ენაზე ითვლებოდა რომანის 700-მდე გამოცემა. დღემდე, რაც მისი მიბაძვით უწერიათ, სცენისათვის დრამად, ოპერად, ბალეტად და კინოსცენარად ან ბავშვთათვის საკითხავად გადაუკეთებიათ, ამის აღრიცხვა შეუძლებელია.

ქართულ ენაზე „დონ კიხოტი“ მთლიანად თარგმნა რუსულიდან ნიკ. ავალიშვილმა. პირველი 32 თავი იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ 1869—71 წლებში. „დონ კიხოტის“ პირველი ნაწილის იგივე თარგმანი, ალ. სარაჯიშვილისაგან ეიარდოს ფრანგულ თარგმანთან შეთანხმებული, ცალკე დაიბეჭდა „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამოცემის“ მიერ 1906 წ. „მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშთა“ სერიაში აბრამიშვილისა და გაგუას რედაქციით 1929 წელს გამოვიდა 85 გვერდად შემოკლებული ორივე ნაწილი. 1938 წ. ალკკ ცკ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობამ გამოსცა „დონ კიხოტის“ პირველი შემოკლებული ნაწილი. ნ. ავალიშვილის მიერ თარგმნილი „დონ კიხოტი“. მთლიანად გამოსცა „საბლიტგამმა“ — პირველი ნაწილი 1951 წ. და მეორე ნაწილი — 1953 წ. „საბჭოთა მწერალმა“ 1958 წ. გამოსცა ორივე წიგნი იმავე თარგმანის მიხედვით.

ქებული აზნაური ალონსო კიხანო გააგიჟა რაინდული წიგნების კითხვამ. მან გადაწყვიტა თვით გამხდარიყო მოხეტიალე რაინდი, ეძებნა ფათერაკები, ამით ესახელებინა თავი და სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის. გამონახა მამაპაპური დაჟანგული აბჯარი, გამოიგონა თავისი ჯაგლაგისთვის ჟღერადი სახელი — როსინანტი, ხოლო თვით დონ კიხოტი ლამანჩელი დაირქვა. გულისვარდად აირჩია მახლობელ სოფელში მცხოვრები გლეხის გოგონა ალდონსა ლორენსო და უწოდა დულსინეა ტობოსელი, რომლის გულისთვის ცდილობდა გმირობათა ჩადენას.

რაინდის პირველი გამგზავრება მარცხით დამთავრდა. მეფუნდუკემ ხუმრობით რაინდად აკურთხა დონ კიხოტი, რის შემდეგ იგი მაგრად მიბეგვეს მეჯორეებმა. ნაცემ-ნაგვემი დონ კიხოტი ძლივსღა დაბრუნდა შინ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაითანხმა მეზობელი გლეხი — სანჩო პანსა — გამხდარიყო მისი მეაბჯრე, რისთვისაც დაჰპირდა კუნძულის გუბერნატორობას. ორივენი ჩუმად გაიპარნენ თავგადასავლების საძებრად.

დონ კიხოტმა გზაზე ქარის წისქვილები დაინახა. დევგმირები ეგონა, მაგრამ მათთან შებრძოლებისას საშინლად დაშავდა. შემდეგ მათ შეხვდათ ორი ბერი და ბანოვანი, მათ ფარეშებიც ახლდნენ. დონ კიხოტმა ისინი ჯადოსნებად მიიღო და, მათ ხელთაგან რომ გამოეხსნა ლამაზი ბანოვანი, ბრძოლა აუტეხა.

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ერთ ღამეს შეხვდნენ თხის მწყემსებს, გაათიეს მათთან ღამე და მეორე დღეს გაემართნენ მწყემს ქრიზოსტომის დაკრძალვაზე დასასწრებად. მწყემსი მიიცვალა გულქვა მწყემსი ქალის მარსელას სიყვარულის გამო. დაკრძალვის შემდეგ ფათერაკების მაძიებელნი ტყეში შეხვდნენ იანგუზელ მეჯოგეებს, მათთან ბრძოლაში სასტიკი დამარცხება იწვნიეს. დონ კიხოტისა და სანჩო პანსას შემდგომი თავგადასავლები ხდება ფუნდუკში, რომელიც რაინდს ჯადოსნური ციხე-დარბაზი ჰგონია. იქიდან გამგზავრებულმა დონ კიხოტმა გზად შემოყრილი ცხვრის ფარა მტრის ლაშქრად მიიჩნია, არ გაუგონა სანჩოს რჩევა-დარიგებას და უშიშრად ეკვეთა „მოწინააღმდეგეს“. მწყემსებმა აქაც ლაზათიანად სცემეს რაინდსა და მის მეაბჯრეს. ერთხელ გზაზე შემოხვდათ პროცესია,—მიცვალებულს მიასვენებდნენ. დონ კიხოტმა იფიქრა: ვინმე მოგზაურ რაინდს მიასვენებენო და გამოჰკითხა გამყოლთ მისი

ვინაობა. როცა პასუხი ვერ მიიღო, გააფთრებით თავს დაესხა პროცესიას და მიმოფანტა. შემდეგ გაიგო სიმართლე და ბოდიში მოიხადა ერთ-ერთ გამყოლთან. სანჩომაც აუხსნა უკანასკნელს, ჩემი ბატონი არის დონ კიხოტ ლამანჩელი, რომელსაც მწუხარე სახის რაინდი ჰქვიანო. მეაბჯრის მოულოდნელი გამოგონება მოეწონა დონ კიხოტს და გადაწყვიტა ამ სახელწოდების შენარჩუნება.

მრავალი ხეტიალისა და თავგადასავლის შემდეგ ისინი თავიანთ სოფელს მიუახლოვდნენ. აქ მათ შეხვდნენ დონ კიხოტის ძველი მეგობრები: სოფლის მღვდელი და დალაქი. მათ მოახერხეს ფათერაკების მაძიებელთა შინ დაბრუნება. მოჩანცული დონ კიხოტი ერთ თვემდის ლოგინში იწვა. მაგრამ სანჩო პანსასთან ერთად მეორეჯერ გაიპარა სახეტიალოდ.

დონ კიხოტმა გადაწყვიტა, უპირველეს ყოვლისა, ენახა თავისი სატრფო — დულსინეა ტობოსელი. სანჩო პანსამ დულსინეას ნაცვლად ვიღაც გლეხის გოგო მოუყვანა. დონ კიხოტს მართალი ეგონა. შემდეგ ისინი შევიდნენ ერთი ჰერცოგის სამფლობელოში. ჰერცოგმა ციხე-დარბაზში მიიწვია. მოსამსახურეთა და შინაურების დახმარებით მოუწყო დონ კიხოტს მრავალი სიურპრიზი რაინდული რომანების მსგავსად, ხოლო დონ კიხოტს გულწრფელად სჯეროდა მათი სინამდვილე, ჰერცოგმა სანჩო პანსა დანიშნა კუნძულის გუბერნატორად. კუნძულის მაგივრად ჰერცოგის ერთ-ერთი სოფელი გამოიყენეს. დონ კიხოტმა რჩევა-დარიგება მისცა ახალ გუბერნატორს და ისიც პირნათლად ასრულებდა რაინდის ანდერძს. ის მეტად სამართლიანი მსაჯული გამოდგა და ყველას ანცვიფრებდა გამჭრიახობითა და უნარიანობით საქმეების გარჩევისას. ამ დროს დონ კიხოტი ებრძოდა ციხე-დარბაზში ცრუ ჯადოქრებს, გრძნეულებს და თავი მართლაც ზღაპრულ ქვეყანაში ეგონა. რამდენიმე ხნის შემდეგ დონ კიხოტმა დატოვა ჰერცოგის ციხე-დარბაზი, რადგან მოსწყინდა უქმად ცხოვრება, სანჩომ კი მრავალი ფათერაკის შემდეგ თავი ანება გუბერნატორობას და ორივენი ისევ გაუდგნენ გზას.

თავისი სოფლის ახლოს დონ კიხოტი ხვდება მეზობელი მღვდლის შვილს ბაკალავრ სამსონ კარასკოს, რომელიც უცხო რაინდის სახით ებრძვის მას და ამარცხებს, რის შემდეგ დონ კიხოტი თავს ანებებს მოგზაურ რაინდობას და გადაწყვეტს მწყემსურ ცხოვრებას. შინაურები და მეგობრები მზად არიან დაეხმარონ მას ამ საქმეში და

ცდილობენ ამით მაინც ააცდინონ მოხეტიალე რაინდის ფათერაკებით სავსე გზას საბრალო იდალგო, მაგრამ ეს განზრახვა მოულოდნელად ჩაეფუშათ — დონ კიხოტი ავად გახდა და გარდაიცვალა.

იმ დროს, როცა „დონ კიხოტი“ ასეთი წარმატებით სარგებლობდა ყველგან, მის გენიალურ შემოქმედს ისევ სული ხდებოდა შიმშილით. სერვანტესს არავითარი სარგებელი არ მიუღია ამ გამოცემიდან. მუდამ ლუკმაპურის ძებნაში გატანჯულმა ავტორმა წიგნის ბეჭდვის უფლება წინასწარ რამდენიმე წლით დაუთმო გამომცემელს, რაც საზარალო შეიქნა სერვანტესისთვის. საერთოდ ლიტერატურული მოღვაწეობა მისთვის ხელსაყრელი არ გამოდგა. მისი დრო იყო ესპანეთის დრამატურგიის აყვავების ხანა. ტირსო დე მოლინა[1] და ლოპე დე ვეგა მეფობდნენ მაშინ მადრიდისა და პროვინციის სცენებზე. მიგელმა დრამატურგობით ვერ მოიხვეჭა სახელი. მისი ტრაგედია და მომცრო სახუმარო ინტერმედიები არ სარგებლობდნენ ხალხის განსაკუთრებული სიმპათიებით. დიდი დამსახურების მიუხედავად, მიგელი მუდამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ცხოვრობდა. მხოლოდ ტოლედოს არქიეპისკოპოსის დახმარებით გაჰქონდა თავი. სამეფო კარს იმ დროის უდიდესი გენიოსისთვის არაფერი გაუკეთებია. სრულებით არავინ ფიქრობდა მწერალზე, თუმცა მისი „დონ კიხოტის“ კითხვით ვერ გამძღარიყვნენ.

„დონ კიხოტის“ ლიტერატურულმა წარმატებამ აღაფრთოვანა მიგელი და შეუდგა მეორე ნაწილის წერას.

1605 წლიდან 1608 წლამდე სერვანტესის შესახებ არ დარჩენილა არავითარი ცნობა. უთუოდ იჯდა სადმე ჭოხში და წერდა. მევალეების გარდა, ალბათ, არავის ახსოვდა იგი.

ერთხელ კვლავ ჩააგდეს ციხეში: ერთ ღამეს იმის სახლთან ორი ჯარისკაცი ხმლით შეებრძოლა ერთმანეთს, ერთმა მოკლა მეორე. ეჭვი სერვანტესის შინაურებზე მიიტანეს, თითქოს მოკლული სერვანტესის ქალიშვილის იზაბელას საყვარელი იყო და მიგელმა მოაკვლევინაო. საქმის გამოძიებამდე მიგელი საპყრობილეში ჩასვეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს: ეჭვი არ დამტკიცდა.

[1] გაბრიელ ტელეს ტირსო დე მოლინა (1571—1658) — ესპანეთის სახელგანთქმული დრამატურგი.

ამ ხანებში დაწერა სამი სონეტი და იმ ნოველათა უმრავლესობა, რომელიც შემდეგ (1613 წ.) ცალკე წიგნად გამოვიდა „სამოძღვრებო ნოველების“ („Novelas Ejemlaes“) სახელწოდებით.

კალამი დარჩა არსებობის ერთადერთ წყაროდ და ცდილობდა სახელი გაეთქვა ლუკმაპურის საშოვნელად. „დონ კიხოტში“ პირდაპირ ამბობს: მე ვეძებ სარგებელს, რადგან უამისოდ სახელი და დიდება ჩალადაც არ მიღირსო.

1608 წლიდან ცხოვრობს მადრიდში. ამ დროიდან უკვე მასთან იმყოფებიან: და ლუიზა, დისწული კონსტანცა, ანდრეა აღარსად ჩანს. იზაბელაც მამასთანაა. მიგელი აწესრიგებს საოჯახო საქმეებს, ბეჯითად ცოდვილობს, რათა იშოვნოს დრო და უზრუნველყოფილი გახდეს ლიტერატურული მუშაობისთვის. ამიტომ გახდა „უწმიდეს საიდუმლოებათა ძმობის“ წევრი, რაც იმ დროის მიხედვით ამაღლებდა მის საზოგადოებრივ რეპუტაციას და აძლევდა საშუალებას — ესარგებლა ურთიერთდახმარების სალაროთი. ეძებდა გავლენიან მეცენატთა[1] მფარველობას. ცდილობდა მოხვედრილიყო ნეაპოლის მეფის მოადგილე გრაფ ლემოსის[2] ამალაში (1610 წ.), მაგრამ ამაოდ.

ამავე დროს სერვანტესი ეძებს მფარველობას სხვა პირებთანაც. ლიტერატურულ სატირაში „პარნასზე მოგზაურობა“ (1614 წ. ნოემბერი) აღნიშნულია ფილიპე III-ის მინისტრის შვილის როდრიგო დე ტაპიას სახელი. ამ პოემის გამოსვლამდე მიგელი ნელნელა წერს „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილსაც. განზრახვა ჰქონდა 1614 წელს გამოეშვა იგი.

ამ დროს ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ თავზარი დასცა მუდამ სვედანავსულ სერვანტესს.

ეს ამბავი ბოლო ნაწილშია მოთხრობილი.

---

[1] მ ე ც ე ნ ა ტ ი — რომაელი დიდებული, იმპერატორ ავგუსტოსის (I საუკ. ჩვენი წელთაღრიცხვისა) მეგობარი, ლიტერატურისა და ხელოვნების მფარველი. მისი სახელი საზოგადო სახელწოდებად გადაიქცა იმისთვის, ვინც მფარველობს პოეტებს, მხატვრებს, მომღერლებს და წარმართავს მათ შემოქმედებას თავისი მიზნებისთვის.

[2] გ რ ა ფ ი ლ ე მ ო ს ი — პედრო ფერნანდეს დე კასტრო, მარკიზი სარია (1576—1622), შეძლებული არისტოკრატი. იყო ცნობილი მეცენატი, რომლის დახმარებით სარგებლობდა XVI—XVII საუკ. ესპანეთის მრავალი ნიჭიერი მწერალი. ლემოსი მფარველობდა სერვანტესს მისი ცხოვრების უკანასკნელი 5—6 წლის მანძილზე.

ნაწილი მეოთხე

სამარის ბჭესთან

ისევ მადრიდში

მადრიდი. 1613 წელი. 29 სექტემბერი. დილის 8 საათია. ღარიბული სახლი № 9 ლომის ქუჩაზე, ოთახი 226.

ოთახი ფართოა და მზიანი. ყველა ნივთი სამაგალითო წესრიგითაა განლაგებული: ყურადღებას იქცევს სამი უფარდაგო ტახტი, შორიდან საბნები მოქარგულსა ჰგავს, ახლოს გასინჯვისას აღტაცებაში მოხვალთ არაჩვეულებრივი, ოსტატური ნაკერით. ფართლითა და სამკერვალო ხელსაწყოებით მოფენილ ტახტთან მიმჯდარი სამი ქალი გართულია საკერავით. მეოთხე ქალი ცეცხლს აჩაღებს ბუხარში შედგმული ქოთნის გარშემო.

მაგიდასთან ზის მხარბეჭიანი, ჭაღარაწვეროსანი მამაკაცი. გულმოდგინებით წერს რაღაცას. მისი ხელი სწრაფად მოძრაობს ქაღალდზე, თითქოს მერანი მინავარდობდეს უნაპირო ტრამალზე.

ხანდახან შეჩერდება, როგორც გზაბოძალზე, ანდა მოახლოებული ხმაურით შემკრთალი მგზავრი.

მწერალი ჩაფიქრებით, ნელ-ნელა აქნევს თავს. ყოყმანობს. არჩევს, ანდა ყურებდაცქვეტილი გუშაგივით უთვალთვალებს ჯერ კიდევ შორეულ, იდუმალ აზრს, რათა მოახლოებისას თავს დააცხრეს ნადავლს.

ამ მამაკაცს დღეს შეუსრულდა სამოცდაექვსი წელი. მისი ცოლი ორმოცდაცხრა წლის იქნება, ერთ-ერთი მკერავი უკვე ს›-

მოცდაათი წლისაა. დანარჩენ ორთაგან თითოეული ოცდაათ წელს უახლოვდება. სახეთა სიგამხდრე, ღრმა ნაოჭები და ჩაცვენილი ლოყები მოწმობენ ხანგრძლივ სიდუხჭირეს.

დუმილს არღვევს კალმის მსუბუქი ხმაური, საკერავის შარიშური, შეშის ტკაცანი ბუხარში.

ყველანი მორჩილებითა და უღრმესი პატივისცემით ეპყრობიან მწერლის განუწყვეტელ მუშაობას.

ერთი ქალი თითისწვერებზე შემდგარი მიეპარა მწერალს: ხარბად ჩააცქერდა ხელნაწერს, რომელზეც მსხვილი ასოებით ეწერა „პერსილესი.“ ქალი დაიღრიჯა. ალერსიანი ყვედრებით მოუთათუნა მხარზე ხელი მოხუცს და შეესიტყვა ლმობიერად, როგორც მიმართავენ საყვარელ, მაგრამ ჯიუტ ბალღს:

— მაშასადამე, ვერასოდეს გახდები სერიოზული ადამიანი, მიგელ?

მწერალი მიბრუნდა. კეთილ, მაგრამ გოროზი სახე ჰქონდა. ბაგეებზე აუყვავილდა ნაზი ღიმილი. გადახედა ცოლს.

— ის, რასაც სერიოზულს უწოდებ, — შენიშნა მიგელმა, — იქნებ სავსებით არ შეშვენის პოეტს.

— ყოველი მამაკაცი სერიოზული უნდა იყოს.

პასუხის ნაცვლად პოეტს სახე გაუბრწყინდა. ქალმა გაბრაზებით წამოიძახა:

— ყოველ შემთხვევაში, ეს შეშვენის ღატაკ ადამიანს.

— ჩემი გმირები საკმაოდ მდიდარნი არიან...

ქალი უფრო გაგულისდა. აიჩეჩა გამხდარი მხრები და მიუგო:

— მამაკაცი სერიოზული უნდა იყოს, როცა ოთხი ქალი ჰყავს სარჩენი და არაფერი კი არ გააჩნია.

მიგელი ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც კარგად იციან, როგორ აიცილონ ფრიად მკაცრი საყვედურები. წამოდგა, მიუახლოვდა ბუზღუნას, მოხვია მარჯვენა ხელი და, მიუხედავად წინააღმდეგობისა, ორივე ლოყაზე ეამბორა.

ოდნავ დაწყნარდა ქალი, ნახევრად ღიმილით, ნახევრად სიკაპასით წაიჩურჩულა:

— როცა საქმე ალერსს ეხება, სენიორ მიგელ დე სერვანტესი მეტად უხვია.

— ჩემი სიმდიდრე ეგ არის მხოლოდ!

სერვანტესმა გადაკოცნა დანარჩენი ქალებიც, თავისი და — ლუიზა, ქალიშვილი — იზაბელა და დისწული — კონსტანცა. შემდეგ დაღვრემილი და ჩაფიქრებული ბრმასავით ხელებგაწვდილი ბოლთას სცემდა ოთახში. რა ადარდებს მას? საკუთარი სევდა-ვარამი თუ ამ საბრალო ქალების უმწეობა? ანდა იქნებ ოცნებობდა თავის თხზულებათა გმირების რომანტიკულ განცდებზე?

შეჩერდა წიგნებით სავსე თაროებთან. ბევრი რამ არ იყო მისთვის საინტერესო ამ ქაოსში. მაგრამ ზოგიერთ წიგნს დიდ პატივს სცემდა. მათი სახელების ამოკითხვა შეიძლებოდა გარეკანზე. ეს იყო მეგობარ პოეტთა ლექსები.

მეოცნებე ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო. ვერ ამჩნევდა ცოლის აჩქარებულ ფაციფუცს მაგიდასთან, სადაც ღარიბულ სადილთან ერთად ეწყო უკვდავი ნაწერები.

დაბრუნდა მაგიდასთან. ამოაწო კალამი მელანში, მიიჩოჩა ქაღალდი. უეცრად ხმამაღალი, მხიარული და ნერვული სიცილი აუტყდა, თითქოს შეუღიტინესო.

— აი ჯადოქრობაც ამას ჰქვია! მაგრამ მეტად კეთილი კათოლიკე ვარ, რომ ვირწმუნო ასეთები. ჩემთვის კმარა ის საკვირველებანი, რომლითაც სავსეა საღმრთო წერილი. კატალინა, ძვირფასო ჯადოსანო, დამიბრუნე ჩემი „პერსილესი“.

ქალმა ალერსიანი უჯიათობით მიუგო.

— იყავ კეთილგონიერი, წაიმუშავე ცოტაოდენი „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილზეც.

— ამჟამად „დონ კიხოტი“ არ მიზიდავს. ხალისი არა მაქვს,

— საქმე შენს ხალისზე როდია. მკითხველსაც უნდა გაუწიო ანგარიში.

— ყოველი წიგნის მეორე ნაწილი არასოდეს არაფერი ღირს.

— როცა წიგნს ფულები შემოაქვს, იგი ყოველთვის რაიმე მაინც ღირს. ჩვენ კი ხუთი თვეა, ბინის ქირა არ გადაგვიხდია.

— რამდენიმედ მდაბიური შეხედულებაა, ო, ჩემო კეთილშობილო დონა კატალინა დე პალასიოს სალასარ-ი-ვოსმედიანო!

— ასეთია შეხედულება ადამიანებისა, რომლებიც მშიერნი არიან, ჩემო შეუდარებელო დონ მიგელ დე სერვანტეს-ი-საავედრა! — ღიმილით გააგრძელა ცოლმა.

— ამჟამად მთელი ესპანეთი შიმშილობს,—ალერსიანად უთხრა პოეტმა.

მაგრამ ტახტს იქით გაისმა მიმქრალი ხმა:

— მონასტერთა ბინადრების გარდა.

სერვანტესი მობრუნდა. სევდა აღებეჭდა სახეზე.

— ვიცი, რაც გაწუხებს, შვილო იზაბელა. მონასტერი საპატიმროა, სადაც ყოველთვის საკმაოდაა პური. ხელები კი უმოქმედოდ რჩებიან, არისტოკრატულად გულზე დაკრეფილნი. ესაა დაუსრულებელი დორტუარი,[1] სადაც მიძინებული ნებისყოფა უფლებას აძლევს აღმაფრენას წარმოშვას ქარაფშუტული და უხიაგი სიზმრები, სადაც პარალიზებულია ნებისყოფა. ინკვიზიციის ქუსლის ქვეშ რომ შეგვეძლოს თავისუფალი სიტყვით სარგებლობა, მაშინ, რასაკვირველია, მწუხარე სახის რაინდი გამოვიდოდა მონასტრის კედლებიდან; მაგრამ არა! დონ კიხოტის სიგიჟე მეტად კეთილშობილურია.... მას ვერ შეაკვეცს ფრთებს ეს მოშხამული წყარო. დაე, ეს უბადრუკი იდეალები შევთავაზოთ ხეიბრებს, როგორიცაა ლოიოლა, ანდა წმიდა ტერეზას[2] მსგავს ავადმყოფებს, უსულგულო ბასკონელს, რომელსაც ესიზმრება მსოფლიო იმპერია, თვითონ კი ერთი ტახტიც არ გააჩნია; ქადაგად დაცემულ და სიყვარულის ცეცხლით გათანგულ ბანოვანს, რომელიც არ მესმის, როგორ ეძებს უღრმეს დაკმაყოფილებას ღმრთის ფანატიკურ სიყვარულში მიწიერი ტრფობის რეალობათა შემდეგ. მათ სიგიჟეში არავითარი კეთილშობილება არ ყოფილა. ჩემი იზაბელა კი უკეთესი ხვედრის ღირსია...

— ღმერთს ნუ გმობ, — შეევედრა დონა ლუიზა და აჩქარებით გადაისახა პირჯვარი. — ნუ წაგვკიდებ ღვთის რისხვასა და წყევლა-კრულვას.

იზაბელამ დაუმატა:

— რას იტყოდა ახლა შენი უფროსი და დონა ანდრეა (უფა-

---

[1] დ ო რ ტ უ ა რ ი — საერთო საწოლი ოთახი.

[2] ლ ო ი ო ლ ა — ინიგო (იგნატი) რანალდო (1491—1556)—იეზუიტთა ორდენის („ქრისტეს საზოგადოების") დამაარსებელი; წ მ ი დ ა ტ ე რ ე ზ ა — ტერეზა დე ხესუ (1515), მონაზონი და სახელგანთქმული მისტიკოსი პოეტი ქალი.

ლო, განუსვენე მის სულს!), ჩვენი ღვთისნიერი კონსტანცას უსათნოესი დედა? კარგია, არ გისმენს. ავად გახდებოდა.

— საუბედუროდ, ახლა მას ვერავითარი ავადმყოფობა ვეღარ შეაწუხებს. იპოვა თავშესაფარი მსგავსი იმისა, სადაც შენ აპირებ დაემალო შიმშილს.

— ნეტარ არიან ქრისტეს მიერ განსვენებულნი!

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. სერვანტესი უმზერდა ხელნაწერს. ცოლი ძალად ახვევდა თავზე. გადაიკითხა უკანასკნელ გვერდი. მიაწერა ორიოდე სტრიქონი. მყისვე წაშალა. აღმაფრენა სხვა მხრისკენ იტაცებდა. შეაქუჩა რვეულები. უმწეოდ, ზიზღით მიაგდო განზე. კვლავ დაიწყო.

კატალინას ახელებდა ჩვეულებრივ ასეთი ნაყოფიერი უმოქმედობა, რომელსაც ზოგიერთნი სიზარმაცედ თვლიან.

— იცი, მიგელ, რა გღუპავს, რა გღუპავდა და რა დაგღუპავს?

— მღუპავდა? განა მე დავიღუპე? განა ყველა ჩემი ნაშრომი დასაღუპავადაა განწირული? მხოლოდ მერმისი და შთამომავლობა გადაწყვეტს ამ საკითხს!

— მაგრამ სიცოცხლე ახლაა საჭირო, დღეს და არა მერმისში.

— ღატაკი ჰომეროსის დროიდან დღემდის ყველა ჭეშმარიტად დიდი ადამიანი სიცოცხლეში საშინელ გაჭირვებას განიცდიდა. ჯერ კიდევ გუშინ კამოენსი[1] ლისაბონში, ხოლო ჩვენში ერსილია,[2] ჩვენი ერთადერთი ეპიკოსი პოეტი, რომელიც მეტოქეობას გაუწევს დიდ პორტუგალიელსა და დიდ იტალიელებს... მათკენ იყო მიმართული თანამედროვეთა სიძულვილი.

— განა კამოენსი და ერსილია ხედავდნენ მათი მოყვარული ქალების ტანჯვას?

— საბრალო არსებანო, თქვენ იზიარებთ ჩემს ტანჯვა-წამებას და არ შეგიძლიათ ამაღლდეთ ჩემს სიხარულამდე, რასაც მანიჭებს ბედი!

მიგელს შეებრალა თავისიანები. ბოლმით აღსავსე დაუბრუნდა

---

[1] ლ უ ი ზ დ ე კ ა მ ო ე ნ ს ი (1525—1580) — პორტუგალიის გამოჩენილი პოეტი, „ლუზიადის“ ავტორი.

[2] ა ლ ო ნ ს ო დ ე ე რ ს ი ლ ი ა ზ უ ნ ი გ ა (1533—1594)—ესპანეთის ცნობილი პოეტი, გმირული პოემის „არაუკანას“ ავტორი.

„დონ კიხოტს“. ცდილობდა გატაცებით ემუშავა, მაგრამ ამაოდ. აღმაფრენის წყარო თითქოს დაშრეტილიყო.

თავბრუ დაესხა. წამოდგა. ფანჯარა გამოაღო. ღრმად შეისუნთქა ჰაერი. თვალები მიაპყრო მოპირდაპირე კედელს.

იღიმებოდა. ვერ ხედავდა ყვითელ და დაბზარულ, უმსგავს კედელს. უმზერდა გრანდიოზულ მოძრავ ფრესკას, რომელზეც ეხატა პერსილესისა და სიგიზმუნდას მოგზაურობა ცხენებით. ერთხანს ილუზიამ ისე მძლავრად შებოჭა პოეტი, რომ მჯიღი მოუღერა თავისი გმირების მტრებს, მაგრამ თავი შეიკავა და წაიჩურჩულა:

— ნუთუ ისეთივე გიჟი ვარ, როგორიც მახვილგონიერი იდალგო?

კატალინა მიუახლოვდა სერვანტესს.

— შენ ვერ გამიგე, — წარმოთქვა მან. — შენ გღუპავს, გღუპავდა და სამუდამოდ დაგღუპავს ის, რომ არასოდეს ყოფილხარ იმდენად კეთილგონიერი, მოგესმინა შენი ცოლისთვის.

— მეშინია, ჩემო ძვირფასო, მოვისმინო ის, რაც უკვე ბევრჯერ გამიგონია.

კატალინას გული მოუვიდა.

— შენ გაკლია ზომიერება! ესაა შენი დამღუპველი!

შემდეგ დაუმატა:

— რატომ დაანებე თავი წინანდელ ხელობას? რად უარყავ სამხედრო სამსახური? რად არ დარჩი ჯარისკაცად?

პოეტს ოღონდაც შეეძლო ბევრი რამ ეპასუხა. ამჯობინა დუმილით გამოეთქვა ყველაფერი. უჩვენა დასახიჩრებული მარცხენა და ჭაღარა წვერები.

— როცა არმია მიატოვე, წვერები ოქროსფერი ტალღებივით გეფინებოდა მკერდზე... რად ვერ დაამთავრე „გალატეა?“

— იმიტომ, რომ შენ შეგირთე!

ორაზროვანმა რეპლიკამ გააცხარა კატალინა.

— ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ აღარ გიყვარვარ!

— ჩემო ეჭვიანო და ხუშტურა მეგობარო! „გალატეა“ მხოლოდ შენი სიყვარულის მოპოვებაში დამეხმარა. იმ დღიდან კი, რაც ჩემი გახდი, დადგა დრო, მეფიქრა სხვა საქმეზე.

— შენი პიესები სარგებლობენ წარმატებით. შეცდი, რომ უკვე ოცი წელია კავშირი გაწყვიტე თეატრთან. ახლა ამაოდ ცდილობ იქ დაბრუნებას.

— ტყუილად ამაყობ ამ წარმატებით. ლუკმაპურიც კი ვერ უზრუნველყო მან ჩვენთვის. ნუთუ დაგავიწყდა, რომ ამ ოცი წლის მანძილზე ერთი თავისუფალი საათიც კი ვერ ვიშოვნე წერისთვის, ისე ვიყავ დატვირთული სამსახურით.

— მაგრამ რადა წერ ახლანდელ კომედიებს ისეთი მანერით, რომ აქტიორები უარს ამბობენ მათ თამაშზე?

— მათ მხოლოდ ლოპე დე ვეგას პიესებში სურთ გამოსვლა.

— შენ, ალბათ, უნარი არა გაქვს წერო ლოპე დე ვეგასავით, ხომ? ყოველი დედაკაცი ახერხებს გადააკეთოს თავისი კაბა ახალი მოდის მიხედვით, შენ კი არ შეგიძლია შეუგუო სიტყვები ხალხის შეცვლილ გემოვნებას. უმჯობესია თქვა: აღარ გსურს!

— ეგეც ვცადე!

— სცადე, მაგრამ უინტერესოდ! მძულვარებით! თითქოს თავს იმცირებდი!

— მართლაც თავი დავიმცირე. ეს ტანჯვას უდრიდა.

— სურვილი რომ გქონოდა, წარმატებას ადვილად მიაღწევდი.

— არაფერი დავიშურე, რაც კი შემეძლო. გარწმუნებ, ეს ძლიერ ძნელია. არ შემიძლია ვწერო ისე ყალბად და სულელურად, როგორც თქვენი განთქმული ლოპე დე ვეგა.

— სულელურად! დახე, რამდენ ფულს შოულობს!

სერვანტესმა არ მიაქცია ყურადღება გულმოსულ კატალინას გულისწყრომას და განაგრძო:

— ჩვენში ყოველდღე დგამენ კომედიებს, სისულელეებითა და აბდაუბდით სავსე პიესებს. მიუხედავად ამისა, ისინი დიდი წარმატებით სარგებლობენ. ხალხი ტაშსაც კი უკრავს. თანამედროვე ესპანური თეატრი მრავალი საუკუნის მანძილზე სამარცხვინო მოვლენა იქნება ესპანეთისთვის. ახლანდელი დრამები ისევე მძულს, როგორც სარაინდო წიგნები.

დაუცხრომელი ენამზეობით ამეტყველდა თეატრზე. სიჭაბუკიდანვე თეატრი იყო მისი ოცნება.

— მე მინდა: ჩვენს თეატრში იდგმებოდეს დიდებული, მკაცრი, ძლიერი, სერიოზული ტრაგედიები. ვისურვებდი: საშინელმა ელდამ და თავზარდაცემამ დაიმორჩილოს მაყურებელი, გადმოაფრქვევინოს შებრალებისა და თანაგრძნობის ცრემლები. მინდა: ჩვენი კომედიების სიცილი არ გადაიქცეს მარტოოდენ უთავბოლო მექა-

ნიზმად, რომელშიც გაებმება მაყურებელი, როგორც ვირთაგვა სარაგვავში, ანდა მელა ხაფანგში. მიყვარს სხვაგვარი სიცილი, ვეებერთელა, დიდმშვენიერი ყვავილი, რომელიც თვალისმომჭრელად გადაიფურჩქნება ადამიანთა ბაგეებზე, გონებისა და ლოგიკის კაშკაშა მზის ქვეშ, ცოცხალ, მართალ ხასიათთა სინათლესა და ჰეშმარიტ სითბოში. ლოპე დე ვეგას პიესებს მე ტაშს ვერ დავუკრავდი. ამისთვის ორი ხელია საჭირო. მე კი მხოლოდ მარჯვენა შემრჩენია ტანზე...

ფიცხად და დამაჯერებლად ენამჭევრობდა სერვანტესი. კატალინა ისევ ჯიუტად აქნევდა თავს. მაგრამ ლუიზა, იზაბელა და კონსტანცა აღფრთოვანებული შესცქეროდნენ პოეტს, აღტაცების ღიმილი დასთამაშებდათ ბაგეებზე. როცა მიგელი დადუმდა, საკერავი უმოძრაოდ ედოთ მუხლებზე. იზაბელამ ხელები გაუწვდინა მამას. კონსტანცა არ ირხეოდა. ლუიზამ ხელები გადაიჯვარედინა, თითქოს ლოცულობსო, და წამოიძახა:

— ო, მიგელ! ენამზეობის მჩქეფარე შადრევანო!

— მაგრამ, — მშრალად ჩაილაპარაკა კატალინამ, — ამ შადრევანს ძალა არ შესწევს ააბრუნოს თავისი საშინაო წისქვილის ბორბალი.

ამ დროს ვიღაცამ დააკაკუნა. კატალინამ გააღო კარი. მდიდრულ ლივრეიში მორთულმა მსახურმა მოკრძალებით მოართვა პაკეტი. სურნელოვანი სანთელი დატვიფრული იყო კარდინალ დონ ბერნარდო სანდოვალ-ი-როხასის, ინკვიზიტორისა და ტოლედოს არქიეპისკოპოსის ღერბით.

— მისი უწმიდესობა გიგზავნით, — წარმოთქვა მსახურმა და მოწიწებით დაუკრა თავი.

სერვანტესმა თავაზიანად მოიხარა ქედი და მიუგო:

— დაუდასტურეთ მის მაღალუწმიდესობას ჩვენი გულითადი მადლობა. კარგად ვიცი, თუ რაოდენ გულმოდგინედ და სულგრძელობით ზრუნავს მისი უწმიდესობა ღვთის დიდებისა და წმიდა სარწმუნოების უმწიკვლოებისთვის. მოახსენეთ, რომ თავმდაბლობა, რომელიც ხელს მიშლის დაუყოვნებლივ გავემართო მასთან და ვეამბორო მის ფერხთა მტვერს, არის ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომელიც შემიძლია გავიღო ჩვენი წმიდა რელიგიისთვის, და არის ყველაზე მნიშვნელოვანი საბუთი ერთგულებისა ბატონი კარ-

დინალის მიმართ. — შემდეგ პაკეტი შუბლზე მიიდო და მოწიწებით ეამბორა მას.

წასვლამდე მსახურმაც უპასუხა არანაკლებ მედიდური ქათინაურით.

მსახურის წასვლის შემდეგ დუმილი ჩამოვარდა. კატალინას ხელთ ეპყრა დიდი ინკვიზიტორის წერილი. ზიზღით ათვალიერებდა მას.

— თავაზიანად ვერ ეპყრობი წმიდა ბარათს, — წარმოთქვა სერვანტესმა წრფელი სიცილით.

— ჩემზე უკეთ იცი, თუ რა იფარება ამ საპატიო პაკეტში, ერთი რეალი, — სასაცილო, დამამცირებელი ყოველდღიური მოწყალება.

— პური ჩვენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს! — დაცინვით წარმოთქვა მიგელმა.

— მიგელ, აბუჩად ნუ იგდებ ლოცვებს, — ევედრებოდა დონა ლუიზა, აცახცახებული ხელით ისახავდა პირჯვარს პირსა და ყურებზე, რათა გზა დაეხშო ღვთისსაგმობი სიტყვებისათვის.

კატალინამ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— მისი უწმიდესობა, ტოლედოს არქიეპისკოპოსი, ფრიად გულუხვია. ხუთ ადამიანს უნაწილებს პურის რაოდენობას, რომელიც ძლივს ეყოფა ერთ სულს. არ ვიცი, რა მაკავებს, რატომ უკანვე თავში არ ვახლი ამ უბადრუკ და დამამცირებელ სამოწყალოს, არ გამოვთქვამ მთელ იმ სიძულვილს, რომელსაც ვგრძნობ მის სულმდაბალ სიძუნწეზე.

— ფრთხილად, საყვარელო კატალინა! ეს რეალი ჩვენთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვისგან ნაჩუქარი მთელი დუბლონი.

— რაღაც უცნაურად აფასებ ფულებს...

— როდესაც მეზობლები დაინახავენ, რომ ჩვენთან ყოველდღე დადის დიდი ინკვიზიტორის ლივრეით მოკაზმული მსახური, ვერასოდეს გაბედავენ დაგვასმინონ ინკვიზიციაში. ეს რეალი მიგაჩნია ძლიერ მცირედ და უმნიშვნელოდ. ჩემს თვალში იგი იზრდება და ფართოვდება რაინდის უზარმაზარი ფარივით.

— მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მიგელ, საჩქაროდ უნდა მოჰკიდო ხელი „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილს, მოგვითხრო კვლავ რაიმე დონ კიხოტზე. დაე, დონ კიხოტმა იბრძოლოს, ხოლო სანჩო

პანსამ ილაყბოს. ყველაფერი მოგვეწონება, რაზეც არ უნდა გვესაუბროს ავტორი.

— წავალ ესკივიასში. იქ უკეთ შევძლებ მუშაობას.

— მართალს ამბობ. მართლაცდა ძნელია წერა ამ ვიწრო ოთახში, სადაც ოთხი ქალი ამაოდ ცდილობს სიჩუმის დაცვას.

— ჩემო ძვირფასებო, თქვენზე უკეთესნი არსად არიან ამ წუთისოფელში...

— ასე შორს წასვლაც ძნელია ახლა... — შენიშნა იზაბელამ.

— მამაშენი ძველი ჯარისკაცია... გაუძლებს...

აშურმასთან ერთად, რომელზეც ეკიდა ხმალი, სერვანტესმა ყელზე ჩამოიკიდა კრიალოსანი, რაც იმ დროს ხმალივით აუცილებელი იყო ყოველი ესპანელისათვის.

— „დონ კიხოტი“ თან წაიღეო, — ევედრებოდა კატალინა.

— არაა საჭირო, ჩემო საყვარელო, მშვენივრად მახსოვს, თუ რა ადგილას შევჩერდი.

ჩამოიხურა ფართო ქუდი, ხელთ მძიმე ყავარჯენი დაიჭირა, გადაკოცნა ქალები და გავიდა.

როცა მიიმალა, კატალინა მივიდა მაგიდასთან. შეაქუჩა ქაღალდები, ჩააწყო სკივრში სხვა ხელნაწერებთან. შემდეგ გადაათვალიერა სკივრის ავლადიდება და ხმადაბლა ჩაიკითხა, სათაურები: „კვირეები ბაღში“, „გალატეას“ გაგრძელება, „ბერნარდო“, „მხედველობის შეცდომა“, „მოლაყბენი“, „ცრუ ძალუა“ და კიდევ „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილი, რომელიც ის იყო ხელში ეჭირა კატალინას. გულმოსულად გადააქნია თავი. სკივრი დაკეტა. უმწეოდ ჩამოყარა ხელები და ჩაილაპარაკა:

— „დონ კიხოტი“ აქვე გდია... „პერსილესი“ წაუღია მხოლოდ!

ძველი ნაცნობები

დინჯად ჩაიარა ქალაქში მიგელმა.

კეთილშობილ კასტილიელს არ შეეფერებოდა ნაბიჯის აჩქარება. ყველას მიერ ყბადასაღები გახდებოდა მაშინ.

ესოდენ მგზნებარე, დაუცხრომელი ტემპერამენტის ადამიანი წყნარად მიაბიჯებდა მადრიდის ქუჩებში.

სერვანტესი იყო შუათანა ტანის, ბეჭებში ოდნავ მოხრილი. ზანტი სიარული იცოდა, ჰქონდა არწივისებური პროფილი, ცოცხალი თვალები, მოკაუჭებული, მაგრამ სავსებით პროპორციული ცხვირი, ვერცხლისფერი წვერები, რომელიც ოციოდე წლის წინათ ოქროსფრად ლივლივებდა.

მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს მიუგავდა ფართო სპეტაკი შუბლი. აქა-იქ ჭაღარას შეეფერცხლა წაბლისფერი ფაფუკი თმა.

უბრალოდ ეცვა — უფრო სადად, ვიდრე უღარიბეს ახალგაზრდა ეკადრებოდა: სირმებითა და არშიებით მოურთველი ფართო ნაბდის ქუდი, ვიწრო და მოკლე შარვალი, ბამბის წინდები, მრგვალცხვირიანი და ქუსლებიანი სტუდენტური ფეხსაცმელები — ესპადრილია.

დაბოლოს, რაც უკიდურეს სიღატაკეს ადასტურებდა, სერვანტესს არ ჰქონდა მოსასხამი და გახამებული საყელო.

ყავარჯენზე დაყრდნობილი ნელი რხევით მიირონინებდა.

სერვანტესი გავიდა მადრიდიდან. გაექცა ყვითელი სახლების ამ უშნო გროვას, როგორც თვითონ უყვარდა თქმა.

ხალისით ათვალიერებდა მიდამოს.

ფართოდ გაშლილი ველები და სუფთა ჰაერზე ჩქარი სიარული ყოველთვის უღვივებდნენ შემოქმედებით აღმაფრენას.

მიდიოდა ტკბილი მოგონებებისა და უცხო ზმანებათა მორევში ჩაძირული...

ეჟვანთა ჟღარუნმა და ხმამაღალმა ფრუტუნმა გამოაფხიზლა. დაინახა ორი ბერი. ღონიერ ჯორებზე ისხდნენ და დეზებით ახალისებდნენ: უმალ თვალი მოჰკრა დომინიკელთა ორდენის ანაფორებს. სახე ზიზღით დაემანჭა და განზე გაუხვია, მაგრამ დამალვა არ ეგებოდა. არც ერთი ბილიკი არ ჩანდა გარშემო. არც ერთი ბუჩქი არ იდგა გზის განაპირას.

ბერებს ქოლგები ეხურათ. საგზაო სათვალეები და ჩიღაბი ჰქონდათ აკრული. სერვანტესმა მაინც იცნო ისინი: ერთი მათგანი მეფის მოძღვრის ძმა — ღიპიანი ალიაგა გამოდგა. ხალხმა სანჩო პანსა შეარქვა მას. მისი თანამგზავრი საძაგელი სახის, გრძელი, მშვლე, წელში მოხრილი, ამოყვითლებულთვალებიანი ჰგავდა მხეცს, რომელიც უთვალთვალებს საკბილოს. ეს იყო მოხუცი დოქტორი

ხუან ბლანკო დე ლა პასი, უსაზღვრო იყო მიგელის სიძულვილი ცნობილ ყიამყრალისადმი. ამის საფუძველი საკმაოდ ჰქონდა.

— ძმაო, — შეჰყვირა ალიაგამ და სიამოვნებისგან სახე გაუბრწყინდა. — შეაჩერეთ თქვენი ჯორის თოხარიკი! მისმა უდიდებულესობამ, უფალმა, მოგვანიჭა ესოდენ საამო შეხვედრა. დაე, ჩვენი ჯორები გაუტოლდნენ სენიორ სერვანტესის ნაბიჯებს. ვისარგებლოთ შემთხვევით, დავითვრეთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მახვილგონიერი ადამიანის ხალისიანი მუსაიფით.

— მეტად კეთილი და სულგრძელი ბრძანდებით, მამაო ალიაგა! ღმერთმა ნაცვალი მოგაგოთ. გმადლობთ ქებისა და მოწყალებისთვის — ბრძნული სიტყვებით გაჰფანტოთ ყარიბი მგზავრის მელანქოლია და კაეშანი, — უთხრა სერვანტესმა.

— თუნდაც ნაძლევსა ვდებ, ესკივიასში მიემგზავრებით. ესკივიასი განთქმულია კეთილშობილი ოჯახებითა და კარგი ღვინოებით. მაგრამ მომავალში უფრო სახელგანთქმული იქნება იმით, რასაც იქ შექმნის სერვანტესის მახვილი გონება და ფხიანი კალამი.

— გამოცანა გერგებათ!

— ალბათ, — თქვა ბლანკო დე პასმა, — სოფლის მყუდროებაში აპირებთ თქვენი სალაღობო და საქებური „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილის დამთავრებას?

სერვანტესს არ მოუხედავს ბერისთვის, თითქოს ვერ გაიგონაო ალიაგამ გაიმეორა შეკითხვა.

— განზრახვა გაქვთ განაგრძოთ „დონ კიხოტზე“ მუშაობა?

— ეს იქნება წიგნი, რომელშიც არაფერია მხიარული ან სატირული. „დონ კიხოტი“ იყო შროშნის ხალისიანი სტვენა. ჩემი ცხოვრების დაისი ახლოვდება. მინდა ვსინჯო, შევძლებ თუ არა ბინდისას ბულბულივით გალობას. თუ ჩემი განზრახვა განვახორციელე, „პერსილესისა და სიგიზმუნდას ვნებანი“ იქნება უდიადესი ეპოპეა, მიძღვნილი სიყვარულისა და საყოველთაო შენდობისადმი.

— განა ღირსად თვლით თავს შეაქოთ ქრისტიანული მოწყალება, სათნო შენდობა და პატიება? შეგინდვიათ ან გიპატიებიათ განა ვისთვისმე? — მკაცრად ჰკითხა ალიაგამ.

პოეტის თითები თითქოს უნებურად შეეხნენ კრიალოსანს. წყნარად წაიჩურჩულა:

— მომიტევენ თანანადებნი ჩვენნი, რამეთუ ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა...

ალიაგამ საჭიროდ ჩათვალა უფრო ზუსტად გამოეხატა თავისი ბრალდება.

— აი ამ წუთს ნეტარმა ბლანკო დე პასმა მოგმართათ თავაზიანი შეკითხვით. ჯიუტმა გულძვირობამ და ბოროტმეხსიერებამ უფლება არ მოგცათ გეპასუხათ. თუ არ ვცდები, თქვენი დავა 1580 წელს მოხდა. უკეთუ ღმერთი ამ ცოდვების მიტევებამდის 33 წელს დაიცდის, მაშინ თქვენი სიცოცხლე არ გეყოფათ ლოდინისთვის.

— ყოველთვის და ყველასთვის მიპატიებია და შემინდვია ის ბოროტება, რომელიც ჩემს მიმართ ჩაუდენია ვისმეს. მაგრამ განა შემიძლია შევუნდო და ვაპატიო ბოროტება, რომელიც მიაგეს ყველაზე უბედურ ჩემს ძმებს? გარწმუნებთ, მამაო ალიაგა, რომ ჩემთვის სასიამოვნოა და სახალისო, ვესაუბრო ყოველ წესიერ ადამიანს, ბლანკო დე პასს კი არასოდეს! სამუდამოდ ყიამყრალად დარჩება. ამ ალჟირულ სახელწოდებას ვერასოდეს ჩამოიშორებს ეგ უკეთური.

დოქტორის ყვითელი სახე წამოჭარხლდა სიბრაზით. მაგრამ თავი შეიკავა და ცრემლმორეული სიბრალულით მიმართა მიგელს.

— რა საუცხოოდ დაიწყო თქვენი ცხოვრება. რა წარმტაცი იქნებოდა იგი ბოლომდე, მოწყალე ღმერთს რომ შეენარჩუნებია თქვენთვის ცალი ხელი ისე, როგორც დაგიტოვათ მახვილი ენა.

გალიაში გაღვიძებული ლომივით შედრკა სერვანტესი.

— არნახული და შეუძლებელიც რომ მხვდეს წილად, უკანვე რომ შემომთავაზონ და დამიბრუნონ ჩემი მარცხენა ხელი იმ პირობით, რომ უარი ვთქვა ისტორიაში გაუგონარ, ყველაზე მეტად კეთილშობილ ომში მონაწილეობისთვის, უარვყოფდი ასეთ მოწყალებას. ვეტყოდი ღმერთს: დაე, წამართვან მეორე ხელიც, მაგრამ შემინარჩუნონ ლეპანტოს ბრძოლაში მონაწილის სახელი და დიდება-მეთქი!

— უფალი მკაცრად მოგეპყრათ თქვენ. არავითარი ჯილდო არ გერგოთ ამქვეყნად. მიუხედავად ყველა თავდადებისა და დამსახურებისა, მიუხედავად ყოვლისა, ათეული წლების მანძილზე ისევ უბრალო ჯარისკაცი დარჩით.

— თავი ანებეთ ჩემს ვაჟკაცობასა და დამსახურებებს. აქ ლა-

პარაკი ღვთისმეტყველებაზე როდი გვაქვს, სწავლულო დოქტორო-თანაც არაფრად მეპრიანება ქება-დიდება და ხოტბის შესხმა შენებრ უვიცისგან.

— სხვებმა პატივი და სიმდიდრე მოიპოვეს მწერლობით, თუმცა ისინი თქვენზე უფრო ნაკლებ ნიჭიერნი და მახვილგონიერნი იყვნენ. თქვენ კი აურაცხელ თხზულებათა დაწერის შემდეგ ისევ ღატაკი დარჩით. რატომ დუმდით ოც წელს? იქნებ თქვენი მახვილგონიერება დაჩლუნგდა, თუ ვაჟკაცობა მოგიდუნდათ?

— ბერს არ შეუძლია განსაჯოს ის, რაც მის ნაღრძობ გონებას აღემატება.

— ახლა კი მოხუცდით, გაიტანჯეთ, წვერში ჭაღარა გაგერიათ!— არ ცხრებოდა დე პასი.

— ჩვენ წვერებით როდი ვწერთ, ძმობილო! ამასთან არიან ადამიანები, რომლებიც შრომაში პოვებენ დასვენებასა და ახალ სიჭაბუკეს.

— საცოდავო ხეიბარო!

— ვფიცავ წვერებს, რომელიც სახეზედა მაქვს,— პორტუგალიურად დაიფიცა მიგელმა,— მარჯვენა ხელი ისევ მარჯვედაა. წერა შეუძლია. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ უმალ ძირშივე მოვიკვეთ ამ ერთადერთ ხელსაც, თუკი ჩემი თხზულებების კითხვა ცუდ სურვილებსა და ზრახვებს აღუძრავს ჩემს მკითხველებს. მასთან, თუკი ბერს უნარი შესწევს შეურაცხყოფის მიყენებისთვის, დავუმატებ, იმავე ხელს შეუძლია მარჯვედ მოიღეროს დაშნა და სასტიკად დასაჯოს თავხედი.

ალიაგა ჩაერია უსიამო დავაში.

— ძმურად გელაპარაკებიან, თქვენ კი ასეთი შეურიგებელი და მტრული კილოთი უპასუხებთ.

— კეთილი, მეც ძმურად ვუპასუხებ. თუმცა საერთოდ ენამოჩლექილი ვარ, მაგრამ სიმართლის გამოსათქმელად მარტოოდენ ხელით ნიშნებაც საკმაოა. ძალიან ვწუხვარ, რომ დოქტორმაც ვერაფერი მიიღო ჯილდოდ თავისი დამსახურებისათვის.

— არაფერი დამიმსახურებია, სინანულისა და დამცირების მეტი,— წამოიკნავლა ბლანკომ თვალთმაქცის საძაგელი ხმით.

— იყო დღე, ძმობილო, როცა დაიმსახურე, ყოველ შემთხვევაში, ოცდაათი ვერცხლი მაინც. მაგრამ ალჟირის ფაშამ სულ ერ-

თი ოქრო შემოგთავაზა და მხოლოდ ლიტრა ერბო გაიმეტა შენი ღვაწლისთვის.

ალიაგა ცდილობდა უხერხულობის გაქარწყლებას.

— ძლიერ ვწუხვარ, რომ დიდ სიბედშავეს განიცდი თურმე. ნუთუ ნებას არ დართავთ თქვენს თაყვანისმცემლებს თანაგიგრძნონ და შეგიბრალონ?

— მე ვამაყობ ჩემი ბედშავობითა და სივაგლახით. შემიყვარდა მწუხარება და სევდა. მათგან ბევრი რამ ვისწავლე.

— ნება მომეცით, გისურვოთ მაინც უფრო უკეთესი ხვედრი, უფრო ბრწყინვალე, სახელოვანი, სახარბიელო დღეები.

— შთამომავლობა გადაწყვეტს — იყო თუ არა საკმაოდ სახარბიელო „დონ კიხოტის“ და „პერსილესისა და სიგიზმუნდას ვნებათა“ ავტორის ცხოვრება! ბრწყინავდა თუ არა იგი!

— ხელი, რომელიც დაჰკარგეთ სახელოვან ბრძოლაში...

— არასოდეს დაუბრკოლებივარ მას, შემესრულებინა მოვალეობა ან დამეწერა ჩემი აზრი. რა მესაქმება სხეულის ნაწილებთან, მის უძლურებასა და სალმობასთან, როცა ჩემი სული უძლეველია ყოველთვის და ყველგან. მარცხენა ხელის დაკარგვით უფრო ვასახელე მარჯვენა, არასოდეს გამიტარებია გულში შიში, არასოდეს შემდრკალა ჩემი მარჯვენა, როცა საქმე სიმართლეს ეხებოდა, თუმცა ბევრი მგელი მინახავს ღვთის ქოფაკთა ბუნაგში.

„ღვთის ქოფაკები“ — ასეთი იყო დომინიკელთათვის შერქმეული სახელი. აქ საეუგო არაფერი ყოფილა. თვითონ ბერებმა გამოიგონეს იგი. მათ მოსწონდათ ეს ლათინური კალამბური.[1]

— ირმისშვილი, — თქვა ალიაგამ და თავის მხრით ხუმრობით წარმოთქვა ბგერები, რომლებიც შეადგენდნენ სერვანტესის სახელს[2].

— ირმისშვილი ყოველთვის როდი გარბის უკანმოუხედავად. დროდადრო ცდილობს შეებრძოლოს ღვთის ქოფაკთ და ერჩოლება რქებით. ამ კადნიერებას ძვირად დაუსვამენ მას.

ღიპიანმა მოძღვარმა დეზი ჰკრა ჯორს და აყლაყუდა ბლანკო დე ლა პასთან ერთად თოხარიკით მოცოცხა. ოდნავი ღიმილით მისჩერებოდა მათ სერვანტესი. ალიაგას მიერ წარმოთქმულმა კალამ-

---

[1] კ ა ლ ა მ ბ უ რ ი — ორაზროვანი, გონებამახვილი სიტყვა; ზმა.

[2] Serves — ლათინურად ირემს ნიშნავს.

ბურმა მიგელს გაახსენა მის გერბზე გამოხატული ორი ლამაზი ირემი: ერთი მათგანი, თავდახრილი მშვიდობიანად წიწკნიდა ბალახს; მეორე, ყურებდაცქვეტილი და ყელმოღერებული, ფრთხილად ათვალიერებდა არემარეს: მდევარი ხომ არ გვიახლოვდებაო.

სერვანტესის სულიერი ორგანიზმი საუკეთესოდ ეგუებოდა ყოველგვარ ჯანსაღსა და კეთილშობილურს.

უმიზნო უსასოობასა, უსაფუძვლო შიშსა და ძრწოლას ვერ იკარებდა მისი გული. ყველაფერს სიცილით და ლექსებით ამთავრებდა.

განაგრძობდა ოცნებას გერბზე, მაგრამ მისმა ფიქრებმა უფრო მხიარული ელფერი მიიღო:

„მხდალო ირემო, მართლაც იყნოსე რაიმე საფრთხე, თუ რომელიმე მგალობელი ჩიტის სტვენას უსმენ? ჩვენს მძიმე დროში, როცა ადამიანები ვერ ბედავენ ხმამაღლა საუბარს, უსმინე, თუ როგორ სასაცილოდ უსტვენს შაშვი ბერების დანახვისას. ამ დუხჭირ წუთისოფელში, როცა ასობით ჯამილოკია პოეტის უშნო ჩანგი „სულთათანას“ დაქვითინებს, ყური უგდე ბულბულის გალობას, რომელიც სულზე უტკბესი ჰარმონიით ავსებს უძირო ღამის საწყაულს“.

და სტვენა მორთო ბერების ჯიბრზე, თან ფიქრობდა:

„ჩემი სისუსტე იმაშია, რომ გამოვთქვამ ყველაფერს, რაც მაწუხებს, მაგრამ ხელს მიშლის პასუხისმგებლობა ოჯახისადმი. ვალდებული ვარ, ვარჩინო და დავიფარო მთელი ჯალაბი. ვაფურთხებ ალიაგას გესლიან შენიშვნებს, მაგრამ არ მსურს ინკვიზიციის კოცონზე ასვლა. შთამომავლობა ალბათ გასაგებ ენაზე გადათარგმნის ჩემს ორაზროვან სტვენას და შეიგნებს, თუ რა სიბრძნე იფარებოდა მოსაჩვენარ სისულელეთა მიღმა. ბავშვი, — და ვინ არ არის ჩვენს დროში ბავშვი, — ვერავითარ სახიფათოს ვერ დაინახავს ჩემს „დონ კიხოტში“. მას გულღიად გაეცინება საბრალო რაინდის სულელურ ფათერაკებზე, მაგრამ, როცა ბავშვ დავაჟკაცდება. მისი სიცილიც გაიზრდება მასთან ერთად და ეს სიცილი ქარიშხალივით მძაფრად დაიგუგუნებს. ხარხარის საშინელი გრიგალი გააცამტვერებს ამქვეყნად მოდებული შავი ჭირის მიაზმებს და ჰოი, რა მსუბუქი აღმოჩნდებით მაშინ თქვენ, ბერ-მონაზვნებო, ინკვიზიტორებო, მეფენო და მღვდელმთავარნო! ფრთხილო ირმის შვილო, — კვლავ

მიმართა მიგელმა თავის თავს, — შაშვის სტვენაში შენ გესმის ძველი სამყაროს ნგრევის შორეული გუგუნი, ხოლო ბულბულის გალობაში გეზმანება მომავლის გამოცხადება. ეს იქნება ეპოქა, როცა ყველა ქვეყნის მონარქი, ყველა კერპი ერთხელ და სამუდამოდ დაემხობა და სამყარო სხვა სახეს მიიღებს. მრავალ ახლანდელ ავადმყოფობას განკურნავს დრო თავის მსვლელობისას".

ასე გაიტაცა ოცნებამ მომავალზე.

თავაწეული მიაბიჯებდა მტვრიან ბილიკზე. უცბად წაიფორხილა. ფიქრთა დენა გაეფანტა. გზის განაპირას იჯდა ვიღაც დედაბერი. ეძახოდა მიგელს:

— სენიორ, ხომ არ ინებებთ გიმკითხაოთ მომავალზე?

„ჰმ, ესეც მომავალზე მელაპარაკება", — გაივლო გულში სერ ვანტესმა და ოდნავი გულმოსვლით გაეხმაურა:

— უმკითხავე ახალგაზრდებს, მათ წინ უდევთ მთელი მომავალი, ჯერ კიდევ იმედი აქვთ ბედნიერებისა!

— ბედნიერება შესაძლებელია ყოველ ასაკში!

მიგელმა უჩვენა დასახიჩრებული მარცხენა ხელი.

— უმკითხავე იმათ, ვისაც შერჩა ხელი, რომელზეც შეიძლება მომავლის ბედ-იღბლის ამოკითხვა.

— ორივე ხელზე შეიძლება გავიგოთ მომავლის შორეული, გამოუცნობი სახე. მომავლის დანახვა შეიძლება სხვა ნიშნებითაც.

სერვანტესმა ხელი დაიკრა ჭაღალდებით სქლად გატენილ ჩანთაზე:

— უმკითხავე იმათ, ვისაც აქვს ვერცხლის ფული, რითაც შეგიძლია პირჯვრის გადაწერა, სანამ დაიწყებდე ბედ-იღბლის წიგნის ამოკითხვას!

დედაბერი მოიღუშა.

— ნუთუ ესოდენ ღარიბი ხარ? — უკვე „შენობით" მიმართა მიგელს ისე, როგორც მათხოვარს ან ძუნწს მიმართავენ ხოლმე, — თუ ბედავ პირველი დაეჭვდე მოხუც პრესიოზას ჯადოსნურ ხელოვნებაში?

— მოხუც პრესიოზას? — გაოცებით შესძახა მიგელმა და უფრო ყურადღებით აათვალიერა დედაბერი.

სუფთა ქათიბი ემოსა. ტანკენარი იყო, როგორც გვადარამის ფერდობზე ამოსული ლერწამი, სახის სწორი ნაკვთები გაეკეთილ-

შობილებინა უამრავ ნაოჭს. ღიმილის დროს აჩენდა უნაკლოდ შენახულს, თოვლივით სპეტაკ კბილებს. მომხიბვლელი იყო მოხუცი ქალი.

— პრესიოზა, — წარმოთქვა სერვანტესმა, — წმიდა ანას დღესასწაულზე გაგიცანი პირველად. ანაობა გახსოვს? როგორი მომხიბვლელი და ჯადოსანი მოცეკვავე იყავი მაშინ, 1566 წელს. რა ღვთაებრივად მღეროდი რომანსებს, რომლებსაც ვწერდი შენთვის. ახლა კი... მინდა ვიყო მხატვარი, შენგან დავხატავდი წმიდა ანას სახეს...

ხმა აუკანკალდა. მოხუცი ქალის კალთასთან ჩაიჩოქა.

პრესიოზა ხარბად ჩააცქერდა მიგელს თვალებში. სერვანტესი უფრო შეცვლილიყო, ვიდრე ქალი, მიგელის სილამაზე გმირული ციხე-კოშკის ნანგრევებს ჰგავდა. ბოშამ მალე იცნო იგი.

— როგორ მიხარია, რომ ორმოცდაშვიდი წლის განშორების შემდეგ კვლავ მეღირსა ჩემი მიგელ კაბალეროს ხილვა! — თრთოლვით წამოიძახა ბოშამ და მიგელის მარჯვენა ჩაიკრა მკერდში.

შემდეგ გაიქნია თავი და მწუხარე სიცილით თავშეუკავებლად თქვა:

— გამარჯვება, სენიორ სერვანტეს, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა ამ ღია ცის ქვეშ. მიგელ კაბალერო მოკვდა ჩემთვის, ხოლო ორივენი იმ ასაკისა ვართ, კვლავ ვერ აღვადგენთ ერთხელ გარდაცვლილს.

მიუხედავად ამისა, მათ მეხსიერებაში გუშინდელივით აღდგა დრო, როცა ორივენი ახალგაზრდები იყვნენ და წარსული კვლავ ხელმისაწვდომივით ახლობელი გახდა მათთვის.

პრესიოზამ კვლავინდებური ჯადოსნური ღიმილით შეანათა თვალები მიგელს და მოულოდნელად სუსტი, აკანკალებული, მაგრამ მაინც საამო ხმით იმღერა ლექსი, რომელიც ოდესღაც დაუწერა მიგელ კაბალეროს.

სიმღერის დროს უბეში მოძებნა ძველი ქისა, გახსნა და იქიდან ამოიღო ქაღალდის გაყვითლებული ფარატინი.

განაგრძობდა სიმღერას. ქაღალდი სერვანტესს გაუწოდა. მიგელმა ჩამოართვა. ფრთხილად გაშალა, დახედა და ცრემლები მოერია.

„ჩ ე მ ს უ ძ ვ ი რ ფ ა ს ე ს ს“... ძლივს გაარჩია მიმქრალი ნა-

წერი. პრესიოზა მღეროდა ნაზად, ნელი, საამო ხმით, მიგელი აცრემლებული თვალებით ჩასჩერებოდა ორმოცდაშვიდი წლის წინათ დაწერილ სატრფიალო რომანსს...

რამ დამავიწყოს შენი ალერსი...

მღეროდა პრესიოზა და უფრო მაგრად იკრავდა მკერდში სერვანტესის მარჯვენას.

უძვირფასესო, შორეულ მხარეს
შენ მოგიგონებ ტირილით, კვნესით...

წაილუღლუღა მიგელმა და რამდენიმე წყვილი ცრემლი დაეცა გაყვითლებულ ქაღალდს. ნაწერი აირია.

ო, მარგალიტო, არსად, არასდროს
არ დაგივიწყებ ჩემს სიცოცხლეში...

განაგრძობდა პრესიოზა ცრემლნარევი ღიმილით.

— ო, პრესიოზა, უძვირფასესო და ერთადერთო ჩემო სიყრმის მეგობარო, ის ოქრო ვეღარ შევინარჩუნე. შენი ხსოვნა კი მტანჯავდა დიდხანს, თვით ალჟირის ჯურღმულებშიც არ დამვიწყებია შენი ციური სახე.

ქალმა შეწყვიტა სიმღერა და სევდიანად წაიჩურჩულა:

— დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. ჩემმა სილამაზემ მარგუნა რამდენიმე კვირის ბედნიერება და ნახევარი საუკუნის ცრემლი და კაეშანი. ახლა სილამაზე დაჭკნა, მაგრამ გული ისევ ცოცხალია, ახალგაზრდული.

მიგელი გადაეხვია, სურდა ეამბორა მჭკნარ ლოყაზე. პრესიოზა კი ეძებდა მიგელის ბაგეთ. ისიც დაემორჩილა თავისი ძველი სატრფოს სურვილს, მაგრამ ეს იყო და-ძმური კოცნა...

— რამდენიმე საათით ჩემი სტუმარი იქნები. მინდა, დღეს კვლავ გახდე მიგელ კაბალერო და გაიზიარო ჩვენი პურ-მარილი.

მიგელი დაეთანხმა და გაჰყვა პრესიოზას.

გზის გადალმა, ალვის ხეთა ჩეროში, იდგა ბოშების თაბორი. სიამოვნებით მიიღეს სტუმარი.

პრესიოზა ერთადერთი იყო იმ ხალხში, რომელსაც ახსოვდა შორეული დრო, მიგელი რომ დადიოდა მათთან, ხოლო მისი ისტო-

რია ყველამ იცოდა. ახალგაზრდა გოგონებმა ინტერესითა და თანაგრძნობით გადახედეს პრესიოზას, როცა მან განაცხადა:

— მე კვლავ ვიპოვე ჩემი კაბალერო.

— მალე ისევ გაგიფრინდება! — მაცდურად მიუგო თვალუწუნა თხუთმეტი წლის კახიტამ.

— შენი ხნის როცა ვიყავ, შევძელი მისი დაოკება მხოლოდ ერთი თვით, შემდეგ უკუღმართი ბედი გაგვიმასპინძლდა ორივეს... ყველას, საბრალო მამაჩემს, მარკიზმა შური იძია, მამა ჩამოახრჩვეს, ჩვენ უგზო-უკვლოდ მიმოვიფანტენით. მიგელი სადღაც გადაგვეკარგა... ახლა კი კვლავ ვნახე იგი და ჩემია, რამდენიმე საათით მაინც.

პრესიოზამ მიმართა გოგონათა კრებულს:

— ორიოდე წუთით გიტოვებთ ჩემს კაბალეროს, თუ წამართმევთ, მით უარესი თქვენთვის!

ეს წარმოთქვა და სადღაც გაქრა.

სერვანტესი ჩამოჯდა ქვაზე და ირგვლივ მოავლო თვალნი.

ისხდნენ ბოშები, სადილს ელოდებოდნენ. ვეება კოცონი გიზგიზებდა შუაში, სამფეხზე იდგა უზარმაზარი ქვაბი. გარშემო ამართულიყო ალვის ხეები. ზედ მიებათ ჯორები.

პრესიოზა დაბრუნდა. ველურ ყვავილთა მომცრო თაიგული ეპყრა ხელში. სერვანტესს გაუწოდა და თან დაატანა:

— ჩემს გულს კარგი მეხსიერება აქვს!

მიგელმა აიღო თაიგული, შეახო პრესიოზას ბაგეთ, შემდეგ თვით ეამბორა.

ხანდაზმული შემოდგომა იდგა. ყვავილთა ფოთლები დაცვივდა და დაიფერფლა მიგელის ჭაღარა წვერებზე.

პრესიოზამ შენიშნა ეს და სევდიანად ჩაჭინდრა თავი. თვალები დაენამა. მაგრამ სერვანტესი კვლავ ეამბორა სათუთ ღეროებს და წარმოთქვა:

— მადლობას გწირავ, უძვირფასესო! ამ მცირეოდენმა წუთმა რამდენი სიამოვნება მარგუნა! შენთან გატარებულმა ერთმა თვემ ჯადოსნური ნელსურნელებით ამოავსო ჩემი ცხოვრება. ამ შემოდგომის მჭკნარი ყვავილების სახით მივესალმები ჩემს პრესიოზას, ჩემს პირველ სიყვარულს, თქვენს ამხანაგებთან გატარებულ დღეებს, ბოშებო! როგორ ვნანობ ახლა, ბედის უკუღმართობით, გამო-

უცდელობით, სიჭაბუკის გამო ვერ გავხდი ღირსი სამუდამოდ თქვენთან დარჩენისა... თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ, რაც გსურთ, რადგან კმაყოფილდებით იმით, რაცა გაქვთ. თქვენთვის ცნობილია, დედამიწის ზურგის მთელი დოვლათი და სიმდიდრე რომ საერთო უნდა იყოს. თქვენ არ იცნობთ პატივმოყვარეობას, რომელიც სტანჯავს ადამიანს, თქვენთვის უცხოა ზნედაცემულობა და სიმდაბლე, რომელიც გვათახსირებს, პატივს არა სცემთ წმიდა ინკვიზიციის პირსისხლიან ქოფაკებს და კეთილ კათოლიკეთ, რომლებსაც ისე საშინლად უყვართ თავიანთი მოყვასი, რომ მზად არიან ცოცხლად დაწვან კოცონზე, თქვენ ზიზღით შესცქერით სასამართლოსა და კანონს. ამიტომ ყოველთვის მხიარულნი და ხალისიანნი ხართ...

ამ დროს მზარეულმა შესძახა: სადილი მზად არისო.

დასხდნენ, შუაში ჩაისვეს სერვანტესი. ჩამოარიგეს ცხელი წვენით სავსე თეფშები. ნეშოებზე დაახვავეს პურის ნაჭრები, ნიგოზი, ზეთისხილი, ყველი და შაშხი. შეიარაღდნენ დანებით.

ყველა იცინოდა, მღეროდა, მხიარულობდა. ყველაზე მეტად გახალისდა მოხუცი პოეტი. დიდი ხანი იყო არ ესადილა ასე მიგელს. გულწრფელმა მასპინძლობამ აღაფრთოვანა. წელში გასწორდა და ხმას აუმაღლა. მეცხვარეთა სადილზე მიწვეული დონ კიხოტივით მიმართა ბოშებს:

— აი, მუდამ ასე მხიარულობთ. ამიტომაც ხართ მინდორ-ველების, ყანების, ტყეების, მთა-გორების, ანკარა ნაკადულ-წყაროთა და ჩანჩქერ-მდინარეთა მფლობელნი: მთები უსასყიდლოდ გაძლევთ შეშას, ხეები — ხეხილს, ვაზები — ყურძენს, ბოსტანი — მწვანილს, წყარო — წყალს, მდინარენი — თევზს, ტყეები — ნანადირევს, კლდეები — ჩეროს, ხეობები — გრილ ნიავს, მღვიმენი — თავშესაფარს. თქვენთვის ცუდი ტაროსი — ნიავის ნაზი ქროლვაა, თოვლი — იოლი გაგრილება, წვიმა — ბანაობა, ჰექა-ქუხილი — მუსიკა, ელვა—ჩირაღდანი. ცივი მიწა თქვენთვის ბუმბულია, თქვენი სხეულის მოთელილი კანი — ჯავშანი; თქვენს სწრაფ სრბოლას ვერ აოკებენ ხუნდები, ვერ აკავებენ ნარვალები, ვერ შეაჩერებენ ზღუდენი; თქვენ სიმამაცეს ვერ შეარყევს სახრჩობელას გასანთლული თოკი, ვერ შეაძრწუნებს ციხე, განდევნა. საპყრობილეში მღერით, ტანჯვა-წამების დროს კი დუმხართ, არ ემტერებით ერთმანეთს და ურყევად ატარებთ მეგობრობის კანონს. არ დგებით

ცისმარე დღე, სისხამ დილაზე, რათა შეიტანოთ თხოვნები, გაუმასპინძლდეთ დიდებულებს, ქედი მოიხაროთ ინკვიზიტორთა წინაშე, იცოდვილოთ მოწყალებათა მიღებისთვის. თქვენი მოოქრული სარა-სასახლენი — ეს კარვებია და თაბორები; თქვენი სურათები და ფლამანდური ლანდშაფტები მხოლოდ ის, რასაც გაძლევთ თვითონ ბუნება, სალ კლდეებს შორის, თოვლიან მწვერვალებს შორის, ირგვლივ დაფენილ და თქვენს თვალწინ გადაშლილ სათიბთა და უღრანს ტყეში. ერთი სიტყვით, თქვენ ხართ ხალხი, მცხოვრები თავისი შრომით. არ იმეორებთ იმ თქმულებას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენში მცირეოდენთა სიმდიდრეს და მთელი ესპანეთის სიღატაკეს: „სამი გზა არის: ზღვა, სასახლე და ეკლესია“...

— თუკი ისურვებთ ჩვენთან დარჩენას, — წამოიძახა ერთმა მოხუცმა, — სასურველი სტუმარი იქნებით ჩვენი!

მაგრამ სერვანტესმა თავი გადააქნია. პრესიოზამ კი სევდიანად ჩაიცინა:

— პოეტები დაბადებულნი არიან იმისათვის, რომ შეაქონ ყველაფერი კარგი, რაც გაჩენილა ამ ქვეყანაზე, მაგრამ არ იციან იმით სარგებლობა.

სადილი დამთავრდა. ბოშები ნელ-ნელა ტოვებდნენ სუფრას. ძველი მიჯნურები მარტონი დარჩნენ.

— ძალიან შორს მიდიოდი, მიგელ, როცა შეგაჩერე?

— ესკივიასში, არაა შორს!

— „არაა შორს!“ კმაყოფილებით ვხედავ, რომ მოხუც სერვანტესს შერჩენია მაგარი მუხლები, რომლებიც დაატარებდა ოდესღაც ჰაბუკ მიგელ კაბალეროს. პარდო რაღა იქნა, შენი საყვარელი კვიცი?

— პარდოს იმ ნავსიან ღამეს გამოვესალმე. მუხლები ისევ მაგრადა მაქვს, სამაგიეროდ ცალი ხელი შემრჩა მხოლოდ.

— შემოდგომის მზე ადრე ჩადის. ესკივიასი კი შორსაა. ღამით გვიან მოგიხდება ჩასვლა.

— ღამით უფრო იოლია მგზავრობა.

— ნუთუ ასე მოუთმენლად გსურს კვლავ მიმატოვო? გთხოვ, დარჩე ჩემთან ხვალ დილამდე!

— მოხუც ქალებს უარს არ ვეუბნები... შენ კი ისევ შეგრჩე-

ნია ახალგაზრდული ხალისი და მხნეობა, ჩემო უძვირფასესო პრე-
სიოზა!

— მთელი ჩემი ახალგაზრდობა ჩემს გულში ცოცხლობს. შენ კი ყველაზე უფრო გული დაგბერებია.

— უსამართლოდ სჯი, ჰეშმარიტების აღსადგენად უნდა ავას-
რულო ეს შენი თხოვნა!

ისხდნენ კოცონთან, იგონებდნენ ახალგაზრდობას...

...მზე ამობრძანდა. კოცონი ჩაქრა. აქა-იქ კიდევ ციალებდა ღველფში მიმალული ნაპერწკალი.

ორი მოხუცი, მიმჭრალ კოცონთან მდუმარედ მჯდარი, შეხვდა ალიონს.

მხოლოდ მეორე ღამით მიაღწია სერვანტესმა სახლს, რომე-
ლიც მზითვად მიიღო კატალინასგან.

ნამგზავრსა და დაღლილ-დაქანცულს ტანთგაუხდელად მკვდა-
რივით ეძინა მზის პირველი სხივების ამოსვლამდე.

დილას საჩქაროდ წაიბანა ხელ-პირი და მცირე შენაყრების შემდეგ განაგრძო „პერსილესისა და სიგიზმუნდას ვნებანი“. გადა-
იკითხა უკანასკნელი ნაწერი ფურცელი, — ამბავი ჯადოქრობაზე. ეპიზოდი დაამთავრა და ახალი უნდა დაეწყო.

ვერ ბედავდა. თავდახრილი ფურცლავდა ხელნაწერს.

— ინკვიზიციას არ გააჩნია შნო და უნარი — გაიგოს ირონია. თუმცა გონიერება იქნება უფრო ფრთხილად მოვიქცე...

ხალისით მუშაობდა საღამომდის.

ამ თხზულებაში სურდა სერვანტესს გამოეთქვა ყველაფერი. რასაც გრძნობდა და რისი უნარიც შესწევდა.

საღამოს დაუარა ნაცნობებს.

სამიკიტნოს წინ, ჯმუხა მუხის ქვეშ, მაგიდას უსხდა რამდენიმე კაცი.

ერთი მათგანი უმალ წამოდგა და ცნობისმოყვარეობით შეა-
ჩერდა სერვანტესს. მიგელმა იცნო სოფლის დალაქი ტომას ავლა-
დორი.

მიგელი მიიწვიეს. ალერსიანი ღიმილით გაუბრწყინდათ თვა-
ლები.

— სერვანტესს უყვარს ესკივიასი, რადგან აქ ყველაფერი ნამდვილია: ადამიანებიც და ღვინოც! — წამოიძახა დალაქმა.

სერვანტესმა წამოავლო ხელი ღვინით სავსე ჭიქას და შესძახა:

— ვსვამ ესკივიასის სადღეგრძელოს! გაუმარჯოს ესპანეთის დიდებულ ხალხს!

— დღეგრძელობდეს სენიორ სერვანტესი, რომელმაც ასახელა ესკივიასი! — უპასუხა ტომას ავლადორმა.

— მრავალჟამიერ ცხოვრობდეს სერვანტესი, კასტილიური ლიტერატურის მშვენება და სიამაყე! — ერთხმად შესვეს პოეტის სადღეგრძელო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მიკიტანმა მუჯლუგუნი წაჰკრა დალაქს და მანაც თავაზიანად უთხრა პოეტს:

— სენიორ სერვანტეს, თქვენ ცხოვრებაში უფრო მეტი ფათერაკი გადაგხდენიათ თავს, ვიდრე დონ კიხოტს. დაგვდეთ პატივი, გვიამბეთ რომელიმე არაჩვეულებრივი თავგადასავალი.

ყველა დამსწრე ხალისით შეუერთდა დალაქის თხოვნას.

— ფრიად ლმობიერად ეპყრობით მოხუც ჯარისკაცს, — მიუგო პოეტმა. — მას შემდეგ, რაც ჩემი წარსულის შესახებ დავიწყე საუბარი, ისე ვიმეორებ ერთსა და იმავეს,მგონი, ყველაზე მომთმენ ადამიანებსაც კი გამოვუჭედე ყურები.

დალაქმა პროტესტი განუცხადა.

— სერვანტესის სიტყვები იმდენად აღსავსენი არიან შინაარსით, ყოველთვის საამოა მათი მრავალგზის გადაკითხვა.

მიკიტანმა დაუმატა:

— თქვენს ხმაში იგრძნობა მოჩუხჩუხე წყაროს სიახლე.

— ჩემი წყაროს ნაკადულის მჩქეფარება ვერასოდეს გაუტოლდება თქვენი სარდაფების შუმ ღვინოს.

— ჩემს ღვინოს ვაფასებ უმთავრესად იმისათვის, რომ იგი აღძრავს სერვანტესის ენამზეობას.

სერვანტესი დათანხმდა. წარმტაცი ფერებით დახატა იდალგოების ცხოვრება, რომელიც ასე კარგად ნაცნობი იყო მსმენელთათვის. შეეხო თავის ბავშვობას, განსწავლის წლებს, იტალიაში გამგზავრებას და გადავიდა ლეპანტოს ბრძოლის აღწერაზე.

— ლეპანტო! ლეპანტო! — აღტაცებით შესძახა მოხუცმა ჯარისკაცმა, ალჟირის ტყვეობაში ნამყოფმა გაბრიელ კასტანედამ. —

გვიამბეთ ლეპანტოს ბრძოლაზე, რომელმაც მოგვანიჭა ბატონობა ხმელთაშუა ზღვაზე და საქვეყნოდ ასახელა ესპანეთი!

სულგანაბული უსმენდნენ სერვანტესს. ღვინით სავსე ჭიქები განზე გადადგეს.

ძლიერ გვიან დაამთავრა მოთხრობა. გაისმა ტაშის გრიალი. კვლავ გადაჰკრეს მისი სადღეგრძელო...

ერთი კვირის შემდეგ ისევ მადრიდში დაბრუნდა მიგელი.

მარტო არ დავბრუნებულვარო, მიახარა ცოლს. იმედია, კარგ მასპინძლობას გაუწევ ჩვენს სტუმრებსო, და ჩანთიდან ამოიყვანა ორი ჩასუქებული ყვერული.

დალაქს ეძღვნა ესკივიასში.

ყალბი „დონ კიხოტი“

უკანმოუხედავად მიქროდნენ დღეები.

თხუთმეტი თვის განმავლობაში გულქვა სახლის პატრონთა სასტიკმა სიძუნწემ და უსულგულობამ აიძულა გამოჩენილი, მაგრამ გაღატაკებული მოხუცი, სამჯერ გამოეცვალა ბინა.

ლომის ქუჩიდან გადავიდა ბაღის ქუჩაზე, იქიდან კი ჰერცოგ ალბას ქუჩაზე გადაინაცვლა.

ერთი კვირის წინათ სასამართლოს განაჩენით აუწერეს ორიოდე ფეხმოტეხილი სკამი და უსახლკაროდ დატოვეს. იმავე ლომისა და ფრანკის ქუჩების კუთხეში გამონახა პაწაწინა სორო და თავი შეაფარა ოჯახიანად.

მარტო ავეჯი როდი დარჩა ახალი ბინის გარეთ.

იზაბელამ უარი თქვა გაჰყოლოდა მამას.

გაჭირვებამ და ბედშაობამ სასო წარუკვეთა ცქრიალა გოგონას და ტრინიტარელთა მონასტერში დაივანა სამუდამოდ. საყვარელი ასულის „დეზერტირობამ“ თავზარი დასცა მოხუც მამას. მწუხარებამ შური იძია სერვანტესზე. აქამდის ვერ ბედავდა მორევას. სერვანტესი უკვე აჩრდილიღა იყო ადრინდელი ზვიადი ვაჟკაცისა, რომელიც ვერ გატეხა, ვერ მოხარა ურიცხვმა უბედობამ.

მაგრამ დრომ თავისი გაიტანა.

სიკვდილის მსახვრალი ხელი უკვე უახლოვდებოდა.

კიდევ ორიოდე წელი, და ბოლოც მოეღებოდა ტანჯვას!

გაუხსენა ძველებურმა ციებ-ცხელებამ. შემდეგ წყალმანკი გამოაჩნდა. ღამღამობით არ აძლევდა მოსვენებას ერთი ბინიდან მეორეზე გადასვლის საშინელი კოშმარები. ხანდახან მშფოთვარე ძილში ეზმანებოდა ცეცხლის ენათა აბრიალება. ცხვირში უღიტინებდა ადამიანის დახრაკული ხორცის სუნი, ეჩვენებოდა საზეიმო პროცესიები, ესმოდა „სულთათანას“ გალობა. საყდრის მჭადაგებლები ამაყად გაჰყვიროდნენ მედიდურ სიტყვებს. მუხლმოდრეკილი ხალხი ლოცულობდა. ალიაქოთი და გნიასი აყრუებდა ქუჩებს.

მადრიდი ზეიმით ემზადებოდა მორიგი აუტოდაფესთვის.

ამ სანახაობის მოლოდინი უფრო მეტად სტანჯავდა სერვანტესს, ვიდრე პირადი უბედურებანი.

— ნეტავი მარტოკა ვიყო! რად არ ძალმიძს ავმოქმედდე? არ შემეშინდეს, რომ ჩემი საქციელისთვის ჩემს გარდა კიდევ სხვას გატანჯავენ? რატომ არა ვარ რომელიმე ალჟირელი პირატი? როგორ ვიშიშვლებდი მახვილს და დავერეოდი ამ ჯალათ ბერებს! სიამოვნებით ავიდოდი კოცონზე! მაგრამ წმიდა შამები არ კმაყოფილდებიან მარტოოდენ ადამიანის წვალებითა და სიკვდილით. ისინი დაუღალავად დევნიან შთამომავლობასაც, მთელ მოდგმას, ნათესავებს, ნაწერებს. მაშ, დავიხსნათ „დონ კიხოტი“ ამ დამამცირებელი სანახაობიდან, ნუ დავაყენებთ მას უძლეველ ცთუნებათა წინაშე! მოვალეობა იზაბელას, კატალინას, კონსტანცას და ლუიზას მიმართ მაკისრებს გავიქცე აქედან, მხოლოდ გაქცევით ვძლევთ სიყვარულისა თუ სულგრძელობისგან გაგიჟების ზოგიერთ ფორმას.

— წავალ ისევ ესკივიასში და ვსინჯავ ჩემი „დონ კიხოტის“ დამთავრებას, — განუცხადა ერთ დილას კატალინას მიგელმა.

— ჩემო ძვირფასო, — შენიშნა ცოლმა, — როგორ შეიძლებ სიარულს? განა გეყოფა ძალ-ღონე?

— უფრო მეტი ძალ-ღონეა საჭირო აქ დასარჩენად.

— საშინლად ცხელი დღე იქნება.

კატალინამ გამოძებნა მრუდე, მავთულებდაჟანგული, ათასგან დაკერებული ძველი ქოლგა.

გაუბედავად გაუწოდა ქმარს.

— ცოტათი მაინც დაგიფარავს. თუმცა მეტად უმსგავსოა და საძაგელი.

— ადაშიანთა უხამსი ნამოქმედარისა და საქციელის გარდა მზის სხივების ქვეშ ყველაფერი საუცხოოა და ჩინებული.

ათვალიერებდა „დონ კიხოტის“ ხელნაწერს და არჩევდა სხვადასხვა დროს ჩაწერილ შენიშვნებს. ამ დროს მოვიდა ტოლედოს არქიეპისკოპოსის მსახური და მოიტანა ჩვეულებრივი რეალი. მასთან სერვანტესს გადასცა რაღაც პაკეტში გახვეული.

— ჩემი ბატონი ფიქრობს, რომ ეს წიგნი დაგაინტერესებთ, მაგრამ, უდაოა, არ ინებებთ რვა რეალის დახარჯვას მის შესაძენად.

— მართლაც არ ვინებებ, — სიცილით უპასუხა მიგელმა, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ჯიბეში არასოდეს არ ჰქონია ზედმეტი რეალი. — მოახსენეთ მის უწმიდესობას, მივდივარ ესკივიასში და განვაგრძობ „დონ კიხოტს“, რომლის შესახებ ასეთი თავაზიანი დაჟინებით შემეკითხება ხოლმე. გადაეცით: ამ წიგნს გზაში წავიკითხავ. მიყვარს სიარულის დროს წიგნის კითხვა, ჩემთვის მუდამ საამოდ მოსაგონარნი არიან გზაში ისინი, ვისაც პატივსა ვცემ.

ხელნაწერთან ერთად პაკეტი ჩანთაში ჩაიდო და გამოეთხოვა ქალებს. გაურბოდა მადრიდს, სადაც გაფაციცებით ემზადებოდნენ ზეიმისთვის. მოედანზე შეამჩნია მუშები, რომლებიც აგებდნენ ფართო ამფითეატრს აუტოდაფესთვის.

ჩანდა, ისინი არ მუშაობდნენ ძალდატანებით, ანდა ხელფასისთვის, არამედ — სიამოვნებისა და სულის დახსნისთვის. ზოგი გალობდა კიდეც. სხვები გულუბრყვილო, ფანატიკურ აზრებს უზიარებდნენ ერთურთს.

აცხადებდნენ: უკეთუ მასალა არ ეყოფოდათ, ხალისით დაარღვევდნენ საკუთარ სახლებს, რათა დროულად აეგოთ ესტრადები და ეშაფოტები.

სერვანტესმა ფეხს აუჩქარა, მაგრამ გაქცევაშიც არ იყო ხსნა. სიჭაბუკეში მრავალგზის დასწრებია ერეტიკოსთა დაწვის საზეიმო და საშინელ სანახაობას. მოგონებათა ლაშქარი ფეხდაფეხ გამოედევნა ახლაც.

წარმოიდგინა: ერთ-ერთ ეშაფოტზე ამაღლებული, ჯვრით დაგვირგვინებული საკურთხეველი. მარჯვნითა და მარცხნით — ორი კათედრა.

ერთ მათგანზე მღვდლისანაფორიანი მოქადაგე ხოტბას ასხამს

ღვთის მოწყალებას, „ლმობიერი“ ტრიბუნალის გულკეთილობას. მეორე კათედრაზე მდივანი კითხულობს სასიკვდილო განაჩენს. ქვევით — ორი ესტრადა სავსეა მოხელეებით, უფრო ქვემოთ კი, მრგვალი გალერეის გასწვრივ, მრისხანედ აჭოჩრილან ლახტები.

წინა ეშაფოტზე ჩამწკრივებულან სიკვდილმისჯილები. აცვიათ განსაკუთრებულად შეკერილი ყვითელი მაუდის ხატაური ხალათები, ახურავთ მუყაოს მიტრები. კისერზე — თოკი, ხელში — ყვითელი სანთელი. ზოგი დგას. სხვები უმწეოდ დაყრილან გალიაკში.

ასეთ მძიმე მოგონებებში ჩაფლული გასცილდა მადრიდის კედლებს. გავიდა მინდვრებში. აქ კი ხმამაღლა წამოიძახა:

— ვერც ხმლით, ვერც ნებაყოფლობითი მოწამეობით ვერაფერს მოიპოვებ. ისევ სიცილით! სიცილით ნუგეშსა ვცემ, და არავინ იცის, თუ რატომ ვიცინი. მაგრამ ოდესმე, შემდგომ, მიხვდებიან. ჩემი სიცილი ჰგავს თანამედროვე სიტყვის ვიწრო საწყაულში ჩარგულ თესლს, ვინ იცის, იქნებ ხვალ ამ თესლში აღმოჩნდეს რკო, აღმომცენებელი უზარმაზარი მუხისა, რომლის მძლავრი ფესვები იავარყოფენ ვიწრო ჰურჰელს.

კვლავინდებურად ჩვეულებრივი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე. თვალები ცეცხლით აღენთო. მოაგონდა ერთ-ერთი პირველი თავი „დონ კიხოტიდან“, სადაც მოხეტიალე რაინდი ხვდება მურჩიას მიმავალ ტოლედოელ ვაჭრებს და სურს აიძულოს ისინი — ყველას გასაგონად აღიარონ: დედამიწის ზურგზე ყველაზე უმშვენიერესი დედოფალია შეუდარებელი დულსინეა ტობოსელიო.

ნაცნობი ფრაზები დაფდაფთა გრიალივით ჩაესმოდა ყურში. მაგრამ იქნებ შორეულ შთამომავლობას ამოეხსნა გონივრულად ეს გიჟური ზრიალი და ჟღარუნი.

მწერალს ელანდებოდა: მიწისქვეშა ჯურღმულები, პირქუში მწერლები, რომლებიც განუწყვეტლივ წერდნენ დასმენათა ოქმებს. ეზმანებოდა სქელკისრიანი ჯალათები, თავბუა, ღიპიანი ჯაშუში ბერები, სატანჯავი იარაღები, აგიზგიზებული კოცონები...

ირონიული ალეგორია მყუდრო საღამოს ციაგივით აფრქვევდა მკრთალ არილს სერვანტესის ფანტაზიას.

ეჩვენებოდა ხან სანჩოს ღიპიანი ფიგურა და მომღიმარე პირისახე. ხან მთვარესავით მრგვალი ფიზიონომია ალიაგასი და მისი გაბერილი მუცელი.

სიმბოლოები არწივებივით დალივლივებდნენ გარშემო სიცილის ფრთათა ტლაშუნით.

სერვანტესის მდიდარი ფანტაზია ქმნიდა სულ ახალ-ახალ სახეებს.

შეაზარხოშა კომიკურ სურათთა სიუხვემ და ნაირფეროვნებამ.

ხმამაღლა ჩაიკისკისა და ეს კისკისი უცნაურად დაირხა მზისგან დამწვარი მინდვრების მკვდრულს მდუმარებაში.

ფრთხილად მიმოიხედა. შიშობდა: არ შეენიშნა ვინმეს, რომ უნებურად დაარღვია კასტილიელი იდალგოს ზრდილობათა კოდექსი. საბედნიეროდ, გარშემო არავინ ჩანდა.

მალე შემოქმედებითმა აღფრთოვანებამ კვლავ ჩაჰკიდა კლანჭები. გადაავიწყდა დაღლილობა და შიმშილი და ისევ წააქეზა მოუფიქრებელი მოძრაობისათვის. თანდათან აუჩქარა ფეხს. გამოცოცხლდა. მალე მხიარული და მარჯვე ნახტომებით აცეკვდა. კოჭლივით მიკელანობდა შარაზე.

უცბად შეჩერდა და ხმამაღლა წამოიძახა:

— უჩანგო, უგვირგვინო, ულუკმაპუროო დავით? ვის წინაშე აცეკვდი ასე? დაგავიწყდა, განა, რომ წმიდა კიდობნები დიდი ხანია დაცარიელდა?

გამჭრიახი თვალებით გაარჩია, ორი კაცი მისკენ მოისწრაფოდა.

„გახსოვდეს, ირმისშვილო: ინკვიზიციამ ყველა შენი ძმა ჯაშუშად, დამსმენად და მდევნელად გადააქცია. გახსოვდეს: სათნო და კეთილ კათოლიკეთა შორის ყოველთვის ფრთხილად უნდა გეჭიროს ყური“.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იცნო მგზავრები და დამშვიდდა.

— ოო, ესენი პატიოსანი ქურდები ყოფილან, რინკონეტე და კორტადილო,[1] მათთან თავისუფლად შემიძლია მუსაიფი.

გზის გადაღმა იდგა უზარმაზარი მუხა. მიგელი ჩამოჯდა მის ჩეროში.

დაუძახა მგზავრებს. იცნეს. მხიარული ძახილით სწრაფად გამოეშურნენ მისკენ.

— აა, სენიორ სერვანტეს, როგორ ბრძანდებით? როგორ გიკითხოთ, ჩემო ბატონო?

---

[1] „რ ი ნ კ ო ნ ე ტ ე დ ა კ ო რ ტ ა დ ი ლ ო“ — სერვანტესის ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა, სადაც აღწერილია ქ. სევილიის გაიძვერათა ყოფა-ცხოვრება.

— ვისაც სიცილი შეუძლია, ყოველთვის ჯანმრთელია და კარგადაც ცოცხლობს. თქვენ კი, ყმაწვილებო, რასა იქმთ? ხომ კარგად?

— არა გვიშავს, სენიორ. ნება მოგვეცით გვერდში დავუსხდეთ იმ ადამიანს, რომელიც გვიყვარს და გვაფრთოვანებს. მუხის ჩრდილი საკმაოა პოეტისა და ორი ქურდისათვის.

— სწორედ ამიტომ დაგიძახეთ, ჩემო ნორჩო მეგობრებო. თქვენ ისეთივე ყოჩაღი და სახელოვანი ბიჭები დარჩენილხართ, როგორსაც ვიცნობდი ოდესმე. თქვენი სიმპათიური სახეებით გიცანით მხოლოდ.

— შეგვიძლია დავიტრაბახოთ, სრულიადაც არ გამოვცვლილვართ. პარასკევს არც ერთხელ არ მოგვიპარავს, მცირეოდენი ნივთიც კი.

— ჩვენ პატიოსანი ქურდები ვართ, სენიორ. შაბათობით არასოდეს მწოლია გვერდში ქალი, რომელსაც „მარიამის“ წმიდა სახელი ერქმეოდა.

— უეჭველია, ახლა მადრიდს მიისწრაფით, ზეიმზე დასასწრებლად, არა?

— აუტოდაფე ოთხ ბაზრობას უდრის.. ურიცხვი ხალხი მოზღვავდება და ისე გაიტაცებთ ზიმზიმი და სანახაობა, რომ ჯიბეების ამოჭრა და საფულეთა ამოცოცება სულ იოლი საქმე იქნება.

ძველი მეგობრები გაერთვნენ მოგონებებით.

მოიგონეს სევილია, ქურდების ენაზე ბაბილონს უწოდებდნენ ამ ქალაქს მეძაობისა და ზნე-ჩვეულებათა სიწამხდრის გამო. გაიხსენეს იქაური პოლიცია, რომელიც ასე მკაცრად ეპყრობა ერეტიკოსებს და ფრიად ლმობიერია ქურდების მიმართ, უკეთუ ისინი წინასწარ გააფთრხილებდნენ პოლიციას, თქვენს რაიონში ქურდობას არ ჩავიდენთო, თანაც თუ წესიერად შეიტანდნენ სათანადო ბეგარას.

— დიდად მახარებს თქვენთან საუბარი, სენიორ ქურდებო, — განაგრძო სერვანტესმა. — ერთადერთნი ხართ, რომელთაც პატიოსანი აზრები მოგდით თავში.

— „დონ კიხოტი“ ყველაზე საუკეთესოა ჩემს მიერ წაკითხულ წიგნებს შორის. იმ დღეს, როცა მოვახერხე მისი აწაპვნა ერთი აზნაურის ჩანთიდან, ჩავიდინე უდიდესი საქმე, თითქოს ოცდაათი

დუკატი ერთად მეშოვნოს! — მხიარულად წამოიძახა კორტადილომ და დანა გაშალა. მუხის რტო ჩამოტეხა, თავის გასართობად თლა დაუწყო.

— სენიორ ქურდებო, მეტისმეტ სულგრძელობას იჩენთ.

— გარდა ამისა, თქვენ ასე საუცხოოდ აღწერეთ ჩვენი საკუთარი ისტორია. ეს სანაქებო მაგალითია.

— სენიორ სერვანტესი ამ თხზულებების შემდეგ ჩვენი სისხლი და ხორცი გახდა. გამოცდილ ქურდებს მოგვპარა ბევრი სიტყვა, რომელიც ამშვენებს მის „სამოძღვრებო ნოველებს“.

— ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ მოვახერხე მომეპარა ასეთი გამოცდილი ქურდებისთვის.

მეგობრები კიდევ დიდხანს მუსაიფობდნენ. შემდეგ სერვანტესი წამოდგა. მგზავრობა უნდა განეგრძო. უკვე აპირებდნენ გამოსალმებას არაჩვეულებრივი მაღალფარდოვანი ქათინაურებით.

— აი, საკვირველება! — წამოიძახა კორტადილომ, — მაშასადამე, სენიორ პოეტს კიდევ გააჩნია რაიმე მოძრავი ქონება, რომლის მოპარვა შეიძლება!

საუბრის დროს კორტადილოს ჩუმად ამოეცოცებინა პაკეტი მიგელის ჩანთიდან.

— ესაა წიგნი, დღეს რომ გამომიგზავნა მისმა უწმიდესობამ, ტოლედოს არქიეპისკოპოსმა.

— დიდმა ინკვიზიტორმა, — კორტადილომ ცახცახით გადაისახა პირჯვარი, მოწიწებით ემთხვია წიგნს, ქედი მოიდრიკა და დაუბრუნა პატრონს.

სერვანტესმა მოვალეობად ჩათვალა გაეხსნა პაკეტი, რომელმაც მეტად დააინტერესა მისი მეგობრები.

— ვნახოთ, იქნებ ეს წიგნი უსარგებლო არ აღმოჩნდეს თქვენი სულის საცხონებლად...

უეცრად გაფითრდა. ხმამაღლა წამოიყვირა. წიგნის გარეკანზე წაიკითხა სათაური:

„მეორე ტომი გულკეთილ რაინდ დონ კიხოტ ლამანჩელის თავგადასავლისა, რომელშიც აწერილია მისი მესამედ გასვლა ფათერაკების საძებნად. თხზულება უფლებათა კანდიდატის

ქალაქ ტორდესილასის მკვიდრის ალონსო ფერნანდეს დე აველიანედასი“.

კორტადილომ გადაიხარხარა.

— სენიორ პოეტო, მრცხვენია, ღმერთმანი, მეგონა, პირველად მე შევძელი თქვენი გაქურდვა-მეთქი.

რინკონეტემაც დაუმატა:

— ამ უკეთურმა აველიანედამ შეძლო გაექურდა ყველაზე მოხერხებული მპარავი, ის, რომელმაც თავის დროზე ასე ოსტატურად გაქურდა რინკონეტე და კორტადილო...

მეტი აღარაფერი უთქვამთ. მდუმარედ გამოესალმნენ მიგელს.

საშინელი სიცხისაგან დედამიწას ბუღი ასდიოდა.

სერვანტესს იღლიაში ამოეჩარა ქოლგა და ვერ ამჩნევდა პაპანაქებას. აღელვებული, გააფთრებით სინჯავდა არქიეპისკოპოსის მიძღვნილ წიგნს, ათვალიერებდა ყოველი მხრიდან.

ახლა გაახსენდა: ეს იყო მაშინ, როცა ესკივიასიდან დაბრუნდა და დალაქის ნაჩუქარი ყვერულები მოუყვანა კატალინას.

— მაშინ სკივრი გააღო და „დონ-კიხოტის“ ხელნაწერს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამაოდ, არსად ჩანდა.

ქალები განცვიფრებით მისჩერებოდნენ საყვარელ მოხუცს და ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ სად წაიღო ხელნაწერი მიგელმა.

ესკივიასში მხოლოდ „პერსილესი“ წამოიღო. ხომ არ გავგიჟებულვარო, წამოიძახა, აკი სკივრში იყო ჩაკეტილი!

მაშინ ლუიზამ ვერ მოითმინა. მორიდებით მიმართა ძმას:

— გუშინწინ შეგხვდა თუ არა გზაზე მამა ალიაგა?

— მართლაც შევხვდი ამ საძაგელ არსებას, მაგრამ რა საერთო აქვს ჩემს წიგნთან?

ქალები უფრო განცვიფრდნენ, თითქმის აღშფოთდნენ.

კატალინამ უკმეხად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისროლა:

— განა არ დააბარე ბერს შენთვის მოეტანა „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილის ხელნაწერი?

მიგელს პირკატა ეცა. თავი ჩაქინდრა...

ამ დროს კარებზე დააკაკუნეს. ალიაგას მსახურმა პაკეტით რაღაც მოუტანა. სერვანტესმა გამოგლიჯა პაკეტი და გაფაციცებით

გახსნა. ეს იყო ხელნაწერი, გეგმა და შენიშვნები, — ყველაფერი, რაც გააკეთა „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილისთვის.

მაშინ პოეტი დიდხანს იდგა ჩაფიქრებული. ვერ გაეგო, თუ რისთვის დასჭირდა ალიაგას ასეთი ოინი.

ახლა კი მოაგონდა ეს ამბავი და მიხვდა.

გაიძვერა ალიაგას მაშინდელი ოინბაზობა ფარდას ხდიდა აველიანედას ფსევდონიმს. მაგრამ რა მიზანი ჰქონდა ლიტერატურულ ქურდს? სერვანტესმა აათვალიერა ყალბი „დონ კიხოტის“ შესავალი და სიბრაზის ალმური მოედვა სახეზე, როცა ესოდენ შეურაცხმყოფელი სიტყვების ნიაღვარს მოჰკრა თვალი.

აღმაშფოთებელი იყო ნაწერის ტონი. თავხედური, მკაცრი გამოთქმებით აველიანედა მოაგონებდა სერვანტესს, თუ რა ხშირად იჯდა ეს უკანასკნელი ციხეებში; ბრალს სდებდა, საპატიმროს ჯურღმულში გადაეჩვია კარგ საზოგადოებასო. დასცინოდა რომანისტს, რომელსაც არც ერთი ნამდვილი მეგობარი და მფარველი არ გააჩნდა წარჩინებულ ბატონთა შორის; დასცინოდა მოხუცის ჭაღარას, უამრავი ბრძოლის ხეიბრის უბადრუკობას. მთელი თხზულება მუხანათური სიძულვილისა და საზიზღარი შურისძიების ნაყოფი იყო.

კარგად იცოდა სერვანტესმა: ალიაგას მხოლოდ კალამი ეჭირა ხელში. მაგრამ რამდენი იყო წამქეზებელი, შემაგულიანებელი, მასალის მიმცემი. ასე თუ ისე, ამ უკეთური მჯღაბნელის ლაქია თანამშრომლები იყვნენ: ყიამყრალი დოქტორი ბლანკო დე პასი — სერვანტესის დაუძინებელი მტერი ჯერ კიდევ ალჟირის ტყვეობიდან, ფილიპე მეორის მოძღვარი ლუის დე ალიაგა, მწერალი ანდრეს პერესი, ხარბი დე ვეგა, ბართლომე არხენსოლე, ოდესღაც სერვანტესის მიერ შეურაცხყოფილი პოეტის ძმა, და მრავალი სხვა ავსიტყვა, ჯამილოკია მწერლუკანა.

ფურცლავდა წიგნს, დროდადრო უხმოდ ჩაიქირქილებდა. თითქოს ხედავდა დიდი ხნის წინათ ნაცნობ სახეებს შენიღბულთა ხროვაში. დონ კიხოტის მომხიბვლელი სახე დაემახინჯებინა ცრუპენტელა აველიანედას. ამან საშინლად გაკენწლა მიგელის გული. უნამუსო გამგრძელებელს მახვილგონიერი, კეთილშობილი რაინდისათვის წაერთმია ყოველგვარი მახვილგონიერება და კეთილშობილება. მწუხარე სახის რაინდი გადაქცეულიყო ჩვეულებრივი ჭკუა-

დამთხვეულობისა და უმსგავსო სილენჩის უგვან ნარევად. ეს იყო საგიჟეთის ყველაზე ჩვეულებრივი ბინადარი, რომელსაც არ შეეძლო რაიმე სასარგებლო გაკვეთილის მიცემა მკითხველისათვის.

აველიანედას ვერ გაეგო მთელი ის სულგრძელობა, გულკეთილობა და ორიგინალობა, რაც მოსდგამდა დონ კიხოტის სიგიჟეს. დომინიკელი ბერის მიერ დაწერილი წიგნის გმირი ისევე საზიზღარი იყო, როგორი საზიზღარიც შეიძლება იყოს თვით დომინიკელი ბერი.

რაღა დარჩა ამ ჯადოსნური და მომხიბვლელი გიჟისგან, რომლის გონებაში სხივები და ჩრდილები ასე დაჟინებით რიალებდნენ, რომლის ტვინს მხოლოდ ორ-სამ ადგილას ოდნავ მინანებოდა აწყვეტილი ფანტაზიის ჰაეროვანი თათი? რაღა დარჩა გმირიდან, რომელიც ვაჟკაცურად გადაეშვებოდა მედგარ ბრძოლებში თავისი პოეტური ზმანებით წაქეზებული, რომლის გაქანებული ოცნებაც ირაოს ჰკრავდა ცის კამარაში და იქ დანავარდობდა ლაღი, გიჟმაჟი!

მის ნაცვლად აველიანედამ ასპარეზზე გამოიყვანა მძიმე, მოუხეშავი, ხეპრე, საცოდავი, დორბლიანი, ავადმყოფი ხეიბარი, რომლისთვის უცხო ყოფა თავისუფლებისთვის, უკეთესი მერმისისთვის, ბრძოლა, სწავლა-მეცნიერება და შებრალება, — ის რეგვენი და გამოტვინებული გახლდათ მხოლოდ.

სერვანტესმა უეცრად შეჰყვირა სიბრაზისგან; დონ კიხოტი დულსინეა ტობოსელის სიყვარულსაც კი უარყოფდა...

დახურა სქელი წიგნი. აიჩეჩა მხრები. თავი გადააქნია.

ძლივსღა მიჩოჩავდა სიბერის ტვირთით და უკურნებელი სენით დაუძლურებული.

ბინდდებოდა, როცა ესკივიასში შევიდა.

გააღო ქოხის კარები. თაფლის სანთლის ლიფლიფა შუქზე მთელი ღამე წერდა დონ კიხოტისა და სანჩო პანსას თავგადასავლებს, ერთადერთ ჰეშმარიტ ფათერაკებს. ეს ამბები უფრო ნამდვილი და მართალი იყო, ვიდრე იმპერატორ კარლოს V-ის უსარგებლო ლაშქრობანი და მისი შვილისა და მემკვიდრის — მეფე ფილიპე II-ის ლაჩრული დიპლომატიური არამზადობა და ვერაგობა.

გათენდა. სოფელმა გაიღვიძა. სერვანტესი იჯდა, თავაუღებლივ წერდა.

პატარა სახლში, რომელიც ოდესღაც კატალინას მამას ეკუთვ-

ნოდა, არც ერთი სკამი აღარ დარჩა, ახლა ღია სარკმელთან მიმჯდარი წერდა.

სამუშაოზე მიმავალი გლეხები სალამს აძლევდნენ. თავაზიანად უპასუხებდა

წერდა და წერდა. ორმოცდამეცამეტე თავიდან სერვანტესმა რამდენჯერმე გაუსწორა ანგარიში აველიანედას, მწვავედ გააკრიტიკა და გაათახსირა იგი.

ესკივიასში სურდა წიგნის დამთავრება.

მკაცრად გაანაწილა სამუშაო დრო.

მთელი დღე მუშაობდა უზმად. მხოლოდ საღამოობით დადიოდა სტუმრად მეგობრებთან. უკითხავდა მათ „დონ კიხოტის“ უკანასკნელ თავებს. ესაუბრებოდა დარბაისლურად.

წაუკითხა აველიანედას „დონ კიხოტიც“. მსმენელები აღშფოთდნენ.

— არამზადა! გარეწარი!

გაისმა აველიანედას მისამართით.

სერვანტესმა კი მხიარულად წამოიძახა:

— მიუხედავად ყოვლისა, უნდა ვუმადლოდე აველიანედას. მისი დეზების ჩხვლეტამ აგვამოძრავა როსინანტი და მე. აი ავთოხარიკდით და, მგონი, ფიცხლად გავჭენდეთ კიდეც. ამ დღეებში დავამთავრებ ჩემს საყვარელ წიგნს.

გაისმა ტაშის გრიალი. ისევ გამხიარულდნენ, რადგან, მათი აზრით, ნამდვილი დონ კიხოტ ლამანჩელი სახელოვანი, ღვაწლმოსილი, გონიერი, შეყვარებული, ბოროტის დამთრგუნველი, მცირეწლოვანთა და ქვრივ-ობოლთა მფარველი და ქალწულთა ოცნება ის იყო, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი ფიქრთამპყრობელი ჰყავდა — უბადლო დულსინეა ტობოსელი; ხოლო ნამდვილი სანჩო პანსა ის იყო, ვინაც იმდენი მახვილგონივრული ხუმრობა იცოდა და იმდენ ანდაზასა ჰკინძავდა და აბნევდა, რამდენიც ღრუბელში წვიმის წვეთია. ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო სხვა დონ კიხოტი, და ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო სხვა სანჩო პანსა, მხოლოდ მოჩმახული ჭორი და მარტოოდენ ლაყბობა იქნებოდა. ცრუპენტელა აველიანედას აზრად ჰქონდა, ცუდი დონ კიხოტით სახელი გაეტეხა ავტორისათვის, მაგრამ იგი ხშირად იბნეოდა, თვით არსებითს საგანში ცდებოდა და ჭეშმარიტებას შორდებოდა. მრავალ ამბავში

ცრუობდა და ცილს სწამებდა დონ კიხოტსა და სანჩო პანსას.

არც ერთი დუქანი, ბანკი, სასტუმრო, სახამრო ანუ სადალაქო და ფუნდუკი არ დარჩენილა, რომ დონ კიხოტსა და სანჩო პანსას სახელოვანი საქმეების ისტორიიდან ამოღებული სურათებით არ ყოფილიყო აჭრელებული, ხოლო თავხედ აველიანედას ცრუ გმირთა ყალბი და მოჭორილი თავგადასავლების კითხვით მაშინაც არავის შეუწუხებია თავი და არც შემდეგ მოჰგონებია ვინმეს მათი ავტორი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი დღესაც უცნობია...

ესკივიასელ მეგობრებს უკითხავდა მიგელი ყველა თხზულებას, აცნობდა გეგმებს. ეს იყო „პერსილესი“, „გალატეას“ მეორე ნაწილი, „კვირები ბაღში“, „მხედველობის შეცდომა“, „ქებული ბერნანდო“ და სხვ. ყველა ამათგან სიკვდილის შემდეგ გამოვიდა მხოლოდ „პერსილესისა და სიგიზმუნდას ვნებანი“, დანარჩენთა ხელნაწერები დაკარგულია.

იმ ხანებში სერვანტესი გახდა ფრანსისკო დე სილვას მიერ დაარსებული აკადემიის წევრი. 1613 წლის ივლისში იტალიიდან გრაფი ლემოსის მიერ გამოგზავნილი დახმარებით გამოქვეყნდა მისი „სამოძღვრებო ნოველები“ (12 ნოველა), რომელიც სერვანტესის ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია. ოცდაათი წლის განმავლობაში წერდა იგი ნოველებს. „დონ კიხოტის“ შემდეგ არც ერთ მის წიგნს ამდენი მკითხველი არ ჰყოლია. „ჩვენი ესპანელი ბოკაჩო“, — ასე უწოდა სერვანტესს ამ შესანიშნავი მოთხრობებისა და ამბების გამოქვეყნების შემდეგ გამოჩენილმა ესპანელმა დრამატურგმა ტირსო დე მოლინამ.

ნოველები სრულიად ორიგინალურნი არიან. ესაა ესპანელი ხალხის ყველა ფენის ცხოვრების ჰუმორით აღსავსე სურათები, თავადაზნაურთა კარმიდამოები, ქალაქის ავკაცთა საკრებულოები. ლირიკული სამიჯნურო თავგადასავლები. პირადად განცდილი ამბები, ასახული დიდი რეალისტის მიერ მთელი თავისი ნაირფეროვნებითა და სინატიფით. ამ უბადლო წიგნმა დღემდე შეინარჩუნა მარად უჭკნობი სიახლე და თავიდან ბოლომდე შეუსუსტებელი ინტერესით იკითხება.

1614 წელს გამოცემულ სატირულ პოემაში — „მოგზაურობა პარნასზე“ სერვანტესმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ინკვიზიციისა და აბსოლუტური მონარქიის მეხოტბე მწერლობას, ხალ-

ხისათვის მავნე მწერლობას და ამოცანად დაისახა, ეჩვენებინა იმ მწერლობის მთელი არარაობა და უბადრუკობა, რომელიც ძლიერ შორს დგას სინამდვილისაგან. პოეტი სასტიკად ჰკიცხავს და ამათრახებს იმ ქიმერულ მწერლობას, რომელიც აბნელებს ხალხთა მასების შეგნებას და ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ ამქვეყნად ყველაფერი კარგია, ყველაფერი გამართლებულია.

საერთოდ, ამ წლებში სერვანტესის ცხოვრება დედაქალაქში იყო ერთი განუწყვეტელი ბრძოლა ამ უმაქნისი მწერლობისა და ცუდად ორგანიზებული საზოგადოების წინააღმდეგ. ის აკრიტიკებს თეატრს და მის წინააღმდეგ ამხედრდნენ დრამატურგები ლოპე დე ვეგას მეთაურობით; აკრიტიკებს პოეზიას და მას ზიზღითა და მძულვარებით იხსენიებენ სამეფო კარის დაქირავებული პოეტები. მათ ეჩოთირებოდათ სერვანტესის დამოუკიდებელი ლიტერატურული და პოლიტიკური შეხედულებები და ამასთან შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, რადგან სერვანტესმა ბევრჯერ, პირდაპირ თუ მოიარებით, ქება-დიდებით როდი მოიხსენია ისინი თავის თხზულებებში. მაგრამ, რადგან ავტორის სატირა მიმართული იყო არა მარტო ცალკე მწერლების, არამედ საერთოდ ახალი მოდური მიმართულების წინააღმდეგ ლიტერატურაში, შეურაცხყოფილი აღმოჩნდა ყველა: დიდი ლოპე დე ვეგაც და სულ მცირენიც, — უნიჭონი და ნაკლებად ცნობილნიც. ეს აღშფოთება და გულისწყრომა შემდეგ აშკარა მტრობაში გადავიდა და სერვანტესი სიკვდილამდე ამ მტრული განწყობილების მსხვერპლი იყო.

ლოპე დე ვეგას კერძო მიწერ-მოწერაში ჩანს მისი ფარული სიძულვილი სერვანტესისადმი. მას ახალი ლიტერატურული სკოლის მეთაურად მიაჩნდა თავი და ვერ ეპატიებინა სერვანტესისათვის ის, რომ ეს უკანასკნელი მკაცრად აკრიტიკებდა მრავალ მის თხზულებას, თუმცა ამავე დროს სამართლიანად აფასებდა ლოპე დე ვეგას ნიჭსა და შემოქმედებას. ესპანეთის მწერლობის ეს ორი დამამშვენებელი, ორ სხვადასხვა პოლუსზე იდგა: სერვანტესი იყო ლეპანტოს სახელოვანი ბრძოლის გმირული მონაწილე; ლოპე დე ვეგა კი ახლდა უბადრუკ „უძლეველ არმადას"; სერვანტესი ღრმად თანაუგრძნობდა სხვა ხალხებთან ესპანეთის შეკავშირებას და ამაში ხედავდა თავისი სამშობლოს უდიდეს სარგებლობას; ლოპე დე ვეგა კი, პირიქით, რამდენადაც შეეძლო, ხელს უწყობდა ესპანელთა კო-

მიკურ ამპარტავნობას, მის განკერძოებას. იგი როდი თაკილობდა ინკვიზიტორის როლს და აქტიურად მონაწილეობდა კიდეც ერთი ფრანცისკელი ბერის დაწვაში. სერვანტესი კი მთელი ცხოვრების მანძილზე ყოველთვის შეუპოვრად იცავდა სიმართლეს, ადამიანურ ღირსებას და მუდამ ქადაგებდა კაცთმოყვარეობას. ჯერ კიდევ ინკვიზიციის უდიდეს თაყვანისმცემელ ფილიპე მეორის დროს „ალჟირის ზნე-ჩვეულებებში“ იგი ვაჟკაცურად მოუწოდებდა: „ძირს აუტოდაფე!“

ლოპე დე ვეგა არასოდეს არ აძლევდა მოსვენებას თავის მეტოქეს და, სადაც კი შეეძლო, ამხედრებდა მის წინააღმდეგ უნიჭო მწერალთაგან შემდგარ თავის მრავალრიცხოვან ამალას. სერვანტესს სდევნიდნენ, ათასგვარ ცილს სწამებდნენ, ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ, მაგრამ ვერაფერი აოკებდა გენიალურ მოხუცს. ის თამამად გამოთქვამდა გონივრულ და მართალ შეხედულებებს, მარჯვედ ეწეოდა დაუნდობელ ბრძოლას ყოველგვარი ხელოვნურობისა და ცრუ, ყალბი მწერლობის წინააღმდეგ, სიმართლისა და სისადავისათვის, ხელოვნების აღმზრდელობითი როლისათვის. მშიერ-მწყურვალი დიდის ჯაფით განაგრძობდა „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილს.

მზის მოლოდინში

სერვანტესმა მეორეჯერ დაკარგა საყვარელი ასული.

იზაბელა ხომ ნებაყოფლობით ცოცხლად დაიმარხა მონასტრის სენაკში. მცირე ავადმყოფობის შემდეგ სამარადჟამოდ გადასახლდა კიდევ უფრო ვიწრო საკანში — ცივსა და მყუდრო სამარეში იპოკა საუკუნო სავანე.

პოეტი გრძნობდა მიხრწნილების მოახლოებას. მისი ცხოვრება — მიჯრითი ბრძოლა დიდი და მცირე მტრების წინააღმდეგ — დასასრულს უახლოვდებოდა. მხოლოდ ნებისყოფის უაღრესი დაძაბვით ინარჩუნებდა მხნეობას. გრძნობდა, დიდხანს როდი გაგრძელდებოდა ასე. თავზარს სცემდა ფიქრი: ვაითუ „პერსილესის“ დაუმთავრებლად დავლიო სული. მაგრამ პოეტი ფარავდა დარდს. ბაგეებზე კვლავინდებურად ხშირად დასთამაშებდა ღიმილი. ეს იყო ნიღაბი. ძლივსღა მუშაობდა.

მესტამბე ვილაროელის მიერ თექვსმეტი პიესის გამოცემამ და „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილის წარმატებამ ოდნავ სული მოუთქვა სერვანტესს და გამოაცოცხლა.

სამარის კარებთან მდგარი მოხუცი აღტყინებით და აჩქარებით წერდა რომანს.

„პერსილესი“ „დონ კიხოტზე“ მაღალი ღირსების ეგონა და გულუბრყვილოდ ფიქრობდა: ეს რომანი უზრუნველყოფს დაქვრივებულ კატალინას ცხოვრებასო.

წერისაგან მოღლილი ხშირად ესტუმრებოდა სამიკიტნოს და იქ ისვენებდა.

ადრინდელი ენამზიანობით უამბობდა მეგობრებს წარმტაც თავგადასავლებს, მწარედ მოსაგონარ ეპიზოდებს თავისი ბედუკუღმართი ცხოვრებიდან.

ერთ დღეს, როგორც ყოველთვის, სერვანტესი წერდა ფანჯარასთან მიმჯდარი.

მოულოდნელად მოესმა ძახილი. გაუკვირდა: ესკივიასის კეთილი ბინადრები იშვიათად აწუხებდნენ მუშაობისას. ვიღაც სხვა იქნებაო, იფიქრა.

საჩქაროდ გააღო კარები. კატალინასაგან ბარათის მომტანი ეგონა.

კარაპინზე იდგა მაღალი, უცხო ჭაბუკი, თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა. სასიამოვნო ხმით წამოიწყო:

— სენიორ, მოვედი მადრიდიდან ესპანეთის მწერალთა მეფის სანახავად და, თუ კადნიერებად არ ჩამეთვლება, მსურს ვისაუბრო მასთან რამდენიმე ხანს.

მიგელმა ოთახში მიიპატიჟა უცნობი. შესთავაზა სელი და მიმართა:

— პოეტი ბრძანდებით?

— ძალიან მინდოდა ასეთად ყოფნა, სენიორ, მაგრამ ვინ გაკადნიერდება თქვენთან ყოფნისას მიითვისოს ეს სახელოვანი ტიტული. ბავშვი ვარ, რომელიც ქედს იდრეკს თქვენს წინაშე. თქვენი ხელოვნებისა და ოსტატობის ხერხთა შემსწავლელი ქარგალი ვარ მხოლოდ.

— თქვენი თავმდაბლობა, — წარმოთქვა სერვანტესმა, — ზედმეტად ამკობს ისედაც შემკულს, არაჩვეულებრივად ლამაზს, საუ-

ცხოლდ, ზვიადად ნატიფ შუბლს თქვენსას. იგი ჰგავს მინდვრის ვარდ-ყვავილებისაგან დაწნულ გვირგვინს თქვენს თავზე, რადგან უთუოდ იცით, ჩემო ნორჩო მეგობარო, რომ სილამაზით მეტოქეობას გაუწევთ ყველაზე მომხიბვლელ ტურფა ასულს. ძველს საბერძნეთში რომ დაბადებულიყავით, პოეტები სამიჯნურო ლექსებს შეთხზავდნენ თქვენს სადიდებლად, ხალხი კი მოედანზე დაგიდგამდათ ქანდაკებას.

უცნობმა ფრიად სერიოზულად უპასუხა:

— ვეტრფი ნაგვიანებ სილამაზეს, როცა გარეგნობა ღაღადებს ადამიანის შინაგან ღირსებასა და შინაარსზე, როცა სულს საკმაო დრო ჰქონდა კვალი დაეჩინა სახის ნაკვთათვის.

— ო, პოეტო! — შესძახა სერვანტესმა, — არა მარტო შენი შუბლია ლამაზი და საუცხოოდ ნატიფი, კიდევ უფრო მშვენიერია აზრთა როკვა. მარტო შენი ხმა როდია ჟღეროვანი და მომხიბვლელი, თვით შენი სიტყვების შინაარსში ხმიანობს უცხო მელოდია. ასევე ლამაზი და მომხიბვლელი უნდა იყოს შენი ნაწერიც. ალბათ, უკვე დაგიწერია ლექსი, რომანი ან პიესა... თუ მწერლობას ჩემობ, მუდამ გახსოვდეს: ამისთვის არაა საჭირო სამოწყალოდ დაეძებდე ფილოსოფოსებისაგან — სიბრძნეს, ღვთისმეტყველთაგან — დარიგებებს, პოეტებისაგან — ზღაპრულ ოცნებებს, რიტორებისაგან — მშვერმეტყველებას და წმიდანებისაგან — სასწაულებს; ეცადე მხოლოდ, რომ შენი აზრი ცხადად და წრფელი, გასაგები სიტყვით გამოთქვა, რომ ამბავი გასართობი და კილოჟღეროვანი გამოვიდეს და სავსებით გამოხატო, რაც შენს ოცნება-გამოხატულებას წარმოუდგენია; ეცადე, აზრები ერთმანეთში არ არიო და არ დახლართო; ეცადე აგრეთვე, შენს ამბავს მხიარული ხასიათი მისცე, რომ გულჩათხრობილი კაცი გააცინოს, მხიარული ჩვეულებრივზე მოშეტებით ახარხაროს, უბრალო ადამიანს თავი არ მოაბეზროს, გამოცდილი შენმა ხელოვნებამ გააკვირვოს, დარბაისელმა იგი არ აითვალწუნოს, ბრძენსაც შენი ქება ათქმევინოს. მუდამ ისა გქონდეს აზრად — ძირს დასცე უზარმაზარი ფუტურო მანქანები, ახლანდელ მჯღაბნელებს მწერლობა რომ ჰგონიათ. ეს მოახერხე და შენს ფრიად საქებარ მიზანს მიაღწევ.

უცნობს სახე წამოუწითლდა.

სერვანტესმა შეამჩნია: ქათინაურები ემძიმებოდა ჰაბუკს.

— დაგიწერია თუ არა ჯერ რამე?

— სამწუხაროდ, ვეკუთვნი ადრეულთა ჯიშს. ორი წლის წინათ შევთხზე სონეტი, რომელსაც ძლიერ ბევრი აქებდა უდიდესი ლმობიერებით. შემდეგ გავკადნიერდი და თეატრში დავდგი ორი კომედია, რასაც გულკეთილი ხალხი ტაშის ცემით შეხვდა. ამის შემდეგ კიდევ დავწერე რამდენიმე კომედია. თუ გაზაფხულის თრთვილმა არ დააზრო ნორჩი ყვავილები და უნაყოფო არ გახადა ხე, რომელმაც არ იცის, თუ რა არის მოთმინება...

— მაშასადამე, თქვენი გადაწყვეტილებაა, უმთავრესად თეატრს ემსახუროთ?

— დიახ, ჩემო ბატონო!

— მაშინ უნდა მიგემართათ ლოპე დე ვეგასათვის. მას ხომ უჭირავს სკიპტრა თეატრალური სცენის სამფლობელოში!

— ლოპე დე ვეგა! — ყმაწვილმა მხრები აიჩეჩა. — მზად ვარ ლოპე დე ვეგას ყველა ჩემთვის ცნობილი თხზულება გავცვალო მარტო ერთ თქვენს „ნუმანსიაზე“, ანდა „ბეღნიერ გაიძვერაზე“...

არაჩვეულებრივად ასიამოვნეს ამ სიტყვებმა მოხუცი, მაგრამ შენიშნა:

— ლოპე დე ვეგა და მისი მაქებარნი ჩემს პიესებში ვერ პოულობენ ვერავითარ ღირსებას და ფიქრობენ, რომ არ უნდა ვწერდე თეატრისათვის.

დიდხანს საუბრობდნენ ასე, ბოლოს მოხუცი შეეკითხა:

— შვილო ჩემო, რა გქვიან შენ?

— კალდერონი.

ეს იყო პედრო კალდერონი, შემდეგ ესპანეთის უდიდესი დრამატურგი, რომელმაც დაწერა საქვეყნოდ სახელგანთქმული პიესები: „ცხოვრება სიზმარია“, „მედგარი უფლისწული“ და ბრავალი სხვა.

სერვანტესი ამთავრებდა „პერსილესს“.

„პერსილესი და სიგიზმუნდას ვნებანი“ პროზად დაწერილი ეპიკური პოემაა.

პოემა მიძღვნილია შენდობის იდეისადმი.

სერვანტესი წერდა პოლონელი რაინდის ისტორიას, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენდა მთელი რომანის ზნეობრივ ცენტრს...

...ერთხელ ლისაბონში ახალგაზრდა პოლონელი შეხვდა ვიღაც უცნობს, რომელიც უხეშად დაეჯახა მას. დაშნები იშიშვლეს. პოლონელს შემოაკვდა მოწინააღმდეგე. მკვლელს გამოედევნენ ალგვასილები. პოლონელი შევარდა პირველსავე კარებში.

კუნაპეტ ღამეში ძლივს იგნებდა გზას და, ბოლოს, საშინელ წყვდიადში დაინახა ვიღაც. გაანდო, თუ რა საფრთხე მოელოდა. უპასუხა მოხუცი ქალის ხმამ და უჩინარმა ხელმა კედელში დატანებულ საიდუმლო საფარში დამალა დევნილი.

მალე გამოჩნდა მსახური ანთებული ლამპრით.

— ქალბატონო, — ამბობს მსახური, მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით, — ეს-ეს არის მოჰკლეს თქვენი შვილი, პოლიცია ფიქრობს, მკვლელი თქვენს ბინაში იმალებაო.

ალგვასილებიც მოვიდნენ.

დედაბერმა განუცხადა მათ, არავინ დამინახავსო, და დაარიგა შემდეგი სიტყვებით:

— ღმერთმა ინებოს, ვერავინ დაიჭიროთ, შვილებო, რადგან ერთის სიკვდილს ვერ გამოასწორებთ მეორის დაღუპვით.

საფრთხემ განვლო. კეთილშობილმა ქალმა გამოიყვანა უცნობი სამალავიდან:

— მინდა ჩემი შურისძიება დააცხროს ჩემმა საკუთარმა სიტყვებმა... დაიფარე სახე, შვილო, იქნებ ვეღარ მოვითმინო და შეგხედო, მხოლოდ არ მინდა გიცნობდე შენ, ჩემი შვილის მკვლელს.

და უვნებლად გაუშვა.

პოლონელი მშვიდობით გადარჩა ხიფათს. ინდოეთს გაემგზავრა. რამდენიმე წლის შემდეგ გამდიდრებული დაბრუნდა.

ქალაქ ტალავერის სასტუმროში, სადაც ღამეს ათევდნენ მოჯაზაურები, გაიცნო „მაისის დღესავით მხიარული, გაზაფხულის ყვავილივით სურნელოვანი და ქორფა“, კალმით აუწერელი მშვენების გოგონა... ითხოვა ცოლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ უმადური ქალი გაექცა ქმარს. მთელი ავლა-დიდება მოჰპარა.

პოლონელი გაემართა გაქცეული ცოლისა და მისი შემცდენის საძებრად. საშინელ შურისძიებას ამზადებდა მათთვის.

საბედნიეროდ, გზაზე შეხვდა რაინდ პერსილესს, რომელსაც

დევიზად შებრალება და პატიება ჰქონდა არჩეული. პოლონელმა მოუთხრო თავგადასავალი.

იმ სულგრძელი დედის გულისათვის, რომელმაც აპატია და შეუნდო შვილის მკვლელს, რაინდი არწმუნებს შეურაცხყოფილ ქმარს, უარი თქვას საშინელ გეგმებზე...

მიგელმა შუა აპრილში დაამთავრა „პერსილესისა და სიგიზმუნდას ვნებანი“.[1] დაძაბულმა შრომამ და მძიმე ავადმყოფობამ საშინლად მოქანცა. უკანასკნელი სტრიქონი დაწერა და ჩაილაპარაკა: წიგნი და მისი ავტორი ერთსა და იმავე დროს მთავრდებიანო.

ნათესავებსა და ახლობლებს შორის სურდა სიკვდილი.

დალაქი ტომასი და მოხუცი ჯარისკაცი გაბრიელ კასტანედა მადრიდს მიდიოდნენ.

ავადმყოფმა ისარგებლა ამ შემთხვევით. . .

უკანასკნელად გამოეთხოვა კოხტა და ლამაზ ესკივიასს და გაჰყვა მეგობრებს. გაზაფხულის სუფთა ჰაერმა გამოაცოცხლა.

ყოჩაღად მიათოხარიკებდა ჯორს. საუცხოო გუნებაზე იყო.

„ირმისშვილო, — იმეორებდა გულში, — ისარგებლე უკანასკნელი შემთხვევით, იყნოსე სურნელოვან ყვავილთა ფშვენა, ყური უგდე ანკარა ნაკადულების ჩხრიალს, უბეში ჩაიხუტე მობიბინე ბალახი. სიხარული შემალულა ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნჭულში. გაფურჩქვნილი ია-ვარდების რა თაიგულებმა შეამკეს დღე, როცა დაამთავრე „პერსილესი“, ყველაზე სასარგებლო და, ახლო მომავალში, თუკი ქვეყნად არსებობს რამე სამართლიანობა, ყველაზე სახელგანთქმული შენი წიგნი!“

ტკბებოდა ბუნების სიმშვენიერით. ახარებდა გულითადი საუბარი მეგობრებთან. მშვიდობიანად იმგზავრა მადრიდამდე...

სერვანტესი ფიქრობდა, რომ მას ხუთიოდე დღის სიცოცხლეღა

---

[1] „ჩრდილოეთური მოთხრობა პერსილესისა და სიგიზმუნდას ვნებებზე“ სერვანტესის უკანასკნელი ნაწარმოებია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჰელიოდორეს (ძველი საბერძნეთის მწერალი) მიბაძვითაა დაწერილი, სერვანტესის ნიჭი მაინც ძლიერად ჩქეფს ამ რომანში. თვითონ ავტორს საუკეთესოდ მიაჩნდა ის თავის ნაწარმოებთა შორის. ალბათ, ასევე თვლიდნენ მისი განათლებული თანამედროვენიც. სერვანტესის მიერ დაწერილი არც ერთი წიგნი არ აღწევს ასეთ მახვილგონიერებას, მომხიბლველობას და ნატიფობასო, წერდნენ შემდეგ ამ თხზულების შესახებ. მკითხველს ახლაც იტაცებს ეს წიგნი თავისი შეუდარებელი ეხით, აზრთა სიმკვეთრით, გრძნობათა გაქანებით.

დარჩენოდა, შეიძლება უფრო ადრეც მომეღოს ბოლოო. ამიტომ დაჩქარებით მოჰკიდა ხელი, რაც გასაკეთებელი ჰქონდა.

სიკვდილის საშინელ წუთებს მტკიცედ და დამშვიდებით ხვდებოდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გახდა ფრანცისკელთა ორდენის წევრი.

მისი ოჯახისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, დროულად მიეღო უკანასკნელი ლოცვა-კურთხევა.

უკეთუ სურდა დაეხსნა სარწმუნოებრივი დევნის საშინელებებისაგან ცოლი და დისწული, ყველა წესით უნდა გაეთამაშნა მართლმორწმუნედ მიცვალების კომედია. ეშინოდა ამ საქმის დაყოვნების, რასაც საშინელი შედეგები მოჰყვებოდა ახლობელთათვის.

მხრები აიჩეჩა, თითქოს უსარგებლო სიმძიმე დაიფერთხაო. კედლისკენ გადაბრუნდა და თავის თავს მიმართა შემდეგი მოკლე სიტყვით:

— ჭირდვის ნაფიცო ოსტატო, ნუთუ ძნელი სათამაშოა როლი სამასსარაო წარმოდგენაში, რომელსაც ასე სერიოზულად ეკიდებიან შენი საუკუნის ადამიანები, იქნებ, სიცრუე ხელს უწყობს უგუნურებს, ვნება მიაყენონ ღარიბებს, უმწეო არსებათ? მაშინ იგი ჩვენს კეთილშობილურ მოვალეობად იქცევა.

გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე, ლოგინში მწოლიარემ, დაწერა ინტიმურობით აღსავსე და ღრმა სიბრძნით გასაოცარი პროლოგი „პერსილესისა“, სადაც სრული გულწრფელობით, სიცხადითა და სიმტკიცით გამოეთხოვა მეგობრებს. ესაა ხალისიანი წერილი გრაფ ლემოსისადმი, რომელსაც უძღვნა „პერსილესისა და სიგიზმუნდას ვნებანი“. აქვე იხსენებს იგი მთავარეპისკოპოსს სანდოვალს და მსახიობ პედრო დე მორალეს, რომელთაც ხშირად დაუხსნიათ შიმშილისაგან მიგელი.

შემდეგ უკარნახა ანდერძი. აღმსრულებლად დანიშნა ცოლი — კატალინა.

როგორც იყო, დარწმუნდა: ცოლს, დას, დისწულს არავითარი საფრთხე არ მოელოდათ ინკვიზიციის კლანჭებიდან, გულდამშვიდებით გაიღიმა და წარმოთქვა: — მთელი სასყიდელი უკანასკნელ კაპიკამდე გადახდილია. აწ უფლება მაქვს დავუტევო მონობის ბუნაგი — აღყირი. ჩემი ცხოვრება თითქოს ხანგრძლივი გაუგებ-

რობა იყო, ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს არც ერთი მზიანი დღე, რომ შემძლებოდა ფორტუნას[1] ბორბალზე ზეასვლა. როგორც კი ვიწყებდი მასზე აბობღებას, მაშინვე შეწყდებოდა მისი ტრიალი, ანდა უკუღმა დაგორდებოდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო ჩემი საქმე, მაინც საცოდავი ლიტრის ამბავი მემართებოდა.[2] ვტოვებ ამ გატანჯულ წუთისოფელს, მივათრევ ზურგზე აკიდებულ მძიმე ლოდს წარწერით, სადაც ამოიკითხავენ ჩემი იმედების დამსხვრევას და განადგურებას, ალბათ, ასე სწყუროდათ ღმერთებს, რომელთა წინაშე აროდეს მომიხრია ქედი. ბევრი კარგი რამ გავაკეთე, ეს მიმყვება იმედად ცივ სამარეში.

ორი-სამი დღე მშვიდად გაატარა.

პარასკევ საღამოს სისუსტე იგრძნო და წაიბუტბუტა:

— აღსასრული უფრო ადრე დგება, ვიდრე ვფიქრობდი. მე კი მინდოდა მენახა მზის ამობრძანება...

გათენდა. დედამიწამ სიხარული იგრძნო. პოეტს სურვილი აუსრულდა, მოესწრო მზის ამოსვლას...

— გააღეთ ფანჯარა... მზეს შემახედეთ!..

ცოლმა თხოვნა შეუსრულა.

მიგელმა უკანასკნელად გაუსწორა თვალი მზის სხივებს და ღიმმორეულმა წაიჩურჩულა:

— ახლა კი მშვიდობით, ლაღო ხუმრობავ, მშვიდობით, ხალისიანო სიცოცხლევ, მშვიდობით, მეგობრებო, ვგრძნობ, რომ ვკვდები და მხოლოდ ის მაიმედებს, საყვარელი სამშობლოს მიწა-წყალი რომ ჩაიკრავს გულში მიგელ სერვანტესის ბებერ ძვლებს... ჩემო მეგობრებო... დამასაფლავეთ წმიდა სამების მონასტერში, ესაა ჩემი უკანასკნელი სურვილი. კატალინა, შენ გიტოვებ ჩემს „პერსილესსა და სიგიზმუნდას“, ჩემი სიკვდილის შემდეგ უპატრონე მას...

მზის სხივებმა მიუალერსეს მომაკვდავის სხეულს, მის ჩამქრალ თვალებს. პოეტის აზრი ოდნავ ბჟუტავდა. კიდევ ოცნებობდა ესპანეთის პოეზიის ბრწყინვალე მომავალზე. შემდეგ დადუმდა და მზერა დაეშრიტა.

---

[1] ფ ო რ ტ უ ნ ა — ბედის ღმერთი.

[2] ესპანური ანდაზაა: ქვა მოხვდა ლიტრას, ვაი ლიტრის ბრალიო, და ლიტრა მოხვდა ქვას, მაინც ვაი ლიტრის ბრალიო.

კატალინამ ხელი შეახო ტუჩებზე: მიგელი აღარ სუნთქავდა.

მაშინ საბრალო ქალს თვალთაგან წასკდა უნუგეშო მწუხარების ცრემლი და სულზე უტკბესი ადამიანის სიკვდილის სარეცელთან მოწყვეტით ჩაიჩოქა.

დღე იყო შაბათი, ათას ექვსას თექვსმეტი წლის ოცდასამი აპრილი.


* * *

დონა კატალინამ შეასრულა ქმრის ანდერძი: სერვანტესი დაკრძალეს წმიდა სამების მონასტერში. მის სამარეს არ ამკობდა არავითარი ძეგლი ან წარწერა. როცა 1633 წელს ეს მონასტერი სხვაგან გადაიტანეს, გენიალური მწერლის სამარე დაიკარგა და მისი ადგილმდებარეობის აღმოჩენა აღარ მოხერხდა. არაფერია ცნობილი სერვანტესის შემდეგ დარჩენილი მრავალი თხზულების შესახებაც. დონა კატალინამ (ქმრის სიკვდილის შემდეგ მან ათი წელი იცოცხლა) მარტოოდენ „პერსილესი და სიგიზმუნდა" მიჰყიდა გამომცემელ ვილაროელს და ცალკე წიგნად დაბეჭდა 1617 წელს.

სერვანტესსაც ჰომეროსივით[1] მოუვიდა. ისე, როგორც ძველი საბერძნეთის შვიდი ქალაქი (სმირნა, როდოსი, კოლოფონი, სალამინი, ხიოსი, არგოსი, ათენი) უშედეგოდ დაობდა და ცდილობდა დამტკიცებას, თუ რომელი იყო დიდი პოეტის სამშობლო, სერვანტესის დაბადების ადგილსაც დიდხანს ერთმანეთს ეცილებოდნენ: მადრიდი, სევილია, ტოლედო, ესკივიასი, ალკასარ დე სენხუანი, კონსუერგა, ალკალა დე ენარესი. ბოლო დროს აღმოჩენილი საბუთებით დავა უკანასკნელი ქალაქის სასარგებლოდ გადაწყდა, უდავოდ დამტკიცებულია, რომ სერვანტესი დაიბადა ქალაქ ალკალა დე ენარესში 1547 წლის 29 სექტემბერს და მოინათლა იქვე, იმავე წლის 9 ოქტომბერს სანტა მარია ლა მაიორის საყდარში...

ორასი წლის მანძილზე სერვანტესის ხსოვნა არაფრით არ აღუნიშნავთ. მაგრამ უკვდავი „დონ კიხოტის" ავტორს განა სჭირდებოდა ამ ნაწარმოებზე უფრო დიდი და სამუდამო ძეგლი? მხო-

[1] ჰომეროსი — საბერძნეთის უდიდესი პოეტი. მას მიაწერენ „ილიადისა" და „ოდისეის" ავტორობას.



სერვანტესის ძეგლი მადრიდში. მოქანდაკე სოლა.

ლოდ 1835 წელს აუგეს სერვანტესს ძეგლი მადრიდში. ეს იყო მწერლის პირველი მონუმენტი, ბრინჯაოს დიდი ქანდაკება დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ფიგურებით, რომელიც ჩამოასხა რომში ბარსელონელმა მოქანდაკემ — სოლამ. ძეგლის კვარცხლბეკზე ლათინურად ეწერა: „მიგელ დე სერვანტეს საავედრას, ესპანეთის პოეტთა მეფეს“. 1835 წლამდე მწერლის ხსოვნა უკვდავყოფილი იქნა 1818 წელს პარიზში გაკეთებული ბრინჯაოს მედლითა და პატარა მედალიონით, რომელზეც ამოკვეთილი იყო სერვანტესის სახე. ეს მედალიონი 1834 წელს სერვანტესის ერთ-ერთი თაყვანისმცემ-

ლის ხარჯზე მიაკრეს იმ სახლს მადრიდში, სადაც უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა და გარდაიცვალა სერვანტესი.

მიგელ დე სერვანტეს საავედრამ მთელი თავისი ნიჭი და გონება შესწირა სამშობლოს უანგარო სამსახურს. მან შექმნა რომანი, სადაც ღირსეულადაა შეფასებული მისი თანამედროვე ეპოქის ყველა ცრუ შეხედულება, არაბუნებრივი გრძნობები, სიყალბე, რაინდული ყეყეჩობა და თავგასულობა. ესპანეთმა ვერ დააფასა ერთ-ერთი თავისი საუკეთესო შვილთაგანი. წარჩინებული წოდება, ხელისუფლების სათავეში მოქცეული ზედაფენების უმრავლესობა ვერ ურიგდებოდა სერვანტესს. მისთვის ვერ ეპატიებიათ მთელი ფეოდალური სამყაროს გაბიაბრუება, შავბნელ საუკუნეთა სქოლასტიკური მოძღვრების წინააღმდეგ მიმართული ულმობელი და ბასრი სატირა: ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ სიტყვის უბადლო ოსტატს, საჯაროდ კოცონზე სწვავდნენ მის სწორუპოვარ რომანს.

ამ რომანში მოჩანს თვითონ სერვანტესი: კეთილშობილი მეამბოხე, ტიტანური აზრითა და ნებისყოფით აღსავსე რაინდი, იგი ყოველთვის შეუპოვრად დგას ხმალამოღებული და შუბმომართული თავისუფლების სადარაჯოზე — სიმართლის, დიდების, ადამიანური ღირსებისა და კაცთმოყვარეობის დასაცავად და კვლავ ომახიანად გაჰყივის: წყვდიადის შემდეგ იმედი მაქვს განთიადისა!

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ლეპანტოს ბმირი

მოხეტიალე მსახიობებთან 3
წერილი სალამანკიდან 20
როლანდი . . 24
მადრიდი 30
პრესიოზა . 34
ტახტის მემკვიდრე . 40
ორთაბრძოლა ღამით . 41
მოულოდნელი გამოსავალი 52
გაქცევა . . . 55
კარდინალთან . 58
უეცარი შეხვედრა 60
ფლოტის აღლუმი . 64
ლეპანტოს ბრძოლაში 69

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ალჟირის ტყვე

გალერა „მზე" 76
ტყვეობაში 84
პირველი ცდა 89
დაბრუნება . 94
ახალი გეგმა . 98
პირატთა შურისძიება 105
მღვიმეში . . 110
დაკითხვა . . . 114
დიდი შეთქმულება . . 122
ინკვიზიციის მსახური . 124

ჯიუტი ესპანელი . 128
ასპიტთა ჯურღმულში 133
განთავისუფლება 137

ნაწილი მესამე

„მწუხარე სახის რაინდი"

სამშობლოში . 145
ელჩი თუ შიკრიკი . . 151
„გალატეა" და ანა ფრანკა 154
ცოლი და თეატრი 157
მოლიპული გზით . 162
ახირებული კომისარი 166
სისხლის გასინჯვა . . 170
შვიდი ათასი რეალისათვის 175
ნანატრი სავანე 179
„დონ კიხოტი" 183

ნაწილი მეოთხე

სამარის გზესთან

ისევ მადრიდში . 205
ძველი ნაცნობები . . 214
ყალბი „დონ კიხოტი" 229

მზის მოლოდინში 242

რედაქტორი შ. დარახველიძე
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი რ. მელაძე
კორექტორი თ. ენდელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-64წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,65
ტირაჟი 10.000 შეკ. №1036
ფასი 67 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

Типография издательства «Накадули»
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.
გამომცემლობა „ნაკადული" სტამბა
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5